კახა ნაჭირის ძე კვაშილავა

ისტორიის დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგამომცემლო ჯგუფის თანამშრომელი.

გამოქვეყნებული აქვს 1 მონოგრაფია, 20-მდე სამეცნიერო ნაშრომი საქართველოსა და მსოფლიო ისტორიის საკითხებზე. ფლობს რუსულ და ინგლისურ ენებს.

KABUL TIMES

Great Leader receives DRA's five year plan course participants

კახა კვაშილავა

ეტიუდები აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიიდან

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის
საქართველოს საისტორიო საზოგადოების
ა ფ ხ ა ზ ე თ ი ს ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ა

კახა კვაშილავა

ეციუღები აღმოსავლეთის ჭეყნების ისტორიიდან

თბილისი – 2013

უაკ (UDC) 94(-11)
კ-325

კრებულში წარმოდგენილ სტატიებში, სათანადო პირველწყაროებსა (მათ შორის სხვადასხვა არქივთსაცავებში ახლად გამოვლენილ დოკუმენტურ მასალებზე, მემუარებზე) და თანამედროვე ისტორიოგრაფიის უახლესი მიღწევებზე დაყრდნობით, შესწავლილია აღმოსავლეთის ქვეყნების (ძირითადად: ოსმალეთი/თურქეთი, კორეა, ავღანეთი, ისრაელი, ეგვიპტე) ისტორიის რიგი მნიშვნელოვანი საკითხებისა.

წიგნი განკუთვნილია როგორც სპეციალისტების, ასევე აზიისა და აფრიკის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორიით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის.

რედაქტორი: ისტორიის დოქტორი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი ***თეიმურაზ პაპასქირი***

რეცენზენტი: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი ***გიორგი ანთელავა***

ისტორიის დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი ***ომარ არდაშელია***

© კახა კვაშილავა, 2013

© გამომცემლობა „მერიდიანი“, 2013
ISBN

სარჩევი

წინასიტყვაობის მაგიერ **5**

საქართველო რუსეთ-ოსმალეთის იმპერიების
დაპირისპირებაში XVIII საუკუნის I მესამედში **8**
Georgia in the Confrontation between Russian and
Ottoman Empires in First Third of 18th Century **33**
18. Yüzyılın İlk Çeyreğinde Gürcistan ve
Rusya-Osmanlı Münasebetleri **34**

კორეის ომი (1950-1953) და
გაერთიანებული ერების ორგანიზაცია **36**
The Korean War (1950-1953) and the United Nations **65**

ისრაელისა და არაბების IV ომი:
გაერო *„თამაშგარე მდგომარეობაში“* **66**
The 4th Arab-Israeli War:
the United Nations' "out of play"..... **99**
Арабо-израйльская IV война:
ООН «вне игры» **100**

ავღანეთის რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკა
და სსრკ. *1973-1978* **101**
Foreign Policy of Republic of Afghanistan and
the Soviet Union. *1973-1978* **126**
Внешняя политика Республики Афганистан
и СССР. *1973-1978* **127**

ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტიაში არსებული წინააღმდეგობების სოციალური ასპექტების საკითხისათვის **129**

The Social Aspects of Confrotantions Existing in the People's Democratic Party of Afghanistan **147**

წინასიტყვაობის მაგიერ

საქართველოს ურთულესი გეოგრაფიული მდებარეობა ევროპისა და აზიის გზაგასაყარზე, რაც მას უმნიშვნელოვანეს გეოსტრატეგიულ ფუნქციას სძენს, რითაც ის მუდმივად იმსახურებდა, როგორც ევროპის, ასევე აზიის სახელმწიფოების ყურადღებას.

საქართველოსა და აღმოსავლეთის (აზიის) ხალხების და ქვეყნების ურთიერთობას სულ მცირე 3 000 წლის ისტორია აქვს. მთელი ამ ხნის მანძილზე განსხვავებული იყო ამ კონტაქტების ხასიათიც — უკიდურესი სამხედრო-პოლიტიკური დაძაბულობით დაწყებული და ეკონომიკურ-კულტურული თანამშრომლობით დასრულებული. შესაბამისად, ქართულმა საზოგადოებამ, მისმა კულტურულმა, ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა სისტემებმა შეითვისეს და ეროვნულ ნიადაგზე გადაამუშავეს ამ სფეროების ევროპული და აღმოსავლური (აზიური) გამოცდილება. მართალია, საქართველო, იდეოლოგიურად, კულტურულად და პოლიტიკურად, ევროპული სახელმწიფოა, მაგრამ მისი გეოგრაფიული მდებარეობა განსაზღვრავს მჭიდრო კულტურული, პოლიტიკური და ეკონომიკური კავშირების შენარჩუნებას აზიასთან. ეს მით უფრო მნიშვნელოვანია ამ რეგიონის პრემანენტულად მზარდი პოლიტიკური და ეკონომიკური წონადობის პირობებში. შესაბამისად, საქართველოში აქტუალურია ორიენტალისტური კვლევების წახალისება და გააქტიურება (ტრადიციულად, საყოველთაო აღიარებით, ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, ქართული აღმოსავლეთმცოდნეობა ერთ-ერთ წარმატებულ სკოლას წარმოადგენდა).

სტუდენტობის პერიოდიდან მოყოლებული, ჩემი სამეცნიერო ინტერესებისა და კვლევების საგანს მსოფლიო ისტორიის, განსაკუთრებით კი — აზიისა და აფრიკის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორიის შესწავლა შეადგენდა. შესაბამისი მიმართულებით ვამზადებდი საკურსო ნაშრომებსაც და სადიპლომო თემასაც — ***„გაერთიანებული ერების ორგანიზაციის როლი რეგიონალურ კონფლიქტთა დარეგულირებაში (1945-1991წწ.)“,*** რომელიც მომზადდა ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც 1994-1997 წლებში თავისუფალი მსმენლის სტატუსით ვსწავლობდი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის, დოცენტ ***რევაზ დიასამიძის*** ხელმძღვანელობით,

ხოლო დაცვა კი შედგა 1997 წელს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალში. სადიპლომო ნაშრომში შეწავლილი იყო „ცივი ომის“ პერიოდში აზიისა და აფრიკის სახელმწიფოებში გაჩაღებული რეგიონალური კონფლიქტები და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მცდელობა მათ მოწესრიგებაში.

აღნიშნული მიმართულებით შემდგომ წლებშიც გავაგრძელე მუშაობა და ამ კვლევების შედეგები ქვეყნდებოდა ცალკეული სტატიების სახით.[1] შემდგომ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ სოხუმის ფილიალის ასპირანტურაში სწავლებისას, გარკვეულ წილად, შეიცვალა კვლევის საგანი და სადისერტაციო თემად დადგინდა ***„ისტორიული სამურზაყანო. XVII-XVIII სს. მიჯნა — 1840 წ.“*** (სამეცნიერო ხელმძღვანელი: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ***ზურაბ პაპასქირი***), რომლის დაცვაც შედგა 2009 წლის ნოემბერში სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში. თუმცა, ამავე საკვალიფიკაციო ნაშრომში განხილული იქნა ოსმალეთ-რუსეთის დაპირისპირება ამიერკავკასიაში XVIII ს. — XIX ს. I ნახევარში

---

[1] **კ. კვაშილავა.** ისრაელისა და არაბების IV ომი: გაერო „თამაშგარე მდგომარეობაში. — *საისტორიო ძიებანი.* ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოების აფხაზეთის ორგანიზაციის წელიწდეული. ტ. I. თბ., 1998, გვ. 199-220 (რეზიუმე რუსულ ენაზე); **კ. კვაშილავა.** ავღანეთის რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკა და სსრკ. 1973-1978, — *საისტორიო ძიებანი.* ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს სასიტორიო საზოგადოების აფხაზეთის ორგანიზაციის წელიწდეული. ტ. V. თბ., 1998, გვ. 333-355 (რეზიუმე რუსულ ენაზე) /ელექტრონული ვერსია: https://sites.google.com/site/saistoriodziebani/dziebani2002/; **კ. კვაშილავა.** საქართველო რუსეთ-ოსმალეთის იმპერიების დაპირისპირებაში XVIII საუკუნის I მესამედში, — კრებ.: *საქართველო და თურქეთი: კულტურულ ურთიერთობათა ისტორია, დღევანდელობა და პერსპექტივები.* აჰმედ ოზქან მელაშვილის დაბადებიდან 90 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენციის მასალები. ***არქიმანდრიტ ადამ ახალაძის*** საერთო რედაქციითა და წინასიტყვაობით. თბ., 2012, გვ. 199-212 (რეზიუმე ინგლისურ და თურქულ ენებზე); **კ. კვაშილავა.** ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტიაში არსებული წინააღმდეგობების სოციალური ასპექტების საკითხისათვის. — კრებ.: *მარი ბროსე 210.* თბ., 2012, გვ. 194-204 (რეზიუმე ინგლისურ ენაზე).

და მისი გავლენა ქართულ პოლიტიკურ სამყაროზე.

ამავე უმაღლეს სასწავლებელში სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის დაწყების შემდგომ, კვლავ გავაგრძელე აზიისა და აფრიკის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორიის პერიოდის შესწავლა, მით უფრო, რომ ამას ხელი შეუწყო იმ სალექციო კურსებმაც, რომელსაც ვკითხულობ: *„აღმოსავლეთის საკითხი XVIII–XIX საუკუნეების საერთაშორისო ურთიერთობებში“*, *„აზიისა და აფრიკის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორია“*, *„ირანის ისტორია“* და სხვ.

წინამდებარე კრებულში, ასევე, შესულია ზემოთ ჩამოთვლილი ოთხი სტატია და დამატებულია ახალი კვლევა — ***„კორეის ომი (1950-1953) და გაერთიანებული ერების ორგანიზაცია“***, რომელიც პირველად ქვეყნდება.

ვფიქრობთ, წიგნი საინტერესო იქნება როგორც სპეციალისტების, ასევე აზიისა და აფრიკის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორიით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის და ის, აგრეთვე, გარკვეულ დახმარებას გაუწევს ზემოხსენებული სალექციო კურსების მსმენელებსაც.

საქართველო რუსეთ-ოსმალეთის იმპერიების დაპირისპირებაში XVIII საუკუნის I მესამედში[1]

საქართველოს საკითხი რუსეთ-ოსმალეთის იმპერიების დაპირისპირების ჭრილში ქართული ისტორიოგრაფიის კვლევის საგანს კარგა ხანია წარმოადგენს. პრობლემის შესწავლა აქტიურად გრძელდება დღესაც. ამ მხრივ, ერთ-ერთი საყურადღებო კვლევაა ზ. წურწუმიას მიერ ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია[2] და მის საფუძველზე გამოცემული ფუნდამენტური ხასიათის მონოგრაფია.[3]

ამ საკითხს, ბუნებრივია, გვერდს ვერ უვლიან საკუთრივ რუსი და თურქი მკვლევარები. ამ მხრივ, ერთ-ერთი უახლოესი პუბლიკაციაა შ. დემირის სტატია.[4] ბუნებრივია, საბჭოთა სივრცის ნგრევა და ამის შედეგად რეგიონში მომხდარი გეოპოლიტიკური ცვლილებები აქტუალურობას სძენს კავკასიის სახელმწიფოების თუ მათ მიმართ არსებული სხვა ქვეყნების ინტერესების შესწავლის პრობლემას. აქედან გამომდინარე, შეიძლება გარკვეული პარალელები შევნიშნოთ ამჟამინდელ და XVIIIს. I მესამედში რეგიონში არსებულ საერთაშორისო ვითარებებს შორის.

2008 წლის აგვისტოში ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ რუსე-

---

[1] სტატია მცირეოდენი შემოკლებით დაიბეჭდა კრებულში: ***საქართველო და თურქეთი:*** კულტურულ ურთიერთობათა ისტორია, დღევანდელობა და პერსპექტივები. აჰმედ ოზქან მელაშვილის დაბადებიდან 90 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენციის მასალები. **არქიმანდრიტ ადამ ახალაძის** საერთო რედაქციითა და წინასიტყვაობით. თბ., 2012, გვ. 199-212.

[2] **ზ. წურწუმია.** აფხაზეთი რუსეთ-ოსმალეთის ურთიერთობებში *(XVს. II ნახ. — XXს. I მეოთხედი).* საკვალიფიკაციო ნაშრომი ისტორიის დოქტორის ხარისხის /PhD/ მოსაპოვებლად. თბ., 2009.

[3] **ზ. წურწუმია.** აფხაზეთი რუსეთ-ოსმალეთის ურთიერთობებში *(XIX საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისში).* თბ., 2012.

[4] **Ш. Демир.** Особенности формирования Кавказской политики Османской империи на рубеже XVII-XVIII веков, — ჟურნ.: *«Вестник Челябинского государственного университета».* №7 (261). Серия: История. Вып. 49, 2012 (იქვე, მითითებები პრობლემის ირგვლივ არსებული რუსული და თურქული ლიტერატურის შესახებ).

თის ფედერაციის აგრესიის დროს, თურქეთის რესპუბლიკამ, სამწუხაროდ, გარკვეულად, მისი მოკავშირის - საქართველოს - მიმართ გაუგებარი ნაბიჯები გადადგა, როცა, 1936წ. მონტრეს შეთანხმების საფუძველზე, დააყოვნა ჰუმანიტარული მისიით აღჭურვილი აშშ-ს სამხედრო ფლოტის შავ ზღვაში შემოსვლა.[1]

XVIIIს. დასაწყისი ამიერკავკასიაში მნიშვნელოვანი ცვლილებებით აღინიშნა. რეგიონში ამ ერთგვარი სიახლის შემომტანი ენერგიული პეტრე I დიდის მიერ აღორძინებული რუსეთი იყო. ახალგაზრდა მონარქს ამბიციური გეგმა ჰქონდა დასახული: რუსეთი იმდროინდელი მსოფლიოს ანგარიშგასაწევ ძალად ექცია.

პეტრე არა მარტო შვედეთთან აპირებდა „ურთიერთობების“ გარკვევას ევროპაში გასაჭრელად, არამედ — სპარსეთთან და ოსმალეთთანაც აღმოსავლეთში პოზიციების გასამყარებლად. ამ უკანასკნელის წინააღმდეგ კი რუსეთი 1686 წლიდან საომარ მოქმედებაში იმყოფებოდა ევროპელ მოკავშირეებთან — ავსტრია, რეჩ პოსპოლიტა, ვენეციასთან ერთად ანტიოსმალურ სამხედრო ბლოკში — „საღვთო ლიგაში“ იყო გაერთიანებული. უკვე 1701 წლისათვის პეტრეს მზად ჰყავდა შავ ზღვაზე გასასვლელად გათვალისწინებული 100 დიდი და მცირე გემისაგან შემდგარი ფლოტი.[2]

1696 წელს კი რუსეთის მეფემ მნიშვნელოვანი სამხედრო და სტრატეგიული წარმატება მოიპოვა: 18 ივლისს თურქებს აზოვის ციხე წაართვა და ამით რუსეთი შავ ზღვაზე გასასვლელ კარიბჭეს მიუახლოვდა.[3] თუმცა, საბოლოო მიზანი ჯერ

---

[1] *თურქეთის პრეზიდენტის განცხადება,* – გაზ.: „24 საათი“, 11.06.2009. იხ. ელექტრონული ვერსია: http://24saati.ge/index.php/news/2009-11-06/815.

[2] **ქ. ჩხატარაიშვილი.** დასავლეთი საქართველო XVIIIს. პირველ ნახევარში, — წგნ.: *საქართველოს ისტორიის ნარკვევები.* რვა ტომად. ტ. IV: საქართველო XVI საუკუნის დასაწყისიდან XIX საუკუნის 30-იან წლებამდე. ტომის რედაქტორი მ. დუმბაძე. თბ., 1974, გვ. 456-457.

[3] *Русская военная сила.* История развития военнаго дела от начала Руси до нашего времени. С рисунками одежд и вооружения, картами, планами сражении и укреплении. Издание второе *И. Н. Кушнерева* и *А. Е. Пирогова*, исправленное и дополненное под редакцией Члена Военно-ученаго комитета Главнаго Штаба, Генеральнаго Штаба Генерал-Май-

მიღწეული მაინც არ იყო. პეტრეს მოკავშირეები სჭირდებოდა კავკასიის ქედს გამოღმა. ამას კი საკუთარ თავზე იღებდა მასთან მყოფი იმერეთიდან დევნილი მეფე არჩილი, მაგრამ საამისოდ ჯერ საჭირო იყო მისთვის ტახტის დაბრუნება. რუსთა ხელმწიფემ დევნილ ქართველ ვიზავის ამ საქმეში დახმარება აღუთქვა.[1]

რუსეთის ხელისუფლების ეს ინტერესი კავკასიისადმი არ იყო ახალი. მოსკოვის დაინტერესებამ რეგიონით ჯერ კიდევ XVIს. შუა წლებიდან იჩინა თავი, როცა მან ვოლგის აუზში გაბატონება შეძლო და რუსეთის საზღვრები კავკასიას მიუახლოვდა. 1556წ. ასტრახანის აღებით ივანე IV მრისხანემ კასპიის ზღვაზე გასასვლელი და მნიშვნელოვან სავაჭრო-სანაოსნო არტერიაზე კონტროლი მოიპოვა. XVI საუკუნეში მოსკოვის სამეფო ცენტრალიზებულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბდა და, თავისი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებით, იმ დროის ოსმალეთზე და ირანზე წინ იდგა.[2]

ბუნებრივია, რუსეთის სახელმწიფოს დაინტერესება კავკასიით არ შეიძლებოდა მოსწონებოდა ოსმალეთსა და სპარსეთს, რომლებიც თვითონ აცხადებდნენ პრეტენზიას რეგიონზე და 1555 წლის ამასიის ზავით ამიერკავკასია შუაზე გაიყვეს. როგორც დ. ჯოჯუა მიიჩნევს, XVIს. I ნახევარი - XVIIIს. I ნახევარი ეს არის ამიერკავკასიაში „ამასიის გეოპოლიტიკური ეპოქა“, რომელმაც შექმნა რეგიონალური უსაფრთხოებისა და სტრატეგიული სტაბილურობის გარკვეული მოდელი, რომელსაც მკვლევარი „ამასიის პარიტეტს უწოდებს და ის ითვალისწინებდა სამხრეთ კავკასიაში რეგიონალური გეოპოლიტიკის ორპოლუსიან სისტემას, რომელთა ცენტრები (ირანი და ოსმალეთი) და მათ მიერ შექმნილი კოალიციები და ერთმანეთს აწონასწორებდნენ და აბალანსებდნენ, ხოლო პეტრე I-ს კი თავისი აქტიურობით სამხრეთის მიმართულებით ამ ბალანსში მნიშვნელოვანი დისონანსი შეჰქონდა.[3]

კავკასიის რეგიონს მთლიანად (სამხრეთ და ჩრდილოეთ

ора **А. Н. Петрова**. Т. 2. М., 1892, გვ. 7.

[1] **მ. რეხვიაშვილი.** იმერეთის სამეფო (1462-1810). თბ., 1989, გვ. 148.

[2] **მ. რეხვიაშვილი.** იმერეთის სამეფო (1462-1810), გვ. 76.

[3] **დ. ჯოჯუა.** რუსეთის სამხედრო ინტერვენცია საქართველოში. *2008 წლის აგვისტოს ომი და მისი შედეგები.* თბ., 2010, გვ. 19.

ნაწილიანად) სტამბოლი და ისპაჰანი საკუთარი ინტერესების ზონად მიიჩნევდნენ. ოსმალეთმა ჯერ კიდევ 1475წ. კაფის (თეოდოსია) დაკავებით დაიწყო აქტიური მოქმედებები ჩრდილოეთ კავკასიაში შესაღწევად და დასამკვიდრებლად. თურქი ისტორიკოსი რ. ტუნას მოსაზრებით, ოსმალო სულტანთა (და არა - *სულთანთა,* – **კ.კ.**) მიზანი იყო, ჩრდილოეთ კავკასიის გავლით, ცენტრალურ აზიაში მოსახლე თურქმანებთან შეერთება და, შემდგომ, ერთიანი ძალით, სპარსეთზე თავდასხმა. ამასთან, მკვლევარი მიიჩნევს, რომ XV საუკუნის II ნახევარში სტამბულში ჩრდილოეთ კავკასიის დაკავებას ესწრაფვოდნენ რუსეთის შეჩერების მიზნითაც.[1] ვფიქრობთ, რ. ტუნას ეს ბოლო მტკიცებულება ისტორიულ რეალობას ვერ ასახავს, რადგან მონღოლეთის უღლიდან ახლადგათავისუფლებული მოსკოვის სამთავროს იმ ხანებში ნამდვილად არ შესწევდა ძალა კავკასიის რეგიონში არათუ დასამკვიდრებლად, არამედ - ამ მიმართულებით ლაშქრობისაც კი. ამ მოსაზრებას იზიარებს შ. დემირი.[2]

თუმცა, ვითარება, ამ მხრივ, ნამდვილად იცვლება ივანე მრისხანეს წარმატებული ლაშქრობების შემდეგ და ოსმალეთი უკვე აშკარა პრევენციულ ღონისძიებებს მიმართავს კავკასიაში კონკურენტი სახელმწიფოს დამკვიდრებისათვის ხელის შესაშლელად: 1563წ. სულტანმა სულეიმან I კანუნმა ბრძანა ჩრდილოეთ კავკასიაში სამი ციხესიმაგრის აგება,[3] ხოლო მისმა მემკვიდრემ სელიმ II 1569წ. ამ მხარეში სამხედრო ექსპედიცია გამოაგზავნა კასიმ-ბეის სარდლობით, მაგრამ ეს ლაშქრობა ოსმალებისთვის მარცხით დასრულდა.[4]

ოსმალეთის საპირისპიროდ, სპარსეთი კავკასიაში აღმოსავლეთიდან მოიწევდა და პოზიციებს იმკვიდრებდა დასავლეთ

---

[1] **R. Tuna.** Çerkeslerin Kafkasya'dan Göçu, – *"Kafkasya Üzerine Beş Konferans"*. Kafkas Kültür Dermeği Yayınları. İstanbul, 1977, გვ. 118-119; *ამ კვლევას გავეცანით შ. დემირის ნაშრომით:* **Ш. Демир.** Особенности формирования Кавказской политики Османской империи на рубеже XVII-XVIII веков, გვ. 75-76.

[2] **Ш. Демир.** Особенности формирования Кавказской политики Османской империи на рубеже XVII-XVIII веков, გვ. 75.

[3] **А. В. Шишов.** Схватка за Кавказ. XVI-XXI века. М., 2007, გვ. 13.

[4] **მ. სვანიძე.** თურქეთის ისტორია (1299-2000). თბ., 2007, გვ. 147-148.

კასპიისპირეთში, საიდანაც ჩრდილოეთ კავკასიაშიც შედიოდა.[1]

აღნიშნული დაპირისპირება სარწმუნოებრივ ხასიათსაც ატარებდა, ვინაიდან ქრისტიანულ საქართველოს გადაშენებით ემუქრებოდნენ მაჰმადიანური ოსმალეთი და სპარსეთი. ამ ფონზე კი რუსეთის გამოჩენა მასთან დაკავშირების კიდევ ერთ დამატებით მოტივს ჰქმნიდა. კერძოდ, მოსკოვის სახელმწიფო ისევე, როგორც საქართველო, მართლმადიდებლური ქრისტიანობის აღმსარებელი იყო. ეს მეტად მნიშვნელოვანი იყო, რადგან ევროპასთან ურთიერთობებს ხშირად რელიგიური მომენტი განსაზღვრავდა.

იმ პერიოდში, როცა ოსმალეთი ბიზანტიის იმპერიის წალეკვით იმუქრებოდა, კათოლიკური დასავლეთი აღმოსავლელი ქრისტიანებისგან სარწმუნოებრივ საკითხებში კომპრომისებსა და რომის პაპის უპირატესობის აღიარებას მოითხოვდა (დოკ. №№21).[2]

სწორედ ამიტომ 1439წ. 6 ივლისს ფერარა-ფლორენციის საეკლესიო კრების აქტი, რომელიც კათოლიკური და მართლმადიდებლური ეკლესიების გაერთიანებას, უნიას ადგენდა, მიუღებელი აღმოჩნდა კრების მუშაობაში მონაწილე ქართული სამღვდელოების წარმომადგენლებისთვის.[3] ამ დოკუმენტს ხელი მოაწერა კიევისა და სრულიად რუსეთის მიტროპოლიტმა ისიდორემ (1437-1442).[4] თუმცა, რუსეთის ბერძენი ეროვნების

---

[1] **В. О. Бобровников, В. Х. Кажаров, Н. А. Сотавов.** Северный Кавказ в российской внешней политике XVIIIв., — წგნ.: *Северный Кавказ в составе Российской империи.* Ответственные редакторы В. О. Бобровников, И. Л. Бабич. М., 2007, გვ. 35.

[2] **ილ. ტაბაღუა.** საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში *(XIII-XVIსს.).* თბ., 1984, გვ. 217-219.

[3] **ო. ჟუჟუნაძე.** XVს. პირველი ნახევრის საქართველოს საგარეო პოლიტიკის ისტორიისათვის. *ქართული სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან.* ტ. I, თბ., 1970, გვ. 71.

[4] *Путешествие Исидора Митрополита на Флорентиской Собор, в 6945 (1436) году,* — წგნ.: *Древняя Российская Вивлиотика.* Содержащая в себе Собрание Древностей Российских, до Истории, Географии и Генеалогии Российская касающихся; Изданная **Н. Новиковым**, Членом Вольнаго Российскаго Собрания при Московском Университете. Издание Второе. Вновь исправленное, умноженное и в порядок Хронологической по возможности приведенное. Часть VI. М., 1788, გვ. 37.

მწყემსმთავარი მარტო აღმოჩნდა უნიისადმი ერთგულებაში: მრევლმა იგი არ მიიღო.

რომის საყდარი, რომელიც სარგებლობდა ოსმალთა გარემოცვაში მყოფი ადგილობრივი მართლმადიდებლური ეკლესიების მძიმე მდგომარეობით, აქტიურ პროზელიტურ პოლიტიკას ახორციელებდა აღმოსავლური ქრისტიანობის აღმსარებლობის ხალხებში.

XVII-XVIII საუკუნეებში საქართველოში აქტიურად მოღვაწეობენ კათოლიკე მისიონრები, რომლებიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მეტ-ნაკლები წარმატებით ახერხებენ როგორც წარჩინებულთა, ისე სასულიერო პირთა და მდაბიოთა გადაბირებას კათოლიციზმში. როგორც ჩანს, ოსმალები და სპარსელები რომის პაპის მრევლის რაოდენობის გაზრდას ამიერკავკასიაში ნაკლებ საშიშროებად აღიქვამდნენ, ვიდრე მართლმადიდებლობას, რომელიც აშკარად გზას უხსნიდა რუსეთის ექსპანსიას ამიერკავკასიაში.

აღსანიშნავია, რომ იმ ხანებში მოსკოვში, საერო და სასულიერო ხელისუფლება აქტიურად ამუშავებდა „მესამე რომის“ მესიანისტურ იდეას და რუსეთს მაჰმადიანთაგან ჩაგრული მართლმადიდებელი ქრისტიანების ერთადერთ დამცველად წარმოაჩენდა.[1] სწორედ ამიტომ ამიერკავკასიაში შემოსასვლელად რუსეთის მესვეურებმა შესანიშნავად გამოიყენეს ერთმორწმუნეობის ფაქტორი. ამ მიმართულებით საქართველო-რუსეთის ურთიერთობაში პირველი მნიშვნელოვანი აქტი გახდა კახეთის მეფე ალექსანდრე II მიერ 1587წ. 28 სექტემბერს „ფიცის წიგნის“ მიღება, რომლითაც კახეთზე რუსეთის პროტექტორატი წესდებოდა.[2] ორი წლის თავზე მას გადასცეს მოსკოვის დიდი მთავრისა და სრულიად რუსეთის მეფის თეოდორე I „წყალობის სიგელი“, რომლითაც რუსმა მონარქმა დაამტკიცა „ფიცის წიგნის“ პირობები. მართალია, ეს მნიშვნელოვანი აქტი იყო, მაგრამ იმდროინდელი მოსკოვის სახელმწიფოს რთული საშინაო მდგომარეობიდან გამომდინარე, „ფიცის წიგნი“ მხოლოდ ფორმალურ აქტად დარჩა. მოსკოვის სამეფოს ის მიზერული სამხედრო აქციები კავკასიაში 1594 და 1605

---

[1] **Ф. И. Успенский.** История Византийской империи XI-XVвв. *Восточный вопрос*. М., 1997, გვ. 656-697.

[2] **С. А. Белокуров.** Сношение России с Кавказом (1578-1613г.). М., 1888, გვ. 32-33.

წლებში, რომელსაც იგი აღნიშნული ხელშეკრულების პირობების თანახმად ასრულებდა და, რომლებიც, ფაქტობრივად, მარცხით დასრულდა, არ იყო საკმარისი რეგიონში შექმნილი რთული სიტუაციის ოდნავ მაინც გასაუმჯობესებლად.[1]

რუსეთ-კახეთის ამ პოლიტიკურ კავშირს ის შედეგები არ მოჰყვა, რასაც ჩვენში მოელოდნენ. მოსკოვის სამეფოს იმ ხანებში ძალა არ შეწევდა, რომ კავკასიის ასპარეზიდან ოსმალეთი და ირანი გაედევნა.[2] მაგრამ, საკუთრივ თეოდორე ივანეს ძისთვის ამას ხელი არ შეუშლია თავის ტიტულატურაში ჩაემატებინა „ივერიის ქვეყნისა და ქართველი მეფეების ხელმწიფე“ *(«И Государя Иверския земли, Карталинских и Грузинских Царей»),* რომელიც ამიერიდან მუდამ დარჩება რუსეთის მეფეთა თუ იმპერატორთა ტიტულატურაში. სამაგიეროდ, კახეთის მეფეთა რუსეთისკენ მზერამ ქვეყანას მძიმე შედეგი მოუტანა. XVIIს. I მეოთხედში კახეთს თავსდამტყდარი ტრაგედიის მიზეზებს მკვლევარები სწორედ ამ პოლიტიკურ ორიენტაციაში ხედავენ.[1]

ქართული პოლიტიკური სამყაროს დამოკიდებულება და რუსეთისადმი და რწმენა იმისა, რომ ჩრდილოეთის დიდ სახელმწიფოდან მოემართებოდა „გზა გამოხსნისან ისლამური რკალიდან, არ შეცვლილა XVII-XVIIIსს. მიჯნაზეც. თუმცა, მოსკოვში ჯერ კიდევაც საამისოდ არ იყვნენ საამისოდ მზად, მაგრამ არც ამ კავკასიელი მოკავშირეების დაკარგვა სურდათ, კავკასიაში დამკვიდრება რუსეთის სახელმწიფოს პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება იყო და ამიტომ, ქართველების კეთილგანწყობისა და მათი ამ იმედების შენარჩუნების მიზნით, რუსეთში უხვ დაპირებებს ნამდვილად არ იშურებდნენ.

რუსეთში კი საკუთარ კავკასიურ პოლიტიკასა და მის ნამდვილ არსს საკმაოდ მოხერხებულად ნიღბავდნენ. როგორც ცნობილი ისტორიკოსი ს. სოლოვიოვი წერდა: *«Россия, призываемая на помощь христианским народонаселением, не могла позволить усилиться здесь магометанскому влиянию, особенно турецкому»* („რუსეთს, რომელსაც ქრისტიანული მო-

---

[1] ნ. ბერძენიშვილი. საქართველო XVI საუკუნეში, — წგნ.: *ნ. ბერძენიშვილი.* საქართველოს ისტორიის საკითხები. წიგნი VI, თბ., 1973, გვ. 209-211.

[2] **ნ. ბერძენიშვილი.** საქართველო XVI საუკუნეში, გვ. 210.

სახლეობა დახმარებისათვის მოუწოდებდა, არ შეეძლო ნება მიეცა აქ მაჰმადიანური გავლენის, განსაკუთრებით თურქული, გავლენის გაძლიერებისათვის“, – *თარგმანი ჩვენია*).[1] სამწუხაროდ, ეს იმპერიული შეფასება დღესაც გაზიარებულია ზოგიერთი თანამედროვე რუსი მკვლევარის მიერ[2] და ხდება მისი ტირაჟირება ამჟამინდელ რუსეთში შექმნილი ველიკოდერჟავულ-საბჭოურ კონიუნქტურიდან გამომდინარე.როგორც ამ ამონარიდში ჩანს, ავტორი ცდილობდა რუსეთის სახელმწიფოს სვლა სამხრეთის მიმართულებით სარწმუნოებრივ-იდეოლოგიური ფაქტორით აეხსნა, მაგრამ პეტრე I-ს უფრო შორსგამიზნული და ამბიციური, თანაც მისი ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი მიზანი ჰქონდა, ვიდრე ერთმორწმუნე ქართველებზე ზრუნვა: ბუნებრივია, ეს იყო აღმოსავლეთში შეღწევა.[3] თუკი ევროპა აზიას ზღვითა და თანაც შორეული გზებით უკავშირდებოდა, რუსეთი მისკენ პირდაპირ ხმელეთით და კასპიის ზღვით გადიოდა. ეს გზა კი გაცილებით უსაფრთხო და იაფი იყო, ვიდრე — საზღვაო კავშირები. ნიშანდობლივია, რომ რუსეთის ამ შესაძლებლობებით დაინტერესება ინგლისელებმა ჯერ კიდევ XVIს. II ნახევარში გამოავლინეს.[4] ამიტომ პეტრემ მიზნად დაისახა მისი ქვეყანა აღმოსავლეთ-დასავლეთის სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებში სატრანზიტო სახელმწიფოდ ექცია.[5] ამ მხრივ განსაკუთრებული სიახლე არ ყოფილა, რადგან პეტრე წინამორბედ მონარქთა პოლიტიკას აგრძელებდა.

XVIს. 90-იან წლებში მოსკოვის მეფეებსა და ირანის შაჰებს შორის დიპლომატიური მოლაპარაკების საგანი იყო ბაქო-დარუბანდში რუსთათვის ვაჭრობის საკითხები. XVI-XVIIსს. ირანი და ინდოეთი მრავალფეროვანი ადგილობრივი ნაწარ-

---

[1] **ლ. ტუხაშვილი.** პოლიტიკური ვითარება XVIIIს. პირველ ოცეულში, — წგნ.: *საქართველოს ისტორიის ნარკვევები.* რვა ტომად. ტ. IV, გვ. 406.

[2] **С. М. Соловьев.** Чтения и рассказы по истории России. Издание подготовил *С. С. Дмитриев*. М., 1989, გვ. 696.

[3] **А. В. Шишов.** Схватка за Кавказ. XVI-XXI века, გვ. 17.

[4] **J. M. Mackie.** Life of Shamil and Narrative of the Circassian War of Indenpedence Against Russia. Boston, 1856, გვ. 12.

[5] *Русские водные пути и судовое дело в до-петровской России.* Историко-географическое изследование **Н. П. Загоскина.** Казань, 1910, გვ. 432-433.

მითა და ჩინეთიდან იმპორტირებული საქონლით მეტად მიმზიდველი ბაზარი აღმოჩნდა იმდროინდელი ევროპის წამყვანი სახელმწიფოებისათვის. პეტრეს განსაკუთრებით აბრეშუმით ვაჭრობა აინტერესებდა. ის ცდილობდა კასპიისპირეთის მეაბრეშუმეობის ცენტრების დაუფლებას და, ამასთან ერთად, აბრეშუმით ვაჭრობის გზას, სტამბოლის ნაცვლად, ასტრახანზე გაევლო.[1]

„ევროპა-ინდოეთის" სავაჭრო გზის მიმართულება უძველესი დროიდან ეკონომიკური, პოლიტიკური თუ ტექნიკური მიზეზების გამო ბევრჯერ შეცვლილა, მაგრამ აქტუალურობა და ინტერესი არასდროს დაუკარგავს, მით უფრო, ბიზანტიის იმპერიის დაცემის შემდეგ. საფრანგეთი და ინგლისი აქტიურად ცდილობდნენ სპარსეთში საკუთარი ვაჭრებისათვის პროტექციონისტული მდგომარეობა შეექმნათ და ერთმანეთს ხელს უშლიდნენ ისპაჰანთან ურთიერთობების მოწესრიგებაში.[2] ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეებსაც (ვახტანგ V შაჰნავაზი, გიორგი XI, ვახტანგ VI, სულხან-საბა ორბელიანი) კარგად ესმოდათ ამ სავაჭრო-ეკონომიკური გზის დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა და ევროპასთან ურთიერთობაში ცდილობდნენ, საქართველოს მიმართ მათი დაინტერესება ამ არგუმენტებით განემტკიცებინათ.[3] საკუთრივ ევროპელებიც ნათლად ხედავდნენ საქართველოს ხელსაყრელ გეოგრაფიულ მდებარეობას აღმოსავლეთისა (სპარსეთი, ინდოეთი) და ევროპის სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებისათვის.[4]

ბუნებრივია, რუსეთის ამგვარი ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა გაზრდიდა როგორც მის პოლიტიკურ წონას, ასევე ის ხელს შეუწყობდა ქვეყნის ეკონომიკურად გაძლიერებასაც. თუმცა, ეს პეტრეს დიდი გეგმის მხოლოდ ნაწილი

---

[1] **ივ. ჯავახიშვილი.** დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის მე-XVIII-ე საუკუნეში, — წგნ.: *ივ. ჯავახიშვილი, პ. სურგულაძე, პროფ. ლისტი.* ისტორიული რარიტეტები. თბ., 1989, გვ. 71-72.

[2] **В. О. Бобровников, В. Х. Кажаров, Н. А. Сотавов.** Северный Кавказ в российской внешней политике XVIIIв., გვ. 35.

[3] **ილ. ტაბაღუა.** საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში (XIII-XVIსს.), გვ. 77.

[4] **ნ. ბერძენიშვილი.** ირან-ოსმალეთის ომი და საქართველო XVIII საუკუნის პირველ ნახევარში, — წგნ.: *ნ. ბერძენიშვილი.* საქართველოს ისტორიის საკითხები. წიგნი VI, გვ. 301.

იყო. აღსანიშნავია, რომ რუსეთის ამგვარი სწრაფვა საკუთრივ ევროპელებსა (განსაკუთრებით, ამ მიმართულებით, ინგლისელთა აქტიურობა შეინიშნებოდა) და სპარსელებსაც ჰქონდათ უკვე შემჩნეული. სწორედ ამიტომ ორივე მხარე აქტიურ დიპლომატიას მიმართავდა მოსკოვთან დასაახლოვებლად.[1]

რუსეთისათვის კავკასიას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი როლის უნდა შეესრულებინა შავ ზღვაზე გავლენის მოსაპოვებლად და ყირიმის სახანოს დასაქვემდებარებლად, რომელიც მისთვის მუდმივ „თავის ტკივილს“ წარმოადგენდა, ვინაიდან უკვე XVს. ბოლოდან ყირიმელი თათრები პერმანენტულ მარბიელ თავდასხმებს აწყობდნენ რუსულ მიწებზე და მათ დიდ ზიანსაც აყენებდნენ. ამასთანავე, რუსეთს სჭირდებოდა შავი ზღვა იმისთვისაც, რომ შემდეგ, სრუტეების გავლით, ხმელთაშუა ზღვის მდიდარ ბაზარში შესულიყო. ამიტომ, ვიდრე შავი ზღვა და ყირიმი ოსმალეთის სულტნის კონტროლქვეშ იქნებოდა, ყოველგვარ აზრს კარგავდა რუსეთის სამხრეთისკენ ლტოლვის ამბიციები. აქედან გამომდინარე, კავკასიას მნიშვნელოვანი პლაცდარმის როლი ენიჭებოდა რუსეთის ამ გეოპოლიტიკურ სტრატეგიაში. აღსანიშნავია, რომ წარმოშობით ყაბარდოული წარმოშობის რუსი თავადი და დიპლომატი ალექსანდრე ბეკოვიჩ-ჩერკასკი (მართლმადიდებლურად მონათვლამდე: დევლეთ-გირეი ბეკმურზინი) 1714წ. პეტრე I-ს მოუწოდებდა სასწრაფო ზომები მიეღო კავკასიელ ხალხების მისამხრობად, რაც შემდეგ მნიშვნელოვან გავლენას მოახდენდა ოსმალეთსა და სპარსეთზე.[2]

„ბრწყინვალე პორტას“ მდგომარეობა ამ დროისათვის არც ისე ბრწყინვალედ და სახარბიელოდ გამოიყურებოდა: „საღვთო ლიგასთან“ განცდილმა მარცხმა სერიოზულად შეარყია მისი საერთაშორისო მდგომარეობა: კარლოვიცის ზა-

---

[1] **ილ. ტაბაღუა.** საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში (XIII-XVIსს.), გვ. 216.

[2] **გ. ჟუჟუნაშვილი.** რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა XVII საუკუნის 40-იანი წლების შუახანებში, — კრებ.: *ქართული დიპლომატია.* ტ. 2. თბ., 1995, გვ. 284.

ვით (1699წ. 26 იანვ.), ოსმალეთმა მოკავშირეთა სასარგებლოდ ევროპის კონტინენტზე მნიშვნელოვანი ტერიტორიული დანაკარგები განიცადა; ხოლო კონსტანტინეპოლის ზავით (1700წ. 3 ივლ.) კი, რუსეთმა აზოვი და მიმდებარე ტერიტორიები მიიღო. მაგრამ მუსტაფა II ნამდვილად არ აპირებდა კავკასიის დაკარგვას და თვითონაც შეუდგა სამხედრო ფლოტის გაძლიერებას შავ ზღვაზე და პოზიციების გამყარებას დასავლეთ საქართველოში; ისპაჰანიც კი ამ დროისათვის უკვე მნიშვნელოვნად დასუსტებულიყო, რასაც რუსეთის ხელმწიფეს აუწყებდა ირანიდან ელჩი არტემი ვოლინსკი.[1] ამგვარი რეალობა შეიქმნა ამიერკავკასიაში XVIIIს. დასაწყისისთვის: ახლო და შუა აღმოსავლეთის ორი დიდი იმპერიის (ოსმალეთი და სპარსეთი) უკვე დაღმავალი დიდების ფონზე, კავკასიაში აქტიურად იწყებდა შემოსვლას რუსეთის აღმავლობის გზაზე შემდგარი იმპერია, რომელსაც ბედად ეწერა ადგილობრივი ქვეყნებისა და მოსახლეობის ბედის განსაზღვრა შემდგომი საუკუნეების მანძილზე.

საქართველოში მოუთმენლად ელოდნენ ჩრდილოეთიდან მომავალ ხსნას და ქართველებმა რუსეთისთვის დახმარების გაწევის პირობაც კი მისცეს სტამბოლში რუსეთის ელჩ პეტრე ტოლსტოის.[2] როგორც ჩანს, იმჟამინდელ ქართულ პოლიტიკურ ისტებლიშმენტს გარდამეტებული წარმოდგენა ჰქონდათ კავკასიონის გადაღმა მიმდინარე პროცესებზე და მოსკოვ-სტამბოლის ომს უმოკლეს ხანებში ელოდნენ, რათა თურქთა უღლისაგან გათავისუფლებულიყვნენ. აღსანიშნავია, რომ ქართული სამეფო-სამთავროების მიმართ სტამბოლსა და ისპაჰანს განსხვავებული პოლიტიკური მიდგომები ჰქონდათ: დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრებს სულტანი ამტკიცებდა, მაგრამ ის მათგან ისლამის მიღებას არ მოითხოვდა. ამგვარი ერთგვარად „ლიბერალური“ დამოკიდებულება რადიკალურად განსხვავდებოდა აღმოსავლეთ საქართველოში შექმნილი ვითარებისაგან, სადაც ქართლისა და კახეთის მეფედ დამტკიცებისათვის საჭირო იყო არა მარტო სპარსეთის ვასალობის აღიარება, არამედ — მაჰმადიანობის მიღებაც.

თუმცა, სტამბოლის ეს „ლიბერალიზმი“ ნამდვილად არ იყო განპირობებული ქრისტიანობისადმი სულტნის „ტოლერანტული“. ოსმალეთის პოზიციები დასავლეთ საქართველო-

---

[1] **С. М. Соловьев.** Чтения и рассказы по истории России, გვ. 697.

[2] **С. М. Соловьев.** Чтения и рассказы по истории России, გვ. 700.

ში საკმაოდ მყარი იყო და ის აქედან ღებულობდა, როგორც ხარკს, ასევე, არც ხელი ეშლებოდა ტყვეთა სყიდვას. ამასთან, ადგილობრივი ხელისუფალთათვის ქრისტიანული სარწმუნოების შენარჩუნებით, სულტანი შორსმიმავალ პოლიტიკურ მიზნებს ისახავდა: ის ცდილობდა უზრუნველეყო დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავართა მხრიდან ლოიალობა.

ოსმალეთის ხელისუფლება რევანშისათვის ემზადებოდა მაგრამ „საღვთო ლიგასთან" განცდილი მარცხის შემდგომ ქვეყანაში ეკონომიკური კრიზისი იყო, ჯამაგირს ვერ უხდიდნენ იანიჩარებს, რომლებიც თავიანთ უკმაყოფილებას პერმანენტული ამბოხებებით გამოხატავდნენ. ანტითურქული აჯანყებებისათვის ემზადებოდა ბალკანეთის მოსახლეობაც. ამ ვითარებაში, დასავლეთ საქართველოში მიიჩნიეს, რომ თურქეთის საწინააღმდეგოდ გამოსვლა შესაძლებელი იყო.

1703წ. გიორგი აბაშიძემ სტამბოლს შეუწყვიტა ყოველწლიური გამოსაღები — საური, რომელსაც საქართველოში „ქრთამს" ეძახდნენ: *„ვითარ განდიდნა აბაშიძე და არღარა ეგოდენ მორჩილებდა ფაშასა და არცაღა აქუნდა ქრთამნი ეგოდენნი იმერეთისაგან"*.[1] მეფე-მთავრები „ქრთამით" ახალციხის ფაშას უგზავნიდნენ „ტყვეებს" (ახალგაზრდა ქალ-ვაჟები) და სხვა მისართმეველებს (ძვირფასი ნივთები, ტილო, ქორ-შევარდნები და სხვ.), რომელიც ყოველივე ამას შემდეგ სულტანს მიართმევდა.

„ყოველწლიური „ქრთამის" გაგზავნაზე უარის თქმა თურქეთის ვასალობიდან გამოსვლას ნიშნავდან.[2] გიორგი აბაშიძის ამ დემარშს მხარი დაუჭირეს გიორგი ლიპარტიან-დადიანმა და მამია III გურიელმა.[3] ოსმალთა მორჩილებიდან გამოვიდნენ აფხაზებიც, რომლებიც თურქ ვაჭრებს აყაჩაღებდნენ.[4] ომში დამარცხებული სულტანისთვის ქართველთა ეს დაუმორჩილებლობა ნამდვილი გამოწვევა იყო, რომელიც სასწრაფო საპასუხო ზომების მიღებას საჭიროებდა. თურქებმა საჭიროდ

---

[1] **მ. რეხვიაშვილი.** იმერეთის სამეფო (1462-1810), გვ. 149.

[2] **ბატონიშვილი ვახუშტი.** აღწერა სამეფოსა საქართველოსა, — წგნ.: *ქართლის ცხოვრება*. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით *ს. ყაუხჩიშვილის* მიერ. ტ. IV. თბ., 1973, გვ. 458.
ქ. ჩხატარაიშვილი. დასავლეთი საქართველო XVIIIს. პირველ ნახევარში, გვ. 458.

[4] **ბატონიშვილი ვახუშტი.** აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 458.

ჩათვალეს განდგომილ ქართველთა დასჯა და დასავლეთ საქართველოში ოსმალეთის კონტროლის გაძლიერება, რათა იქ რუსეთს დასაყრდენი არ ეპოვა. სტამბოლში ვარაუდობდნენ, რომ პეტრე I-ს, პირველ რიგში, ადგილობრივი ნავსადგურები დააინტერესებდა.[1] რუსეთის მეფეს სტამბოლში მივლინებული დიპლომატ პ. ტოლსტოისაგან უკვე 1702წ. ჰქონდა ცნობები შავი ზღვის პორტების შესახებ *(„შავი ზღვის აღწერილობა“).*[2]

როგორც ჩანს, ქუთაისსა და სოხუმში დისლოცირებულ ოსმალურ გარნიზონთა შესაძლებლობებს აღემატებოდა განდგომილთა დასჯა და მუსტაფა II-მ არზრუმის ბეგლარბეგ ქოსა ხალილ ფაშას მთავარსარდლობით დასავლეთ საქართველოში 80 ათასიანი არმია დაძრა.[3] 1703 წლის ზაფხულში თურქები შემოვიდნენ *„სპითა დიდითა ზღვთ და ჴმელით, რათა დაჰყონ წელი შჳდი იმერეთს და მოაოჴრონ სრულიად ციხეებითურთნ“*.[4] ოსმალთა ეს შემოსევა იმდენად საშინელი ყოფილა, რომ, როდესაც მათ მოულოდნელ უკან გაბრუნებაზე საუბრობს, ვახუშტი წერს: *„შეიწყალა ღმერთმან კუალად ქუეყანა ესე“*.[5]

მტერი ქვეყანაში სამი მხრიდან შემოვიდა: საკუთრივ სერასკირმა ხალილ-ფაშამ ჭოროხი გადალახა და ბათომი დაიკავა, ხოლო მისი მოადგილე (ქეჰაია), ახალციხის ფაშა ისაყთან ერთად, იმერეთში შეიჭრა; მესამე ნაწილი ზღვით სამეგრელოში შევიდა, სადაც აიღეს რუხის ციხე, რომელშიც შეიარაღებული რაზმი დატოვეს და ანაკლიაში კი ახალი ციხე ააშენეს.

---

[1] **ქ. ჩხატარაიშვილი.** დასავლეთი საქართველო XVIIIს. პირველ ნახევარში, გვ. 458.

[2] **П. А. Толстой.** Описание Черного моря, Эгейского архипелага и османского флота. Главный редактор *А. Р. Вяткин,* вступительная статья и составление *С. Ф. Орешковой,* археографическое введение, подготовка текста, примечания и указатели *И. В. Зайцева.* М., 2006, გვ. 66-115; **ქ. ჩხატარაიშვილი.** დასავლეთი საქართველო XVIIIს. პირველ ნახევარში, გვ. 457.

[3] **კ. კვაშილავა.** ისტორიული სამურზაყანოს წარსულიდან. *XVII–XVIII საუკუნეების მიჯნა – 1840 წელი.* თბ., 2011, გვ. 113.

[4] **ბატონიშვილი ვახუშტი.** აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 863.

[5] **ბატონიშვილი ვახუშტი.** აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 864.

1703წ. ივნისში სტამბოლში იანიჩართა აჯანყება დაიწყო კუთვნილი ჯამაგირის მოთხოვნით. ანალოგიური მოთხოვნით კი ოსმალეთში იანიჩართა ამბოხებები გახშირდა სწორედ მუსტაფა II-ს ზეობის დროს. აღსანიშნავია, რომ ამ აჯანყების მოთავენი სწორედ იმ სამხედრო ნაწილებში იყვნენ, რომელსაც ხონთქარი დასავლეთ საქართველოში დამატებით ძალებად აგზავნიდა.[1] ამბოხება იმდენად მასშტაბური იყო, რომ სულტანს დამხმარე ძალა დასჭირდა. ამიტომ მან დასახმარებლად არზრუმის ბეგლარბეგ ხალილ ფაშას უხმო.[2] ვფიქრობთ, რომ ოსმალთა ძალიან სწრაფი გაბრუნება სამშობლოში, სწორედ ამაზე უნდა მიანიშნებდეს. სხვა მხრივ, საეჭვოა, რომ ახალ ხელისუფალს გაეუქმებინა მისი წინამორბედის ეს სამხედრო კამპანია, რომელიც ჯერ-ჯერობით ოსმალთათვის წარმატებით ვითარდებოდა და, ბუნებრივია, რომ მას არც იმის სურვილი ექნებოდა, რომ ქვეყანაში დამატებითი შეიარაღებული ძალები ჰყოლოდა, მით უფრო, რომ საჭირო გახდებოდა სულთნის ხაზინიდან დამატებით ხარჯების გაწევა ჯამაგირით მათ დასაკმაყოფილებლად. ოსმალო იანიჩრები კი ამ მათ ამ მატერიალურ-ფინანსურ „ზარალს“ ერთგვარად იკმაყოფილებდნენ დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის ძარცვით. თურქთა სარდლობისათვის იმდენად მოულოდნელი იყო სტამბოლში განვითარებული ამბები, რომ სასწრაფოდ აიბარგნენ და მალევე დატოვეს დასავლეთ საქართველო. თუმცა, რიგ მნიშვნელოვან (ფოთი, ანაკლია, რუხი) ციხეებში ოსმალთა შეიარაღებული რაზმები დარჩნენ.

უკან გაბრუნებამდე, ხალილ ფაშას ბრძანებით, ქეჰაია დაეზავა გიორგი აბაშიძეს, რომლისათვის ეს ზავი შექმნილი ვითარებიდან გამოსვლის საუკეთესო გზა იყო, მით უფრო, რომ ოსმალთა შემოსვლისთანავე ერთი მოკავშირე მალევე დაკარგა. კერძოდ, მტრის მხარეს გადავიდა მამია III გურიელი.[3] თუმცა, ქეჰაიასა და გიორგი აბაშიძის „მეგობრობას“ დიდი ხანი არ ეწერა ბედად, მალევე ქართველებისთვის ცნობილი გახდა ოსმალთა გაბრუნების მიზეზი. ამით შეგულიანებულმა გიორგი აბაშიძემ თურქთა განადგურების ბრძანება გასცა: *„ხოლო იმერთა ბრძანებითა აბაშიძისათა შეჰკრეს მთა ფერსათი და*

---

[1] **მ. რეხვიაშვილი.** იმერეთის სამეფო (1462-1810), გვ. 151.

[2] **ბატონიშვილი ვახუშტი.** აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 865.

[3] **ბატონიშვილი ვახუშტი.** აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 865.

მოსრვიდენ მრავალთა ოსმალთა. კუალად ეწივნენ იმერნი, მოკლეს კოლის ფაშა და დაკოდეს ჴელსა შინა ისაყ ახალციხის ფაშა, აოტნეს ოსმალნი და აღიღეს ალაფნი ურიცხუნი, ცხენი, ჯორნი და აქლემნი კიდებულნი და მოვიდნენ წინაშე აბაშიძისა“.[1] ოსმალებმა ძლივს გააღწიეს სამშვიდობოს.

იენიჩართა აღნიშნული აჯანყება დასრულდა 1703 წლის 22 აგვისტოს, როცა მუსტაფა II-მ ტახტი მისი ძმის აჰმადის სასარგებლოდ „დათმო“. სულტანმა აჰმად III-მ ჯარს რამდენიმე წლის მანძილზე გაუცემელი კუთვნილი ჯამაგირი დაურიგა.[2] აჯანყებულებმა ოსმალეთის იმპერიის დიდვეზირად კი გურჯი აჰმედ ფაშა დასვეს.[3]

როგორც ჩანს, დასავლეთ საქართველოში განვიტარებულ ამ მოვლენებს უნდა ეხებოდეს ერთი ცნობა ჰეტმან ივანე მაზეპას (1687-1709) წერილში გრაფ თევდორე გოლოვინისადმი, სადაც აღნიშნულია, რომ საქართველოში თურქთა ჯარი გაანადგურეს და ქართველთა წინააღმდეგ ახალი არმია და ერთი ფაშა მიავლინესო: *«В земли Грузинской гораздо побито войска Турского».*[4] თუ გავითვალისწინებთ XVIIIს. დასაწყისში ინფორმაციის გავრცელების სისწრაფეს და მანძილს სტამბოლიდან თანამედროვე უკრაინამდე, სავარაუდოა, რომ ის ივლისის შუა პერიოდის (ყველაზე გვიან ვადებად ეს თარიღი რომ მივიჩნიოთ) ამბებს უნდა ასახავდეს.

XVIIIს. 20-იანი წლების დასაწყისში მნიშვნელოვანი სამხედრო-პოლიტიკური ძვრები მოხდა სამხრეთ კავკასიაში, რომელშიც ამჯერად აქტიურად ჩაერთო რუსეთის იმპერატორი პეტრე I. 1722წ. თებერვალს სპარსეთში გაჩაღებული შინაომების გამო, რეგიონში ისპაჰანის „მემკვიდრეობისათვის“ ბრძოლა დაიწყო: სტამბოლმა და სანქტ-პეტერბურგმა სამხედრო

---

[1] **ბატონიშვილი ვახუშტი.** აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 865.

[2] **ბ. ხორავა.** ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა (XV-XVIIIსს.). თბ., 1996, გვ. 123.

[3] **ქ. ჩხატარაიშვილი.** დასავლეთი საქართველო XVIIIს. პირველ ნახევარში, გვ. 459.

[4] *Письма и Бумаги Императора Петра Великаго.* Т. 2, (1702-1703). СПб., 1889, გვ. 576; „საქართველოს ქვეყანაში თურქთა ლაშქარი ძალიან დამარცხდა“ (თარგმანი ჩვენია — **კ.კ.**).

ძალები კასპიის ზღვის სანაპიროსკენ დაძრეს. პეტრეს ამ პერიოდისთვის, შვედეთთან ხანგრძლივ „ჩრდილოეთის ომში“ (1700-1721) წარმატებით გადაჭრილი ჰქონდა ბალტიის ზღვაზე გასასვლელის საკითხი. აქედან გამომდინარე, მან გადაწყვიტა ბალტიის ზღვისთვის „შეეერთებინა“ კასპიის ზღვა.[1] ამასთან, ის ცდილობდა დაესწრო ოსმალეთისათვის, რომელმაც XVIIIს. II ათწლეულის დასასრულისთვის, თავი სეფიანთა სპარსეთის „მემკვიდრედ“ გამოაცხადა და სტამბოლი ისპაჰანის წინააღმდეგ გალაშქრებას გეგმავდა.[2]

რუსეთის იმპერატორისათვის, რომელსაც კონკრეტული ამოცანები ჰქონდა აღმოსავლეთში გადასაჭრელი, მიუღებელი იყო, რომ აღმოსავლეთის „ჭიშკარს“ („ალბანური ჭიშკარი“) ოსმალეთი დაპატრონებოდა.[3] ამიტომ 1723 წლისთვის დაგეგმილი ლაშქრობა პეტრე I-მა ერთი წლით ადრე, 1722წ. ივნისში, დაიწყო.[4] ამ სამხედრო ოპერაციის შედეგად, რუსეთმა, რომელმაც შესანიშნავად ისარგებლა სპარსეთის ურთულესი საშინაო ვითარებით, რაზეც ჰქონდა სწორედ გათვლები რუსი იმპერატორის, და შეძლო კასპიის დასავლეთ სანაპიროს დაკავება.[5] კერძოდ, 1722წ. 23 აგვისტოს რუსებმა უბრძოლველად დაიკავეს ქ. დერბენტი (დარუბანდი).

ამ სამხედრო კამპანიისათვის პეტრე I-მა საბაბად გამოიყენა 1712წ. შირვანის მთავარ ქალაქ შემახაში 300-მდე რუსი ვაჭრის ამოჟლეტა ადგილობრივი ფეოდალების აჯი-დაუდისა და სურხაი-ხანის მიერ, რომელთა დასჯა, თურმე, სპარსეთის ხელისუფლებამ ვერ შეძლო და შაჰის კარს ეს აქცია

---

[1] **ალ. ფირცხალაიშვილი.** საქართველო-რუსეთ-ირან-თურქეთის ურთიერთობანი XVIII საუკუნის პირველ ნახევარში. თბ., 2000, გვ. 40.

[2] **დ. კაციტაძე.** ირანის ისტორია. *III-XVIII საუკუნეები.* თბ., 2009, გვ. 479; **Ж. А. Ананян.** Политика России в Закавказье, — წგნ.: *История внешней политики России*. XVIIIв. (от Северной войны до войн России против Наполеона). Ответственный редактор: доктор исторических наук Г. А. Санин. М., 1998, გვ. 49-50.

[3] **ნ. ბერძენიშვილი.** ირან-ოსმალეთის ომი და საქართველო XVIII საუკუნის პირველ ნახევარში, გვ. 304; **J. M. Mackie.** Life of Shamil and Narrative of the Circassian War of Indenpedence Against Russia, გვ. 12.

[4] **ნ. ბერძენიშვილი.** ირან-ოსმალეთის ომი და საქართველო XVIII საუკუნის პირველ ნახევარში, გვ. 304.

[5] *Русская военная сила*, გვ. 44.

უნდა განეხილა, როგორც შაჰისა (ისინი ოსმალეთის სულტნის მფარველობის ქვეშ იმყოფებოდნენ) და რუსეთის მტრების წინააღმდეგ მიმართული და არა როგორც რუსეთის ომი სპარსეთთან.[1] როგორც რუსი ისტორიკოსი ნ. ლამბინი შენიშნავდა, ეს იყო საბაბი, რომელსაც უნდა უზრუნველეყო რუსეთის ბატონობა კასპიის ზღვის დასავლეთ და სამხრეთ სანაპიროებზე მდებარე სპარსეთის მდიდარ რაიონებზე.[2] მაგრამ, ამ ეტაპზე ეს რუსეთის დროებითი წარმატება იყო. ამ ტერიტორიების მტკიცედ დაკავებისთვის მას ჯერ საკმაოდ არასაკმარისი ძალები გააჩნდა. თუმცა, კავკასია უკვე ბუფერულ ზონად იქცა მოქიშპე სამ დიდ იმპერიას შორის.

რუსეთის ამ წარმატებამ კავკასიაში თავსატეხი ისევ და ისევ საქართველოს, კერძოდ კი, ქართლს, გაუჩინა. პეტრე I, მხოლოდ საკუთარი ძალებით, როგორც სამხედრო, ისე — მატერიალური, რომელიც შვედეთთან ხანგრძლივი ომის გამო მეტად გამოფიტული იყო, ადგილობრივი მოკავშირის გარეშე კავკასიურ ლაშქრობას ვერ წამოიწყებდა. ასეთ პარტნიორად მისთვის ბუნებრივია, საქართველო, კერძოდ კი — ქართლის სამეფო ჩანდა. ვახტანგ VI-მ, თავისი წარმომადგენლის მეშვეობით, ა. ვოლინსკისთან კავშირების დამყარება ჯერ კიდევ 1718წ. სცადა. თუმცა ისპაჰანში პეტრეს დესპანი არ ენდო ვახტანგს, როგორც სპარსეთის არმიის მთავარსარდალს *(„ყეენის სპასალარია“)*[3] და თავი შეიკავა რუსეთსა და ქართლს შორის სამხედრო კავშირებზე საუბრისაგან.[4] ამასთან ერთად, რუსეთი ჯერ კიდევ შვედეთთან ომით იყო დაკავებული და კავკასიაში გართულებები არ სჭირდებოდა. მით უფრო, რომ 1710-1711წწ. თურქეთთან წარმოებულმა ომმა (პრუტის ლაშქრობა) პეტრეს

[1] **ნ. ბერძენიშვილი.** ირან-ოსმალეთის ომი და საქართველო XVIII საუკუნის პირველ ნახევარში, გვ. 303-304.

[2] **Н. П. Ламбин.** История Петра Великаго. СПб., 1843, გვ. 658.

[3] **დ. გურამიშვილი.** დავითიანი. თბ.,1964, გვ. 51; 1722 წლის აგვისტოში კი ის აზერბაიჯანის სპასპეტიც გახდა (**ლ. მენაბდე.** ვახტანგ VI, – წგნ.: *დიდი ქართველები.* პროგრამის ხელმძღვანელი და მთავარი რედაქტორი *ზაზა აბზიანიძე.* ტ. 6, თბ., 2011, გვ. 66).

[4] **С. М. Соловьев.** Чтения и рассказы по истории России, გვ. 700-701.

ნათლად უჩვენა რუსეთისთვის ორ ფრონტზე ერთდროული საომარი მოქმედებების წარმოების მიზანშეუწონლობა. 1719-1720წწ. პეტრე I-სა და ვახტანგ VI-ს შორის დაიდო ფარული შეთანხმება ირანის წინააღმდეგ ერთობლივი სამხედრო მოქმედებების შესახებ. ამას წინ უძღოდა ქართლის მეფის მიერ ისლამის საჯაროდ უარყოფა და ქრისტიანობის აღიარება. ეს არ იყო მხოლოდ საკუთარი მრწამსის დადსტურება: ეს მნიშვნელოვანი პოლიტიკური აქტი იყო, რომელიც ქართლის მეფის მხრიდან სპარსეთისადმი დაქვემდებარებაზე უარის თქმას ნიშნავდა. როგორც მ. სამსონაძე შენიშნავს, „დასუსტებულმა ირანის შაჰმა ეს გამოწვევა გადაყლაპა და იმჟამად არავითარი რეაგირება არ გამოუჩენია“.[1] უკანასკნელ ხანს, რუსეთის ისტორიოგრაფიაში გამოითქვა ყოვლად დაუსაბუთებელი ბრალდება ქართველი მონაქრის მიმართ, რომ თითქოს, ვახტანგმა, რომელიც „რუსული ორიენტაციის შეგნებული მომხრე იყო“, მხოლოდ 1719 წლიდან, სპარსეთიდან დაბრუნების შემდეგ, დაიწყო აქტიური მოქმედება საკუთარი სამშობლოს გათავისუფლების მიზნით.[2] ქართლის მეფე 1712-1719წწ., ფაქტობრივად, ირანში ტყვეობაში იმყოფებოდა, თუმცა, აქტიურად მოქმედებდა მისი სამკვიდროს და, ზოგადად, საქართველოს გათავისუფლებისათვის ოსმალო და სპარსელი დამპყრობლებისაგან.

მაგრამ გვირგვინოსანს, სამწუხაროდ, გადამეტებული წარმოდგენა ჰქონდა რეგიონში შექმნილ ვითარებაზე და რუსეთის სამხედრო და პოლიტიკურ შესაძლებლობებზე სამხრეთ კავკასიაში მიმდინარე პროცესებში ჩასართავად. ვახტანგმა სათანადო პოლიტიკური შორსმჭვრეტელობა ვერ გამოიჩინა და სპარსეთში შექმნილი ვითარება ხელსაყრელად მიიჩნია ქვეყნის გასათავისუფლებლად. ამასთან, ის ფიქრობდა, რომ ხელსაყრელი დრო იდგა ქვეყნის გასაერთიანებლადაც.[3] მის ამ

---

[1] **მ. სამსონაძე.** საქართველო XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში, — წგნ.: საქართველოს ისტორია. ოთხ ტომად *(უძველესი დროიდან XX საუკუნის ბოლომდე).* ტ. III: საქართველო XIII საუკუნიდან XIX საუკუნემდე. რედაქტორი: პროფესორი *მ. სამსონაძე*. თბ., 2012, გვ. 302.

[2] **Ж. А. Ананян.** Политика России в Закавказье, გვ. 51.

[3] **მ. სამსონაძე.** საქართველო XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში, გვ. 302-306.

საბედისწერო შეცდომაში გადამწყვეტი როლი იმან ითამაშა, რომ ამ საქმეში დახმარებას რუსეთიც სთავაზობდა.

ვახტანგ VI-ს გუნდში, რომელშიც ცნობილი პოეტი დავით გურამიშვილიც შედიოდა, გაიდეალებული წარმოდგენა ჰქონდათ რუსეთის იმპერატორზე, რასაც ეს სიტყვებიც ადასტურებს: *„კურთხეულმცა არს ღვთისაგან პეტრეს ჴელმწიფის ხსენება! რა საქმე ვახტანგ მეფისა სცნა, მისი შველა ენება“.*[1]

როგორც ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რუსეთის იმპერიის დიპლომატიამ იმდენად წარმატებით იმუშავა ქართლის მეფის კარზე, რომ კავკასიაში პეტრე I-ს მიზნად მათ მხოლოდ და მხოლოდ ერთმორწმუნე ქართველების ხსნა წარმოადგინა.[2] თუმცა, ამ ხედვას ყველა არ იზიარებდა თბილისში. მოწინააღმდეგე ფრთა კი, ივ. ჯავახიშვილის სამართლიანი შეფასებით, საღი შორსმჭვრეტელობით მეფეს ურჩევდა უფრო მეტ სიფრთხილეს გამოეჩინა რუსეთთან კავშირში, რადგან *„...მტრები შეგვიტყობენ, ყველა ჩევნზე წამოდგების. ვირემ რუსნი გვიშველიან, მანამ ჩვენი გარდაგვჴდების“*.[3] მაგრამ მეფეს მიღებული ჰქონდა უკვე გადაწყვეტილება რუსეთთან ერთობლივი სამხედრო კამპანიის შესახებ: „ბევრნი ბევრს რასმე იტყოდნენ, მაგრამ ვინ მოუსმინებდა? მეფე იყო და ბრძანებდა, იქმოდა, რასაც ინებდა!“.[4]

ჩრდილოელი მეზობლის მხრიდან რეალური დახმარების მიღებისადმი იმედი კიდევ უფრო გაცხოველდა ვახტანგ VI-ს პირადი წარმომადგენლის, სულხან-საბა ორბელიანის ევროპაში უშედეგო ელჩობის შემდეგ. ეს კი ქართლის მეფის მხრიდან საგარეოპოლიტიკური ორიენტაციის - დასავლეთევროპულიდან რუსულისკენ - შეცვლას ნიშნავდა.[5]

რუსეთით შეგულიანებულმა ქართლის მეფემ უარი შეუთვალა ისპაჰანს აჯანყებულთა წინააღმდეგ გამოსალაშქრებ-

---

[1] **დ. გურამიშვილი.** დავითიანი, გვ. 48.

[2] **ივ. ჯავახიშვილი.** დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის მე-XVIII-ე საუკუნეში, გვ. 72.

[3] **დ. გურამიშვილი.** დავითიანი, გვ. 50; **ივ. ჯავახიშვილი.** დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის მე-XVIII-ე საუკუნეში, გვ. 73.

[4] **დ. გურამიშვილი.** დავითიანი, გვ. 51.

[5] **მ. სამსონაძე.** საქართველო XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში, გვ. 301-302.

ლად და არც ოსმალეთთან (რომელიც ცდილობდა ქართლში გამაგრებას, რათა აქ რუსები არ შემოეშვა) მოკავშირეობა (ყმობის პირობებით) ირჩია.[1] არადა, ამის სანაცვლოდ, სულტანი აჰმედ III ვახტანგის ხელისუფლებას ცნობდა ქართლში, კახეთსა და სამცხე-საათაბაგოში.[2] ქართლის მეფე 40 000 კაციანი ლაშქრით განჯაში დადგა, სადაც უნდა შეხვედროდა რუს იმპერატორს, მაგრამ სამთვიანმა ლოდინმა უშედეგოდ ჩაიარა.

თბილისში დაბრუნებულ ვახტანგს პეტრეს წარმომადგენელმა ი. ტოლსტოიმ აცნობა, რომ რუსეთი ქართლს მომავალი წლის გაზაფხულზე აუცილებლად დაეხმარებოდა.[3] 1722წ. დეკემბერში რუსმა იმპერატორმა საგანგებო წერილი გაუგზავნა ქართლის მეფეს და სთხოვა ეშუამდგომა ირანის ახალგაზრდა შაჰის თამაზ (თაჰმასპ) II-სთან, რომელიც ტახტზე სულ ცოტა ხნის ასული იყო, რუსეთთან ურთიერთობების მოსაგვარებლად და, თითქოს, ამ რუსული სამხედრო კამპანიის მიზანი, თურმე, სპარსეთის ხსნა ყოფილა ოსმალური აგრესიისგან.[4] ამასთან, პეტრე შაჰს სთავაზობდა მისეულ გეგმას ქართულ-სომხური სახელწმიფოს შექმნისა რუსეთის პროტექტორატის ქვეშ.[5] როგორც ჩანს, რუსეთში ფიქრობდნენ, რომ შაჰ თამაზის რთული მდგომარეობდა სპარსელ მონაქრს აიძულებდა დათმობებზე წასულიყო და მოითხოვა მაქსიმუმი, რომ მიეღო მინიმუმი მაინც. ასეთი რამ მართლაც მოხდა, ოღონდ ნაწილობრივ: სპარსეთმა აღიარა რუსეთის წარმატებები კასპიისპირეთში (1723წ. სექტემბერში), თუმცა ქართულ-სომხური სახელმწიფოს შექმნის იდეა მხოლოდ ქაღალდზე დარჩა.

ისპაჰანთან გაფუჭებული ურთიერთობების ფასის კარ-

---

[1] **ნ. ბერძენიშვილი.** ირან-ოსმალეთის ომი და საქართველო XVIII საუკუნის პირველ ნახევარში, გვ. 304.

[2] **ნ. ბერძენიშვილი.** ირან-ოსმალეთის ომი და საქართველო XVIII საუკუნის პირველ ნახევარში, გვ. 304.

[3] **ბატონიშვილი ვახუშტი.** აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 501; **ნ. ასათიანი.** გზა გამოხსნა-აღდგომისაკენ. *რუსეთ-საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობა უძველესი დროიდან ტრაქტატამდე.* თბ., 1983, გვ. 103-104.

[4] **მ. სამსონაძე.** საქართველო XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში, გვ. 301, 309-310.

[5] **Ж. А. Ананян.** Политика России в Закавказье, გვ. 52-53.

გად მცოდნე ქართლის მეფემ „უსაფრთხოების გარანტიისა-თვის“ რუსეთისაგან დამხმარე სამხედრო რაზმი მოითხოვა.[1] მაგრამ რუსი გვირგვინოსანი არ ჩქარობდა მისი მიზეზით დიდი განსაცდელის წინაშე მდგარ ქართლში ჯარის გამოგზავნას. თუმცა, იგი ბოლოს მაინც იძულებული გახდა დათანხმებულიყო საქართველოში 2 000 კაცისგან შემდგარი ჯარის გაგზავნაზე და სათანადო ბრძანებაც კი გასცა 1723წ. 19 აპრილს.[2] როგორც ჩანს, იმპერატორი დაურწმუნებიათ, რომ არზრუმის ფაშა ყარსში ჯარებს თავს უყრის და ქართლში შემოჭრას აპირებსო.[3] ამასობაში ქართლის დედაქალაქი კახეთის მეფე კონსტანტინე მამადყულიხანმა დაიკავა, რომელსაც ვახტანგზე განრისხებულმა შაჰმა 1723წ. 10 იანვარს ქართლიც ჩააბარა: *„ჯერ კახეთი, მერმე ქართლი, ორივ ერთად მას უბოძა“*.[4] კოსტანტინეს დაღესტნელმა მოკავშირეებმა ისე სასტიკად გაძარცვეს ქალაქი, რომ შემდეგ მას რამდენიმე ათეული წლის მანძილზე აღარ დაბრუნებია ძველი კეთილდღეობა.

ოსმალეთის სულტანმა (პეტრეს მსგავსად) გადაწყვიტა ესარგებლა იმ ვითარებით, რომ შინაარეულობებით დასუსტებული სპარსეთი ქართლიდან გაეგდო და ამით კიდევ უფრო განემტკიცებინა საკუთარი პოზიციები რეგიონში.[5] მას მერე, რაც თბილისი კონსტანტინე მეფემ აიღო, მეჰმედ III-მ ქართლის დედაქალაქის დაკავება ბრძანა. თურქი იანიჩარები თბილისში 1723წ. ივნისში შემოვიდნენ: *„ვაი იმ დღეს! ოსმალონი ბევრს უბრალოს სისხლსა ღვრიდენ. საცა შეხვდისთ მუშა-კაცი, გლახა მწირსა თავსა სჭრიდენ“*;[6] ვახტანგი დაპირებულ დახმარებას ელოდა, თუმცა, პეტრე ვერც აქ წაადგა მას: როგორც კი თურქთა მიერ ქართლის დედაქალაქის დაკავება ცნობილი

---

[1] **გ. პაიჭაძე.** ქართლის სამხედრო-პოლიტიკური კავშირი რუსეთთან XVIIIს. 20-იან წლებში, — წგნ.: *საქართველოს ისტორიის ნარკვევები.* რვა ტომად. ტ. IV, გვ. 419.

[2] **გ. პაიჭაძე.** ქართლის სამხედრო-პოლიტიკური კავშირი რუსეთთან XVIIIს. 20-იან წლებში, გვ. 419.

[3] **გ. პაიჭაძე.** ქართლის სამხედრო-პოლიტიკური კავშირი რუსეთთან XVIIIს. 20-იან წლებში, გვ. 419.

[4] **დ. გურამიშვილი.** დავითიანი, გვ. 53.

[1] **ივ. ჯავახიშვილი.** დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის მე-XVIII-ე საუკუნეში, გვ. 75.

[6] **დ. გურამიშვილი.** დავითიანი, გვ. 70.

გახდა, რუსები უკან გაბრუნდნენ ისე, რომ თბილისამდე არც მისულან.[1] აღსანიშნავია, რომ პეტრეს მიერ ნაჩქარევად მომზადებულ სამხედრო კამპანიაში მალევე თავი იჩინა გართულებებმა: სტიქიური უბედურებების გამო რუსული არმია სასურსათო მხარდაჭერის გარეშე დარჩა. თუმცა, ეს ფაქტორი მაინც არ იყო იმდენად მნიშვნელოვანი პრობლემა, რის გამოც რუსეთის იმპერატორმა ქართლელი მოკავშირე მიატოვა. იმ ეტაპზე, სანქტ-პეტერბურგის კარს სპარსეთი სჭირდებოდა არა საკუთარი პროდუქციის გასაღების ბაზრად, არამედ მხოლოდ საშუამავლო-სავაჭრო საქმიანობისათვის.[2] რუსეთს ჯერ მხოლოდ სატრანზიტო ფუნქციები იზიდავდა. სწორედ ამიტომ რუსეთს არ აწყობდა სერიოზული გართულებები ამ აღმოსავლურ სახელმწიფოსთან.[3] მეორე მთავარი პრობლემა კი ოსმალეთის ფაქტორი იყო, რომლისთვის დაუშვებელი იყო რუსეთის მოახლოება მისი საზღვრების სიახლოვეს. ამასთანავე, სულტანზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენდნენ ინგლისელი, ავსტრიელი, ვენეციელი და ფრანგი დიპლომატები, რომელიც აქეზებდნენ „ბრწყინვალე პორტას“ არ დაეშვა ამიერკავკასიაში (განსაკუთრებული ყურადღება საქართველოს ექცეოდა) რუსთა დამკვიდრება. ოსმალეთმა 1722წ. ოქტომბერს რუსეთს კატეგორიულად მოსთხოვა ჩრდილოეთ კავკასიიდან გასვლა და საკუთარ საზღვრებში დაბრუნება, წინააღმდეგ შემთხვევაში გარდაუვალი იყო რუსეთ-ოსმალეთის ომი. ეს განზრახვა მით უფრო აშკარა იყო, რომ 1722წ. 12 ოტქომბრის მოხსენებით, რუსეთის ელჩი სტამბოლში ი. ი. ნეპლიუევი პეტრეს აცნობებდა, რომ ოსმალეთს განზრახული ჰქონდა თბილისის დაკავება.[4]

ევროპას აშინებდა პეტრეს მმართველობის პერიოდში რუსეთის ძლევამოსილების პროგრესირებადი ზრდა და, ამასთანავე, მისთვის დაუშვებელი იყო დასავლეთ-აღმოსავლეთის სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების დამყარება რუსეთის მეშვეობით, თუკი ეს უკანასკნელი ამ სავაჭრო გზის კონტროლს

---

[1] **ნ. ბერძენიშვილი.** ირან-ოსმალეთის ომი და საქართველო XVIII საუკუნის პირველ ნახევარში, გვ. 307.

[2] **ნ. ბერძენიშვილი.** ირან-ოსმალეთის ომი და საქართველო XVIII საუკუნის პირველ ნახევარში, გვ. 305.

[3] **ივ. ჯავახიშვილი.** დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის მე-XVIII-ე საუკუნეში, გვ. 74.

[4] **Ж. А. Ананян.** Политика России в Закавказье, გვ. 52.

განახორციელებდა. ინგლისელი დესპანი აგულიანებდა აჰმედ III-ს ამიერკავკასიაში რუსეთთან ომის დასაწყებად და პირობას აძლევდა, რომ მისი სახელმწიფო, დანიასთან ერთად, რუსეთთან ომს დაიწყებდა ევროპაში.[1]

მიუხედავად იმისა, რომ პეტრე აპირებდა ქართლში შემოსვლას,[2] ის იძულებული გახდა, თურქეთთან ომის დაწყების შიშით, უარი ეთქვა ამ განზრახვაზე.[3] ამ კამპანიის შემდეგ, სანქტ-პეტერბურგში სავსებით სწორად დაასკვნეს, რომ ყირიმის სახანოს ნეიტრალიზაციის გარეშე, რუსეთის ყოველი მცდელობა კავკასიაში დასამკვიდრებლად ფუჭი შრომა იქნებოდა.[4]

1724წ. 12 ივნისს სტამბოლში დადებული ხელშეკრულებით, ოსმალეთი ცნობდა კასპიისპირეთის (დარუბანდიდან ასტრაბადამდე) რუსეთთან შეერთებას. პეტრე I-მა კი, თავის მხრივ, აღიარა თურქეთის მიერ აღმოსავლეთ საქართველოს, აღმოსავლეთ სომხეთისა და ირანის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილის დაპყრობა.

როგორც. ნ. ბერძენიშვილი წერდა, „მჭმუნვარე ვახტანგის“ საგარეო პოლიტიკურმა კურსმა მარცხი განიცადა[5]: *„სამს დიდს ჭელმწიფეს პირს აძლევს, სამგან იკეთებს ყმობასა! ყეენის სპარსალარია, თავს ირჭვამს მის რაყმობასა! რუსთ ჭელმწიფესთან მამაობს, ხვანთქართან ჩემობს ძმობასა!“.*[6] ვახტანგს უფრო მეტი დიპლომატიურობა რომ გამოეჩინა ამ მიმართულებით და არ განემყღავნებინა თავისი აშკარა პრორუსული ორიენტაცია, ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებით, ის ოსმალეთთან მაინც აიცდენდა გართულებებს.[7]

სტამბოლის ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთ თვეში, 15 ივლისს, „პეტრე I-საგან ასე მოტყუებულსა და ყოვ-

---

[1] **С. М. Соловьев.** Чтения и рассказы по истории России, გვ. 731.

[2] **Н. П. Ламбин.** История Петра Великаго, გვ. 663.

[3] **გ. პაიჭაძე.** ქართლის სამხედრო-პოლიტიკური კავშირი რუსეთთან XVIIIს. 20-იან წლებში, გვ. 421.

[4] **Ж. А. Ананян.** Политика России в Закавказье, გვ. 55.

[5] **ნ. ბერძენიშვილი.** ირან-ოსმალეთის ომი და საქართველო XVIII საუკუნის პირველ ნახევარში, გვ. 306.

[6] **დ. გურამიშვილი.** დავითიანი, გვ. 51.

[7] **ივ. ჯავახიშვილი.** დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის მე-XVIII-ე საუკუნეში, გვ. 75.

ლად უმწეოდ მიტოვებულს“[1] ქართლის მეფედყოფილს თავისი ახლობლებით, ოჯახის წევრებითა და 1200 კაციანი ამალით რუსეთში გადახვეწა-ღა დარჩენოდა. თუმცა მას ჯერ კიდევ ჰქონდა იმედი იმისა, რომ ჩრდილოელი მოკავშირის დახმარებით მალე დაბრუნდებოდა სამშობლოში და სამეფოსაც დაიბრუნებდა. მაგრამ, სამწუხაროდ, ვახტანგს ეს მხოლოდ ოცნებად-ღა დარჩა, რადგან მალე, 1725 წლის 28 იანვარს პეტრე დიდიც, რომელსაც ის ასე ენდობოდა, გარდაიცვალა, ხოლო მისი მემკვიდრეები ვეღარ ატარებდნენ თანმიმდევრულ საგარეო პოლიტიკურ კურსს სამხრეთის მიმართულებით.

რუსი მკვლევარები ნ. მოლჩანოვი და ვ. ბობილევი პეტრეს „კავკასიურ ლაშქრობებში“ ამიერკავკასიის ქრისტიან ხალხთა მონაწილეობის საკითხის განხილვისას ცდილობენ ან მიჩქმალონ ქართველების წვლილი ამ პროცესში (ნ. მოლჩანოვი) ან საერთოდ უგულვებელსყონ (ვ. ბობილევი). ნ. მოლჩანოვი აღნიშნავს, რომ ამის შემდეგ ქართლის მეფე ვახტანგ VI იძულებული გახდა რუსეთში წასულიყო, თუმცა ის არაფერს ამბობს იმის თაობაზე, თუ რამ აიძულა ქართველი მონარქი სამეფო დაეტოვებინა.[2] ვ. ბობილევი კი საერთოდ ცრუობს, როცა ამტკიცებს, რომ რუსეთის იმპერატორს არანაირი ვალდებულება არ აუღია ამიერკავკასიის ქრისტიანი ხალხების, პირველ რიგში, ქართველების მიმართ.[3]

აღმოსავლეთ საქართველოში ლაშქრობამდე, ოსმალეთმა მის დასავლეთ ნაწილში გარკვეული „პრევენციული ღონისძიებები“ ღონისძიებებიო გაატარა, რაც ამ მხარეში თურქეთის პოზიციების გამყარებას ისახავდა მიზნად. ღრმა შინაგანი კრიზისის მიუხედავად, ოტომანთა იმპერია იმ ხანებში მაინც ახერხებდა დასავლეთ საქართველოში თავისი ბატონობის შემდგომ გაძლიერებას. იმერეთის მეფედ ამ დროს ვახტანგის აღზრდილი ალექსანდრე V იჯდა, რომელიც იძულებული იყო, ტახტის შენარჩუნების მიზნით, თურქებთან, რომელთა ხელდასხმითაც გამეფდა, „მეგობრული“ ურთიერთობები შეენარჩუნებინა და,

---

[1] **ივ. ჯავახიშვილი.** დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის მე-XVIII-ე საუკუნეში, გვ. 75.

[2] **Н. Н. Молчанов.** Дипломатия Петра Великого. 3-е издание. М., 1990, გვ. 419-420.

[3] **В. С. Бобылев** Внешняя политика России эпохи Петра I. М., 1990, გვ. 154.

ამასთან ერთად, იგი, იზიარებდა რა აღმზრდელის საგარეო პოლიტიკურ კურსს, თავადაც ამყარებდა რუსეთთან კონტაქტებს.[1] კერძოდ, 1724წ. ალექსანდრე V თურქეთისა და ურჩი ფეოდალების წინააღმდეგ დახმარება და იმერეთის მფარველობაში მიღებას სთხოვდა სანქტ-პეტერბურგს.[2] იმერეთის მეფე რუსეთის იმპერატორს ფულად დახმარებას ითხოვდა და საჭიროდ მიაჩნდა საქართველოში პეტრე I-ის ჩამოსვლა.[3] თუმცა, ქ. ჩხატარაიშვილის სამართლიანი შეფასებით, იმერეთის გვირგვინოსნის ეს იდეა არარეალური იყო, ვინაიდან, როგორც ზემოთ ვნახეთ, სტამბოლის შეთანხმების საფუძველზე, რუსეთმა საქართველო ოსმალეთის გავლენის სფეროდ აღიარა.[4]

რამდენიმე წლის შემდეგ, რუსეთ-ოსმალეთის მორიგი ომის დროს (1735-1739წწ.), ალექსანდრემ ისევ სცადა რუსეთთან კონტაქტების დამყარება და იქიდან კონკრეტული სამხედრო და პოლიტიკური დანიშნულების დახმარებების მიღება (1737-1740 წლებში ტიმოთე გაბაშვილის ელჩობა). მაგრამ ამ ომის შედეგი რუსეთისთვის ის იყო, რომ 1739წ. ბელგრადის ზავით, მას შავ ზღვაზე ფლოტის ყოლა აეკრძალა. ამის გამო ალექსანდრეს ეს მცდელობანი კვლავ უშედეგოდ დასრულდა. რუსეთის საიმპერატორო კარიდან მას აცნობეს, რომ ამჯერად დახმარების გაწევას ვერ შეძლებდნენ, რადგან თურქეთთან საზავო პირობებით იყვნენ შეკრულები.

ამრიგად, განხილულ პერიოდში რუსეთ-ოსმალეთის დაპირისპირებამ რეგიონში მძიმე მდგომარეობა შეუქმნა ქართულ პოლიტიკურ სამყაროს. ვახტანგის გაუმართლებელმა პრორუსულმა ორიენტაციამ ქვეყანაში ოსმალობის დამკვიდრება და მისი ხელისუფლების კოლაფსი გამოიწვია. რუსეთმა, საკუთარი ინტერესების უზრუნველყოფის სანაცვლოდ, განსაცდელში მიატოვა ქართლი და არაფერი იღონა მისი უსაფრთხოებისათვის. სამაგიეროდ, სტამბოლმა საკუთარი პოზიციები გაიმაგრა, ასევე, დასავლეთ საქართველოშიც.

---

[1] **მ. რეხვიაშვილი.** იმერეთის სამეფო (1462-1810), გვ. 157.

[2] **მ. რეხვიაშვილი.** იმერეთის სამეფო (1462-1810), გვ. 173-174.

[3] **ტ. გაბაშვილი.** მიმოსვლა. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო *ელ. მეტრეველმა.* თბ., 1956, გვ. 080.

[4] **ქ. ჩხატარაიშვილი.** დასავლეთი საქართველო XVIIIს. პირველ ნახევარში, გვ. 474.

GEORGIA IN THE CONFRONTATION BETWEEN RUSSIAN AND OTTOMAN EMPIRES IN FIRST THIRD OF 18TH CENTURY

The beginning of 18th century for Transcaucasia had been marked by the emergence of a new political power – a resurgent Russia whose leader Peter I intended to make his state one of the most powerful countries of that time. The southern direction of foreign policy of Russian Emperor had been aiming against of such important actors in Caucasus, which were Persian and Ottoman Empires. These countries had their claim on Transcaucasia and it was divided between Persians and Ottomans' in 1555 in according to the Amassian Treaty.

The emergence of a fresh player on the Caucasian political "chessboard" set hopes in the native Christian peoples especially the Georgians. Formation anti-Ottoman coalition together with the European powers had not been successful till then. The Georgian kingdoms and principalities began to establish relations with Moscowia. However, Peter could not care less for the condition of the Transcaucasian Christians. He had another goal – to intrusion into East

Europe was frightened by increasing of power of Peter's Russia and, the same time, it was inadmissible for Europeans if Russian could be get control over West-East trade rout. The Ambassador of England excited Ahmed III – Ottoman Emperor – to begin war against Russia in Transcaucasia and he promised England and Denmark opened new battlefront in Europe.

This military progress of Russia had created a problem for Georgia, especially for Kartli. Its king Vakhtang VI, who had hoped on Russian assistance, declared his insubordination from Persia. But finally Vakhtang did not get any aid from Peter I who was threatened by Ottomans. King of Kartli left alone against Persia and Turks. Ottomans established their regime in Kartli.

In examined period the confrontation between Rusian and Ottoman Empires had created heavy situation for Georgian area. Vakhtang's unreasonable pro-Russian orientation was a cause of collapse of his authority and establishment of Ottoman's regime in country. Russia, which had been trying its interests, left Kartli alone and did not do anything for its security. Ottoman Empire could strengthen its positions in west Georgia.

18. YÜZYILIN İLK ÇEYREĞİNDE GÜRCİSTAN VE RUSYA-OSMANLI MÜNASEBETLERİ

18. yüzyılın başlangıcında Kafkasya'da Rusya Çarı Petro kendi dış siyasetini Osmanlı ve İran üzerine yoğunlaştırmış bulunuyordu. Osmanlı ve İran 1556 yılında imzalamış oldukları Amasya anlaşması ile Kafkasya'yı aralarında bölüşmüşlerdir.

Osmanlı ve İran için Kafkasya'da Rusların ilerleyişi endişe kaynağı olurken yerel Hıristiyan nüfusu tam tersi, Rusları bir kurtarıcı olarak algılamaya başlamışlardır. Osmanlı'ya karşı Avrupalılarla ittifakları kurmakta muvaffak olmayan Gürcü devletleri şimdi doğal müttefiklerin Rusya olduğuna inanmışlardır. Çar Petro ise kendi amaçları doğrultusunda dindaşları olan Gürcüler'den ziyade Doğu'ya ilerleme siyaseti yürütüyordu.

Avrupa, Rusya'nın Doğu-Batı ticari koridoruna el koymasından korkuyor ve Rusya ile Osmanlı'nın karşı karşıya getirilmesi için de özellikle İngiliz diplomatlar Sultan 3. Ahmet'i kışkırtıyorlardı. İngiliz sefiri Sultan'a, Rusya'ya karşı savaşa girmesi durumunda İngiltere ve Danimarka'nın da Rusya'ya savaş ilan edeceğini bildiriyordu.

Bu durumda Gürcü devletleri kendi aralarında kavgaları bir kenara bırakarak dış tehlikeden korunmalak için güçlerini birleştiriyor ve Gürcistan'ın ortak vatanları olduğunu hatırlayarak ve ortak çıkarları doğrultusunda hareket ediyorlardı.

Rusya'nın bu başarısızlığından Gürcsitan ve özellikle Kartli krallığı çok zararlı çıkmıştır. Kartli hükümdarı VI. Vakhtang, Rusya'nın kılkırtmalarıyla harekete geçerek İran'a boyun eğmeyi reddetmiş. Ne var ki, Rusya İmparatorluğu, Osmanlı devletinin Kafkasya işleri içerisinde aktif bir tutumundan dolayı Kafkasya'da ilerlemekten ve Gürcü'lere vaat ettikleri yardımları yerine getirmekten vazgeçmiştir. Rusya tarafından terkedilen Gürcistan böylece Osmanlı devleti ve İran karşısında yalnız kalmıştır. Gürcistan'a Osmanlı ordusu girmiş Tiflis'i işgal ederek ülkede Osmanlı düzeni olarak bilinen `Osmaloba~ kurmuşlardır.

Gürcistan için çok ağır dönemi başlamıştır. Rusya'nın Kafkasya'ya girme teşebbüsü Gürcüler için felaketle sonuçlanmıştır. Bu da Kartli krali VI. Vakhtang'ın sadece Rusya'ya dayalı ve İmparator Petro'ya tümü ile güvendiği siyasetinin ne kadar yalnış ve dar görüşlü olduğunu göstermeltedir. Kartli'de Vakhtang'ın hükümdarlığı bitmiş, kral da ülkesini terk ederek Rusya'ya sığınmıştır.

Rusya saedece kendi çıkarlarından yola çıkarak Gürcistan'i düşmanların karşısına yalnız bıraktı ve Gürcü'lerin can güvenlikleri için verdikleri vaatleri unutmuştur. Buna karşılık, Osmanlı devleti Kafkasya'da kendi hakimiyeti kurma yoluna ilerlemiş ve Gürcistan'ın batı kısmını da tamamıyla kontröl altına almıştır.

პეტრე I-ის ლაშქრობა კავკასიაში (რუკა)



წყარო: *Каспийский (Персидский) поход 1722-1723гг.,*– http://kukovenko.ru/index.php?option=com_content&view=article&id=203:kaspijskij-persidskij-pokhod-petra-i&catid=26&Itemid=1

კორეის ომი (1950-1953) და გაერთიანებული ერების ორგანიზაცია

შორეულ აღმოსავლეთში, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას, რუსეთის ფედერაციასა და იაპონიას შორის მდებარეობს კორეის ნახევარკუნძული.

ის შემოსაზღვრულია იაპონიისა და ყვითელ ზღვებითა და კორეის სრუტით. მისი ფართობი 220 800 კმ^2-ს შეადგენს, საიდანაც 6 ათასი კმ^2 კუნძულებზე (დაახლოებით 3 ათასი კუნძული) მოდის; ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ ნახევარკუნძული 800 კილომეტრზეა ზეა გადაჭიმული. ხოლო დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ 175 (მინიმალური) – 354 (მაქსიმალური) კილომეტრზე. ტერიტორიის დიდი ნაწილი ტყიანი მთებითაა დაფარული, ხოლო აღმოსავლეთ სანაპიროს გასწვრივ გადაჭიმულია თხებეკის ქედი, რომელიც ქვეყნის ცენტრალურ მთათა სისტემას წარმოადგენს. რაც შეეხება კლიმატს, ის ზომიერი და შედარებით მკაცრია. სეზონური განსხვავებებიც მკვეთრია.[1]

საერთაშორისო საზოგადოება ამ ტერიტორიას იცნობს სახელწოდებით „კორეა“,[2] თუმცა, საკუთრივ კორეაში[3] გამოიყენება განსხვავებული ქორონომები: *„ჩოსონ“* (ჩრდილოეთ კორეაში) და *„ხანგუკ“* (სამხრეთში). ამ უხერხულობის თავიდან ასაცილებლად, გამოთქმულია მოსაზრება, რომ მომავალში, ერთიან კორეას საკუთრივ კორეელებმაც უწოდონ *„კორიო“* ანუ „კორეა“.

---

[1] **Н. Томас, П. Эббот.** Война в Корее. *1950-1953.* М., 2001, გვ. 3.

[2] ასე ერქვა სახელმწიფოს, რომელიც ამ ტერიტორიაზე 918-1392 წლებში არსებობდა.

[3] აქ, ბუნებრივია, ვგულისხმობთ მის ორივე ნაწილს: ჩრდილოეთ კორეის სახალხო რესპუბლიკასა და კორეის რესპუბლიკას (ე.წ. სამხრეთი კორეა).

II მსოფლიო ომის შემდეგ შორეულ აღმოსავლეთში მსხვილი კონფრონტაციის კერა გაჩაღდა კორეის ნახევრაკუნძულზე. იაპონური ოკუპაციის 35 წლის შემდეგ, ქვეყნის გათავისუფლება საბჭოთა არმიამ მოახდინა (1945წ. 15 აგვისტო[1]), ხოლო მოკავშირეები კი, ძირითადად, აშშ კორეაში, ძირითადად, საბრძოლო მოქმედებების დასრულების შემდეგ, 1945წ. 8 სექტემბერს გადავიდნენ.[2]

1946 წლის 5 მარტს ქ. ფულტონში (მისურის შტატი, აშშ) ვესტმინსტერის კოლეჯში გამოსვლისას დიდი ბრიტანეთის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა უინსტონ ჩერჩილმა თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ ევროპაში საბჭოთა კავშირსა და დასავლეთ შორის (ანუ ანტიფაშისტური კოალიციის წევრებს შორის) „რკინის ფარდა“ ჩამოიხურა და დასავლეთს მოუწოდა ანგლოსაქსონური ქვეყნების[3] ლიდერობით მოსკოვის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ.[4] მიღებულია, რომ „ოფიციალურად“ ეს „ცივი ომის“[5] დასაწყისი იყო, თუმცა აქ მხოლოდ მომხდარი ფაქტის

---

[1] ეს არის ჩხონჯინთან (ჩრდილო-აღმოსავლეთ კორეის მნიშვნელოვანი ნავსადგური) საბჭოთა კავშირისა და იაპონიის არმიებს შორის გამართული ბრძოლის თარიღი. ზოგიერთ ლიტერატურაში ეს მოვლენა დათარიღებულია 14-16 აგვისტოთი (დაწვრილებით იხ.: **С. О. Курбанов.** Курс лекций по истории Кореи. *С древности до конца XX века.* СПб., 2002, გვ. 418). ამ დღეს კვანტუნის არმიამ შეყვიტა წინააღმდეგობა და დაიწყო მოლაპარაკებები კაპიტულაციაზე. საბოლოოდ იაპონელების განიარაღება კორეაში 25 აგვისტოს დასრულდა (*История Кореи*. Новое прочтение. Ответственный редактор **А. В. Торкунов.** М., 2003, გვ. 329).

[2] *История дипломатии.* Под редакцией **А. А. Громыко.** Т. V. В 2-х частях. Часть I. М., 1974, გვ. 137.

[3] უ. ჩერჩილი აქ დიდ ბრიტანეთსა და აშშ-ს გულისხმობდა.

[4] *Winston Churchill's Iron Curtain Speech,* — http://www.historyguide.org/europe/churchill.html.

[5] ამ ტერმინის ავტორია ამერიკელი ჟურნალისტი უ. ლიპმანი. მან ასე დაასათაურა თავისი სტატიების კრებული, რომლებშიც აშუქებდა „თრუმენის დოქტრინის“ საკითხებს (**W. Lippman**. The Cold War. New York, 1947). შეერთებული შტატების ეს საგარეოპოლიტიკური კურსი საჯაროდ გაჟღერებული იქნა 1947წ. 12 მარტს პრეზიდენტ ჰ. თრუმენის აშშ-ს კონგრესისადმი მიმართვაში და ითვალისწინებდა

კონსტანტაცია იყო. არსებითად, ცივი ომი უკვე II მსოფლიო ომის უკანასკნელ დღეებშივე დაიწყო.

1945 წლის 12 აპრილს პრეზიდენტ ფრ. დ. რუზველტის გარდაცვალების შემდეგ, ვაშინგტონ-მოსკოვის ურთიერთობები თანამშრომლობიდან ისევ კონფრონტაციისაკენ მიემართებოდა. ფაშიზმის დამარცხების შემდეგ, დასავლეთი, უპირველეს ყოვილისა კი – აშშ, იწყებს.

აშშ-ს ახალმა პრეზიდენტმა, ჰარი ს. თრუმენმა, თავის პოლიტიკას მოსკოვის მიმართ „მტკიცე კურსი“ უწოდა. ამასთანავე, მის ადმინისტრაციაში საკუთარი გავლენის გაზრდა კვლავ შეძლეს იმ პოლიტიკოსებმა, რომლებიც წინა წლებში იძულებულები იყვნენ „მოეთმინათ“ რუზველტის რბილი პოლიტიკა საბჭოეთის მიმართ.

ამ პირობებში კი, როცა ორ გლობალურ სისტემას შორის ბრძოლა, შეიძლება ითქვას, თითოეული გოჯი მიწის გამო მიმდინარეობდა შორეული აღმოსავლეთის კონტროლისათვის კორეას დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა გააჩნდა. ამიტომ, ბუნებრივია, მას, იმთავითვე, იმდენად განსაკუთრებული ყურადღება მიექცა, რომ სსრკ-მ და აშშ-მ ქვეყანა, ფაქტობრივად, შუაზე გაიყვეს: მოსკოვის გავლენა ვრცელდებოდა ჩრდილოეთ ნახევარსფეროს 38-ე პარალელის ჩრდილოეთით, ხოლო ვაშინგტონისა კი — მის სამხრეთით. ეს დაყოფა მოკავშირეთა ძალების მთავარსარდლის გენერალ დუგლას მაკარტურის (აშშ) „№1 საერთო ბრძანებაში“.[1]

სსრკ-სა და კომუნიზმის ექსპანსიონიზმის შეკავებას (*Truman Doctrine.* President Harry S. Truman's Address before a Joint Session of Congress, March 12, 1947, – http://avalon.law.yale.edu/20th_century/trudoc.asp).

[1] ამ განაწილებაზე ი. სტალინი და ჰ. თრუმენი ჯერ კიდევ 1945წ. აგვისტოს შუა რიცხვებში მსჯელობდნენ, რაზეც მიუთითებს აშშ-ს პრეზიდენტის წერილი საბჭოთა ლიდერისადმი 1945წ. 15 აგვისტოს (დოკ. №362: Строго секретно для генералиссимуса Сталина от президента

ჩანდა, რომ არცერთი მხარე არ აპირებდა კორეაში პოზიციების დათმობას. 38-ე პარალელზე კორეის გაყოფის ერთადერთი მიზეზი იმ ხანებში მხოლოდ და მხოლოდ იაპონიის საოკუპაციო არმიისაგან კაპიტულაციის მიღება იყო. თუმცა, მოკავშირეებს შორის მალევე დაწყებულმა „ცივმა ომმა“ ეს პარალელი უკვე ორ სისტემას შორის გლობალური დაპირისპირების საზღვრად აქცია.



საბჭოთა კავშირს მუდამ აფიქრებდა ნავსადგურების პრობლემა შორეულ აღმოსავლეთში. სამხედრო მიზნებიდან გამომდინარე, მხოლოდ ვლადივოსტოკი, ამ მხრივ, საუკეთესო ვარიანტი ნამდვილად არ იყო.

ჯერ კიდევ დიდი სამეულის თეირანის კონფერენციაზე,[1] ი. სტალინმა მინიშნება გააკეთა იმაზე, რომ მოკავშირეებისაგან შორეულ აღმოსავლეთში მისი სახელმწიფოსათვის იმდაგვარ შემოთავაზებას ელოდა, რომელშიც საბჭოთა კავშირის სამხედრო ინტერესები უზრუნველყოფილი იქნებოდა.[2]

აქედან გამომდინარე, ჩრდილოეთ კორეის ნავსადგურები მეტად ხელსაყრელ შესაძლებლობას იძლეოდა სსრკ-ს სამხედრო სტრატეგიებში, მით უფრო, რომ კორეა (კერძოდ კი, მისი ჩრდილოეთი ნაწილი) უშუალოდ ესაზღვრებოდა საბჭოთა კავშირს.

Трумэна, — წგნ.: *Переписка председателя Совета Министров СССР с президентами США и премьер-министрами Великобритании во время Великой Отечественной Войны, 1941-1945гг.* В 2-х томах. Т. 2: Переписка с Ф. Рузвельтом и Г. Трумэном (авг. 1941г. – дек. 1945г.). 2-е издание. Издание подготовлено комиссией по изданию дипломатических документов при МИД СССР под председательством доктора экономических наук **А. А. Громыко** в 1976 году. М., 1989, გვ. 280-281).

[1] 1943 წლის 28 ნოემბერი — 1 დეკემბერი.

[2] **თ. პაპასქირი.** „დიდი სამეულის“ კონფერენციები (თეირანი, იალტა, პოტსდამი). თბ., 2010, გვ. 59.

კორეის საკითხი აქტიურად განიხილებოდა მოკავშირეთა კონფერენციებზე. კაიროს კონფერენციაზე (22-26 ნოემბერი, 1943),[1] კერძოდ კი, მის მეორე ნაწილზე (1 დეკემბერი, 1943) მიღებულ კომუნიკეში ჩაიწერა, რომ კორეის სახელმწიფოს, ომის დასრულების შემდგომ, მიენიჭებოდა დამოუკიდებლობა.[2] საბჭოთა ლიდერიც, ბუნებრივია, თეირანის კონფერენციაზე ამ მოსაზრებას დაეთანხმა.[3]

კორეის მომავალზე მსჯელობა იალტის (ყირიმის) კონფერენციაზეც[4] გაგრძელდა. კერძოდ, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა წამოაყენა წინადადება კორეაზე მეურვეთა საბჭოს შექმნის შესახებ, რადგან, მისი აზრით, კორეელები, უახლოესი მეოთხედი საუკუნე მაინც მზად არ იქნებოდნენ დამოუკიდებლობისათვის.[5]

პოტსდამის (ბერლინის) კონფერენციამაც კორეას გვერდი ვერ აუარა.[6] აქაც კიდევ ერთხელ დადასტურდა კორეისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების აუცილებლობა.[7]

---

[1] ეს სამიტი, რომელშიც მონაწილეობდნენ აშშ-ს პრეზიდენტი ფრანკლინ დ. რუზველტი, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი უინსტონ ჩერჩილი და ჩინეთის მმართველი ჩან კაიში, ორ ეტაპად გაიმართა: I — 22-26 ნოემბერი (თეირანის კონეფერენციამდე) და II — 2 დეკემბერი (თეირანის კონფერენციის შემდგომ).

[2] *Cairo Communiqué,* – იხ. ელექტრონული ვერსია: www.ndl.go.jp/constitution/e/shiryo/01/002_46/002_46tx.html.

[3] **თ. პაპასქირი.** „დიდი სამეულის“ კონფერენციები (თეირანი, იალტა, პოტსდამი), გვ. 59.

[4] 1945 წლის 4-11 თებერვალი.

[5] **თ. პაპასქირი.** „დიდი სამეულის“ კონფერენციები (თეირანი, იალტა, პოტსდამი), გვ. 191-192.

[6] **Foreign Relations of the United States Diplomatic Papers**. *The Conference of Berlin (The Postdam Conference), 1945*. In Two Volumes. Volume II. United States Goverment Printing Office. Washington, 1960, გვ. 253, 264.

[7] Война в Корее. 1950-1953. СПб., 2000, გვ. 3.

II მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, მოკავშირეებმა, მართალია, არაერთხელ გამოთქვეს სურვილი საოკუპაციო რეჟიმის გაუქმებისა და საერთო კორეული მთავრობის შექმნის თაობაზე, მაგრამ რეალურად მხოლოდ პირველი პირობა შესრულდა: საბჭოთა ჯარებმა ჩრდილოეთ კორეა 1949წ. 1 იანვრისთვის დატოვეს, ხოლო აშშ-ს არმიამ კი — ზუსტად ნახევარი წლისთავზე (1 ივლისი).

მანამდე კი, კორეაში გარკვეული პოლიტიკური ცვლილებები მოხდა. კერძოდ, საბჭოთა კავშირის ხელშეწყობით, 1948წ. 8 სექტემბერს შეიქმნა კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა (კსდრ), რომლის პირველი პირი — პრეზიდენტი — გახდა ადგილობრივ რადიკალ მემარცხენეთა ლიდერი კიმ ირ სენი (1912-1994).[1] ერთ თვეში, 8-12

[1] კიმ ირ სენი (ადრე – *კიმ სუნ ჩუ*)1930 წლიდან ჩინეთში იმყოფებოდა, სადაც მან ანტიიაპონური ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლისათვის საგანგებო პარტიზანული რაზმები შექმნა. 1931 წელს იაპონიამ მანჯურია დაიპყრო და კიმ ირ სენი, მისი რაზმით, 1932წ. 25 აპრილს ანტიიაპონურ პარტიზანულ არმიას შეუერთდა. 1940წ. კიმ ირ სენი ტყვედ ჩავარდა, თუმცა 1941წ. სსრკ-ში გაქცევა მოახერხა. სადაც ანტიიაპონურ გათავისუფლებულ კორეაში მხოლოდ 1945წ. სექტემბრის ბოლოს ის, საბჭოთა არმიის მაიორის წოდებით, სამშობლოში დაბრუნდა საბჭოთა კავშირიდან. უკვე 1946წ. თებერვლისათვის კიმ ირ სენი და მისი სახალხო მილიცია, რომელიც 150 000 მებრძოლს ითვლიდა, მთელ ჩრდილოეთ კორეას აკონტროლებდა. აღსანიშნავია, რომ 1945წ. 11 სექტემბერს სეულში (ამჟამად, სამხრეთ კორეის დედაქალაქი) შეიქმნა კორეის კომუნისტური პარტია (მისი ლიდერი გახდა კორეის მემარცხენე მოძრაობის გამოჩენილი წარმომადგენელი პაკ ხენ ენი), ხოლო მისი ჩრდილოეთ კორეის განყოფილება 10 ოქტომბერს ჩამოყალიბდა, რომელსაც თავკაცობდა კიმ ენ ბომი (იმავე წლის დეკემბერში ეს ტანამდებობა კიმ ირ სენმა დაიჭირა). თავიდან, კიმ ირ სენი არ ითვლებოდა კორეელ კომუნისტთა ლიდერად, თუმცა ადგილობრივი საბჭოთა სამხედრო ადმინისტრაცია ყოველნაირად ცდილობდა მის პოპულარიზაციას. 1946წ. თებერვალ-აპრილში ჩრდილოეთ კორეელმა კომუნისტებმა დამოუკიდებელი პოლიტიკური ორგანიზაცია — ჩრდილოეთ კორეის

ოქტომბერს, მოსკოვმა ახლადწარმოქმნილ სახელმწიფოსთან დიპლომატიური ურთიერთობები დაამყარა.

გარკვეული ცვლილებები მოხდა 38-ე პარალელის სამხრეთითაც: 1948წ. 10 მაისს იქ ჩატარდა კორეის ეროვნული საკრებულოს არჩევნები და შეიქმნა ადგილობრივი მთავრობა, რომლის სათავეში ჩადგა ლი სინ მანი (სამხრეთ კორეას მართავდა 1948 წლის 20 ივლისიდან 1960 წლის 3 მაისმდე),[1] კორეის უკანასკნელი იმპერატორის ჩამომავალი, რომელიც 1945წ. მიწრულამდე აშშ-ში ცხოვრობდა.

ამრიგად, კორეის პოლიტიკურად ორ ნაწილად გახლეჩილი აღმოჩნდა. ორივე სახელმწიფო პრეტენზიას აცხადება ყოფილი ერთიანი კორეის სამართალმემკვიდრეობაზე და, ამდენად, ორივეს სურდა მაინცდამაინც მისი ეგიდით მომხდარიყო ერთიანი სახელმწიფოს შექმნა.

სამხრეთ კორეის მთავრობა ენერგიულად ამზადებდა ე.წ. „ჩრდილოეთზე ლაშქრობის“ გეგმას. 1949წ. ოქტომბერში ლი სინ მანმა აშშ-ს მაღალი რანგის წარმომადგენლებთან საუბარში აღნიშნა, რომ მისი ქვეყნის გაერთიანება, კომუნისტური სახალხო არმიის განიარაღება.

1949-1950წწ. სამხრეთ კორეაში არაერთხელ ჩავიდნენ ვაშინგტონის ოფიციალური პირები: საკანონმდებლო ორგანოს წარმომადგენლები, თავდაცვის სამინისტროსა და სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლები, რომლების ვაშინგტონის

კომუნისტური პარტია (1946წ. 26 აგვისტოს მას ეწოდა „ჩრდილოეთ კორეის შრომის პარტია“) — ჩამოაყალიბეს, რომლის ლიდერი თავად კიმ ირ სენი გახდა (**Н. Томас, П. Эббот.** Война в Корее. *1950-1953*, გვ.6; **С. О. Курбанов.** Курс лекций по истории Кореи. *С древности до конца XX века*, გვ. 420-421; *История Кореи*. Новое прочтение, გვ. 331).

[1] ინგლისური ტრანსკრიფციით: Syngman Rhee ან Yi Seungman (Syngman Rhee, – *http://en.wikipedia.org/wiki/Syngman_Rhee*). ის თავიდანვე ჩაბმული იყო კორეის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში იაპონელ ოკუპანტთა წინაარმდეგ და 1919-1925წწ. ხელმძღვანელობა კორეის დროებით მთავრობას.

მხარდაჭერას უცხადებდნენ ლი სინ მანის მთავრობას.[1]

წლების მანძილზე საბჭოთა იდეოლოგია და ისტორიოგრაფიაც ამტკიცებდნენ, რომ კორეაში ომი აშშ-ს მხარედაჭერით შეგულიანებულმა სეულმა დაიწყო. უკანასკნელ წლებში ზოგიერთი დოკუმენტის გასაჯაროვებამ და ახალმა კვლევებმა საპირისპირო მდგომარეობა წარმოაჩინა.[2]

თუმცა, ამ შეხედულების გადასინჯვა საბჭოთა კავშირის კოლაფსის შემდეგ არქივებში დაცული გასაიდუმლოებული დოკუმენტაციის განსაჯაროების შემდეგ გახდა შესაძლებელი. ი. იურევი მიუთითებდა, რომ ერთ-ერთ საბჭოთა გაზეთში[3] გამოქვეყნებული იყო ინტერვიუ ლი სან ჩასთან,[4] რომლის თქმით, კორეის ომის ინიციატორი იყო კიმ ირ სენი და მას ამ საკითხში ი. სტალინმა აღუთქვა მხარდაჭერა.[5]

რუსი ნ. ბაჟანოვა, ახლადგახსნილ საარქივო მასალებზე დაყრდნობით, შედარებით ვრცლად მსჯელობს ომის ინიციატორთა გამორკვევის მიმართულებით. ირკვევა, რომ კსდრ-ს კომუნისტური ხელისუფლება ვერ ურიგდებოდა ქვეყნის გახლეჩას და მოითხოვდა მის გაერთიანებას ძალისმიერი მეთოდებით.[6]

1948-1949წწ. მიჯნაზე ი. სტალინი ჯერ კიდევ არ ეთანხ-

---

[1] *Международные отношения после второй мировой войны*. В 3-х томах. Т. 2. М., 1969, გვ. 413.

[2] **М. Ф. Юрьев.** История стран Азии и Северной Африки после второй мировой войны (1945-1990). *Учебное пособие.* М., 1994, გვ. 28; **Н. Бажанова.** Самая загадочная война XX столетия, — ჟურნ.: *«Новое время».* №6, 1996, გვ. 29-31. ნ. ბაჟანოვას სტატია ეყრდნობა 1990-იან წლებში რუსეთში გახსნილი საარქივო დოკუმენტების მონაცემებს.

[3] ავტორი, სამწუხაროდ, არ ასახელებდა პერიოდული გამოცემის სახელწოდება, გამოცემის წელსა და ნომერს.

[4] ის, კორეის ომის დროს, კსდრ-ს გენერალური შტაბის უფროსის მოადგილე იყო, ხოლო 1955-1956წწ. — ფხენიანის ელჩი მოსკოვში. ლი სან ჩა, პოლიტიკური მოტივების გამო, სამშობლოში აღარ დაბრუნებულა.

[5] **М. Ф. Юрьев.** История стран Азии и Северной Африки после второй мировой войны (1945-1990), გვ. 28.

[6] **Н. Бажанова.** Самая загадочная война XX столетия, გვ. 30.

მებოდა კიმ ირ სენს ამ მიმართულებით. რა თქმა უნდა, საბ-ჭოთა ლიდერი წინააღმდეგი არ იყო ერთიანი კორეის ხილვისა პრო-მოსკოვურ ბანაკში, მაგრამ მას აფიქრებდა სამხედრო კონფრონტაციის მოსალოდნელი შედეგები, რომელიც ფხენიანის საერთაშორისო პრესტიჟის საკითხის მიმართ დიდ კითხვის ნიშნებს გააჩენდა. ამის შესახებ სტალინი კორეელ კომუნისტთა ლიდერს აფრთხილებდა 1949წ. 7 მარტს. მაგრამ, ჩრდილოეთ კორეაში პოზიციის შეცვლას არ აპირებდნენ.[1]

დაახლოებით ორი თვის შემდეგ, 1949წ. 3 მაისს ახალი შეხვედრა გაიმართა კიმ ირ სენსა და ი. სტალინს შორის, რომელზეც ჩრდილოეთ კორეის წარმომადგენელი საბჭოთა მხარისაგან ეკონომიკურ მხარდაჭერასა და უმაღლესი განვი-თარების სფეროში დახმარებას ითხოვდა. საუბრისას, კიმ ირ სენმა საუბარი ჩამოაგდო სამხრეთ კორეაზეც, სადაც ჯერ კიდევ იმყოფებოდნენ ამერიკელი სამხედროები. მისი თქმით, აშშ სამხრეთელების სამხედრო მომზადებას ეწეოდა ჩრდილ-ოელთა წინააღმდეგ.[2]

საბჭოთა ლიდერი დაინტერესდა სეულის სამხედრო პო-ტენციალით და მას მოახსენეს, რომ ფხენიანს სამხრეთელთა 20 000-იანი არმიისთვის შეეძლო დაეპირისპირებინა საკუთარი 60 000-იანი, საკმაოდ ძლიერი, შეიარაღებული ძალები.[3]

---

[1] **Н. Бажанова.** Самая загадочная война XX столетия, გვ. 30.

[2] იხ.: Kim Il Sung asks for economical aid distributed over a period of six years, reports on the status of American soldiers in South Korea and mentions their lack of trade with other South East Asian countries. 03.05.1949, – *Archive of the Foreign Policy of the Russian Federation, (hereafter AVP RF), Fond 059a, Opis 5a, Delo 3, Papka 11, listy 10-20.* ელექტრ. ვერსია: http://legacy.wilsoncenter.org/va2/index.cfm?topic_id=1409&fuseaction=home.document&identifier=5034C68A-96B6-175C-9D18332BAA62DEB6&sort=Collection&item=Korean%20War. აღსანიშნავია, რომ სტალინი, გარკვეულ წილად, იუმორით აწარმოებდა ამ საუბარს კიმ ირ სენთან და მის დელეგაციასთან. კერძოდ, როცა საუბარი მიმდინარეობდა, ორივე კორეის სამხედრო პოტენციალის შესახებ, სტალინმა „მოუ-ლოდნელად“ შენიშნა, კიმ ირ სენი და მისი თანმხლები პირები საკ-მაოდ მომატებული იყვნენ წონაში.

[3] Kim Il Sung asks for economical aid distributed over a period of six years,

თუმცა, კრემლში კორეული პრობლემა ჯერ ნადვილად არ სჭირდებოდათ ჩინეთში კომუნისტებსა და გომინდანელებს შორის მიმდინარე მრავალწლიანი სამოქალაქო ომის გამო. ეს პრობლემა გაცილებით მნიშვნელოვანი იყო საბჭოთა კავშირისათვის, ვიდრე — ვიდრე ჩრდილოელ კორეელთა გეგმები ქვეყნის გაერთიანებასთან დაკავშირებით.

ნახევარი წლის შემდეგ ჩინეთში გარკვეული ნიშნები გამოჩნდა იმისა, რომ მაო ძედუნი დაამარცხებდა გენერალისიმუს ჩან კაიშის. ამ გარემოებამ, გარკვეულ წილად, დადებითი გავლენა იქონია ფხენიანის მოლოდინებზე მოსკოვის მიმართ. კერძოდ, 1949წ. 24 სექტემბერს კორეის გაერთიანების კიმ ირ სენისეულ გეგმაზე სკკპ(ბ) ცკ-ს პოლიტბიურომ იმსჯელა და გაირკვა, რომ კრემლი, პრინციპში, წინააღმდეგი არ იყო ომისა, მაგრამ საბჭოთა კომუნისტები დღის წესრიგში აყენებდნენ საკითხის ყოველმხრივი მომზადების საკითხს.[1]

რამდენიმე თვეში, 1950 წლის დასაწყისისათვის მოსკოვის პოზიცია მნიშვნელოვნად შეიცვალა. საქმე იმაშია, რომ 1949წ. 29 აგვისტოს სემიპალატინსკის პოლიგონზე საბჭოთა კავშირმა საკუთარი ბირთვული იარაღი გამოსცადა და ამით აშშ-მ მისი 4-წლიანი უპირატესობა ამ სფეროში დაკარგა, ხოლო ერთი თვის შემდეგ კი,1 ოქტომბერს, ჩინელმა კომუნისტებმა ხელისუფლება ხელში ჩაიგდეს და გამოაცხადეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის (ჩსრ) დაარსება, ხოლო ქვეყნის ხელისუფალი — ჩან კაიში, საკუთარ მთავრობასთან ერთად, კუნძულ ტაივანზე გაიხიზნა.[2] ამ მდგომარეობამ ჩინეთის საკითხი დღის

---

reports on the status of American soldiers in South Korea and mentions their lack of trade with other South East Asian countries. 03.05.1949, – *Archive of the Foreign Policy of the Russian Federation, (hereafter AVP RF), Fond 059a, Opis 5a, Delo 3, Papka 11, listy 10-20.* ელექტრ. ვერსია: http://legacy.wilsoncenter.org/va2/index.cfm?topic_id=1409&fuseaction=home.document&identifier=5034C68A-96B6-175C-9D18332BAA62DEB6&sort=Collection&item=Korean%20War.

[1] **Н. Бажанова.** Самая загадочная война XX столетия, გვ. 30.

[2] გომინდანის რეჟიმმა და, ზოგადად, ჩინეთის რესპუბლიკამ არსებობა გააგრძელა ამ კუნძულზე. ამჟამად, მის ლეგიტიმაციას 23 სახელმწიფო აღიარებს. საქართველო, გამომდინარე ჩინეთის სახალხო

წესრიგიდან მოხსნა მოსკოვისათვის და მას შესაძლებლობა მიეცა ყურადღება გადაეტანა ფხენიანისაკენ. მით უფრო, რომ, სამხედრო კონფრონტაციის შემთხვევაში, სავსებით შესაძლებელი იყო ჩინელი კომუნისტების გამოყენებაც მათი ჩრდილო-კორეელი თანამოაზრეების დასახმარებლად.

თუმცა, როგორც ნ. ბაჟანოვამ სავსებით სამართლიანად შენიშნა, იყო, ასევე სხვა ფაქტორებიც, რომლებმაც განაპირობეს კიმ ირ სენის ზემოხსენებული „იდეისადმი" მოსკოვის დაინტერესება. კერძოდ, ეს იყო 1949წ. სექტემბერში ატომური ბომბის გამოჩენა საბჭოთა არმიის არსენალში.[1] ამასთან ერთად, ავტორის მოსაზრებით, „ვაშინგტონი შეურიგდა ჩინეთში თავისი მომხრეების[2] დამარცხებას და, ამას გარდა, იმ პერიოდში ამერიკელმა წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ კორეა არ შედის შეერთებული შტატების თავდაცვის ზონაში.[3] NATO-ს შექმნის[4] შემდეგ, მოსკოვსა და დასავლეთს შორის ურთიერთობები გაუარესდა. სტალინი უკვე დარწმუნებული იყო კომუნისტური ბლოკის ძალებში, ნაკლებად ეშინოდა ამერიკის ძალის და ნაკლებად აინტერესებდა დასავლეთის საზოგადოებრივი აზრი კომუნისტური ბლოკის მოქმედებებზე".[5]

როგორც ირკვევა, რომ ეს პროცესები ჩინელი კომუნისტების ზურგს უკან ვითარდებოდა. სტალინი არ აპირებდა, კსდრ-ს მიერ სამხედრო მოქმედებების დაწყებამდე, ეს გეგმები მაო ძედუნისათვის გაემხილა,[6] რადგან ჩინელ კომუნისტებს იმჟამად საკუთარი სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის

რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობის პრინციპის ცნობიდან, არ აღიარებს ტაივანის ხელისუფლებას.

[1] **Н. Бажанова.** Самая загадочная война XX столетия, გვ. 30.

[2] ჩან კაიში და მისი რეჟიმი.

[3] აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა დინ აჩესონმა 1950წ. 23 იანვარს განაცხადა, რომ აშშ მტკიცედ გაატარებს აზიაში „კომუნიზმის შეკავების" პოლიტიკას, მაგრამ მან, ასევე, აღნიშნა, რომ კორეა არ შედიოდა „შეკავების" პერიმეტრში.

[4] 1949წ. 4 აპრილს.

[5] **Н. Бажанова.** Самая загадочная война XX столетия, გვ. 30.

[6] **Н. Бажанова.** Самая загадочная война XX столетия, გვ. 30.

აღდგენის იდეა უფრო აწუხებდათ. კერძოდ კი, ცდილობდნენ კ. ტაივანზე კონტროლის აღდგენას. თუმცა ეს არცთუ ისე ადვილად გადასაჭრელი საკითხი ჩანდა, რადგან გომინდანის რეჟიმისა და მისი ხელისუფლების ქვეშ არსებულ ტერიტორიის უსაფრთხოების დაცვა შეერთებულმა შტატებმა ივალდებულეს.

მოსკოვში არცთუ უსაფუძვლოდ შიშობდნენ, რომ მაო წინააღმდეგობას გაუწევდა კიმ ირ სენის მხარდაჭერას მანამ, სანამ ტაივანი კომუნისტური ჩინეთის კონტროლს გარეთ დარჩებოდა და არ განადგურდებოდა მისი პოლიტიკური მოწინააღმდეგე — გომინდანის მთავრობა.

კიმ ირ სენი 1950წ. მაისში პეკინში ჩავიდა მაოსთან და საკუთარი გეგმები გააცნო მისი ქვეყნის გაერთიანებასთან დაკავშირებით.

კორეელ კომუნისტთა ლიდერს ძალიან თბილი უერთიერთობები ჰქონდა ჩინელ ვიზავისთან და, როგორც ჩანს, ამის იმედითაც მოეწყო ეს ვიზიტი. ჯერ კიდევ, რამდენიმე თვით ადრე, კერძოდ 17 იანვარს ფხენიანში კსდრ-ს საგარეო საქმეთა მინისტრის პაკ ჰონ იონის (Pak Hon-yong, Пак Хон Ён) მიერ გამართულ ოფიციალურ სადილზე, რომელსაც ადგილობრივი ოფიციოზის, საბჭოთა კავშირისა და ჩსრ-ს წარმომადგენლები ესწრებოდნენ, კიმ ირ სენმა რამდენჯერმე რუსულად აღნიშნა, რომ მაო მისი მეგობარი იყო და ის კსდრ-ს აუცილებლად დაეხმარებოდა.[1] როგორც ჩანს, ის საბჭოთა ელჩს, ტ. შტიკოვს, ანიშ-

[1] *Telegram Shtykov to Vyshinski,* 01/19/1950, – *h*ttp://legacy.wilsoncenter.org/va2/index.cfm?topic_id=1409&fuseaction=home.document&identifier=5034C707-96B6-175C-92AFE2F07219C9D9&sort=Collection&item=Korean%20War; ტერენტი თომას ძე შტიკოვი (1907-1964) — საბჭოთა პარტიული და სამხედრო მოღვაწე (გენერალ-პოლკოვნიკი), დიპლომატი. 1948-1950წწ. — სსრკ-ს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი კსდრ-ში; ანდრეი იანუარის ძე ვიშინსკი

ნებდა, რომ ჩინელი ლიდერისაგან თანხმობის მიღება სავსებით შესაძლებელი იქნებოდა.



როგორც ჩანს, ჩინეთში გაასიგრძეგანეს ის პრობლემა, რაც შეიძლებოდა მოჰყოლოდა აშშ-ს შეიარაღებული ძალების ძლევამოსილებას ამოფარებულ ტაივანის წინააღმდეგ დაწყებულ სამხედრო კამპანიას. ამიტომ მაო ძედუნმა მიიჩნია, რომ, თუკი კომუნისტური სამყაროსათვის სამხრეთ კორეის შემოერთება მოხდებოდა. ეს კი, სავარაუდოდ, შორეულ აღმოსავლეთში ვაშინგტონის მომხრეთა ფრონტის წინააღმდეგ დიდი დარტყმა იქნებოდა.

ამასთან ერთად, კიმ ირ სენი პეკინს იმასაც აცნობდა, რომ მოსკოვი მზად იყო ფხენიანს დახმარებოდა ამ საქმეში. ჩინეთში ამ არგუმენტმაც, როგორც ჩანს, კარგად იმუშავა და ამიტომ კიმ ირ სენმაც შეძლო პეკინის მხარდაჭერა მიღებაც.

ამრიგად, ოფიციალურმა ფხენიანმა შეძლო მთავარი მოკავშირეების მხარდაჭერის მიღება, რაც სავსებით საკ-მარისი გახდა 1950წ. 25 ივნისს კორეის ნახევარკუნძულზე ომის დასაწყებად. ჩრდილოეთ კორეის 89 000-იანმა არმიამ მოულოდნელად გადალახა 38-ე პარალელი.[1] სამხრეთ კორეის

(1883-1954) — საბჭოთა სახელმწიფო მოღვაწე, სსრკ-ს საგარეო საქმეთა მინისტრი 1949-1953წწ.

[1] *The Ambassador in Korea (Muccio) to the Secretary of State* (Telegram; Seoul, June 25, 1950), – წგნ.: **Foreign Relations of the United States, 1950**. Volume VII: *Korea*. United States Goverment Printing Office. Washington, 1976, გვ. 127; *United Nations Security Council Resolution 82*, – http://en.wikipedia.org/wiki/United_Nations_Security_Council_Resolution_82.

შეიარაღებული ძალები მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა მომხდურს რიცხოვნობითა და შეიარაღებით.[1] ამასთან ერთად, 10 ათასამდე კორეელი მებრძოლი მონაწილეობდა ჩინეთის სამოქალაქო ომში ადგილობრივ კომუნისტთა მხადასაჭერად და 1949 წლის ოქტომბერში, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დაფუძნების შემდეგ, ეს საკმაოდ კარგად გაწვრთნილი და მომზადებული ძალა სამშობლოში დაბრუნდა.[2]

ცნობები კორეაში სამხედრო კონფლიქტის დაწყების თაობაზე სწრაფად გავრცელდა. სეულში აშშ-ს ელჩმა ჯონ მუჩომ (John J. Muccio) ინფორმაციები მიაწოდა სახელმწიფო მდივანს დინ აჩენსონს (Dean Gooderham Acheson, აშშ-ს სახელმწიფო მდივანი 1949-1953წწ.), მან კი, თავის მხრივ, საქმის კურსში ჩააყენა აშშ-ს პრეზიდენტი ჰარი ს. თრუმენი[3] და გაერო-ს გენერალური მდივანი ტრიუგვე ლი (Trygve Halvdan Lie[4]).[5]

შეერთებული შტატების ლიდერმა, რომელიც იმხანად საკუთარ სახლში[6] ისვე-ნებდა, კორეელ კომუნისტთა ეს აგრესია პერლ-ჰარბორის ტრაგედიას[7] შეადარა და, გაერთიანებ-

---

კსდრ-სა და საბჭოთა კავშირის იდეოლოგიურმა პროპაგანდამ ომის დაწყება სამხრეთ კორეა „დაადანაშაულა“ (Война в Корее. 1950-1953. М., СПб., 2000, გვ. 6)

[1] *United Nations Security Council Resolution 82,* – http://en.wikipedia.org/wiki/United_Nations_Security_Council_Resolution_82.

[2] **M. Benth Norton, C. Sheriff, D. W. Blight, H. P. Chudacoff, F. Logevall, B. Bailey, D. Michals.** A People and a Nation. *A History of the United States.* Brief Ninth Edition. Volume II: Since 1865. Wadsworth. Boston, MA, 2012, გვ. 740.

[3] აშშ-ს 33-ე პრეზიდენტი, 1945-1953წწ.

[4] ნორვეგიელი პოლიტიკური მოღვაწე, გაერო-ს I გენერალური მდივანი, 1946-1952წწ.

[5] *United Nations Security Council Resolution 82,* – http://en.wikipedia.org/wiki/United_Nations_Security_Council_Resolution_82.

[6] ქ. ინდენპედენსი, მისურის შტატი.

[7] 1941წ. 7 დეკემბერს განხორციელებული იაპონიის ავიაციის თავდასხმა პერლ-ჰარბორში (ჰავაის კუნძულები) დისლოცირებულ აშშ-ს

ული ერების პრინციპების თანახმად, დაუშვებლად მიიჩნია სეულის მარტო დატოვება: *„თუკი კომუნისტებს მიეცემათ შესაძლებლობა განავითარონ საკუთარი შეტევა კორეის რესპუბლიკის წინააღმდეგ თავისუფალი სამყაროს მხრიდან ყოველგვარი წინააღმდეგობის გაწევის გარეშე, მაშინ ვერც ერთი პატარა სახელმწიფო ვერ გაუწევს წინააღმდეგობას ძლიერი კომუნისტი მეზობლების მხრიდან წამოსულ საფრთხეებსა და აგრესიას“* (ჰ. თრუმენი).[1]

იმავე დღეს, ვაშინგტონის მოთხოვნით, გაერო-ს უშიშროების საბჭო შეიკრიბა და თეთრმა სახლმა, სავსებით სამართლიანად, სეულის მიმართ სამხედრო აგრესიაში ფხენიანის ბრალის აღიარება მოითხოვა. საბჭოში რთული მდგომარეობა შე-იქმნა. საბოოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე. ამასთანავე, უშიშროების წევრთა ნაწილი მოითხოვდა დამატებითი ინფორმაციის მიღებას და საბჭოში ფხენიანის წარმოამდგენლის მიწვევასაც, ვინაიდან სამხრეთკორეელი დიპლომატი[2] უკვე იქ იმყოფებოდა.[3]

საბოლოოდ, ვაშინგტონმა მოახერხა საკუთარი რეზოლუციის გატანა (უშიშროების საბჭოს რეზოლუცია №82[4]). საბჭოში აშშ-სათვის საამისოდ ხელსაყრელი პირობები შეიქმნა იმდენად, რამდენადაც სხდომებს არ ესწრებოდა სსრკ-ს

სამხედრო-საზღვაო ბაზაზე.

[1] **Allan R. Millett.** The Korean War. Vol. 1. Lincoln, Nebraska: University of Nebraska Press, 2000, გვ. 245.

[2] ორივე კორეული სახელმწიფო (კსდრ და კორეის რესპუბლიკა) ერთდროულად მიიღეს გაერო-ს წევრებად (1991წ. 17 სექტემბერს). თუმცა, 1948 წელს ერთიანი კორეა უკვე იყო ამ საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი. ქვეყნის გაყოფის შემდეგ, ბუნებრივია, მან ეს სტატუსი დაკარგა. ამის შემდეგ, ორივე კორეას (სრულუფლებიან წევრობამდე) გაერო-ში მუდმივი დამკვირვებლის სტატუსი გააჩნდათ: 1949 წლიდან — სამხრეთ კორეას, 1978 წლიდან კი — ჩრდილოეთ კორეას.

[3] *Международные отношения после второй мировой войны.* Т. 2, გვ. 415.

[4] *United Nations Security Council Resolution 82,* – http://en.wikipedia.org/wiki/United_Nations_Security_Council_Resolution_82.

წარმომადგენელი იაკობ მალიკი,[1] რომელიც ამ გზით 1950წ. იანვრიდან აპროტესტებდა უშიშროების საბჭოს შემადგენ-ლობაში გომინდანის მთავრობის წარმომადგენლის ყოფნას, ნაცვლად — ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა. დოკუმენტს მხარი დაუჭირეს აშშ-მ, დიდმა ბრიტანეთმა, საფრანგეთმა, ჩინეთის რესპუბლიკამ,[2] კუბამ, ეკვადორმა, ეგვიპტემ, ნორვეგიამ და ინდოეთმა, ხოლო იუგოსლავიამ კი თავი შეიკავა.[3]

82-ე რეზოლუცია, აღიარებდა რა კორეის ხალხის ლეგიტიმურ სახელმწიფოდ მხოლოდ კორეის რესპუბლიკას, მოუწოდებდა ფხენიანს დაუყოვნებლივ შეეწყვიტა სამხედრო მოქ-მედებები და საკუთარი შეიარაღებული ძალების სასწრაფო გა-ეყვანა 38-ე პარალელის ჩრდილოეთით.[4]

ორი დღის შემდეგ, 27 ივნისს, თეთრმა სახლმა კვლავ მოითხოვა გაერო-ს უშიშროების საბჭოს შეკრება, რომელმაც, საბჭოთა კავშირის წარმომადგენლის არყოფნის პირობებში, კორეის პრობლემასთან დაკავშირებით ახალი რეზოლუცია

---

[1] იაკობ ალექსანდრეს ძე მალიკი (1906-1980) — საბჭოთა დიპლომატი. გაერო-ს უშიშროების საბჭოში სსრკ-ს მუდმივ წარმომადგენლად მუშაობდა 1948-1952 და 1967-1976 წლებში (იხ.: *http://ru.wikipedia.org/wiki/Малик,_Яков_Александрович*). აშშ-ს 41-ე პრეზიდენტი ჯორჯ ჰ. უ. ბუში (უფროსი) პირადად იცნობდა საბჭოთა დიპლომატს და მას ძალზე საყურადღებოდ ახასიათებს: ი. მალიკი „იყო ცივი ომის დასაწყისის ერთ-ერთი ცნობილ რუს დიპლომატთაგანი და სწორედ მან გააცნო ინგლისურენოვან სამყაროს რუსული სიტყვა *«нет»* („არა“, — **კ.კ.**). იგი მუდამ იყენებდა დიდი სახელმწიფოს ვეტოს უფლებას იმისათვის, რომ მოეხდინა გაერო-ს იმ აქციების ბლოკირება, რომლებსაც საბჭოები არ იზიარებდნენ“ (**Дж. Буш.** Глядя в будущее. *Автобиография.* Перевод с английского *А. М. Волкова, М. В. Пучковского, Г. Н. Серебрякова.* М., 1989, გვ. 152).

[2] კ. ტაივანზე გახიზნული გომინდანის მთავრობა. კომუნისტურმა ჩინეთმა გაერო-ს უშიშროების მუდმივი წარმომადგენლის ადგილი მხოლოდ 1971წ. დაიჭირა.

[3] *United Nations Security Council Resolution 82,* – http://en.wikipedia.org/wiki/United_Nations_Security_Council_Resolution_82.

[4] *United Nations Security Council Resolution 82,* – http://en.wikipedia.org/wiki/United_Nations_Security_Council_Resolution_82.

მიიღო.[1] დოკუმენტი გაერო-ს წევრებს მოუწოდებდა, მიეღოთ კორეის რესპუბლიკისათვის გაეწიათ ეფექტური დახმარება, რომელიც უზრუნველყოფდა ამ სახელმწიფოსა და რეგიონში მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფას.[2]

7 ივლისს ისევ გახდა საჭირო ახალი, რიგით — მესამე, რეზოლუციის მიღება, რომლითაც შეიქმნა გაერო-ს ჯარები და ისინი კონფლიქტის ზონაში გაიგზავნენ.[3] სხდომას ისევ არ ესრებოდა ი. მალიკი. აღსანიშნავია, რომ თუკი 27 ივნისის რეზოლუციას იუგოსლავიამ წინააღმდეგ მისცა ხმა, ამჯერად მან, ეგვიპტესა და ინდოეთთან ერთად, მხოლოდ თავი შეიკავა, დანარჩენებმა კი რეზოლუციას მხარი დაუჭირეს.

გაერო-ს სამხედრო კონტინგენტი 16 სახელმწიფომ (აშშ, ავსტრალია, ბელგია, კანადა, კოლუმბია, ეთიოპია, საფრანგეთი, საბერძნეთი, ლუქსემბურგი, ჰოლანდია, ახალი ზელანდია, ფილიპინები, თურქეთი, დიდი ბრიტანეთი, სამხრეთ-აფრიკის კავშირი) დააკომპლექტა, თუმცა 50%-ით ის შეერთებული შტატების სამხედროებით იყო წარმოდგენილი,[4] მასვე დაეკისრა, რეზოლუციის მიხედვით, ამ შეიარაღებული ძალების მთავარსარდლობა.[5]

---

[1] წინააღმდეგ მხოლოდ იუგოსლავიამ მისცა ხმა.

[2] *83 (1950). Resolution of 27 June 1950 [S/1511]*, გვ. 5, – http://daccess-dds-ny.un.org/doc/RESOLUTION/GEN/NR0/064/96/IMG/NR006496.pdf?OpenElement; *83 (1950). Резолюция от 27 июня 1950 года [S/1511]*, გვ. 3, – http://daccess-dds-ny.un.org/doc/RESOLUTION/GEN/NR0/065/18/IMG/NR006518.pdf?OpenElement.

[3] *84 (1950). Resolution of 7 July 1950 [S/1588]*, გვ. 5-6, – http://daccess-dds-ny.un.org/doc/RESOLUTION/GEN/NR0/064/97/IMG/NR006497.pdf?OpenElement; *84 (1950). Резолюция от 7 июля 1950 года [S/1588]*, გვ. 4, – http://daccess-dds-ny.un.org/doc/RESOLUTION/GEN/NR0/065/19/IMG/NR006519.pdf?OpenElement.

[4] **M. Benth Norton, C. Sheriff, D. W. Blight, H. P. Chudacoff, F. Logevall, B. Bailey, D. Michals.** A People and a Nation. *A History of the United States*, გვ. 740.

[5] *84 (1950). Resolution of 7 July 1950 [S/1588]*, გვ. 5-6, – http://dac-

მით უფრო, რომ აშშ-ს ჯარები გენერალ დუგლას მაკარტურის სარდლობით უკვე 29 ივნისიდან (ერთი დღით ადრე ქ. სეულის დაცემამდე) ჩავიდნენ სამხრეთ კორეაში.[1]

საბჭოთა ისტორიკოსები აშშ-ს კონტრიბუციას ამ კონტიგენტში გაცილებით მსხვილად (90%) წარმოაჩენდნენ.[2] თუმცა, სინამდვილეში, როგორც ზემოთ ვნახეთ, ასე არ იყო. უფრო მეტიც, დანარჩენ 15 სახელმწიფოზე მხოლოდ 10% მოდიოდა, ხოლო დანარჩენებს თვითონ სამხრეთ კორეელები შეადგენდნენ.[3]

ვაშინგტონის მცდელობით, გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ ამ კონფლიქტის მოგვარება სამხედრო გზით გადაწყვიტა. შესაბამისად, თუნდაც პირველ ეტაპზე, მან უარი თქვა მოლაპარაკებების გამართვაზე. თუმცა, თეთრი სახლი, რომელიც საგარეო პოლიტიკაში „ტრუმენის დოქტრინის“ პრინციპების მიხედვით მოქმედებდა, ვერ დაუშვებდა მორიგ მარცხს შორეულ აღმოსავლეთში, კერძოდ კორეის სამხრეთი ნაწილის გადასვლას მოსკოვის კონტროლქვეშ.

დასავლეთელ მეცნიერთა ნაწილი (მაგ., ივენ ლიუარდი) კორეაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ქმედებებს შეერთებული შტატების სამხედრო ოპერაციად მიიჩნევს, ვინაიდან „გაერო-ს ძალებს ბრძანებები ვაშინგტონიდან მიუდიოდათ და არა – ნიუ-იორკიდან. ამიტომ ბევრისათვის ეს იყო არა გაერო-ს ოპერაცია, არამედ აშშ-ს აქცია, რომელსაც მხარს უჭერდა გაერო“.[4] როგორც ვხედავთ, ავტორი აღნიშ-

---

cess-dds-ny.un.org/doc/RESOLUTION/GEN/NR0/064/97/IMG/NR006497.pdf?OpenElement; *84 (1950). Резолюция от 7 июля 1950 года [S/1588]*, გვ. 4, – http://daccess-dds-ny.un.org/doc/RESOLUTION/GEN/NR0/065/19/IMG/NR006519.pdf?OpenElement.

[1] **Г. Вард.** История США. *Подробный справочник по истории.* Редактор серии *Дж. Уинтл.* М., 2009, გვ. 177.

[2] **И. Г. Усачев.** Джон Фостер Даллес. *Политический миф и реальность.* М., 1990, გვ. 145.

[3] **M. Benth Norton, C. Sheriff, D. W. Blight, H. P. Chudacoff, F. Logevall, B. Bailey, D. Michals.** A People and a Nation. *A History of the United States*, გვ. 740.

[4] **E. Luard.** A History of the United Nations: *The Years of Western Domina-*

ნავს, რომ სამხედრო აქცია ამ გლობალური საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ იყო მხარდაჭერილი და, შესაბამისად, ის, აქედან გამომდინარე, გაერო-ს სამხედრო ოპერაციად უნდა ჩაითვალოს.

როგორც იქნა, მოსკოვში გაითავისეს, რომ გაერო-ს უშიშროების საბჭოსათვის უაზრო ბოიკოტი არაფრის მომტანი აღმოჩნდა და საერთაშორისო ასპარეზზე მიმდინარე მოვლენებს, ფაქტობრივად, გამოერიყვნენ კიდევაც. ამიტომ 1950 წლის 4 ივლისს საბჭოთა კავშირმა განაცხადა, რომ ის არ ცნობდა უშიშროების საბჭოს მიერ მიღებულ არცერთ რეზოლუციას, რომლებიც ეხებოდა კორეის საკითხს, რადგან ისინი მიღებული იყო გაერო-ს წესდების დარღვევით.[1] საბჭოთა საგარეო უწყება ამ „დარღვევაში" უშიშროების საბჭოზე მისი დიპლომატის არდასწრებას გულისხმობდა. ამდენად, მოსკოვი შეეცადა დაძრულ მატარებელზე შეხტომას, რათა საკუთარი გავლენა შეენარჩუნებინა კორეის ნახევარკუნძულზე და კორეელი კომუნისტების სახელმწიფო დაეცვა.

იმავე წლის 1 აგვისტოს ი. მალიკი დაბრუნდა უშიშროების საბჭოში. კორეის კრიზისის გამო, მისი პროტესტის „საგანმა" უკანა პლანზე გადაიწია. ამასთან ერთადაც, მას ამ ორგანოს ხელმძღვანელობაც უწევდა. ეს კი დამატებითი ბერკეტი იყო უკვე დაძრულ პროცესსზე კონტროლის მოპოვებისა. 4 აგვისტოს კი, რომელსაც ისევ ი. მალიკი ხელმძღვანელობდა, საბჭოთა კავშირმა უშიშროების საბჭოს (ესწრებოდნენ ეგვიპტე, ინდოეთი, ჩინეთი,[2] კუბა, ნორვეგია, აშშ, სსრკ, დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფო, საფრანგეთი, იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკა და ეკვადორი) შესთავაზა მისეული „კორეის საკითხის მშვიდობიანი მოწესრიგების შესახებ" რეზოლუციის პროექტი

---

tion, 1945-1955. London, Macmillan Press, 1982; **А. Я. Шарова.** США и ООН: *концепции и реальности (40-80-е годы)*. М., 1991, გვ. 28.

[1] *Международные отношения после второй мировой войны.* Т. 2, გვ. 416.

[2] ბუნებრივია, იგულისხმება კ. ტაივანზე გახიზნული გომინდანის მთავრობა.

(S/1668),[1] რომელიც ითვალისწინებდა:

1) უშიშროების საბჭოზე კომუნისტური ჩინეთის ხელისუფლების წარმომადგენლის მოწვევასა და კორეელი ხალხის წარმომადგენელთა მოსმენა;

2) კორეაში შეიარაღებული კონფლიქტის შეწყვეტასა და იმავდროულად უცხოეთის ჯარების ევაკუაციას იქიდან.[2]

პირველმა კონტრშეტევამაც არ დააყოვნა: ჩსრ-ს წარმომადგენლის მოწვევა ჩან კაიშის დიპლომატმა ცზიან ტინგფუმ[3] არ გააპროტესტა, თუმცა საწინააღმდეგო წინადადება წამოაყენა, კერძოდ, მოითხოვა კორეის რესპუბლიკის ელჩის დასწრება სხდომაზე.[4] ჩინელ კოლეგას მხარი ეგვიპტის წარმომადგენელმა მაჰმუდ ფაუზი ბეიმაც (Mahmoud Faw-

---

[1] *United Nations, Security Council.* Official Records. Fifth Year. 483rd Meeting: 4 August 1950. № 25, გვ. 1, – http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/NL5/007/10/PDF/NL500710.pdf?OpenElement; *Объединенные Нации, Совет Безопасности.* Официальные отчеты. Пятый год. 483-е заседание, 4 августа, 1950 года. № 25, გვ. 1, – http://daccess-dds-ny.un-.org/doc/UNDOC/GEN/N50/408/26/PDF/N5040826.pdf?OpenElement.

[2] *United Nations, Security Council.* Official Records. Fifth Year. 483rd Meeting: 4 August 1950. № 25, გვ. 1; *Объединенные Нации, Совет Безопасности.* Официальные отчеты. Пятый год. 483-е заседание, 4 августа, 1950 года. № 25, გვ. 1.

[3] *Tsiang Tiangfu* – ჩინელი ისტორიკოსი და დიპლომატი, ჩინეთის რესპუბლიკის მუდმივი წარმომადგენელი გაეროში 1947-1962 წლებში.

[4] *United Nations, Security Council.* Official Records. Fifth Year. 483rd Meeting: 4 August 1950. № 25, გვ. 1; *Объединенные Нации, Совет Безопасности.* Официальные отчеты. Пятый год. 483-е заседание, 4 августа, 1950 года. № 25, გვ. 1.

zi Bey) დაუჭირა.[1] თუმცა, ი. მალიკმა განაცხადა, რომ სსრკ სამხრეთ კორეის მოწვევის წინააღმდეგი არ იქნება, თუკი, იმავდროულად, სხდომაზე მოიწვევენ კსდრ-ს წარმომადგენელსაც.[2] ამაზე ვაშინგტონის წარმომადგენელმა უორენ ოსტინმა[3] განმარტა, რომ ფხენიანმა მას შემდეგ დაკარგა გაერო-ში მოწვევის უფლება, რაც მან უარი განაცხადა კორეის საკითხზე შექმნილ კომისიასთან თანამშრომლობაზე, ამიტომაც აღნიშნული პრივილეგიით, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების 32-ე მუხლის საფუძველზე,[4] მხოლოდ კორეის რესპუბლიკა სარგებლობდა.[5]

საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, საბჭოთა რეზოლუციის პროექტი განხილულიც კი არ იქნა, რადგან დისკუსია არ გასცილებია კორეის წარმომადგენელთა მიწვევის საკითხს საბჭოს მიმდინარე სხდომაზე. მართალია, ი. მალიკმა იმდენი მაინც მოახერხა, რომ იმ დღეს სეულის დიპლომატი ამ კამათს არ დასწრებოდა, თუმცა მის მიერ წარდგენილი პროექტისათვის ერთი დამატებითი ხმის მოპოვებაც გაუჭირდა. დისკუსიაში აქ-

---

[1] *United Nations, Security Council.* Official Records. Fifth Year. 483rd Meeting: 4 August 1950. № 25, გვ. 1; *Объединенные Нации, Совет Безопасности.* Официальные отчеты. Пятый год. 483-е заседание, 4 августа, 1950 года. № 25, გვ. 1.

[2] *United Nations, Security Council.* Official Records. Fifth Year. 483rd Meeting: 4 August 1950. № 25, გვ. 1-2; *Объединенные Нации, Совет Безопасности.* Официальные отчеты. Пятый год. 483-е заседание, 4 августа, 1950 года. № 25, გვ. 1-2.

[3] *Warren Austin* – ამერიკელი პოლიტიკოსი და სახელმწიფო მოღვაწე, აშშ-ს წარმომადგენელი გაერო-ში 1947-1952 და 1953 წლებში.

[4] ყოველი სახელმწიფო, რომელიც არ არის უშიშროების საბჭოს ან გაერო-ს წევრი, რომელიც კამათის მხარე იქნებოდა, შეიძლება მიწვეული იქნეს უშიშროების საბჭოში ამ კამათთან დაკავშირებული საკითხების განხილვისას, ხმის უფლების გარეშე (**ლ. ალექსიძე.** გაერთიანებული ერების ორგანიზაცია. თბ., 1985, გვ. 20).

[5] *United Nations, Security Council.* Official Records. Fifth Year. 483rd Meeting: 4 August 1950. № 25, გვ. 2-3; *Объединенные Нации, Совет Безопасности.* Официальные отчеты. Пятый год. 483-е заседание, 4 августа, 1950 года. № 25, გვ. 2-3.

ტიურად მონაწილეობდნენ სსრკ-ს, ჩინეთის, ეგვიპტის, აშშ-ს, დიდი ბრიტანეთის, ინდოეთისა და ნორვეგიის წარ-მომადგენ-ლები. მათ სასტიკად გააკრიტიკეს მოსკოვის პო-ზიციები. ამ დროს კი დარბაზში იმყოფებოდა იუგოსლავიის ელჩი, რომელ-მაც თავი შეიკავა კამათში მონაწილეობისაგან.

კორეის კონფლიქტის საკითხის განხილვა ძლიერ გაჭი-ანურდა, რადგან დასავლეთიცა და აღმოსავლეთიც ამ პრობ-ლემას მნიშვნელოვან დატვირთვას ანიჭებდა და ცდილობდა ორად გაყოფილი სახელმწიფოს გაერთიანებას მხოლოდ მისი პოლიტიკურ-ეკონომიკური იდეოლოგიური სისტემის ქვეშ. თუკი პირველმა ამ პროცესებში უდაოდ პროგრესული როლი შეასრულა, ვინაიდან მხარი დაუჭირა აგრესიის მსხვერპლს – კორეის რესპუბლიკას, მეორე მხარე – სსრკ და მისი მარიო-ნეტი სოციალისტური სახელმწიფოები აგრესორის პოზიციებს ამყარებდნენ და ამით თვითონვე არღვევდნენ გაერო-ს წეს-დების ფუნდამენტურ საფუძვლებს, რადგან საომარი მო-ქმედებების შეწყვეტას ითხოვდნენ სამხრეთ კორეისაგან.

ამასთანავე, საბჭოთა კავშირისა და მისი მარიონეტების მოთხოვნით, ქვეყანა უნდა დაეტოვებინა გაერო-ს შეიარაღე-ბულ ძალებს, რომლებმაც 1950 წლის 1 ოქტომბერს[6] გადალახეს 38-ე პარალელი და გადავიდნენ ჩრდილოეთ კორეის ტერიტო-რიაზე. მოკლე ხანში მათ შესანიშნავად გამოიყენეს კომუნისტ კორეელთა შეცდომა, როცა მათ საკუთარი ძალები მთელი საზღვრის გასწვრივ განალაგეს. ამიტომ გაერო-ს ძალებს არ გასჭირვებიათ ჩრდილოელთა წინააღმდეგობის გაწევა,[7] მალე მიაღწიეს (20 ოქტომბერს დაიჭირეს ქ. ფხენიანი) და კორეა-ჩი-ნეთის სახელმწიფო საზღვარს. კიმ ირ სენის რეჟიმი დამხობის

---

[6] ამ ეტაპზე, გაერო-ს შეიარაღებულ ძალები (1950წ. 28 აგვისტომ-დე, ვიდრე მათ დიდი ბრიტანეთის არმიის ნაწილები შეუერთდებოდ-ნენ, გაერო-ს შეიარაღებულ ძალებს მხოლოდ აშშ-ს VIII არმია წარ-მოადგენდა) რომელთაც ამერიკელი გენერალი დაგლას მაკარტური სარდლობდა, 1950წ. ივლისის II ნახევრიდან იმყოფებოდნენ კორეის ტერიტორიაზე. პირველ წარმატებას მათ მხოლოდ 14 სექტემბერს მიაღწიეს, ხოლო მეორე დღეს კი ქ. სეულის განთავისუფლებაც მოახერხეს (**Н. Томас, П. Эббот.** Война в Корее. *1950-1953*, გვ. 3-4).

[7] **Н. Томас, П. Эббот.** Война в Корее. *1950-1953*, გვ. 4

პირას იდგა.

კორეელ კომუნისტთა გადარჩენა მხოლოდ მძლავრ სამხედრო დახმარებას შეეძლო. სსრკ-ს აქტიური, ღია ჩარევა ამ პროცესებში არ შეეძლო.[1] მიუხედავად მაო ძედუნის მხარდაჭერისა, პეკინი ჯერ არ ჩქარობდა კონფლიქტში მისი ჯარისკაცების გაგზავნას. ამიტომ მოსკოვმა, ხანგრძლივი მოლაპარაკებების შემდეგ, მაო დაარწმუნა ჩრდილოეთ კორეაში ჩინეთის არმიის გაგზავნაზე. 1950წ. 25 ოქტომბერს, როგორც იქნა, კონფლიქტში აქტიურად ჩაება კომუნისტური ჩინეთი და კორეელმა კომუნისტებმა ე.წ. „ჩინელი მოხალისეების" სახით (დაახლოებით, 1 მლნ. ადამიანი; რეალურად, ისინი ჩსრ-ს რეგულარული არმიის ჯარისკაცებს წარმოადგენდნენ).[2] ამ „დახმარების" ძალა მალე ნათლად გამოჩნდა იმ გრანდიოზულ შეტევაში, რომელიც აგრესორებმა წამოიწყეს და 1951 წლის 4 იანვარს ქ. სეულის ხელახალი აღებით დააგვირგვინეს.[3] ამის შემდეგ აღდგა სამხედრო ბალანსი კორეაში და, ძირითადად, მეომარ მხარეები 38-ე პარალელთან აკონტროლებდნენ ტერიტორიებს.[4]

კონფლიქტის ზონაში ვითარების შეცვლის შესახებ,

---

[1] თვითონ კრემლმაც, ამ დროიდან, საბჭოთა სამხედროები, განსაკუთრებით, რამდენიმე საავიაციო დივიზია მიავლინა კორეელ „ამხანაგთა" გადასარჩენად. საბჭოთა სამხედრო მრჩევლები მიავლინეს კსდრ-ს შეიარაღებული ძალების შენაერთებსა და შტაბებში. საერთო ჯამში, სსრკ-მ კორეის ომში დაკარგა 299 ადამიანი (მათ შორის 138 ოფიცერი) და 335 თვითმფრინავი (**Н. Томас, П. Эббот.** Война в Корее. *1950-1953*, გვ.46; აღსანიშნავია, რომ ამ მონოგრაფიის ინგლისურ ენოვან ვერსიაში საბჭოთა კონტრიბუციის სტატისტიკაზე ავტორები არ საუბრობენ. ეს ცნობები წიგნის რუსულენოვან თარგმანს რუსმა რედაქტორებმა დაურთეს).

[2] *История Кореи*. Новое прочтение, გვ. 340-341.

[3] 1950წ. 25 ოქტომბრიდან 4 ნოემბრამდე მიმდინარობდა ბრძოლები უნსანთან (იუნშანთან) გაერო-ს ძალებსა და კსდრ-ს არმიას შორის, რომელშიც აქტიურად მონაწილებდნენ ჩინელი „მოხალისეები". ფაქტობრივად, ჩინელთა რაოდენობის გამო, ეს უფრო ჩინეთ–გაერო-ს შეტაკება იყპ.

[4] *История Кореи*. Новое прочтение, გვ. 341.

1950წ. 6 ნოემბერს გაერო-ს უშიშროების საბჭოს მოახსენა გაერო-ს ძალების მთავარსარდალმა კორეაში გენერალმა დ. მაკარტურმა. ამერიკელი სამხედრო ჩსრ-ს მონაწილეობას აგრესიად აფასებდა და მოითხოვდა შესაბამისი ღონისძიებების გატარებას. მართლაც, უშიშროების საბჭოს ექვსმა წევრმა (მათ შორის, აშშ და დიდი ბრიტანეთი), მოითხოვა პეკინზე ზეწოლის მოხდენა, თუმცა საბჭოთა ვეტომ ჩაშალა ამ გადაწყვეტილების მიღება.

კორეის კონფლიქტში ჩსრ-ს ჩართვამ კიდევ უფრო გაამწვავა და გაართულა ამ საკითხის მოგავრება, რაც საფრთხეს უქმნიდა მშვიდობას შორეულ აღმოსავლეთში. პეკინმა, იდეოლოგიური მოკავშირის მხარდაჭერით, საკუთარი თავი საერთაშორისო საზოგადოებას დაუპირისპირა, რომელიც კორეაში მშვიდობის დამყარებას ესწრაფვოდა.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიაზე კონფლიქტის გავრცელების თავიდან ასაცილებლად, ინდოეთმა, აზიის სახლემწიფოთა სახელით, ორი რეზოლუციის პროექტი შემოიტანა. პირველი, ანუ ე.წ. *„ცამეტი სახელმწიფოს რეზოლუცია“*[1] ითვალისწინებდა სამკაციანი კომისიის შექმნას გაერო-ს გენერალური მდივნის ხელმძღვანელობით, რომელსაც უნდა შეემუშავებინა კონფლიქტის დარეგულირების მეთოდები და სამშვიდობო ხელშეკრულების საფუძვლები. მეორე პროექტს ხელს აწერდა თორმეტი სახელმწიფო (იგივე სახელმწიფოები, ფილიპინების გარდა) და ითვალისწინებდა სპეციალური კომიტეტის ფორმირებას სსრკ-ს, აშშ-ს, ჩინეთის, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, ინდოეთისა და ეგვიპტის მონაწილეობით, რომელიც იმუშავებდა შორეული აღმოსავლეთის რეგიონალური პრობლემების (მათ შორის, იგივე ჩსრ-ს დაშვება გაერო-ში, ტაივანის პრობლემა) მშვიდობიანი გადაწყვეტის საფუძვლებზე.

თორმეტი სახელმწიფოს პროექტი მიუღებელი იყო ვაშინგტონისათვის და ამიტომაც არ აწერდა ხელს მისი მო-კავ-

[1] ინდოეთი, ავღანეთი, ბირმა, ეგვიპტე, ინდონეზია, ერაყი, ირანი, იემენი, ლიბანი, პაკისტანი, საუდის არაბეთი, სირია და პალესტინა.

შირე შორეულ აღმოსავლეთში – ფილიპინები. ეს რომ ასე იყო, დადასტურდა იმითაც, რომ მხოლოდ პირველი პროექტი იქნა დამტკიცებული და, მის საფუძველზე, შეიქმნა სამკაციანი კომისია, რომელმაც ოფიციალურ პეკინთან მოლაპარაკებები გამართა. ამ პროცესზე შუამავლობა ინდოეთს დაეკისრა.

ეს მოლაპარაკებები დასრულდა 1951 წლის 22 იანვარს მაო ძედუნის მთავრობის განცხადებით იმის თაობაზე, რომ ჩინეთი მხოლოდ იმ შემთხვევაში გაიყვანდა კორეიდან „მოხალისეებს", თუკი ამ ქვეყანას უცხო შეიარაღებული ძალებიც (ბუნებრივია, იგულისხმებოდნენ, გაერო-ს ძალები) დატოვებდნენ. ამდენად, პეკინი ულტიმატუმის ტონით საუბრობდა და უარს არ ამბობდა ფხენიანისათვის სამხედრო დახმარების გაწევაზეც. შესაბამისად, გაერო-ს ამ მცდელობამ მშვიდობიანი გზით მომხდარიყო მასსა და ჩინეთს შორის კორეის კონფლიტთან დაკავშირებული დაძაბული ვითარების გამოსწორება, შედეგი ვერ გამოიღო. ამიტომ 1951წ. 1 თებერვალს, №337 (1950) რეზოლუციის (ე.წ. *„ერთიანობა მშვიდობისათვის"*)[1] საფუძველზე, გაერო-ს გენერალური ასამბლეის V სესიამ პეკინი კორეის რესპუბლიკის წინააღმდეგ მიმართული აგრესიის მონაწილედ გამოაცხადა (რეზოლუცია №498 (V)[2]; მუხლი I). მაგრამ მაო ძედუნის ჩინეთი არ იყო იმდენად სუსტი სახელმწიფო,[3] რომ

---

[1] იხ.: *337 (V). Uniting for peace*,– http://www.undemocracy.com/A-RES-377(V).pdf; დოკუმენტი მიღებულია 1950 წლის 3 ნოემბერს გაერო-ს გენერალური ასამბლეის 302-ე პლენარულ სხდომაზე აშშ-ს ინიციატივით და იქ ჩამოყალიბებულია ანტიაგრესიული კოალიციის ჩამოყალიბების ძირითადი პრინციპები.

[2] *498 (V). Intervetion of Central People's Goverment of the People's Republic of China in Korea,* გვ. 2, – http://daccess-dds-ny.un.org/doc/RESOLUTION/GEN/NR0/744/45/IMG/NR074445.pdf?OpenElement;*498 (V). Интервенция в Корее Центрального народного правительства Китайской Народной Республики*, გვ. 2,– http://daccess-dds-ny.un.org/doc/RESOLUTION/GEN/NR0/744/53/IMG/NR074453.pdf?OpenElement.

[3] 1940-იანი წლების დასაწყისისათვის ჩინეთის კომუნისტური პარტია აკონტროლებდა 500 ათასიან არმიას, ხოლო იმავე პერიოდში გომინდანის მთავრობას 4 600 ათასიანი შეიარაღებული ძალები გააჩნდა (**А. М. Родригес.** История стран Азии и Африки в новейшее время.

მისი დაშოშმინება მხოლოდ გაერო-ს გენერალური ასამბლეის რეზოლუციას მოეხდინა, მით უფრო, რომ კომუნისტური პეკინი 1949 წლის 1 ოქტომბრიდან უკვე აღარ ითვლებოდა ამ ორგანიზაციის წევრად და, აქედან გამომდინარე, არც იყო ვალდებული დამორჩილებოდა ამ ორგანიზაციას.

აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ 1951 წლის გაზაფხულზე კორეაში გაერო-ს ძალების მთავარსარდალი გენერალი დ. მაკარტური,[1] პენტაგონის ყოფილი ხელმძღვანელი ლუის ა. ჯონსონი[2] და სხვები მოითხოვდნენ, რომ აშშ-სა და გაერო-ს ძალებს შეტევა მიეტანათ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაზეც და, საჭიროების შემთხვევაში, ისინი არ გამორიცხავდნენ ბირთვული იარაღის გამოყენების შესაძლებლობასაც. თუმცა, ვაშინგტონში ყველა ასე არ ფიქრობდა. პრეზიდენტი ჰ. თრუმენი, სახელმწიფო მდივანი დ. აჩესონი და აშშ-ს თავდაცვის მინისტრი გენერალი ჯორჯ მარშალი (ეს თანამდებობა ეჭირა 1950წ. 21 სექტემბრიდან 1951წ. 12 სექტემბრის ჩათვლით) ამ გეგმას აბსურდულად მიიჩნევდნენ, რადგან ჩინეთზე თავდასხმა სსრკ-ს გამოწვევას ნიშნავდა და რეგიონალური კონფლიქტი ფართომასშტაბიან გლობალურ სამხედრო დაპირისპირებაში გადაიზრდებოდა.

სწორედ ამას გულისხმობდა აშშ-ს შტაბების მეთაურთა გაერთიანებული კომიტეტის თავმჯდომარე, არმიის გენერალი ომარ ნელსონ ბრედლი (ამ თანამდებობაზე იყო 1949წ. 19 აგვისტოდან 1953წ. 15 აგვისტოს ჩათვლით), როცა ამბობდა, რომ, თუ ეს გეგმა განხორციელდებოდა, მაშინ აშშ ჩაებმებოდა *„არა იმ ომში, არა იმ ადგილას, არა იმ მომენტში და არა იმ მოწინააღმდეგესთან“*.[3]

Учебник для ВУЗ-ов. М., 2009, გვ. 217-218). რა თქმა უნდა, ტაივანზე გახიზვნის შემდეგ, მის ჯარისკაცთა მნიშვნელოვანი ნაწილი ახალი ხელისუფლების სამსხურში ჩადგებოდა. შესაბამისად, კომუნისტური ჩინეთი საკმაოდ მნიშვნელოვანი სამხედრო ძალის მფლობელი იყო.

[1] ამგვარი პოზიციების გამო, დ. მაკარტურმა თანამდებობა დაკარგა.

[2] ჰ. თრუმენის ადმინისტრაციის მეორე თავდაცვის მინისტრი, 28.03.1949-19.09.1950.

[3] *История внешней политики СССР.* В 2-х томах. Т. 2. М., 1986, გვ. 153.

კორეის კონფლიქტის მოგვარება გაერთიანებული ერების ორგანიზაციისათვის ერთ-ერთი რთული საკითხი გახდა, მით უფრო, რომ პირველივე შესაძლებლობიდან სამშვიდობო პროცესები ჩიხში მოექცა. უფრო მეტიც, შეიქმნა საფრთხე საომარი მოქმედებების ჩინეთის ტერიტორიაზე გადატანისა, მით უფრო ეს დიდი საფრხის შემცველი იყო, რომ 1950 წლიდან აშშ-ს სამხედრო ფლოტი ჩსრ-ს სანაპიროსთან პატრულირებდა და კ. ტაივანის უსაფრთხოებას უზრუნველყოფდა. ამდენად, ოფიციალური პეკინის ჩარევამ, რომელსაც ზურგს სსრკ უმაგრებდა, განაპირობა ამ კონფლქტის მშვიდობიანი მოწესრიგების საკითხის ფაქტობრივი ბლოკირება.

ვინაიდან, გაერო-ს ძალების დიდ ნაწილს შეერთებული შტატების სამხედროები შეადგენდნენ, ამიტომ, ბუნებრივია, ამ პროცესებზე გარკვეულ გავლენას მოახდენდა აშშ-ს მო-სახლეობის დამოკიდებულება. თავიდანვე ამერიკელებმა ხე-ლისუფლებას მხარდაჭერა გამოუცხადეს ამ საკითხში, რადგან გასული საუკუნის 50-იანი წლების დასაწყისში კომუნიზმის გავრცელების პრობლემა ფაშიზმზე არანაკლებ საფრთხედ მიაჩნდათ აშშ-ში.[1]

თუმცა, ომის გაჭიანურებამ გარკვეული გავლენა მოახდინა ამ დამოკიდებულების მიმართ და მოსახლეობაში გაჩნდა უარყოფითი და კრიტიკული თვალსაზრისებიც კორეის კონფლიქტთან დაკავშირებით, რამაც გამოხატვა ჰპოვა 1952 წლის საპრეზიდენტო არჩევნების კამპანიაზეც. იმ წელს პრეზიდენტად აირჩიეს რესპუბლიკური პარტიის ლიდერი, II მსოფლიო ომის დროს ევროპაში მოკავშირეთა ჯარების მთავარსარდალი, გენერალი დუაიტ ეიზენჰაუერი,[2] რომლის ერთ-ერთ წინასაარჩევნო პირობას კორეიდან ჯარების გამოყვანა წარმოადგენდა.[3] გენერალს მშვენივრად ესმოდა, რომ ბირთვულ ეპოქაში

---

[1] **Н. В. Сивачёв, Е. Ф. Язьков.** Новейшая история США. М., 1972, გვ. 196.

[2] *Dwight David "Ike" Eisenhower* – აშშ-ს 34-ე პრეზიდენტი, 1953-1961წწ.

[3] **Ст. Амброз.** Эйзенхауэр: *солдат и президент.* М., 1993, გვ. 196.

კონფლიქტის გამწვავება რთული შედეგების მომტანი იყო.[1]

ერთ-ერთი მიზეზი კორეის კონფლიქტისადმი აშშ-ს მოსახლეობის უარყოფითი დამოკიდებულებისა ეკონომიკური ხასიათისა იყო. კერძოდ, ამ კონფლიქტში ჩართულობამ განაპირობა შეერთებული შტატების სახელმწიფო ბიუჯეტში სამხედრო ხარჯების გაზრდა 14%-მდე.

მალე მოსკოვშიც აღიქვეს, რომ კორეაში ომის გაგრძელება საბჭოთა კავშირისათვისაც გარკვეული სირთულეების მომტანი იყო.[2] 1953 წელს, რამოდენიმე თვეში ვაშინგტონში ადმინისტრაციის შეცვლიდან, კრემლს ახალი „პატრონი"გამოუჩნდა – ნ. ს. ხრუშჩოვი. მართალია, არც დ. ეიზენჰაუერი და არც ახალი საბჭჭოთა ლიდერი არ გამოხატავდნენ ერთმანეთისადმი სიპათიებს, მაგრამ არც ერთ მათგანს არ ურდა კორეის ომის „ჭაობში" უფრო ღრმად ჩაფლობა.

ამ ახალმა მოცმულობამ, ბუნებრივია, გავლენა იქონია კორეის პრობლემის შემდგომ განვითარებაზეც. 1953 წლის II ნახევრისათვის იქ გარკვეული სტატუს-ქვო ჩამოყალიბდა: ამ დროისათვის კსდრ-ს არმია აკონტროლებდა 38-ე პარალელის 145 კილომეტრიან უბანსა და ამ ზოლის სამხრეთით და მდებარე 3 630კმ^2 ფართობის ტერიტორიას, ხოლო გაერო-ს ძალებს კი – 38-ე პარალელის 165 კმ-იანი უბანი და ჩრდილოეთ კორეის ტერიტორიაზე 4 630 კმ^2 ფართობი.[3]

როგორც ვხედავთ, ოფიციალური ფხენიანის პოზიციები უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც ჩამორჩებოდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამხედრო კონტინგენტის მიერ კონტროლირებად ტერიტორიებს. საერთაშორისო ძალების წარმატება შთამბეჭდავი იყო იმისათვის, რომ ჯერ კიდევ 1951 წლის 10 ივლისს ქ. კეისონში კონფლიქტში მონაწილე მხარეებს შორის დაწყებული მოლაპარაკებები აქტიურად წარმართულიყო და 1953წ. 27 ივლისს ქ. პანმინჩჟონში სამშვიდობო ხელშეკრულების გაფორმებით დასრულებულიყო.

თუმცა, კორეის კონფლიქტის საბოლოო „მოწესრიგება"

---

[1] **Ст. Амброз.** Эйзенхауэр: *солдат и президент*, გვ. 196.

[2] **Н. Бажанова.** Самая загадочная война XX столетия, გვ. 31.

[3] *Международные отношения..,* Т. 2, გვ. 427.

(უფრო სწორედ კი, დაკონსერვება, რადგან პრობლემა დღესაც კი არ არის გადაჭრილი) 1954 წლის აპრილში ჟენევის კონფერენციაზე მოხერხდა.

ამრიგად, გაერო-მ შეძლო კომუნისტური კორეის მიერ კორეის რესპუბლიკის ოკუპაციის აღკვეთა.[1] ამით მან პროგრესული როლი შეასრულა, რადგან წინ აღუდგა და, თავისი აქტიური ჩარევით, შეაჩერა აგრესია დამოუკიდებელი სახელმწიფოს წინააღმდეგ. თუმცა, კონფლიქტში ჩსრ-სა და სსრკ-ს ჩარევა ხელს უშლიდა გაერო-ს სამშვიდობო პროცესების მიმდინარეობას. ამასთან ერთად, ვერ გავიზიარებთ მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ კორეაში სამხედრო ოპერაციებს ახორციელებდა აშშ და არა – გაერო. მიუხედავად იმისა, რომ იქ მოქმედ საერთაშორისო ძალების ნახევარს ამერიკელი სამხედროები შეადგენდნენ, ის მაინც გაერო-ს სამხედრო ნაწილებად უნდა მივიჩნიოთ, რადგან მისი სათანადო ქმედებები სწორედ ამ ორგანიზაციის მიერ იყო ნებადართული.

[1] საბოლოოდ, ამ კონფლიქტში გაერო-ს ძალებმა მძიმე დანაკარგი ნახეს: დაიღუპა 118 115 ადამიანი, დაიჭრა – 264 591, ტყვედ ჩავარდა – 92 987, რომელთა დიდი ნაწილი შიმშილისა და წამების შედეგად გარდაიცვალა (*Участие СССР, США и Китая в Корейской войне. Роль ООН*, – http://www.coldwar.ru/conflicts/korea/corean3.php).

THE KOREAN WAR (1950-1953) AND THE UNITED NATIONS

In June of 1950 appeared a new seat of tension: Communist North Korea with support of People's Republic of China and the USSR begun aggression against the South Korea. In the archival sources, we see the aggression had been preparing during some period between North Korea, the USSR and PRC. Firstly, Moscow was against the war in Korea Peninsula. But when the USSR got a nuclear bomb at the end of August of 1949 and establishment of new communist country in the Far East - the PRC (October 1, 1949). After these processes, J. Stalin agreed with Kim Il-sung (the leader of Democratic People's Republic of Korea). Soon after the begin of the war The USA had initiated discussion the problem of Korea in the Uited Nations Security Council that directed to conflict zone UN Forces. They were formed by militaries of 16 countries but the most part of them were US soldiers. The Commander in Chief of was the US General Douglas McArthur. That is why we think the Forces had a legitimate right for their military actions in Korea. Therefore Soviet propaganda called the UN Forces as the US Army. The USSR's unconstructive position in the UN's SC, its and Communist Chinese's aid to Communist Korean aggressors having been prejudiced the success of the problem during 3 years. We can notice that finally the UN had played progressive role in Korean War because it could stop North Korean aggression and kept the sovereignty and independence of Republic of Korea (South Korea).

ისრაელისა და არაბების IV ომი: *გაერო „თამაშგარე მდგომარეობაში“*

1973 წლის ოქტომბრის ომს ისრაელსა და არაბებს (ძირითადად, ეგვიპტე და სირია) შორის[1] მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის ისტორიაში. ამ ომმა წერტილი დაუსვა ისრაელის ტერიტორიულ ექსპანსიას[2] მეზობელი არაბული სახელმწიფოების მიმართ, რომელიც

---

[1] ისრაელ-არაბების კონფლიქტში ოთხ მსხვილმასშტაბიან ომს არჩევენ: 1) 1948-1949 წ.წ; რომელიც დასავლურ ისტორიოგრაფიაში ცნობილია როგორც „ისრაელის ომი დამოუკიდებლობისათვის“, ხოლო საბჭოთა და არაბულ ისტორიოგრაფიაში კი - „ისრაელის აგრესია არაბების წინააღმდეგ“; 2) 1956 წლის „სუეცის კრიზისი“; 3) 1967 წლის „ექვსდღიანი ომო“; 4) 1973 წლის ოქტომბრის ომი, რომელიც ისტორიოგრაფიაში „იომ-ქიფურის“ (ან, უბრალოდ, *„ქიფურის“*) ომითაც არის ცნობილი (ამ ომების სამხედრო და დიპლომატიური პერიპეტიების შესახებ დაწვრ. იხ.: **ხ. ჰერცოგი.** ისრაელ-არაბების ომები. თარგმანი *ლელა ფიროსმანიშვილისა* და *ქეთი ქანთარიასი.* თბ., 2007; **ა. რაბინოვიჩი.** ქიფურის ომი. თარგმანი *არჩილ ახალკაციშვილისა, რატი ჭკადუასი* და *ნათია ნადირაძისა.* თბ., 2007).

[2] პირველი სამი ომის დროს ისრაელი წარმატებას აღწევს და, შესაბამისად, იპყრობს არაბულ ტერიტორიებს. ამ მხრივ, განსაკუთრებით აღსანიშნავია „ექვსდღიანი ომი“, როცა ისრაელმა დაიკავა ღაზის სექტორი, სინაის ნ/კ. (ეგვიპტე), მდ.იორდანეს დასავლეთ ნაპირი და აღმოსავლეთ იერუსალიმი (იორდანია), გოლანის სიმაღლეები (სირია). ოკუპირებული ტერიტორიების ფართობი 70 000 კმ^2-ს აღწევდა, მაშინ, როცა ისრაელის ფართობი გაეროს მიერ დადგენილ საზღვრებში (გაერო-ს გენერალური ასამბლეის II სესიის რეზოლუცია №181) იყო 14,1 ათასი კმ^2, — *XVII. Resolution Adopted on the Report Ad Hoc Commitee on the Palestinian Question.* 181 (II) Future goverment of Palestine, — http://daccess-dds-ny.un.org/doc/RESOLUTION/GEN/NR0/038/88/IMG/NR003888.pdf?OpenElement; XVII. Резолюция, принятая специальной (*Ad Hoc*) комиссии по вопросам Палестины. 181 (II) Будущее правительство Палестины, — http://daccess-dds-ny.un.org/doc/RESOLUTION/GEN/NR0/040/42/IMG/NR004042.pdf?OpenElement; *ქართული საბჭოთა ენციკლოპედია.* ტ. 5. თბ., 1980, გვ. 235, 238.

გამოიხატა არა იმდენად სამხედრო ძლიერებაში, რამდენადაც ეკონომიკურ პოტენციალში. კერძოდ, მათ წარმატებით გამოიყენეს ნავთობის „კოზირი“. არაბების მიერ შემოღებულმა ემბარგომ ნავთობზე აიძულა დაზარალებული ევროპის ეკონომიკური კავშირის წევრი-სახელმწიფოები, ეზრუნათ ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის მოწესრიგებაზე და, ამდენად, მხარი დაეჭირათ არაბებისათვის. ოქტომბრის ომი საინტერესოა იმ მხრივაც, რომ გაერო, აშშ-ს დიპლომატიის მეცადინეობით, ფაქტობრივად, გამოეთიშა ამ კონფლიქტს და ახლო აღმოსავლეთის პრობლემის ერთ-ერთი რთული საკითხის (ისრაელისა და ეგვიპტის შერიგება) მოგვარება მოხდა, სწორედ, ვაშინგტონის „ფრთებქვეშ“.

ამ პოლიტიკის შორს მიმავალი მიზანი იყო არაბულ სამყაროში საბჭოთა კავშირის პოზიციების შესუსტება. ცნობილია, რომ ახლო აღმოსავლეთის „ცივი ომის“ გლობალური დაპირისპირების პირობებში მნიშვნელოვანი როლი ეჭირა აშშ-ს გეოპოლიტიკაში. როგორც პრეზიდენტი რიჩარდ ნიქსონი[1] აღნიშნავდა: „ახლო აღმოსავლეთი ჭიშკარია აფრიკაში, ჭიშკარია ხმელთაშუა ზღვაში. იგი NATO-ს ღერძია და, აგრეთვე, ჭიშკარია, რომელსაც სუეცის არხის მეშვეობით შევყავართ სამხრეთში — ინდოეთის ოკეანეში“.[2] ამასთან

[1] *Richard Milhous Nixon,* – აშშ-ს 37-ე პრეზიდენტი, 1969-1974წწ.; ის ერთადერთი პრეზიდენტია აშშ-ს ისტორიაში, რომელმაც ვადამდე ადრე გადაგა თანამდებობიდან. საქმე ეხებოდა ე.წ „უოთერგეიტის“სკანდალს, რისთვისც მას იმპიჩმენტის საშიშროება ემუქრებოდა.

[2] *The Departament of State.* Bulletin. Wash., 1970, July, 27, გვ. 113; **Ю.**

ერთად, ვაშინგტონი დაინტერესებული იყო ახლო აღმოსავლეთის ნავთობით, რომლოს რაოდენობა მსოფლიოს მარაგის 2/3-ს შეადგენს, ხოლო თვითღირებულება კი დაბალია. მის მოპოვებას, ძირითადად, ამერიკული კომპანიები ეწეოდნენ[1].

„ექვსდღიანი ომიდან“ მოყოლებული გაერო-ში არ შეწყვეტილა მუშაობა ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის დარეგულირებზე, თუმცა პროგრესი არ შეიმჩნეოდა, რადგან ორივე მხარე სამშვიდობო მოლაპარაკებაზე მაშინ აპირებდა წასვლას, თუ მისი პირობები და მოთხოვნები იქნებოდა დაკმაყოფილებული: არაბები (ეგვიპტის პრეზიდენტ გამალ აბდელ ნასერის გავლენით) მოითხოვდნენ ისრაელის მხრიდან ოკუპირებული ტერიტორიების უპირობოდ გათავისუფლებას და გაერო-ს უშიშროების საბჭოს №242 (1967) რეზოლუციის[2] შესრულებას, ხოლო ისრაელი კი ითხოვდა ყოველ დაინტერესებულ არაბულ სახელმწიფოსთან უშუალო მოლაპარაკებას და თავის მხრივ აღნიშნავდა, რომ ზემოაღნიშნული დოკუმენტის არათუ შესრულებას, არამედ ცნობასაც არ აპირებდა. ამდენად, ორი უკიდურესობის შერწყმა-შეხამება მაშინ, როცა საუბარი კომპრომისებზე არ იყო, შეუძლებელი იყო.

მაგრამ, 1970 წლის 22 სექტემბერს მოულოდნელად გარდაიცვალა გამალ აბდელ ნასერი და ხელისუფლების სათავეში მოვიდა პროდასავლური ორიენტაციის ვიცე-პრეზიდენტი ანვარ ელ სადათი. იგი მიიჩნევდა, რომ დასავლეთთან (კერძოდ — აშშ) ურთიერთობის გაუმჯობესებით შესაძლებელი გახდე-

---

А. Панцырев. Укрепление всеобщего мира и ООН. *70-е годы.* М., 1989, გვ. 127.

[1] *The US News and World Report.* Vol CXV. 1968, №№ 14, გვ. 59; **Ю. А. Панцырев.** Укрепление всеобщего мира и ООН. *70-е годы*, გვ. 126.

[2] *Resolution 242 (1967) of 22 November 1967,* – http://daccess-dds-ny.un.org/doc/RESOLUTION/GEN/NR0/240/94/IMG/NR024094.pdf?OpenElement; *Резолюция 242 (1967) от 22 ноября 1967 года,* – http://daccess-dds-ny.un.org/doc/RESOLUTION/GEN/NR0/241/18/IMG/NR024118.pdf?OpenElement.

ბოდა რეგიონში გართულებული საერთაშორისო ვითარების და უპირველესად — ისრაელ-ეგვიპტის ურთიერთობების დარეგულირება. როგორც ცნობილი ეგვიპტელი ჟურნალისტი, პრეზიდენტ ნასერის მეგობარი, მ. ჰეიკალი თავის მემუარებში წერს, ხელისუფლებაში მოსვლიდან თვენახევრის შემდეგ, ა. სადათმა საუდის არაბეთის მეფის ერთ-ერთი ნათესავის მეშვეობით, აშშ-ს ხელისუფლებას შეატყობინა, თუ ვაშინგტონი მას ეგვიპტიდან ისრაელის ჯარების ევაკუაციაში დაეხმარებოდა, მაშინ იგი კავშირ გაწყვეტდა საბჭოთა კავშირთან.[1] სადათმა ქვეყანაში წამოიწყო პოლიტიკური და ეკონომიკური ხასიათის რეფორმების (*„ინფიტაჰ“ – „ღია კარები“*) გატარება (1971 წლის ზაფხული), რომელმაც ხელი შეუწყო ეგვიპტის შემდგომ პროგრესს.

ცნობილი ებრაელი სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწის, ხაიმ ჰერცოგის სავსებით სამართლიანი შეფასებით, „ექვსდღიანი ომის“ დროულმა მოუგვარებლობამ განაპირობა „იომ-ქიფურის ომის“ წარმოშობაც და ამ საკითხის გადაჭრა ა. სადათმა იკისრა.[2]

რა თქმა უნდა, ა. სადათი მართალი იყო, როგორც ნასერის პოლიტიკური კურსის რევიზიას ახდენდა და ანგრევდა „ბარიერებს“ აშშ-სა და ეგვიპტეს შორის, მაგრამ რეგიონში საკუთარი ინტერესების მქონე მეორე დიდი სახელმწიფოს (სსრკ) უგულებელყოფა კიდევ უფრო ზრდიდა არსებულ „ბარიერებს“. მით უფრო, რომ აღნიშნულ პერიოდში კიდევ უფრო ძლიერდებიამ მემარცხენე ძალები ახლო აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ აფრიკაში. აქედან გამომდინარე, სადათის პოლიტიკა არ იყო ბოლომდე გათვლილი. მართალია, იგი ცდილობდა ერთგვარად დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის ლავირების პოლიტიკა გაეტარებინა, მაგრამ, ჩვენი აზრით, ეს „ლავირების პოლიტიკა“ სხვა არა იყო, თუ არა შირმა, რომელსაც ამოფარებული სადათი თავის პოლიტიკას ახორციელებდა. 19672 წლის 7 მაისს ეგვიპტის ლიდერმა შეწყვიტა სამხედრო თანამ-

---

[1] **M. Heikal.** The Road to Romandan. New York, 1975, გვ. 118; *Советский Союз и Организация Объединенных Наций (1971-1975*). М., 1981, გვ. 51.
[2] **ხ. ჰერცოგი.** ისრაელ-არაბების ომები, გვ. 349.

შრომლობა მოსკოვთან.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის სპეციალურმა წარმომადგენელმა ახლო აღმოსავლეთში გუნარ იარინგმა[1] სცადა ამ მდგომარეობის გამოყენება. მან ეგვიპტესა და ისრაელს მოსთხოვა, რომ მათ ერთდროულად ეკისრათ შემდეგი ვალდებულებები: ისრაელს — ჯარების ევაკუაცია სინაიდან, ხოლო ეგვიპტეს — ხელი მოეწერა სამშვიდობო ხელშეკრულებაზე. კაირომ თანხმობა განაცხადა, მაგრამ იერუსალიმიდან[2] კი უარყოფითი პასუხი მოვიდა (1971 წლის

---

[1] *Gunnar Jarring,* – შვედი დიპლომატი და თურქოლოგი, 12.10.1907-29.05.2002.

[2] გაერო-ს გენერალური ასამბლეის II სესიის №181 რეზოლუციის საფუძველზე, ისრაელის დედაქალაქად არჩეულ იქნა ქ. თელ-ავივი, ხოლო ქ. იერუსალიმი გამოიყო დამოუკიდებელ ერთეულად გაერო-ს დაქვემდებარებაში (*XVII. Resolution Adopted on the Report Ad Hoc Commitee on the Palestinian Question.* 181 (II) Future goverment of Palestine, — http://daccess-dds-ny.un.org/doc/RESOLUTION/GEN/NR0/038/88/IMG/NR003888.pdf?OpenElement; *XVII. Резолюция, принятая специальной (Ad Hoc) комиссии по вопросам Палестины.* 181 (II) Будущее правительство Палестины, — http://daccess-dds-ny.un.org/doc/RESOLUTION/GEN/NR0/040/42/IMG/NR004042.pdf?OpenElement). 1948-1949 წლების ომის დროს ისრაელმა დაიკავა დასავლეთ იერუსალიმი, ხოლო ქალაქის აღმოსავლეთ ნაწილი იორდანიას გადაეცა. 1950 წლის იანვარში დასავლეთ იერუსალიმი ისრაელის დედაქალაქად გამოცხადდა. თელ-ავივიდან აქეთ გადმოვიდა მთავრობა და პარლამენტი (ქნესეთი). გაერო-ს უშიშროების საბჭოს წევრ-სახელმწიფოებმა არ სცნეს ეს ფაქტი. „ექვსდღიანი ომის“ დროს ისრაელმა იერუსალიმის აღმოსავლეთ ნაწილიც დაიკავა. მთავრობის დადგენილებით, იერუსალიმი ერთიან ქალაქად და ისრაელის დედაქალაქად გამოცხადდა (ამჯერად, უკვე მთლიანი სახით). გაერო-ს გენერალურმა ასამბლეამ 1967 წლის 4 და 14 ივლისის რეზოლუციებით ისრაელის მთავრობის აღნიშნული დადგენილების გაუქმება მოითხოვა (იხ: *Советский Союз и Организация Объединенных Нации (1966-1970гг)*, გვ. 144-145). მართალია, ისრაელმა საერთაშორისო ნორმების დარღვევით გამოაცხადდა იერუსალიმი დედაქალაქად, მაგრამ არც გაერო-ს გენერალური ასამბლეის II სერიის ზემოხსენებული გადაწყვეტილება

26 თებერვალი). ამდენად, გ. იარინგის მისია, ფაქტობრივად, ჩაიფუშა.

უშედეგო აღმოჩნდა აშშ-ს, სსრკ-ს, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის კონსულტაციები (ქ. ნიუ-იორკი, 1977 წლის დასაწყისი) აღნიშნულ საკითხებზე. მოსკოვის გეგმით, საჭირო იყო კონფლიქტის ზონაში გაერო-ს ძალების შეყვანა, ხოლო ოთხივე სახელმწიფო რეგიონში მშვიდობის გარანტები იქნებოდნენ. როგორც ვხედავთ, ეს იყო რეალური სამშვიდობო პროცესის დაწყების საფუძველი. მაგრამ ამ გეგმის წინააღმდეგ გამოვიდა აშშ, რომელიც ცდილობდა ახლო აღმოსავლეთში სსრკ-ს გავლენის აღკვეთას და, პირიქით, საკუთარი პოზიციების განმტკიცებას ისრაელის მეშვეობით. ამ მიზნით, ვაშინგტონი ეგვიპტის მიმხრობას ცდილობდა.[1]

1971 წლის მარტში აშშ-მ კონსულტაციებზე ერთგვარი „ტაიმ-აუტი“ აიღო საკითხის უფრო ღრმად შესასწავლად და შესაბამისი ზომების მისაღებად. ხოლო იმავე წლის სექტემბერში, რ. ნიქსონის ადმინისტრაციამ გაარკვია ა. სადათის პოლიტიკური კურსი და როცა შეიძლებოდა ბრძოლა კონფლიქტის დარეგულირებისათვის აშშ-ს ინტერესების შეულახავად, ვაშინგტონმა შეწყვიტა აღნიშნულ კონსულტაციებში მონაწილეობა. როგორც ვხედავთ, აშშ ცალმხრივად კისრულობდა ახლო აღმოსავლეთის პრობლემის მოგვარებას. ამ საკითხში ასეთი დიდი პასუხისმგებლობის აღება ვაშინგტონისთვის, უდავოდ, დიდი შეცდომა იყო. როგორც სამართლიანად აფასებს რ.

მიგვაჩნია სამართლიანად ამ ქალაქის სტატუსთან დაკავშირებით. იერუსალიმის დატოვება ისრაელის საზღვრებს გარეთ (თუნდაც დროებით) უდავოდ შეცდომა იყო. ეს ქალაქი ერთნაირად წმინდაა იუდეველთათვის, ქრისტიანთათვის და მუსლიმთათვის, მაგრამ იერუსალიმი, უწინარეს ყოვლისა, მაინც ებრაელთა ქალაქია და მისი გამოცხადება ქვეყნის დედაქალაქად ისტორიული სამართლიანობის აღდგენად მიგვაჩნია.

[1] **H. Kissinger.** White House Years. Boston, 1979, გვ. 1291; **А. А. Кокошин. С. М. Рогов.** Серые Кардиналы Белого дома. М., 1986, გვ. 245.

მედვედკო,[1] აშშ-მ ვერ გათვალა ორი რამ: 1) სსრკ-ს მაღალი ავტორიტეტი არაბულ სამყაროში (სსრკ-არაბების ურთიერთთანამშრომლობა ამ პერიოდში აღმავალი ხაზით ვითარდება); 2) არაბულ სახელმწიფოთა სოლიდარობა (ა. სადათის პოლიტიკა ჯერ კიდევ არ ნიშნავდა ანტიისრაელური არაბული ფრონტის გათიშვას).

აშშ აგრძელებს პროისრაელური პოლიტიკის გატარებას. ამით დაიმედებული გოლდა მეირის კაბინეტი (რომელიც დარწმუნდა იმაში, რომ ა. სადათი ისრაელთან სეპარატული მოლაპარაკების წინააღმდეგი არ იყო) კვლავ ჯიუტად იდგა თავის პოზიციაზე და არ აპირებდა სერიოზული ნაბიჯების გადადგმას ისრაელ-ეგვიპტის ურთიერთობების ოდნავ მაინც გასაუმჯობესებლად. ეგვიპტის ახალ ხელისუფლებაზე დაკვირვებამ საშუალება მისცა ისრაელს ერთგვარად შეესუსტებინა თავისი ყურადღება კაიროს მიმართ და ეფიქრა სირიასა და ლიბანზე, სადაც ანტიისრაელური ძალების კონსოლიდაცია მიმდინარეობდა. ამ ძალთა ბირთვს პალესტინელი არაბები შეადგენდნენ, რომლებმაც 1964 წელს დაარსეს საკუთარი პოლიტიკური ორგანიზაცია — პალესტინის გათავისუფლების ორგანიზაცია *(პალგაო)*,[2] რომლის მთავარ სამოქმედო დოკუმენტში — ე. წ. „პალესტინური ქარტია“[3] — აღნიშნული იყო, რომ პალესტინელთა ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია ისრაელის — როგორც სახელმწიფოს – განადგურება.[4]

1969 წლის 1-4 თებერვალს კაიროში ჩატარებულ პალესტინის ეროვნული საბჭოს IV სესიაზე შეიქმნა პალესტინის წინააღმდეგობის მოძრაობის ცენტრალური საბჭო,

---

[1] **Л. И. Медведко.** Этот Ближний бурлящий Восток. *Документальное повествование.* М., გვ. 152.

[2]აბრევიატურა ჩვენია — **კ.კ.**

[3] *The Palestine National Charter* (July 17, 1968), — http://www.jewishvirtuallibrary.org/jsource/Peace/PLO_Covenant.html.

[4] ეს პუნქტი 1997 წელს გაუქმდა.

რომლის ხელმძღვანელად აირჩიეს იასირ არაფატი. აქტიურად დაიწყო პალესტინელთა ეროვნული დაუმორჩილებლობა *(„ინტიფადა“)*, რომლის მიზანი იყო პალესტინის არაბული სახელმწიფოს შექმნა, ანუ გაერო-ს გენერალური ასამბლეის მიერ 1947 წლის 29 ნოემბერს მიღებული 181-ე რეზოლუციის შესრულება. პალესტინელები აწყობდნენ ტერორისტულ აქტებს,[1] პარტიზანულ თავდასხმებს ებრაელთა ახალშენებზე, რომელთა შექმნას დაპყრობილ არაბულ ტერიტორიებზე აქტიურად უწყობდა ხელს ისრაელის მთავრობა. ამ „მცოცავი ანექსიის“ მიზანი იყო არაბული მიწა-წყლის ათვისება, რაც, მათი აზრით, დაამტკიცებდა ამ მიწებზე ისრაელის სუვერენიტეტს და ხელს შეუშლიდა (ან სულაც უარს ათქმევინებდა) პალესტინელთა ლტოლვას მშობლიურ კუთხეში დაბრუნებაზე.

მთელი 1973 წლის მანძილზე (ოქტომბრის ომამდე) მიმდინარეობდა ლოკალური ხასიათის მცირე მასშტაბის ომები ისრაელ-სირიისა და ისრაელ-ლიბანის საზღვრებზე. გაერო-ს უშიშროების საბჭომ ვერ შეძლო რაიმე ეფექტური ზომების მიღება აღნიშნულ მოვლენათა აღსაკვეთად. სიტუაცია დღითიდღე მწვავდებოდა.

1967 წლის შემდგომ შექმნილი სტატუს-ქვო ძალაში რჩებოდა. არავითარი ძვრები არ შეინიშნებოდა. ა. სადათი იძულებული გახდა, გადაესინჯა თავისი პოლიტიკა. იგი მიხვდა, რომ მიუხედავად მის მიერ გატარებული პროამერიკული კურსისა, აშშ არ აპირებს მისთვის რაიმე სერიოზული დახმარების აღმოჩენას სინაიზე ეგვიპტის სუვერენიტეტის აღდგენის საქმეში. ამავე დროს, იზრდებოდა ეგვიპტელთა უკმაყოფილება სადათის პოლიტიკით. ნასერის პოლიტიკის „შეწირვამ“ ვერ გააუმჯობესა შექმნილი პოლიტიკური სიტუაცია და ვერ მოხერხდა დაკარგული ტერიტორიების დაბრუნება.

1973 წლის 24-25 თებერვალს გამართულ საიდუმლო მოლაპარაკებებზე აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა ჰენრი კისინჯერმა ა. სადათის[2] წარმომადგენელს ჰაფეზ ისმაილს პირდაპირ მიან-

---

[1] ბრძოლის ასეთმა მეთოდმა დასცა პალგაო-ს საერთაშორისო პრესტიჟი.

[2] როგორც ა. რაბინოვიჩი წერს, ჰ. კისინჯერი და ა. სადათი პატივს

იშნა, რომ ისრაელ-ეგვიპტის პრობლემის მოგვარება შესაძლებელი გახდება ეგვიპტის მხრიდან ახალი დათმობების („პოლიტიკური და ტერიტორიალური“) საფუძველზე, წინააღმდეგ შემთხვევაში, ისრაელი არ მიიჩნევდა, რომ გარანტირებული იქნებოდა. მისი უსაფრთხოება.[1]

უნდა აღინიშნოს, რომ ჰ. კისინჯერს ისრაელის პრემიერ-მინისტრი გ. მეირი უწოდებდა *„ჩვენს კაცს თეთრ სახლში“*, თუმცა ეს არ ნიშნავდა იმას, რომ იგი „ისრაელის ელჩი“ იყო აშშ-ში. კისინჯერი, უპირველეს ყოვლისა, ვაშინგტონის ინტერესებს იცავდა და ისრაელი მას მხოლოდ ამ ჭრილში აინტერესებდა. იგი იბრძოდა ახლო აღმოსავლეთში იერუსალიმის პოზიციების გამტკიცებისთვის იმიტომ, რომ შემდგომ გაძლიერებული ისრაელის მეშვეობით გაემყარებინა რეგიონში აშშ-ს მდგომარეობა. როგორც ებრაელი მკვლევარი ა. რაბინოვიჩი ადასტურებს, ჰ. კისინჯერისათვის უცხო არ იყო ისრაელისათვისაც წაეყენებინა ულტიმატუმებიდ აკატეგორიული მოთხოვნები.[2]

ჰ. კისინჯერმა ახლო აღმოსავლეთის პრობლემის მოგვარების მიზნით შეიმუშავა „ნაბიჯ-ნაბიჯ ნაწილობრივი შეთანხმების“ პოლიტიკა,[3] რომელიც ეფუძნებოდა ორმხრივ მოლაპარაკებებს ისრაელსა და არაბებს შორის და დათმობებისა და შეთანხმების გზით კომპრომისული გადაწყვეტილებების

სცემდნენ ერთმანეთის გამჭრიახობასა და შორსმჭვრეტელობას და ორივე ნდობის ღირსად მიაჩნდა მოწინააღმდეგე მხარე

[1] **Л. И. Медведко.** Этот Ближный бурлящий Восток. *Документальное повествование*, გვ. 149.

[2] **ა. რაბინოვიჩი.** ქიფურის ომი, გვ. 677.

[3] **А. А. Кокошин. С. М. Рогов.** Серые Кардиналы Белого дома, გვ. 242-243.

მიღწევას.

როგორც ჩანს, ა. სადათმა მიიჩნია, რომ მას უკვე აღარ შეეძლო დათმობათა მეტი „დოზის“ გაცემა და გადაწყვიტა აქტიური სამხედრო მოქმედებების განხორციელება. მით უფრო, რომ ამისათვის საბაბი ძნელი მოსაძებნი არ იყო. მას მხოლოდ უნდა გაეხსენებინა სირისაადმი მოკავშირის ვალდებულებები.

ოქტომბრის ომის წინა პერიოდში მოხერხდა კაიროსა და დამასკოს შორის ისრაელის წინააღმდეგ ერთობლივი სამხედრო აქციების დაწყების დროის შეთანხმება. ასეთ დღედ მათ მიიჩნიეს 1973 წლის 6 ოქტომბერი. ამ თარიღის განსაზღვრაში მთავარი როლი შეასრულა ებრაელთა რელიგიურმა დღესასწაულმა „იომ-ქიფურ“ („განკითხვის ჟამი“), რომელიც იმ წელიწადს, სწორედ, 6 ოქტომბერს ემთხვეოდა. „იომ-ქიფურის“ დროს ყოველი იუდეველი ვალდებულია ათი დღე მძიმე მარხვასა და ლოცვებში გაატაროს და ამ დროის მანძილზე არავის აქვს იარაღის ტარების უფლება, არაბი ლიდერები ფიქრობდნენ, რომ ეს რელიგიური დღესასწაული მათ უფრო მეტ საშუალებას მისცემდა „მოულოდნელობის ეფექტის“ სრულყოფილად გამოსაყენებლად. ამასთან ერთად, ოქტომბრის თვეში სუეცის არხში, რომელიც 1967 წლიდან მოყოლებული საზღვრად იქცა ისრაელსა და ეგვიპტეს შორის, წყლის ხელსაყრელი მიქცევა და დინებებიც ემთხვეოდა, რასაც ეგვიპტის არმიის შეტევისთვის ხელი უნდა შეეწყო.[1]

ა. სადათმა საკმაოდ მოხერხებულად აწარმოა წინასაომარი სამხედრო და დიპლომატიური მზადება. ეს იმდენად დახვეწულად იყო გაკეთებული, რომ ისრაელისა და აშშ-ს სადაზვერვო სამსახურებმა ეჭვიც კი ვერ შეიტანეს ვერაფერში.[2] მართალია, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მცირე შეტაკებებს

---

[1] **ხ. ჰერცოგი.** ისრაელ-არაბების ომები, გვ. 353.

[2] **ხ. ჰერცოგი.** ისრაელ-არაბების ომები, გვ. 349; თუმცა, მიმდინარე პროცესებზე განსხვავებული შეხედულება ჰქონდა ჰ. კისინჯერს. მან 30 სექტემბერს ისრაელს აცნობა, რომ მოსალოდნელი იყო ეგვიპტის მხრიდან ახალი ომის წამოწყება (**ა. რაბინოვიჩი.** ქიფურის ომი, გვ. 108). მაგრამ ებრაელი და ამერიკელი სამხედროები ამის საფუძველს ომამდე ერთი კვირით ადრც კი ვერ ხედავდნენ (**ა. რაბინოვიჩი.** ქი-

ჰქონდა ადგილი ორ სახელმწიფოს შორის, მაგრამ ისრაელის სამხედრო ექსპერტების ანალიზით, კაირო მხოლოდ 1975 წლისათვის თუ იქნებოდა საფუძვლიანად მზად იმისათვის, რომ ისრაელზე შეტევა მიეტანა. ანისთვის კი, მათი აზრით, ეგვიპტელებს სჭირდებოდათ ისეთი შეიარაღება და საბრძოლო საშუალებები (ბომბდამშენები), რომელიც არაბებს საშუალებას მისცემდა ისრაელის სამხედრო აეროდრომებისა და მისი საჰაერო ძალების გასანადგურებლად.[1] სადათის ამგვარმა პოლიტიკამ ებრაელი ანალიტიკოსების უმაღლესი შეფასება დაიმსახურა.[2]

3 ოქტომბერს ა. სადათმა დაიბარა საბჭოთა ელჩი ეგვიპტეში ვლადიმერ ვინოგრადოვი.[3] პრეზიდენტმა მას აცნობა, რომ უახლოეს პერიოდში ეგვიპტე და სირია ერთობლივ სამხედრო კამპანიას წამოიწყებდნენ ისრაელის წინააღმდეგ. მიუხედავად ამ ცნობისა, სადათმა მას ზუსტი თარიღი მაინც არ გაანდო.[4] მიახლოებითი თარიღი („რამდენიმე დღეში“) სსრკ-ს აცნობა სირიაში მისმა დიპლომატმა ნურითდინ მუხითდინოვმა,[5] რომელმაც ეს 4 ოქტომბერს სირიის პრეზიდენტ ჰაფეზ ალ-ასადისგან შეიტყო.[6]

ფურის ომი, გვ. 109).

[1] **ხ. ჰერცოგი.** ისრაელ-არაბების ომები, გვ. 349.

[2] **ხ. ჰერცოგი.** ისრაელ-არაბების ომები, გვ. 350.

[3] **ა. რაბინოვიჩი.** ქიფურის ომი, გვ. 109; *ვლადიმერ მიხეილის ძე ვინოგრადოვი* – საბჭოთა სახელმწიფო მოღვაწე და დიპლომატი (ეგვიპტეში მსახურობდა 1970 წლის 3 ოქტომბრიდან 1974 წლის 4 აპრილამდე), 1982-1990წლებში ის იყოს რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის რიგით VI საგარეო საქმეთა მინისტრი.

[4] **ა. რაბინოვიჩი.** ქიფურის ომი, გვ. 109.

[5] *ნურითდინ აქრამის ძე მუხითდინოვი* – საბჭოთა კავშირის ელჩი სირიაში 1968-1977 წლებში; 1955-1957 წლებშიის იყო უზბეკეთის სსრ კომუნისტური პარტიის I მდივანი, ხოლო 1957-1961 წლებში კი სკკპ პრეზიდიუმის წევრი.

[6] **ა. რაბინოვიჩი.** ქიფურის ომი, გვ. 109; ჰ. ასადი ამაზე მეტად არ დაკონკრეტებულა, თუმცა მოსკოვმა უკვე 4 ოქტომბერს, საკუთარი არხებით, მაინც გაიგო ზუსტი თარიღი და დრო – 6 ოქტომბრის

როგორც ირკვევა, ა. სადათსა და ჰ. ასადს განსხვავებული ამოცანები ჰქონდათ. თუკი პირველი მიზნად ისახავდა ორივე სახელმწიფოს (ეგვიპტისა და სირიის) მიზნების მიღწევას, ასადი მაშინ აპირებდა ომის შეწყვეტას, როცა დამასკოს ინტერესები (გოლანის მაღლობები) დაკმაყოფილდებოდა. თუმცა, ეგვიპტის ლიდერისათვის მისი მოკავშირის ეს პოზიცია ცნობილი არ იყო და ასადმა ის მხოლოდ ნ. მუხითდინოვს გაანდო.[1] სირიის ლიდერი იმედოვნებდა, რომ ამ კამპანიას 3-4 დღეში ამოწურავდა, რადგან, მისი აზრით, ისრაელისათვის სინას ნახევარკუნძული უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე – გოლანის მაღლობები.[2] ამის შემდეგ კი, დამასკო მოსკოვისაგან დიპლომატიურ მხარდაჭერას ითხოვდა, კერძოდ კი, საბჭოთა სახელმწიფოს გაერო-ს უშიშროების საბჭოში უნდა მოეთხოვა ისრაელისაგან დაუყოვნებლივი ცეცხლის შეწყვეტა, რათა ამ უკანასკნელს კონტრშეტევის შესაძლებლობა არ მისცემოდა.[3]

მოსკოვი კი შეშფოთებული იყო ამ ცნობებით, რადგან ისევე, როგორც ისრაელს, კრემლშიც არ იყვნენ დარწმუნებული, რომ სადათ-ასადის გადაწყვეტილება მართებული იყო იმ პერიოდში ამ არაბული სახელმწიფოების სამხედრო პოტენციალიდან გამომდინარე.[4] როგორც ა. რაბინოვიჩი მიიჩნევს, ამასთან ერთად, სსრკ-ს ადარდებდა ორი რამ: თუკი არაბები დამარცხდებოდნენ, ეს უარყოფითად იმოქმედებდა საბჭოთა კავშირის შიარაღების პრესტიჟზე; ხოლო თუკი გაიმარ-

---

14 საათი (**ა. რაბინოვიჩი.** ქიფურის ომი, გვ. 111). თუმცა, იმავე 4 ოქტომბერს ისრაელის ხელისუფლება ჰ. კისინჯერს აცნობებს, რომ ომი არაბებთან მოსალოდნელი არ იყო (**ა. რაბინოვიჩი.** ქიფურის ომი, გვ. 111). ებრაელებმა ომის დაწყება მხოლოდ 6 ოქტომბრის გამთენიისას დაიჯერეს, როცა მტერი უკვე გკარს იყო მომდგარი (**ხ. ჰერცოგი.** ისრაელ-არაბების ომები, გვ. 354). აღსანიშნავია, რომ იმ არაბი ოფიცრების 95%-მა, რომლებიც ებრაელებს ტყვედ ჩაუვარდნენ, წინასწარ იცოდნენ, რომ ისრაელთა ომი 6 ოქტომბერს დაიწყებოდა (**ხ. ჰერცოგი.** ისრაელ-არაბების ომები, გვ. 354).

[1] **ა. რაბინოვიჩი.** ქიფურის ომი, გვ. 109-110.

[2] **ა. რაბინოვიჩი.** ქიფურის ომი, გვ. 110-111.

[3] **ა. რაბინოვიჩი.** ქიფურის ომი, გვ. 110.

[4] **ა. რაბინოვიჩი.** ქიფურის ომი, გვ. 110.

ჯვებდნენ, ეგვიპტე და სირია თავს იმდენად ძლიერად ჩათვლიდნენ, რომ შეეცდებოდნენ კრემლის გავლენისაგან თავის დაძვრენას.[1] თუმცა, მკვლევარის ეს უკანასკნელი მოსაზრება სირიის შემთხვევაშია უფრო მართებული, რადგან მოსკოვი ა. სადათს მაინც ნაკლებად აკონტროლებდა.

ამრიგად, „ექვსდღიანი ომის“ შედეგად წარმოქმნილი პრობლემების (ისრაელის მიერ დაპყრობილი არაბული მიწების გათავისუფლება, პალესტინელი ლტოლვილების, პალესტინის საკითხები და ისრაელის ეროვნული უსაფრთხოება) გადაუჭრელობა ჰქმნის ახალი შეიარაღებული კონფრონტაციის მიზეზს. აღნიშნულ პრობლემათა გადაუჭრელობის მიზეზი ისრაელის პოზიცია იყო, რომელიც მიიჩნევდა, რომ დათმობებზე მხოლოდ არაბები უნდა წასულიყვნენ. რეგიონში სიტუაციას ამწვავებდა, აგრეთვე, სსრკ-აშშ-ს დაპირისპირება, რომლებიც საკუთარი პოლიტიკური მიზნებიდან გამომდინარე, არ ცდილობდნენ კომპრომისის მიღწევას ახლო აღმოსავლეთის რთული საკითხის გადასაჭრელად. ამასთან ერთად, უშიშროების საბჭოს მუდმივ წევრთა (განსაკუთრებით — სსრკ და აშშ) ორმაგი სტანდარტით თამაში იწვევდა თვით ამ ორგანოს მუშაობის პარალიზებას, რაც გამოიხატებოდა უშიშროების საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შეუსრულებლობაში: თუკი 1967 წლის 22 ნოემბერს აშშ-მ მხარი დაუჭირა 242-ე რეზოლუციას, შემდეგ არ შეეცადა ისრაელზე საჭირო ზეგავლენის მოხდენას, რითაც ხელი შეეშალა რეგიონში სამშვიდობო პროცესის წარმართვას ზემოდასახელებულ დოკუმენტში ჩამოყალიბებული პრინციპების საფუძველზე. ყოველივე ამან, როგორც აღვნიშნეთ, გამოიწვია ისრაელ-არაბების რიგით IV ომი.

1973 წლის 6 ოქტომბრის, 14 საათზე დაიწყო ომი.[2] ეგვიპტელებმა პირველივე წუთებიდანვე შეძლეს „მოულოდნელობის ეფექტის“ გამოყენება და უკვე 8 ოქტომბრისათვის

---

[1] **ა. რაბინოვიჩი.** ქიფურის ომი, გვ. 110.

[2] **ხ. ჰერცოგი.** ისრაელ-არაბების ომები, გვ. 354. ოქტომბრის ომი პირველი შემთხვევა იყო ისრაელის ისტორიაში, როცა მას ერთდროულად ორ (სირიისა და ეგვიპტის) ფრონტზე მოუხდა ბრძოლის წარმოება. ეს კი მის შესაძლებლობებს მნიშვნელოვნად აღემატებოდა.

მათ სინაიზე უპირატესობა მოიპოვეს.

გაერო-ს უშიშროების საბჭომ შეკრება მხოლოდ 8 ოქტომბერს მოახერხა. აშშ-ს წარმომადგენელმა ჯ. სკალიმ შეიტანა წინადადება, რომლითაც მეომარი მხარეები უნდა დაბრუნებოდნენ 5 ოქტომბრის პოზიციებს. წინადადება კენჭისყრაზეც კი არ იქნა დასმული. 10 ოქტომბერს საბჭოთა წარმომადგენელმა ი. მალიკმა ჯ. სკალის შესთავაზა ერთობლივი რეზოლუციის პროექტის მომზადება, რომლითაც ცეცხლი უნდა შეწყვეტილიყო „ადგილზე". ცხადი იყო, რომ ეს ეგვიპტისა და სირიის ინტერესებს პასუხობდა, სამაგიეროდ, ხელს არ აძლევდა ისრაელს, რომელიც ჯერ კიდევ იმედს ამყარებდა რევანშზე (რომელიც დაემყარებოდა აშშ-ს სამხედრო და პოლიტიკურ დახმარებას). მით უმეტეს, რომ ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრს აბა ებანს მიღებული ჰქონდა გ. მეირის ინსტრუქციები, რომლის თანახმად, მას მხარი არ უნდა დაეჭირა იმ რეზოლუციებისათვის, სადაც აღნიშნული იქნებოდა მოთხოვნა ადგილზე ცეცხლის შეწყვეტისა, ვიდრე სტატუს-ქვო (ისრაელისათვის) არ იქნებოდა აღდგენილი.[1] ამდენად, ჯ. სკალიმ საბჭოთა კოლეგიის წინადადება არ მიიღო. უნდა აღინიშნოს, რომ კაიროს, დამასკოს და იერუსალიმის დიპლომატიას უშიშროების საბჭოში განაპირობებდა მათი მდგომარეობა ფრონტზე. ისინი, ხშირ შემთხვევაში, ახდენდნენ ამ ორგანოს მუშაობის ფაქტობრივ პარალიზებას.

ყურადღებას იმსახურებს ეგვიპტის სამხედრო პოლიტიკაც ამ ომში: 12 ოქტომბერს ეგვიპტელებმა დაკარგეს სტრატეგიული ინიციატივა სინაიზე, რომელსაც მოკლე ხანში მეტოქე დაეუფლა, რასაც, ფაქტობრივად, მოჰყვა სამხედრო კრიზისი ეგვიპტეში (15 ოქტომბერს). ა. სადათის მთავრობის უნიათო (თუ მიზანმიმართული?) სამხედრო პოლიტიკის გამო ქვეყანა ხელიდან უშვებს რეალურ გამარჯვებას და, აქედან გამომდინარე, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შესაძლებლობას.

19 ოქტომბერს რ. ნიქსონმა კონგრესისაგან სესხის სახით 22 მლრდ. დოლარი მიიღო ისრაელისათვის შემდგომი

---

[1] **Л. И. Медведко.** Этот Ближный бурлящий Восток. *Документальное повествование*, გვ. 165.

სამხედრო დახმარების გაწევის მიზნით. სამაგიეროდ, არაბები, თავის მხრივ, საჭირო ზომებს ღებულობდნენ: მათ 1/3-ით შეამცირეს ნავთობის ექსპორტი, რამაც მსოფლიო ბაზარზე ნავთობზე ფასის 4-ჯერ ზრდა გამოიწვია. ამან დიდი ზიანი მიაყენა დასავლეთის მრავალი სახელმწიფოს (განსაკუთრებით კი ევროპის ეკონომიკური კავშირის ქვეყნების) ეკონომიკას. იმძლავრა „ნავთობის ლობის" გავლენამ, რაც გამოიხატა ამ სახელმწიფოებსა და ისრაელს შორის ურთიერთობის გაუარესებაში.[1]

ახლო აღმოსავლეთში შექმნილი რთული სამხედრო-პოლიტიკური ვითარება სიმწვავის უკიდურეს ფაზაში შედიოდა. საჭირო იყო მისი დროული მოწესრიგება. ამ მიზნით,

სსრკ-ს ინიციატივით, გაიმართა საბჭოთა კავშირ-აშშ-ს კონსულტაციები (ქ. მოსკოვი, 20 ოქტომბერი).[2] ამ შეხვედრებზე მოხერხდა ერთობლივი რეზოლუციის პროექტის შემუშავება, რომელიც გაერო-ს უშიშროების საბჭომ 22 ოქტომბერს დაამტკიცა. 338-ე რეოლუცია 3 პუნქტისაგან შედგებოდა: 1) უშიშროების საბჭო კონფლიქტურ მდგომარეობაში მყოფ მხა-

[1] **Ю. А. Панцырев.** Укрепление всеобщего мира и ООН. *70-е годы*, გვ. 134-135.

[2] სურათზე გამოსახულია ლ. ბრეჟნევისა და რ. ნიქსონის 1972 წლის შეხვედრის მომენტი, როცა აშშ-ს პრეზიდენტი ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა სსრკ-ში. თუმცა, მივიჩნიეთ, რომ ზემოთ დასახელებული კონსულტაციების საილუსტრაციოდაც გამოდგებოდა ეს ფოტოსურათი.

რეებს მოუწოდებდა ცეცხლისა და სამხედრო მოქმედებების დროული შეწუვეტისაკენ. ჯარები უნდა დარჩენილიყვნენ იმ პოზიციებზე, რომელიც მათ რეზოლუციის მიღების მომენტში ეჭირათ. ამ მოთხოვნათა შესასრულებლად, მხარეებს 12 საათიანი ვადა მიეცათ; 2) საბჭო მოუწოდებდა მხარეებს ცეცხლის შეწყვეტის მომენტიდან 242-ე რეზოლუციის შესრულებისაკენ; 3) საბჭო ადგენდა დაინტერესებულ მხარეებს შორის მოლაპარაკების დაწყებას ახლო აღმოსავლეთში მტკიცე და სამართლიანი მშვიდობის მიღწევის მიზნით.[1]

დოკუმენტმა, როგორც იტყვიან, „სულზე მიუსწრო“ ეგვიპტეს, რომელიც მხოლოდ ასე გადარჩა აშკარა მარცხს. არც აშშ იყო დაინტერესებული ომის შემდგომი გაგრძელებით, რადგან ეს აუცილებლად გამოიწვევდა „ნავთობის ლობის“ აღშფოთებას. ვაშინგტონმა, ფაქტობრივად, მიაღწია მიზანს: მოკავშირე მარცხისაგან იხსნა და ხელი შეუშალა ექვსდღიანი ომის“ შემდგომ დამყარებული სტატუს-ქვოს ცვლილებას. მიუხედავად ამისა, დოკუმენტი არ იყო სრულყოფილი: იგი არ ასახელებდა გარანტს, რომლის კონტროლის ქვეშაც მოხდებოდა ცეცხლის შეწყვეტა და ჯარების დაშორიშორება. აქედან გამომდინარე, ისრაელმა მიიჩნია, რომ შეეძლო ომის გაგრძელება.

23 ოქტომბერს უშიშროების საბჭო ახალ რეზოლუციას ღებულობს, რომელიც უკვე ჰქმნიდა საგარანტიო მექანიზმს. 339-ე რეზოლუცია სულ ორი პუნქტისაგან შედგებოდა, რომელთაგან პირველით საბჭო მოითხოვდა 338-ე რეზოლუციის დაუყონებლივ შესრულებას და ჯარების დბრუნებას 22 ოქტომბრის პოზიციაზე, ხოლო მეორე პუნქტით იქმნებოდა გაერო-ს შეიარაღებული ძალები კონფლიქტის ზონაში გასაგზავნად. მათ უნდა გაეკონტროლებინათ ცეცხლისა და საბრ-

[1] *Resolution 338 (1973) of 22 October 1973*, – *http://daccess-dds-ny.un.org/doc/RESOLUTION/GEN/NR0/288/65/IMG/NR028865.pdf?OpenElement; Резолюция 338 (1973) 22 октября 1973 года*, – http://daccess-dds-ny.un.org/doc/RESOLUTION/GEN/NR0/289/05/IMG/NR028905.pdf?OpenElement*; Организация Объединенных Наций.* Сборник документов. М., 1981, გვ. 441.

ძოლო მოქმედებების შეწყვეტა.[1]

უშიშროების საბჭოში მძაფრი დისკუსიები გაიმართა იმის თაობაზე, თუ რომელი სახელმწიფოებით უნდა დაკომპლექტებულიყო გაერო-ს ძალები. ეგვიპტე და სირია ითხოვდნენ, რომ ამ ძალებში ძირითადად სოციალისტური სახელმწიფოები ყოფილიყვნენ წარმოდგენილი. ისრაელი მოითხოვდა კონფლიქტის ზონაში მხოლოდ იმ სახელმწიფოთა დაშვებას, რომელთანაც მას დიპლომატიური ურთიერთობები გააჩნდა.[2] მიუმხრობელ სახელმწიფოთა ჯგუფმა წამოაყენა წინადადება, რომ კონფლიქტის ზონაში გაეგზავნათ საბჭოთა-ამერიკული ერთობლივი ძალები. აშშ-მ უარი თქვა ამ წინადადების საერთო განხილვაზე.[3]

ომი ახლო აღმოსავლეთში კვლავ გრძელდებოდა. ისრაელი წარმატებით ავითარებდა სამხედრო შეტევას ეგვიპტის წინააღმდეგ. სადათი იმედოვნებდა, რომ ისრაელის შეჩერაბა მხოლოდ აშშ-ს შეეძლო. მან კისინჯერს აცნობა, რომ ჰქონდა საუბარი არაბულ სახელმწიფოთა ლიდერებთან ნავთობის ემბარგოს გაუქმებაზე. როგორც ლ. მედვედკო სამართლიანად ვარაუდობს, ეგვიპტის პრეზიდენტის მიზანი იყო, რომ ამგვარი გზით „აეძულებინა“ აშშ ისრაელის მიმართ ზეწოლაზე.[4] მაგრამ

---

[1] *Resolution 339 (1973) of 23 October 1973*, – http://daccess-dds-ny.un.org/doc/RESOLUTION/GEN/NR0/288/66/IMG/NR028866.pdf?OpenElement; *Резолюция 339 (1973) 23 октября 1973 года*, – http://daccess-dds-ny.un.org/doc/RESOLUTION/GEN/NR0/289/05/IMG/NR028905.pdf?OpenElement; *Советский Союз и Организация Объединенных Нации (1971-1975гг)*, გვ. 58.

[2] *United Nations Security Council. Official Records. Twenty-eigth Year. 1748th Meeting. 23 October 1973*, – http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/NL7/300/84/PDF/NL730084.pdf?OpenElement; *Организация Объединенных Наций. Совет Безопасности. Официальные отчеты. Двадцать восьмой год. 1748-е заседание. 23 октября 1973 года*, – http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/GL0/362/14/PDF/GL036214.pdf?OpenElement; *Советский Союз и Организация Объединенных Нации (1971-1975гг)*, გვ. 58-59.

[3] **Л. И. Медведко.** Этот Ближный бурлящий Восток. *Документальное повествование*, გვ. 182-183.

[4] **Л. И. Медведко.** Этот Ближный бурлящий Восток. *Документальное*

სადათმა კვლავ შეცდომა დაუშვა. მისი უნიათო სამხედრო პოლიტიკის გამო, ეგვიპტე, ფაქტობრივად, აშშ-ს მძევლად იქცა. ვაშინგტონმა ჩათვალა, რომ ეგვიპტეში შექმნილი სამხედრო კრიზისი მას შესაძლებლობას აძლევდა კაიროს მხრიდან მეტი დათმობის მიღებას. ამ მდგომარეობიდან გამომდინარე, სადათი იძულებული ხდება მოსკოვისკენ გაიხედოს. მისი ოფიციალური თხოვნის შესაბამისად, სსრკ ეგვიპტეში სამხედრო დამკვირვებლებს აგზავნის ცეცხლის შეწყვეტაზე კონტროლის გააწევად. ამასთან ერთად, საბჭოთა მთავრობა 24 ოქტომბერს აკეთებს ოფიციალურ განცხადებას, სადაც ისრაელს მოუწოდებს 338-ე რეზოლუციის უპირობოდ შესრულებას.[1] ამასთან ერთად, ლ. ბრეჟნევი რ. ნიქსონს უგზავნის წერილს, სადაც ხაზგასმით აღნიშნავს: „ვიქნები პირდაპირი. თუ თქვენთვის შეუძლებელია ჩვენთან თანამშრომლობა, საჭიროდ მივიჩნევთ, სასწრაფოიდ განვიხილოთ შესაბამისი, ცალმხრივი მოქმედების გეგმა. ჩვენ ვერ დავუშვებთ ისრაელის თვითნებობას დაკავებულ ტერიოტირებზე“.[2]

მოსკოვის ცალმხრივმა აქციებმა აშშ-ს აღშფოთება გამოიწვია. რ. ნიქსონის ადმინისტრაციამ №1 ბირთვული მზადყოფნა გამოაცხადა.[3] ორი დიდი სახელმწიფოს რეგიონალური დაპირისპირება მომენტალურად გლობალურში გადაიზარდა. აშშ-ს აღნიშნულ მოქმედებებს მხარი არ დაუჭირეს მისმა მოკავშირეებმა NATO-ს ბლოკში. დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებს არ სურდათ ისრაელის პრეტენზიების გამო თავიანთი ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობის გაუარესება, არაბებთან ურთიერთობის გამწვავებით.

შექმნილმა რთულმა საერთაშორისო მდგომარეობამ გავლენა იქონია უშიშროების საბჭოს მუშაობაზე. 25 ოქტომბერს მიღებული იქნა მორიგი რეზოლუცია (№340), რომელმაც დააკომპლექტა ახლო აღმოსავლეთში გასაგზავნი სამხედრო ძალები.[4] გაერო-ს საგანგებო შეიარაღებული ძალების (გაერო-ს

повествование, გვ. 182.

[1] იხ. გაზ. *«Правда»*. №298 (20172). 25 октября, 1973.

[2] **ა. რაბინოვიჩი.** ქიფურის ომი, გვ. 664.

[3] **ა. რაბინოვიჩი.** ქიფურის ომი, გვ. 663-693.

[4] *Resolution 340 (1973) of 25 October 1973*, – http://daccess-dds-ny.un.org/

სშძ-II)[1] შემადგენლობაში შევიდნენ ინდონეზიის, ნეპალის, განის, სენეგალის, კენიის, პანამის, პერუს, ავსტრიის, ფინეთის, შვედეთის, კანადისა და პოლონეთის შეიარაღებული ძალების ნაწილი. ამასთან ერთად, სამხედრო დამკვირვებელთა ჯგუფში თანაბარი რაოდენობით (36-36 კაცი) სსრკ და აშშ-ც შევიდნენ.

26 ოქტომბერს ცეცხლი შეწყდა. ოცდღიანი კონფლიქტი ისრაელისათვის, ფაქტობრივად, „ყაიმით" დასრულდა, რადგანაც შენარჩუნებული აღმოჩნდა „ექვსდღიანი ომის" შემდგომ დამყარებული სტატუს-ქვო. ეგვიპტემ კი ეს ომი, ფაქტობრივად, წააგო. მას ჰქონდა რეალური შესაძლებლობა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა, მაგრამ ხელძღვანელობის უნიათო პოლიტიკამ ქვეყანა თითქმის სამხედრო კატასტროფამდე მიიყვანა. რაც შეეხება გაერო-ს, კერძოდ კი — უშიშროების საბჭოს, კონფლიქტის პირველ ეტაპზე, ისრაელმა და ეგვიპტემ ფაქტობრივად, მისი საქმიანობის პარალიზება მოახდინეს. ორივე მეომარი მხარე, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, წინააღმდეგობას უწევდა და ხელს უშლიდა საჭირო ზომების დროულად გატარებას. არაკონსტრუქციული იყო აშშ-ს პოზიციაც: ვაშინგტონიც, რიგ შემთხვევაში, წინააღმდეგობას უწევდა საჭირო რეზოლუციების მიღებას. სსრკ-ს მუქარამ ხელი „შეუწყო" უშიშროების საბჭოს მუშაობას და მოხდა კონფლიქტის კონტროლქვეშ შენარჩუნება. ამდენად, დასრულდა კონფლიქტის სამხედრო მხარე, იწყებოდა მორიგი ეტაპი, რომელზედაც უნდა მოგვარებულიყო (პოლიტიკური გზებით) კონფლიქტის გამომწვევი მიზეზები.

როგორც ვიცით, 338-ე რეზოლუცია ითვალისწინებდა დაინტერესებულ მხარეებს შორის მოლაპარაკების დაწყებას. სირია და ეგვიპტე ითხოვდნენ, რომ კონფერენცია გაერო-ს ეგიდით ჩატარებულიყო, ისრაელი კი ამის წინააღმდეგ გამო-

---

doc/RESOLUTION/GEN/NR0/288/67/IMG/NR028867.pdf?OpenElement; *Резолюция 340 (1973) 25 октября 1973 года*, – http://daccess-dds-ny.un.org/doc/RESOLUTION/GEN/NR0/289/07/IMG/NR028907.pdf?OpenElement.

[1] გაერო-ს საგანგებო შეიარაღებული ძალები-I შეიქმნა „სუეცის კრიზისის" დროს და კონფლიქტის ზონაში იმყოფებოდნენ 1956-1967 წლებში.

დიოდა. იერუსალიმის აზრით, ყოველგვარი საუბარი კონ-ფლიქტის დარეგულირებაზე, რომელიც 242-ე რეზოლუციას დაეფუძნებოდა, უაზრო იქნებოდა. როგორც სამართლიანად აღნიშნავდა ჰ. კისინჯერი, ისრაელის ხელმძღვანელობა „აზ-როვნებდა მხოლოდ „დიდი ისრაელის“ კატეგორიებით, რაც მათთვის დამღუპველი იყო.[1] აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა შეძლო დაემტკიცებინა იერუსალიმისათვის კონფერენციის გამართვის აუცილებლობა, რადგან მისი ჩაშლა გამოიწვევდა მოსკოვ-ვაშინგტონის უშუალო დაპირისპირებას, რისი თავი-დან აცილებაც სურდა რ. ნიქსონის ადმინისტრაციას. ჰ. კისინ-ჯერი გ. მეირს შეჰპირდა, რომ ეცდებოდა გაერო-ს გავლენის მინიმუმამდე დაყვანას.[2]

უნდა აღინიშნოს, რომ ჰ. კისინჯერი დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებდა გაერო-ს. იგი უპირატესობას ანიჭებდა ორმხრივ დიპლომატიას, რომელიც ეფუძნებოდა აშშ-ს ავტორიტეტსა და ძალას. როგორც ჰ. კისინჯერი აღნიშნავდა, „მთელი ისტორიის მანძილზე სახელმწიფოთა პოლიტიკური გავლენა დაახლოებით პროპორციული იყო მათი სამხედრო ძალისა... დიპლომატიურ ხელოვნებას შეუძლია მხოლოდ შეავსოს, მაგრამ ვერასდროს ვერ შეცვლის სამხედრო ძალას“.[3] ამასთანავე, იგი იმასაც აღი-არებდა, როგორც გაერო-ს ყოფილი გენერალური მდივანი კ. ვალდჰაიმი წერს, „რომ ზოგიერთი პრობლემის გადაწყვეტა არ ძალუძს დიდ სახელმწიფოსაც კიდ ა რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დახმარება ზოგჯერ აუცილებელიც კი არის“.[4]

მოსკოვიც, რომელიც გაეროს „ერთ-ერთი ერთგული მომხმარე“ იყო, იძულებული გახდა მხარი დაეჭირა ისრაე-ლის აღნიშნული მოთხოვნისათვის. 18 დეკემბერს სსრკ და

---

[1] **Л. И. Медведко.** Этот Ближный бурлящий Восток. *Документальное повествование*, გვ. 192.

[2] *Советский Союз и Организация Объединенных Нации (1966-1970гг)*, გვ. 58.

[3] **Ю. М. Мельников.** Сила и бессилие: внешняя политика Вашингтона. *1945-1982гг.* М., 1983, გვ. 190.

[4] **К. Вальдхайм.** Единственная в мире должность. М., 1980, გვ. 120.

აშშ- მთავრობები კ. ვალდჰაიმს უგზავნიან ერთნაირი შინაარსის წერილებს. ისინი მას აუწყებდნენ, რომ კონფერენცია მოწვეული იქნებოდა გაერო-ს ეგიდით. ხოლო გენერალური მდივანი მოწვეული იქნება (!) როგორც კონფერენციიც „მომწყობი“ და მისი გახსნის თავმჯდომარე. ამდენად, აშშ და სსრკ შეთანხმდნენ, რომ ეკისრათ პასუხისმგებლობა კონფლიქტის დარეგულირებაზე. აღნიშნული შეთანხმება მიღწეულ იყო კომპრომისის საფუძველზე: მცირდებოდა გაერო-ს პოლიტიკური

გავლენა. როგორც შემდგომმა მოვლენებმა აჩვენა, აღნიშნული შეთანხმება აშშ-ს იმისთვის დასჭირდა, რომ მოედუნებინა მოსკოვის ყურადღება და საქმის განვითარებისათვის ისეთი მიმართულება მიეცა, რომელსაც საჭიროდ მიიჩნევდა.

1973 წლის 21 დეკემბერს ჟენევაში გაიხსნა აღნიშნული კონფერენცია. მონაწილეობდნენ: სსრკ, აშშ (მოლაპარაკების თავმჯდომარეები), ეგვიპტე, იორდანია და ისრაელი. სირიისათვის, რომელიც საწყის ეტაპზე კონფერენციის მსვლელობაში მონაწილეობას არ ღებულობდა, რეზერვირებული იყო ადგილი. კონფერენციის გახსნისას სიტყვით გამოსვლისას, სრრკ-ს საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. გრომიკომ აღნიშნა, რომ რეგიონში მტკიცე და სამართლიანი მშვიდობის დამყარებისათვის საჭიროა ოკუპირებული ტერიტორიებიდან ისრაელის ჯარების გაყვანა.[1] ამასთან ერთად, მას სიტყვაც არ დაუძრავს სამშვიდობო პროცესის ნორმალურად წარმართვის ისეთ მნიშვნელოვან პრინციპებზე, როგორიცაა ისრაელისა და არაბების მშვიდობიანი თანაარსებობა და ამ უკანასკნელთა მხრიდან გარანტიები პირველის ეროვნული უსაფრთხოებისა. ამდენად, ა. გრომიკო არ იყო ობიექტური ვითარების რეალურ შეფასებაში.

---

[1] **Л. И. Медведко.** Этот Ближный бурлящий Восток. *Документальное повествование*, გვ. 206.

ვინაიდან აშშ-ს არ სურდა, რომ რეგიონში სამშვიდობო პროცესის წარმოებისას „ხელი მოეთბო“ სსრკ-ს (მით უმეტეს, რომ არაბულ სახელმწიფოთა დიდი ნაწილი მოსკოვისა და სხვა სოციალისტური სახელმწიფოების დიდი მადლიერი იყო ოქტომბრის ომის დროს გაწეული მხარდაჭერისათვის), ამიტომ, კისინჯერმა სცადა მიზნის მიღწევა „ორმხრივი დიპლომატიის“ მეშვეობით. ამისთვის მას საკმაო საფუძველი ჰქონსა. იგი აღმოჩნდა ერთადერთი პიროვნება, რომელსაც, მეტ-ნაკლებად, კონფლიქტში მონაწილე ორივე მხარე „ენდობოდა“. ისრაელს მიაჩნდა, რომ კისინჯერის შუამავლობა საქმეს უფრო წაადგებოდა, ვიდრე — ჟენევის კონფერენცია. არაბები (იორდანია, ეგვიპტე, კონფერენციაში არმონაწილიე, მაგრამ მაინც მნიშვნელოვანი სახელმწიფო — შაუდის არაბეთი) მიიჩნევდნენ, რომ მხოლოდ აშშ-ს გააჩნდა რეალური ძალა ისრაელზე ზეწოლისათვის, რათა ამ უკანასკნელს გაეთავისუფლებინა ოკუპირებული არაბული ტერიტორიები. ჰ. კისინკერმა[1] მთელი სისრულით გამოიყენა „ნაბიჯ-ნაბიჯ ნაწილობრივი შეთანხმების“ პოლიტიკა, რომელზედაც ზევით გვქონდა საუბარი. იგი, პირველ რიგში, ენერგიულად მუშაობდა კაირო-იერუსალიმის ურთიერთობათა მოსაწესრიგებლად. ა. სადათთან მოლაპარაკების წარმოება, რაშიც მოასწრო დარწმუნება კისინჯერმა, დიდ სირთულეს არ წარმოადგენდა. მისი დიპლომატიის პირველი შედეგი სულ მალე გამოჩნდა. 1974 წლის 18 იანვარს ისრაელმა და ეგვიპტემ აშშ-ს შუამავლობით ხელი მოაწერეს შეთანხმებას ჯარების დაშორიშორების შესახებ. ნეიტრალურ ზონაშიგაერო-ს ძალები შევიდნენ.[2]

---

[1] ჟენევის კონფერენციაზე ჰ. კისინჯერმა არაბებს შესთავაზა მომავალი პოლიტიკა რეგიონში მშვიდობის მისაღწევად წარემართათ, თანახმად არაბული ანდაზისა: „ელი ფატ მატ“ („წარსული მკვდარია“) — ე. ი. რაც მოხდა, დავიწყებულ იქნას, ცხოვრება წინ მიდის. რა თქმა უნდა, აშშ-ს სახელმწიფო მდივნის ეს ინიციატივა არაბებში დიდ თანაგრძნობას არ გამოიწვევდა. მათ პრობლემებს ხომ სწორედ წარსული ჰქმნიდა.

[2]ფაქტობრივად, ამ პერიოდში იღებს სათავეს ახლო აღმოსავლეთში სამშვიდობო პროცესის წარმართვისათვის უმთავრესი პროცესი: „ტერიტორიები მშვიდობის სანაცვლოდ“, რომლის თანახმად ის-

აშშ-ს სახელმწიფო მდივანს გაუძნელდა სირიისა და ისრაელის ჯარების დაშორიშორებაზე შეთანხმების მიღწევა. სირთულეს ის წარმოადგენდა, რომ დამასკ, კაიროსაგან განსხვავებით, მოლაპარაკებებს მოსკოვთან ერთად აწარმოებდა. საბოლოოდ, შეთანხმების მიღწევა მაინც მოხერხდა. 1974 წლის 31 მაისს ჟენევაში სსრკ-ს, აშშ-ს და გაერო-ს წარმომადგენლების თანდასწრებით, ხელი მოეწერა აღნიშნულ შეთანხმებას: ისრაელი ათავისუფლებდა სირიის ოკუპირებული ტერიტორიის ნაწილს (663 კმ^2-ის ფართობი), რომელიც მოიცავდა არამარტო ოქტომბრის ომის დროს დაკავებულ მიწებს, არამედ - „ექვსდღიანი ომის“ დროინდელსაც. ჯარების დაშორიშორებაზე კონტროლის გაწევის მიზნით, გაერო-ს სშძ-II ორად გაიყო, რომლის შედეგად შეიქმნა ორი ჯგუფი: 1) გაერო-ს სშძ, რომლებიც განლაგდნენ სინაიზე და აკონტროლებდნენ ეგვიპტე-ისრაელის ჯარების დაშორიშორებას და 2) სირია-ისრაელის შეიარღებული ძალების დაშორიშორებაზე მეთვალყურე გაერო-ს ძალები. ყურადღებას იწვევს სირიის ტერიტორიაზე განლაგებული გაერო-ს სპეციალური ძალების სტატუსი: ისინი ადგილობრივ ხელისუფლებას ემორჩილებოდნენ; მათ არ ჰქონდათ უფლება სამოქალაქო მმართველობის ადგილობრივი ორგანოების მუშაობაში ჩარევისა.[1] ეს მნიშვნელოვანი მომენტი იყო, რომელიც საშუალებას აძლევდა დამასკოს გაეკონტროლებინა გაერო-ს ჯარების მოქმედება და ხელი შეეშალა იმ დაინტერესებულ ძალთა „კულისებსმიღმა“ საქმიანობისათვის, რომლებიც შეეცდებოდნენ სირიაში განლაგებული გაერო-ს ჯარების ნაწილის მეშვეობით თავიანთი პოლიტიკის გატარებას. ამდენად, სირია-ისრაელის ამ შეთანხმებაში აღნიშნულ მოთხოვნათა დაფიქსირება საბჭოთა დიპლომატიის წარმატებად უნდა შეფასდეს.

ამავე დროს, ჰ. კისინჯერმა გააქტიურა დიპლომატიური

რაელმა არაბებს ეტაპობრივად უნდა დაუბრუნოს ოკუპირებული ტერიტორიები, სამაგიეროდ, მათი მხრიდან უნდა მიიღოს ისრაელის სახელმწიფოს უსაფრთხო და მშვიდობიანი არსებობის გარანტია.

[1] **Л. И. Медведко.** Этот Ближный бурлящий Восток. *Документальное повествование*, გვ. 214, 215; *Советский Союз и Организация Объединенных Наций (1971-1975гг)*, გვ. 62.

საქმიანობა ისრაელ-ეგვიპტეს შორის ახალი შეთანხმების მისაღწევად. მისი მიზანი იყო დაეყოლიებინა იერუსალიმი, რომ ეგვიპტის ოკუპირებული ტერიტორიებიდან გაეყვანა საკუთარი ჯარი და ახლო აღმოსავლეთის ამ კუთხეში არსებული დაძაბულობის კერა მოესპო. როგორც ჩანს, აშშ-ს სახელმწიფო მდივანს ეგვიპტის ხელისუფლების მხრიდან ჰქონდა იმის გარანტია, რომ თუ ისრაელი ზემოთ აღნიშნულ პირობას შეასრულებდა, მაშინ ეგვიპტე არ ჩადგებოდა ებრაელთა მტრების რიგში. ისრაელის იმდროინდელი ხელისუფლება (სადაც მთავარ როლს თამაშობდა იცხაკ რაბინ-შიმონ პერეს-იგალ ალონის „ტრიუმვირატი“, რომელთაც, შესაბამისად, შემდეგი პოსტები ეჭირათ: პრემიერ-მინისტრი, თავდაცვის მინისტრი, საგარეო საქმეთა მინისტრი) ჯარების არავითარ ევაკუაციაზე არათუ თანხმდებოდა, საუბარსაც კი არ აპირებდა. ი. რაბინის იმდროინდელი კაბინეტი (რომელიც დათმობაზე წაუსვლელობის მიზეზად ასახელებდა იმას, რომ ასეთ ნაბიჯს შეეძლო ისრაელში შიდაარეულობის გამოწვევა და „ლიქუდის“ მემარჯვენე ბლოკის მოსვლა ხელისუფლების სათავეში) კვლავ გ. მეირის მთავრობის კურსს აგრძელებდა და ისევ არაბებზე ზეწოლის მოხდენაზე „ოცნებობდა“.

როგორც ჰ. კისინჯერის საქმიანობამ აჩვენა, მთავარი საქმეები ორმხრივი დიპლომატიის მეშვეობით კეთდებოდა, ხოლო ჟენევის კონფერენცია, ფაქტობრივად, უშედეგო (თუ არ ჩავთვლით სირია-ისრაელის ზემოხსენებულ შეთანხმებას) შეხვედრად იქცა, რასაც მალე მიხვდნენ მოსკოვში. საბჭოთა მთავრობამ გაიცნობიერა, რომ აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა ჟენევის კონფერენციიც ორგანიზებაში „აქტიური“ მონაწილეობით, ფაქტობრივად, შეძლო კრემლის ყურადღების მოდუნება და მისი (ე. ი. კრემლი) „მახვილი მზერა“ მოაშორა ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან რგოლს — ისრაელ-ეგვიპტის ურთიერთობას. მოსკოვმა გადაწყვიტა კისინჯერისეულ სცენარში გარკვეული კორექტივების შეტანა და ამ მიზნით, ხელი შეუწყო პალგაო-ს ჩართვას ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის დარეგულირებაში. სსრკ იყო პირველი დიდი სახელმწიფოთაგანი, რომელმაც ეს ორგანიზაცია სცნო, როგორც პალესტინელი ხალხის ერთადერთი

კანონიერი წარმომადგენელი (1974 წლის აგვისტო). პალგაო-ს იურიდიული ცნობის შემდგომი ეტაპი იყო გაერო-ს გენერალური XXIX ასამბლეის[1] მიერ 1974 წლის 22 სექტემბერს მიღებული რეზოლუცია № 3210 (XXIX),[2] სადაც აღინიშნა, რომ გენ. ასამბლეა იწვევდა პალგაო-ს, როგორც პალესტინელი ხალხის ერთადერთ კანონიერ წარმომადგენელს, მიიღოს მონაწილეობა ყველა განხილვასა და საერთაშორისო კონფერენციაში, სადაც განიხილებოდა ახლო აღმოსავლეთის საკითხი.[3] გენერალურმა ასამბლეამ კვლავ აღიარა პალესტინელთა უფლება თვითგამორკვევაზე და ეროვნულ დამოუკიდებლობასა და სუვერენიტეტზე. იქვე ნათქვამი იყო, რომ პალესტინელები ერთ-ერთ მთავარ მხარეს წარმოადგენდნე ახლო აღმოსავლეთში მტკიცე და სამართლიანი მშვიდობის დამყარებაში.[4] იმავე წლის 26 ოქტომბერს პალგაო აღიარა არაბულ სახელმწიფოთა მეთაურთა რაბათის (მაროკო) სამიტმა. ეს იყო მნიშვნელოვანი ეტაპი პალესტინელთა ცხოვრებაში: ამიერიდან ისინი თავიდან იწყებდნენ საკუთარი პოზიციებისა და ინტერესების დაცვას საერთაშორისო არენაზე. აღსანიშნავია, პალესტინელებსა და ისრაელს შორის ურთიერთობას აუარესებდა ის გარემოება, რომ ისინი ერთმანეთს არ ცნობდენენ.

ყოველივე ზემოაღნიშნულის მიუხედავად, ჰ. კისინჯერის სამშვიდობო პოლიტიკა თანდათანობით „ანგრევდა ბარიერებს“ ისრაელ-ეგვიპტის ურთიერთობაში. სახელმწიფო მდივნის მიზანი შორსმიმავალი იყო: არაბულ სამყაროში აშშ-ს ავტო-

---

[1] ამ პროცესშიც აშკარად იგრძნობა საბჭოთა კავშირის დიპლომატიის საქმიანობა.: ვინაიდან პალესტინელთა საკითხის განხილვა გენერალური ასამბლეის XXIX სესიაზე მოითხოვა 56-მა მიუმხრობელმა და სოციალისტურმა სახელმწიფომ, ანუ იმათ, რომლებიც სსრკ-ს „ფარვატერში“ იმყოფებოდნენ.

[2] აღნიშნულ რეზოლუციას მხარი არ დაუჭირეს აშშ-მ და ისრაელმა.

[3] *3210 (XXIX). Invitation to the Palestine Libaration Organization*, – http://daccess-dds-ny.un.org/doc/RESOLUTION/GEN/NR0/738/12/IMG/NR073812.pdf?OpenElement; *3210 (XXIX). Приглашение Организации освобождения палестины*, – http://daccess-dds-ny.un.org/doc/RESOLUTION/GEN/NR0/741/30/IMG/NR074130.pdf?OpenElement.

[4] *Организация Объединенных Наций*. Сборник документов, გვ. 40.

რიტეტის გაზრდა და, ამასთან ერთად, ისრაელის ინტერესების მაქსიმალური დაცვა. ამ საქმეში კი მის წინააღმდეგობას ისევ ისრაელი უქმნიდა. ამ მხრივ, საინტერესოა ფრაგმენტი ჰ. კისინჯერის საუბრიდან ისრაელის ხელმძღვანელობასთან (1975 წლის 25 მარტი): *„ჩვენ (ე. ი. აშშ) ილუზიები არ გვაქვს. არაბი ლიდერები, რომლებიც აშშ-ს ენდნენ, დისკრედიტირებული იქნებიან... შემდეგ ვნახავთ, თუ როგორ ჰქმნიან არაბები ერთიან ფრონტს... საბჭოთა კავშირი კვლავ გამოვა სცენაზე... ჩვენ რომ გვდომებოდა 1967 წლის საზღვრებზე დაბრუნება, ამას გავაკეთებდით, რამდენადაც ჩენს მხარეზე იქნებოდა მსოფლიოს საზოგადოებრივი აზრი და აშშ-ს საზოგადოებრივი აზრის მნიშვნელოვანი ნაწილი, მაგრამ სტრატეგია მდგომარეობდა იმაში, რომ თქვენ ამისაგან დაგვეცავით. ჩვენ თავი ავარიდეთ დარეგულირების სრულმასშტაბიანი გლობალური გეგმის დამუშავებას. მე ვხედავ, როგორ იზრდება ზეწოლა იმისკენ, რომ გაიძულონ თქვენ 1967 წლის საზღვრებისაკენ დახევად, ამასთან შედარებით, 10 კილომეტრის მიცემა (აქ იგულისხმება სინაიზე ეგვიპტის ოკუპირებული მიწის ნაწილის დათმობა — კ. კ.) - არაფერია“.*[1]

ერთადერთი, ვინც ვაშინგტონის მთავარ დიპლომატს „ეხმარებოდა“, ა. სადათი იყო. მან 1975 წლის 5 ივნისს („ექვსდღიანი ომის“ VIII წლისთავი!) გამოაცხადა, რომ სუეცის არხი კვლავ გახსნილია ყველა სახელმწიფოსათვის. რა თქმა უნდა, აქ, უმთავრესად, ისრაელი იგულისხმებოდა. იერუსალიმის მხრიდან გაწეულ დათმობებთან შედარებით, ა. სადათის ეს აქტი უდიდესია თავისი მნიშვნელობით. შეიქმნა ისეთი მომენტი, როცა მეორე სახელმწიფო იძულებული ხდება თვითონაც რაღაც დათმობაზე წავიდეს, მით უმეტეს, რომ პირველი სახელმწიფოს ნაბიჯი პირდაპირ პასუხობს მეორის (ე. ი. ისრაელი) ეკონომიკურ ინტერესებს. ამის შედეგი იყო ის, რომ აშშ-ს შუამავლობით, 1975 წლის 4 სექტემბერს, დაიდო ახალი ხელშეკრულება ისრაელსა და ეგვიპტეს შორის სინაიზე ჯარების დაშორიშორების შესახებ. შეთანხმება უფრო ისრაე-

[1] *Foreign Polisy.* Spring, 1976, გვ. 51-52; *Советский Союз и Организация Объединенных Наций (1971-1975гг).* გვ.63.

ლის ინტერესებს პასუხობდა, ვიდრე — ეგვიპტისას. ისრაელი სინაიზე დარჩენილი ოკუპირებული ტერიტორიის მხოლოდ მხოლოდ მცირე ნაწილის (5.5%) თმობდა, სამაგიეროდ კი კაირო ვალდებულებას კისრულობდა იმის თაობაზე, რომ ძალისმიერი მეთდებით არ გადაჭრიდა სადავო საკითხებს. ფაქტობრივად, ეს ნიშნავდა არაბული სამყაროს ანტიისრაელური ფრონტიდან ეგვიპტის გასვლას. კაიროს მხრიდან ამ ვალდებულებამ „მწვანე შუქი" მისცა ამ ორ სახელმწიფოს შორის სეპარატულ შეთანხმებებს.

ამდენად, ჰ. კისინჯერმა, ფაქტობრივად, შეძლო გაერო-სათვის „წაერთმია" ახლო აღმოსავლეთის პრობლემის დარეგულირების ერთ-ერთი უმთავრესი რგოლი — ისრაელ-ეგვიპტის ურთიერთობების მოწესრიგება. მისი მიზანი იყო აშშ-ს „ფრთებქვეშ" რეგიონში მშვიდობის დამყარება. რა თქმა უნდა, სამშვიდობო პოლიტიკის დაწყება ეგვიპტიდან, შემთხვევითი არ იყო. მიზეზი ამისა მდგომარეობდა ამ აფრო-არაბული სახელმწიფოს სამხედრო-სტრატეგიულ და პოლიტიკურ მნიშვნელობაში, როგორც რეგიონალური, ისე — გლობალური მასშტაბით. აქედან დაწყებული, სამშვიდობო პროცესი ისრაელსა და ეგვიპტეს შორის აშშ-ს შუამავლობით, ფორმალურად, გაერო-ს ეგიდით მიმდინარეობს, მაგრამ, ფაქტობრივად, პოლიტიკური ქულები ვაშინგტონს ეწერება.

ჰ. კისინჯერის მიერ დაწყებული ისრაელ-ეგვიპტის შერიგების პროცესი განასრულა აშშ-ს ახალმა ადმინისტრაციამ პრეზიდენტ ჯეიმზ კარტერის ხელმძღვანელობით. თუმცა, ახალ პრეზიდენტს ამ საკითხში წინ დიდი სირთულეები არ ელოდა, რადგან მის წინაშე იდგა არა ამ პრობლემის გადაჭრის გზების ძიება, არამედ მხოლოდ დაწყებული პროცესის დასრულება. ამიტომაც მან მალე მიაღწია შედეგებს, მაგრამ ამას წინ უძღოდა ა. სადათის ისტორიული ვიზიტი[1] ქ. იერუსალიმში 1977 წლის 19 ნოემბერში. ფაქტობრივად ეს ნიშნავდა იმას, ამ ქალაქში ჩასვლით ეგვიპტის პრეზიდენტმა აღიარა იერუსალიმზე ისრაელის იურისდიქცია. სწორედ, ეს ფაქტი ზრდიდა

[1] ამ ვიზიტის ინიციატორი და ხელშემწყობი იყო აშშ-ს 39-ე პრეზიდენტი ჯ. კარტერი (James Earl "Jimmy" Carter, Jr.) /1977-1981/.

ამ ვიზიტის მნიშვნელობას.[1] იერუსალიმში განიხილულ იქნა სინაიდან ისრაელის ჯარების შემდგომი ევაკუაციის ეტაპები და დამყარებულ იქნა დიპლომატიური ურთიერთობები ორ სახელმწიფოს შორის. ეგვიპტე იყო პირველი არაბული სახელმწიფო, რომელთანაც ისრაელმა დიპლომატიური ურთიერთობები დაამყარა. იერუსალიმმა მიიღო იმის პირობა, რომ კაირო მხარს არ დაუჭერდა პალესტინელთა მოძრაობას. ანვარ სადათის აღნიშნულმა ვიზიტმა და მისმა შეხვედრებმა ისრაელის ხელმძღვანელობასთან საბჭოთა კავშრის და არაბული სახელმწიფოების აღშფოთება გამოიწვია.

კემპ-დევიდისა[2] (1978 წლის 5-17 სექტემბერი) და ვაშ-

---

[1] დღესაც გრძელდება დავა არაბებსა (ძირითადად — პალესტინელები) და ისრაელს შორის ქ. იერუსალიმის სტატუსისა და მომავლის შესახებ. პირველნი ითხოვენ, კომპრომისის მიზეზით, ქალაქის გაყოფას არაბებსა და ებრაელებს შორის. ისრაელი კი, არავითარი კომპრომისის იმედით არ აპირებს ქალაქის დათმობას.

[2] დოკუმენტში აღნიშნული იყო, რომ პალესტინელ ხალხს აქვს უფლება თვითმმართველობისა (!), რაც, რა თქმა უნდა, გულისხმობდა ავტონომიას ისრაელის სახელმწიფოში. ამდენად, ისრაელი და ეგვიპტე უფლებას იტოვებდნენ, თავიანთ ურთიერთპრობლემებთან ერთად, „ეზრუნათ“ მესამე მხარის — პალესტინელთა ბედზე, რომელსაც უკვე ჰყავდა საერთაშორისო საზოგადოების მიერ აღიარებული წარმომადგენელი — პალგაო. აქედან გამომდინარე, ხელშეკრულებაში ამ პუნქტის არსებობა იწვევდა მთელი შეთანხმების კრიტიკის (თანაც, სამართლიანის) უფლებას. რა თქმა უნდა, ა. სადათსა და მ. ბეგინს სრული უფლება ექნებოდათ პალესტინის საკითხის განხილვისა და ბედის გადაჭრისა, თუ საერთაშორისო საზოგადოება პალესტინელ ხალხს აღიარებდა ისრაელის სახელმწიფოს შემადგენელ ნაწილად. ასეთ რამეს კი ადგილი არ ჰქონდა; საილუსტრაციო ფოტოც, რომელზედაც გამოსახულნი არიან მენახემ ბეგინი, ჯიმი კარტერი და ანვარ სადათი, გადაღებულია 1978წ. 12 სექტემბერს კემპ-დევიდში (*Camp David Accords,* – http://www.answers.com/topic/camp-david-accords-large-image).

ინგტონის[1] (1979 წლის 25 მარტი) ხელშეკრულების დადებით (ხელს აწერდნენ: ა. სადათი, მ. ბეგინი, ჯ. კარტერი), ფაქტობრივად, დასრულდა ისრაელ-ეგვიპტის შერიგების ხანგრძლივი პროცესი. კაირომ აღადგინა სუვერენიტეტი სინაიზე, რომელიც დემილიტარიზებულ ზონად გამოცხადდა. იგი უარს ამბობდა (კიდევ ერთხელ!) პალესტინელთა მხარდაჭერაზე.

ამრიგად, ისრაელსა და ეგვიპტეს შორის აშშ-ს ხელშეწყობით მშვიდობა დამყარდა. ა. სადათმა კი შეძლო ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, მაგრამ, სამაგიეროდ, არაბული სამყარო გადაიმტერა. იგი „არაბი ხალხის ინტერესების მოღალატედ“ გამოაცხადეს. ეგვიპტე გარიცხეს ორგანიზაციიდან „ისლამური კონფერენცია“ და არაბულ სახელმწიფოთა ლიგიდან (1979 წლის 27 მარტი). ლიგამ შეიმუშავა კაიროს მიმართ პოლიტიკური და ეკონომიკური სანქციები: შეჩერებულ იქნა დიპლომატიური ურთიერთობანი და ეკონომიკური დახმარებანი.

აღნიშნულმა შეთანხმებამ აღაშფოთა მოსკოვი, რომელიც ვაშინგტონთან დიპლომატიურ ბრძოლაში დამარცხდა, ვინაიდან ისრაელსა და ეგვიპტეს შორის მშვიდობა დამყარებულ იქნა, სწორედ, აშშ-ს და არა სსრკ-ს მიერ. მოსკოვმა გადაწყვიტა აშშ-ზე შეტევა გაერო-ს მეშვეობით მიეტანა. „დასრტყამი წერტილის“ ძიება კრემლში არ გასჭირვებიათ. ეს იყო პალესტინელთა საკითხი, რომელიც აღნიშნული იყო ისრაელ-ეგვიპტის ხელშეკრულებაში. გაერო-ს გენერალური ასამბლეის 34-ე სესიაზე ა. გრომიკო ამბობდა: „გაერო-ში წარმოდგენილმა ყველა სახელმწიფომ დროა გაიგოს პალესტინის არაბი ხალხის ტრაგედია. რა ფასი აქვს განცხადებებს ჰუმანურობის, ადამიანის — ლტოლვილთა თუ არალტოლვილთა — უფლბების დაცვის შესახებ, თუ მთელი მსოფლიოს თვალწინ უხეშად ხე-

[1] ვაშინგტონის შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ, ისრაელმა და ეგვიპტემ აშშ-ს მხრიდან მნიშვნელოვანი ფინანსური დახმარებანი მიიღეს: იერუსალიმმა — 3 აშშ მლრდ. დოლარი, კაირომ — 1,5 აშშ მლრდ., როგორც ჩვეულებრივი ყოველწლიური ამერიკული ფინანსური დახმარების დამატება. ყოველწლიურად კი ისრაელი 1,7 აშშ მლრდ. დოლარს ღებულობდა ვაშინგტონიდან, ხოლო კაირო — 1 აშშ მილიარდ დოლარს.

ლყოფენ საკუთარი მიწიდან განდევნილი და არსებობისათვი ყველა პირობას მოკლებული ხალხის უფლებებს?“[1]

სსრკ-ს ინიციატივით, აღნიშნულმა სესიამ მიიღო რეზოლუცია, რომელშიც პირდაპირ იყო დაგმობილი კემპ-დევიდისა და ვაშინგტონის ხელშეკრულებები, როგორც მიღწეული გაერო-ს გვერდის ავლით და ამასთან, მა თარ „არ გააჩნიათ ძალა, რადგან აქვთ პრეტენზია განსაზღვრონ 1967 წელს ოკუპირებული პალესტინის ტერიტორიების მომავალი“.[2]

ამრიგად, ჰ. კისინჯერის პოლიტიკის „წყალობით“ ისრაელ-ეგვიპტის ურთიერთობების დარეგულირების პროცესში გაერო „თამაშგარე“ მდგომარეობაში აღმოჩნდა. აშშ-თან დიპლომატიურ ბრძოლაში დამარცხებული სსრკ-ს გავლენით გაერო პროცესში ჩართვას შეეცადა (თუმცა საკმაოდ დაგვიანებით).

ახლო აღმოსავლეთის კრიზისის განხილულმა ეტაპმა (რომ არაფერი ვთქვათ აღნიშნული პრობლემის დარეგულირების ისტორიაზე და სხვა რეგიონალურ კონფლიქტებზე) გაერო-ს ნაკლებეფექტურობა წარმოგვიჩინა. ბევრ შემთხვევაში მას უჭირდა როგორც მისი წევრების უფლებების დაცვა (ვერ იქნა უზრუნველყოფილი ეგვიპტისა და სირიის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა), ისე — საკუთარი გადაწყვეტილებების ხორცშესხმა (ვერ შესრულდა გენერალური ასამბლეის II სესიის გადაწყვეტილება პალესტინის არაბული სახელმწიფოს შექმნის თაობაზე). მეტ-ნაკლები წარმატებით, გაერო ახერხებდა კონფლიქტის ლოკალიზაციას, რითაც არაერთხელ გადარჩა მსოფლიო ახალ გლობალურ ომს, კონფლიქტში მონაწილე მხარეებს შორის ცეცხლის შეწყვეტას, თუმცა ოქტომბრის ომის დროს ამ მოთხოვნის შესრულებას სსრკ-ს მხრიდან სამხედრო დამუქრება დასჭირდა. როგორც აღნიშნულმა მაგალითმა, ისე გაერო-ს ნახევარსაუკუნოვანმა ისტორიამ აჩვენა, რომ გაერო, ცეცხლის შეწყვეტის შემდეგ, ცდილობს პრომბლემის მოგვარებას მშვიდობიანი გზით. მაგრამ ეს პროცესი ყოველთვის

---

[1] *Советский Союз и Организация Объединенных Наций (1976-1980гг).* М. 1989, გვ. 123.

[2] *Советский Союз и Организация Объединенных Наций (1976-1980гг)*, გვ. 123.

ვერ სრულდება სასურველი შედეგით კონფლიქტში მონაწილე ერთ-ერთი მხარის შეურიგებელი და აგრესიული პოზიციის გამო, ამიტომ, საჭიროა, რომ ეს ორგანიზაცია — როგორც მსოფლიოში მშვიდობისა და უშიშროების გარანტი — საჭიროებისას, კონფლიქტში შეურიგებელი პოზიციის მქონე მხარეს აიძულებდეს მშვიდობისაკენ.

ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ გაერო „მსოფლიო მთავრობა“ არ არის. მისი ეფექტურობა პირდაპირპროპორციულია მისი წევრების კეთილი ნებისა და ურთიერთთანამშრომლობის სურვილისა. როგორც ვნახეთ, ოქტომბრის ომის დროს ისრაელი და ეგვიპტე ბევრ შემთხვევაში აფერხებდნენ გაერო-ს მუშაობას. უშიშროების საბჭოს მუდმივ წევრთა (მთავარი პასუხისმგებლები მსოფლიოში მშვიდობასა და უშიშროებაზე), რიგ შემთხვევაში, არაკონსტრუქციულ პოზიციას უარყოფითი გავლენა ჰქონდა პრობლემის მოგვარებაზე. მაგალითად, აშშ-მ მხარი დაუჭირა 242-ე რეზოლუციას, შემდეგ კი, ფაქტობრივად, ხელი შეუშალა ამ დოკუმენტის რეალიზაციას ისრაელის ინტერესების დაცვით. თუმცა, ამ მხრივ, „უცოდველი“ არც დანარჩენი ოთხი წევრია.

„ცივი ომის“ დროს აღმოსავლეთისა და დასავლეთის გლობალური დაპირისპირება გაერო-შიც აისახა, რამაც დიდი ზიანი მიაყენა ამ ორგანიზაციას. ამ კონფრონტაციის შედეგი იყო რეგიონალურ კონფლიქტთა გადაუჭრელობა და შემდგომი გამწვავება. აღნიშნული პრობლემის თავიდან ასაცილებლად ჰ. კისინჯერმა ახალი სიცოცხლე მისცა ორმხრივ დიპლომატიას, რაც მოდავე მხარეებს შორის ურთიერთკომპრომისის მიღწევას გულისხმობდა (სხვა საქმეა ჰ. კისინჯერის შორს გამიზნული პოლიტიკური მიზანი). ასეთი გზით მიღწეული კენპ-დევიდისა და ვაშინგტონის შეთანხმებებმა დიდი წვლილი შეიტანა ახლო აღმოსავლეთის კრიზისის მოგვარების პროცესში, როდრსაც ურთიერთდათმობების საშუალებით ისრაელსა და ეგვიპტეს შორის მტრობა დასრულებულ იქნა. გაერო-ს პრესტიჟს კი დიდი ზიანი მიაყენა ამ შეთანხმებათა გაკიცხვამ (რა თქმა უნდა, პალესტინელთა ბედზე საუბრის გარდა, დოკუმენტში არაფერია გასაკრიტიკებელი), რისი ინიციატორიც იყო მსოფლიოში მტკიცე მშვიდობის „გარანტი“ - სსრკ. აღნიშ-

ნულ შეთანხმებათა დამსახურებაა ის, რომ შემდგომ წლებში ისრაელსა და არაბებს შორის ადგილი არ ჰქონია ისეთ მსხვილმასშტაბიან კონფლიქტს, როგორიც იყო 1948-1973 წლების პერიოდში. საინტერსოა, აგრეთვე, სირიაში განლაგებული გაერო-ს ძალების სტატუსიც, რომელიც სსრკ-ს მონაწილეობით იქნა შემუშავებული და იძლეოდა იმის გარანტიას, რომ მათ „კულისებსმიღმა“ მოქმედი დაინტერესებული ძალები ადგილობრივი ხელისუფლების პოლიტიკის წინააღმდეგ არ გამოიყენებდნენ.

დღეს ბევრს მსჯელობენ გაერო-ს არაეფექტურობის შესახებ. მართალია, მისი წესდება, ამ ორგანიზაციას საკმაოდ მოუქნელს ხდის იგივე NATO-სთან შედარებით, მაგრამ ეს მაინც ვერ აკნინებს გაერო-ს მნიშვნელობას. ამასთან დაკავშირებით, არ შეიძლება ხაზი არ გაესვას შემდეგ გარემოებას: გაერო არის უნიკალური საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც აერთიანებს მსოფლიოს უდიდეს ნაწილს, ხოლო რეგიონალურ ინსტიტუტებში გაერთიანებული არიან რეგიონაკური სახელმწიფოები. გაერო-ს იურისდიქცია მთელ მსოფლიოს მოიცავს,[1] მაშინ, როცა რეგიონალური ინსტიტუტები მხოლოდ კონკრეტულ რეგიონებში მოქმედებდნენ. გაერო-სა და რეგიონალური ორგანიზაციების ურთიერთმიმართება არის მთელისა და ნაწილის ურთიერთმიმართება, რადგან რეგიონალური ორგანიზაციების კოორდინირება შეუძლია — ე. ი. გაერო და რეგიონალური ინსტიტუტები ერთმანეთს ხელს არ უშლიან, პირიქით — ერთმანეთს ავსებენ. სწორედ, მათი ერთობლივი მოღვაწეობა მშვიდობის დამყარების ერთ-ერთი უმნისვნელოვანესი პირობაა (გავიხსენოთ 1990-1991 წწ. ერაყ-ქუვეითის ომი). არის მოსაზრება იმის შესახებ, რომ გაერო უნდა შეცვალოს „დიდმა შვიდეულმა“ (რომელშიც 1997 წლიდან რუსეთიც მონაწილეობს). პოლიტიკოსთა და მკვლევართა ამ ნაწილის არგუმენტი ის არის, რომ ამ სახილმწიფოებს დიდი გავლენა გააჩნიათ დღევანდელ მსოფლიოში მიმდინარე პროცესებზე (დაწყებული გლობალური უშიშროების პრობლემებით

[1] გაერო-ში გაწევრიანებულ სახელმწიფოთა მცირე რაოდენობის გარდა.

და დასრულებული აფრიკის სოციალურ-ეკონომიკური პრობ-ლემებით). მაგრამ ეს მოგვცემს ამ სახელმწიფოთა მხრიდან დიქტატს დანარჩენ სახელმწიფოებზე, რასაც მეტ-ნაკლებად ზღუდავს გაერო. ამიტომ მივიჩნევთ: გაერო-ს ნაკლებეფექ-ტურობა მისი სიცოცხლისუუნარობის სინონიმი არ არის. შესა-ბამისი რეფორმის ჩატარებით ნახევარი საუკუნის წინათ (სულ სხვა გეოპოლიტიკურ სიტუაციაში) შემუშავებული წესდების გადამუშავებით, რომელშიც გაერო-ს ყველა წევრი-სახელმ-წიფო უნდა მონაწილეობდეს და, ამასთან ერთად, წარსულის გაკვეთილების გამოცდილების გათვალისწინებით შესაძლებე-ლი გახდება გაერო-ს ეფექტურობის გაზრდა. აქედან გამომდი-ნარე, თანამედროვე ეტაპზე გაერო-ს ეფექტურობის გაზრდის მიზნით, საჭიროა: 1) გაუმჯობესებული იქნას რეგიონალურ კონფლიქტთა დარეგულირების წესდებით გათვალისწინებული მექანიზმი; 2) უშიშროების საბჭოში უნდა აისახოს თანამე-დროვე გეოპოლიტიკური ვითარება; 3) გაუმჯობესდეს ვეტოს გამოყენების მექანიზმი (როგორც წარსულის მაგალითებმა აჩვენეს ბევრ შემთხვევაში, ვეტოს გამოყენებით ხელი ეშლე-ბოდა იმავე გაერო-ს ეფექტურ მოქმედებებს); 4) უნდა დაიხვე-წოს გაერო-ს სამშვიდობო ოპერაციები, რომლის მიზანი უნდა იყოს არამარტო კომფლიქტის ზონაში ცეცხლისა და საომარ მოქმედებათა შეწყვეტა, არამედ გაერო-მ კონფლიქტის ის მონაწილე, რომელიც სამშვიდობო პროცესების ჩიხში მოქცე-ვას ცდილობს, მშვიდობისაკენ უნდა აიძულოს.

THE 4th ARAB-ISRAELI WAR: THE UNITED NATIONS' *"OUT OF PLAY"*

The October War (1973) between Israel and the Arab states (Egypt and Syria) was an important step in the Middle East conflict. It «puts» the point of capture Arab territory by Israel. From this moment appeared an interest to member countries of the European Economic Community in the peaceful settlement of the problem (the Middle East conflict). This war was a result of unresolved issues famous «the Six Day War» (1967). Particularly, uncompromising position of the conflicting parties (in particular - Israel), regional rivalry between the US and the USSR made an impact on the activities of the UN Security Council in this regard. In the post-war settlement of the problem attracts attention of diplomatic activity of the US Secretary of State Henry Kissinger, who was able to «break down barriers» in Israeli-Egyptian relations. Camp David and Washington agreements concluded mediation efforts of the United States gave rise to a peaceful stage in Israeli-Egyptian relations. The successful resolution of the problems between the two States - one of important links in the Middle East conflict - was a diplomatic victory of the United States. As a consequence of this, the UN was virtually isolated and lost the lead in resolving the problem.

АРАБО-ИЗРАИЛЬСКАЯ IV ВОЙНА:
ООН «ВНЕ ИГРЫ»

Октябрьская война (1973г.) между Израилем и арабскими государствами (Египет и Сирия) является важнейшим этапом в ближневосточном конфликте. Она «ставит» точку захватам территории арабских государств Израилем. С этого момента появляется заинтересованность у стран-членов Еропейского экономического сообщества в мирном разрешении данной проблемы (ближневосточный конфликт). Данная война является следствием нерешенных проблем известной «Шестидневной войны» (1967г.). В частности, бескомпромиссная позиция конфликтующих сторон (в особенности – Израиля), региональное противоборство США и СССР, отразившаяся и на деятельности СБ ООН в этом направлении. В послевоенном урегулировании проблемы привлекает внимание дипломатическая деятельность Государственного секретаря США Генри Киссинджера, сумевшего «сломать барьеры» в израило-египетских отношениях. Кемп-Девидские и Вашингтонские соглашения, заключенные посредническими усилями США, дали начало мирному этапу в израило-египетских отношениях. Успешное урегулирование проблем между этими государствами – одного из важнейщих звеньев в ближневосточном конфликте – является дипломатической победой США. Вследстве этого. ООН оказалась практически изолированной и она потеряла ведущую роль в разрешении данной проблемы.

ავღანეთის რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკა და სსრკ. *1973-1978*

1973წ. 17 ივლისს (ჰიჯრით 1352წ. 26 სარატანი) ავღანეთში სახელმწიფო გადატრიალება მოხდა: დაემხო მონარქია და შეიქმნა რესპუბლიკა. ეს იყო პირველი რესპუბლიკა ამ ქვეყნის ისტორიაში. მისი მეთაური გახდა დამხობილი მეფის – მუჰამედ ზაჰირ-შაჰის (დაიბადა 1914 წლის15 ოქტომბერს; მეფობდა 1933 წლიდან) ბიძაშვილი გენერალი მუჰამედ დაუდი[1] (1909-1978), რომელმაც ერთდროულად ოთხი მნიშვნელოვანი თანამდებობა (სახელმწიფოს მეთაური, პრემიერ-მინისტრი, თავდაცვისა და საგარეო საქმეთა მინისტრი) შეითავსა.

ზაჰირ-შაჰის ხელისუფლება მთელი თავისი არსებობის (1933-1973) მანძილზე რამდენადმე წარმატებულად უძღვებოდა საგარეო პოლიტიკას. ითვალიწინებდა რა ქვეყნის მნიშვნელოვან გეოსტრატეგიულ მდებარეობას, რომელიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გახდა „ცივი ომის“ მკაცრი რეალიების ფონზე, ის ახერხებდა რეალისტური, პრაგმატული დიპლომატიის წარმართვას და, ამგვარად, ქვეყნის დამოუკიდებლობის უზრუნველყოფას.

აღმოსავლეთ-დასავლეთის გლობალური დაპირისპირების ფონზე, ავღანეთის გეოპოლიტიკური მდებარეობა მართლაც ურთულესი იყო: ჩრდილოეთის საზღვრის მთელს პერიმეტრზე იგი სსრკ-ს ესაზღვრებოდა; ირანსა და პაკისტანთან მეზობლობით, ქაბულს საქმე ჰქონდა აშშ-ს გავლენის სფეროსთან;[2] ჩრ-

---

[1] სრული სახელია: სერდარ ალი მუჰამედ ლამარი ბინ მუჰამედ-აზიზ დაუდ-ხან; *„სერდარი“* თავადს ან უფლისწულს აღნიშნავს ავღანეთში.

[2] ირანი და პაკისტანი, თურქეთსა და დიდ ბრიტანეთთან ერთად, სენტო-ში (CENTO – ცენტრალური ხელშეკრულების ორგანიზაცია)

დილო-აღმოსავლეთით კი ავღანეთი ესაზღვრებოდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას, რომელიც აზიაში „მესამე ძალის“ როლზე აცხადებდა პრეტენზიას.[1] ამდენად, ქაბული მოსკოვ-ვაშინგტონ-პეკინის ურთიერთჭიდილის მძიმე წნეხის ქვეშ იმყოფებოდა.

ქაბულმა „ცივი ომის“ დაწყებისთანავე მიიქცია განსაკუთრებული ყურადღება და მასზე კონტროლის დასამყარებლად მოსკოვსა და დასავლეთს შორის ბრძოლა დაიწყო. 1949წ. აპრილში ბრიტანული გამოცემა “Contemporary Review” აღნიშნავდა, რომ დასავლეთი ავღანეთს ანიჭებს ისეთივე მნიშვნელობას, როგორიც

„რკინის ფარდის“ მოსაზღვრე ევროპულ სახელმწიფოებს.[2] მოგვიანებით, 1955წ. “New York Herald Tribune”ავღანეთის შესახებ წერდა, რომ „დღეს დედამიწაზე ძალზე მცირეა იმ რაიონთა რიცხვი, რომელიც ამერიკელი სამხედრო და პოლიტიკური ექსპერტების უფრო დიდ ყურადღებას იმსახურებდნენ“.[3]

40-50-იანი წლების მიჯნაზე აშშ აქტიურად ცდილობდა ქაბულის ჩართვას ანტისაბჭოთა ბლოკში. ე. აჰმადი და რ. ჯ. ბარნეტი მიიჩნევენ, რომ შუა აღმოსავლეთიდან ბრიტანელების წასვლის შემდეგ (1947წ.) აშშ-ს არ გამოუვლენია დაინტერესება ავღანეთში საკუთარი პოზიციების განსამტკიცებლად.[4]

შედიოდნენ (1958-1980).

[1] სსრკ-ს დაპირისპირებული ჩინეთი და დასავლეთი (პირველ რიგში, აშშ) 70-იანი წლების დასაწყისიდან ურთიერთობების მოგვარებას იწყებენ, რასაც კრემლში შეშფოთებით აღიქვამდნენ. ავღანეთი, ამასთანავე, დე-იურე ესაზღვრება ინდოეთს, თუმცა კი დე-ფაქტო ჯამუ და ქაშმირის შტატის (ინდოეთი) ავღანეთთან მოსაზღვრე ტერიტორიას პაკისტანი აკონტროლებს.

[2] *Правда об Афганистане*: документы, факты, свидетельства. М., 1980, გვ. 80.

[3] *Правда об Афганистане*: документы, факты, свидетельства, გვ. 30.

[4] **E. Ahmad, R. J. Barnett.** Bloody Games, – *“The New Yorker”*, April 11, 1988; **Э. Ахмад, Р. Барнетт.** Кровавые игры (реферативное изложение). – *«США – экономика, политика, история»* (შემდგომში: *«США*

ვფიქრობთ, რომ ეს მთლად ასე არ იყო. პირიქით, იმ პერიოდში რეგიონში სსრკ-ს გავლენის აღსაკვეთად მიმართულ ვაშინგტონის გეგმებში გარკვეული მნიშვნელობა ენიჭებოდა ქაბულსაც.[1] 1950წ. "Current History" (აშშ) ავღანეთის შესახებ წერდა, რომ აშშ-ს გააჩნდა კონკრეტული ინტერესები ამ ქვეყანაში და მას განიხილავდა, „როგორც შესაძლებელ პლაცდარმს რუსეთზე თავდასასხმელად".[2] მხოლოდ მას შემდეგ, რაც ვაშინგტონმა ისლამაბადი მიიმხრო და ირანშიც მოსინჯა ნიადაგი, ავღანეთმა აშშ-ს სტრატეგიაში უკანა პლანზე გადაიწია. თანდათან ქაბულ-ვაშინგტონის ურთიერთობებში ბზარი ჩნდება, რაც უკავშირდება ავღანეთ-პაკისტანის დაპირისპირებაში აშშ-ს მხრიდან ისლამაბადის სასარგებლოდ (საქმე ეხებოდა „პუშტუნისტანის პრობლემას") ქაბულზე განხორციელებულ ზეწოლას.[3] 1954წ. კი პრეზიდენტ დუაიტ ეიზენჰაუერის ადმინისტრაციამ (ამ დროს უკიდურესად იყო დაძაბული ავღანეთ-პაკისტანის ურთიერთობები) უარი უთხრა ავღანეთის პრემიერ-მინისტრ დაუდს სამხედრო დახმარებაზე.

ვაშინგტონისაგან გაწბილებულმა ოფიციალურმა ქაბულმა ანალოგიური თხოვნით უკვე მოსკოვს მიმართა და დახმარებამაც არ დააყოვნა. პროპაკისტანურად განწყობილი აშშ-საგან ავღანეთი სსრკ-სკენ იწყებს შებრუნებას და თანდათან კრემლის გავლენის ქვეშ ექცევა. 1955წ. ქაბულმა უარი თქვა „ბაღდადის პაქტში" გაწევრიანებაზე, რომლის წევრი პაკისტანიც იყო.[4] იმ პერიოდში კი ქაბული ისლამაბადთან ყოველგვარი მჭიდრო ურთიერთობების დამყარებას კატეგორიულად გამორიცხავდა. შექმნილი ვითარებით ისარგებლა მოსკოვმა, რომელმაც „პუშტუნისტანის საკითხში" ავღანეთის მხარე დაი-

---

– *ЭПИ»*), №6, 1989, გვ. 58.

[1] **Н. Иванов.** Ограниченный контингент. – *«Советский Войн»* (შემდგომში: *«СВ»*), №13, 1991, გვ. 20.

[2] **А. Афанасьев.** Афганистан: почему это произошло. – *«Коммунист вооруженных сил»* (შემდგომში: *«КВС»*), №12, 1991, გვ. 73.

[3] **Н. Иванов.** Ограниченный контингент, გვ. 20.

[4] „ბაღდადის პაქტი" შეიქმნა 1955წ. მისი წევრები იყვნენ დიდი ბრიტანეთი, თურქეთი, პაკისტანი, ირანი და ერაყი. 1958წ. ბაღდადმა ორგანიზაცია დატოვა, რის შემდეგაც იგი SENTO-დ გარდაიქმნა.

ჭირა. 1955 წელსვე საბჭოთა კავშირსა და ავღანეთის სამეფოს შორის რიგი მნიშვნელოვანი ხელშეკრულებები გაფორმდა. აშკარად გამოიკვეთა ქაბულის მოსკოვის „ფრთებქვეშ“ მოქცევა.

სწორედ ასეთი პერიპეტიების შემდეგ, უკვე 50-იანი წლების ბოლოს, ვაშინგტონში აღიარეს, რომ მათთვის ავღანეთი „არავითარ სტრატეგიულ ფასეულობას არ წარმოადგენდა“.[1] მიუხედავად ამისა, აშშ-ს მაინც არ მოუდუნებია ყურადღება ქაბულის მიმართ.

ითვალისწინებდა რა ასეთ რთულ საერთაშორისო ვითარებას რეგიონში, ავღანეთის სამეფო ძალთა დაბალანსების პოლიტიკის გატარებას ცდილობდა. მაგრამ კრემლი მაინც უპირატესობით სარგებლობდა. იგი გაცილებით მნიშვნელოვან ეკონომიკურ დახმარებას (ყოველწლიურად 500 მლნ აშშ დოლარი) უწევდა ქაბულს, ვიდრე ამ უკანასკნელის დანარჩენი პარტნიორები – მათ შორის აშშ-ც.[2] სსრკ ძალას არ იშურებდა, რომ არ დაეშვა ავღანეთზე გავლენის დაკარგვა და მისი შესაძლო მიმხრობა დასავლეთისადმი.[3] მოსკოვ-ქაბულის ურთიერთობები იმდენად თბილი იყო, რომ ვაშინგტონს ავღანეთის პროსაბჭოურობაში დაეჭვების საფუძველს აძლევდა.[4] ე. აჰმადისა და რ. ბარნეტის სამართლიანი შენიშვნით, ავღანეთი სსრკ-სთვის ფინეთის სამხრეთაზიურ ექვივალენტად იქცა.[5]

---

[1] **Л. Млечин.** Исламский фактор. – *«Новое время»*, №47, 1990, გვ. 17.

[2] **Ю. Буллах.** Советско-афганская внешняя торговля на новом этапе. – *«Внешняя торговля»*, №6, 1979, გვ. 17; **В. Снегирёв.** Узник Серебрянного Бора. – *«Огонёк»*, №43, 2001, გვ. 14.

[3] **Н. С. Хрущёв. Мемуары.** – *«Вопросы истории»* (შემდგომში: *«ВИ»*), №10, 1994, გვ. 77; **П. Аллан, Д. Клей.** Афганский капкан (Правда о советском вторжении), М., 1999, გვ. 51; **T. Strobe.** Khrushchev Remembers: The Last Testament, Boston, Mass., 1974, გვ. 298, 300; **R. Garthoff.** Détente and Confrontation: America-Soviet Relations from Nixon to Reagan, Wash., 1985, გვ. 932.

[4] **К. М. Цаголов, С. Харрисон.** Афганская война (взгляд из сегодняшнего дня). – *«Восток (Афро-Азиатские общества: история и современность)»* (შემდგომში: *«Восток-ААОИС»*), №2, 1991, გვ. 48, 49.

[5] **E. Ahmad, R. J. Barnett.** Bloody Games; **Э. Ахмад, Р. Барнетт.**

საშინაო პოლიტიკის გატარებაში დამოუკიდებლობის შენარ-ჩუნებით ქაბული ხელ-ფეხშეკრული იყო საგარეო პოლიტიკა-ში, ვინაიდან უწევდა მოსკოვის ინტერესებისათვის ანგარიშის გაწევა.

ზოგადად ასეთი იყო ავღანეთის საერთაშორისო მდგო-მარეობა „26 სარატანის რევოლუციის“ წინ. ხელისუფლებაში მოსვლისას, როგორც ჩანს, დაუდი მიზნად ისახავდა ავღანე-თისათვის რამდენიმე მნიშვნელოვანი საგარეოპოლიტიკური პრობლემის გადაჭრას: 1) მნიშვნელოვანი ეკონომიკური და პოლიტიკური პარტნიორების მოძებნა; 2) „პუშტუნისტანის პრობლემის“ გადაჭრა; 3) სსრკ-ს გავლენისაგან ავღანეთის ჩამოშორება. თუმცა ეს არ გულისხმობდა ახალი „პატრონის“ მოძებნას. დაუდი არ იყო ანტისაბჭოთა ისტერიით შეპყრობი-ლი პოლიტიკოსი, მაგრამ, ამასთანავე, იგი წინააღმდეგი იყო რომელიმე სახელმწიფოს მიმართ ავღანეთის „ყმობისა“.

1973-1978 წლებში დაუდი ცდილობდა იმ ვითარების გა-მოსწორებას, რომელსაც თვითონ მისცა დასაბამი 1953-1963 წლებში პრემიერ-მინისტრად ყოფნის დროს. აღსანიშნავია, რომ იგი ასეთივე შემართებით იბრძოდა ავღანეთზე ინგლისის დომინანტობის წინააღმდეგ მეორე მსოფლიო ომის პერიოდში და მიზნის მიღწევას ფაშისტური ბლოკის სახელმწიფოთა გა-მოყენებით ცდილობდა.[1]

დაუდი აქტიურად შეუდგა დიპლომატიურ საქმიანობას. ახალი რეჟიმი აცხადებდა საერთაშორისო ურთიერთობებში ნეიტრალიტეტის კურსის გაგრძელებას. დაუდი, ეძებდა რა დასავლეთთან დაახლოების გზებს, ამასთანავე, უფრთხილდე-ბოდა სსრკ-სთან ურთიერთობებს. მოსკოვის გავლენისაგან თავდაღწევა ტოლფასი ეკონომიკური და პოლიტიკური ძალის დაბალანსებით ესახებოდა. ეს მიზანი შენიშნეს აშშ-ს ცენ-ტრალური სადაზვერვო სააგენტოს ექსპერტებმა, რომლებმაც ავღანეთის ლიდერი ასე დაახასიათეს: „დაუდი განსაკუთრე-

---

Кровавые игры, გვ. 58.

[1] **Ю. Н. Тихонов.** Новые документы о деятельности разведок стран «Оси» в Афганистане в годы Второй мировой войны. – *«Новая и Новейшая история»*, №5, 2001, გვ. 92, 93.

ბით ბედნიერია, როდესაც შეუძლია საკუთარ ამერიკულ სიგარეტს რუსული ასანთით წაუკიდოს ცეცხლი“.[1]

17 ივლისის აქტი მუჰამედ დაუდმა მემარცხენე ორიენტაციის სამხედროების მეშვეობით განახორციელა.[2] ამ დროისთვის სოციალისტური და კომუნისტური იდეოლოგია გარკვეული მხარდაჭერით სარგებლობდა ავღანელი სამხედროებისა და ინტელიგენციის ნაწილში. არალეგალურ ვითარებაში მოქმედებდა ავღანეთის სახალხო დემოკრატიული პარტია (ასდპ; დაარსდა 1965 წლის 1 იანვარს), რომელიც 1973 წლისთვის ერთმანეთზე გადამტერებულ ფრაქციებად იყო დაშლილი[18].[3] დაუდისათვის ნათელი იყო, თუ რა ძალა იდგა მათ უკან. ამიტომ მან ხელისუფლებაში შეიყვანა რამდენიმე აქტივისტი მემარცხენე სამხედრო, რითაც, გარკვეულწილად, მათ მადლობა გადაუხადა და ასევე ერთგვარი ნდობის ვოტუმიც მოუპოვა თავის ხელისუფლებას სსრკ-ს თვალში. ამასთან, დაუდს ჯერ კიდევ სჭირდებოდა მათი მხარდაჭერა რადიკალური მემარჯვენე (ისლამისტები) და მონარქისტული ოპოზიციის წინააღმდეგ. მემარცხენეებთან კავშირს იგი დროებით მოვლენად განიხილავდა და ეს „ალიანსი“ მაშინვე დაიშლებოდა, როგორც კი ახალი ხელისუფალი საკუთარ პოზიციებს გაიმყარებდა ქვეყანაში.

ამიტომ ვიდრე გრძელდებოდა ეს კავშირი, დაუდიც არ ცვლიდა ძველ საგარეოპოლიტიკურ კურსს. აქედან გამომდინარე, მისი დიპლომატიური მოღვაწეობა შეგვიძლია ორ ეტაპად დავყოთ: 1)1973-1975წწ. – ძველი საგარეოპოლიტიკური კურსი; 2) 1976-1978წწ. – შემობრუნება დასავლეთისაკენ.

---

[1] **Л. Млечин.** Исламский фактор, გვ. 17.

[2] ამის გამო დასავლეთი, პირველ ხანებში, უნდობლად ეკიდებოდა მუჰამედ დაუდს, რომელსაც „წითელ უფლისწულად“ მოიხსენიებდნენ. იქ მიიჩნევდნენ, რომ 17 ივლისის მოვლენები სსრკ-ს ორგანიზებული იყო (**Л. Б. Теплинский.** Афганистан – наш южный сосед, М., 1978, გვ. 61.).

[3] ძირითადი ფრაქციები იყო: „ხალყი“ („ხალხი“), რომლის ლიდერი იყო ნურ მუჰამედ თარაკი – ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის მეთაური 1978-1979 წლებში, და „ფარჩომი“ („ალამი“) – ლიდერი ბაბრაქ ქარმალი – ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის მეთაური 1979-1986 წლებში.

დაუდის მოღვაწეობის საწყის ეტაპზე საუბრისას, ბ. ქარმალი ერთ-ერთ ინტერვიუში (1990წ.) აღნიშნავდა, რომ იგი „აშკარა პროსაბჭოურ კურსს ატარებდა“.[1] რა თქმა უნდა, ხდებოდა ძველი კურსის გაგრძელება, რაც პოლიტიკური საჭიროებით იყო გამოწვეული, მაგრამ, ამასთან, დაუდი დასავლეთთან აქტიური ურთიერთობის გზებსაც ეძებდა, რისი დადასტურებაცაა ირანთან კონტაქტების დამყარება.

1975წ. მიწურულისათვის დაუდმა შეძლო მისთვის არასასურველი პარტნიორების ჩამოშორება.[2] კრემლი შეეცადა ავღანელი თანამოაზრეების დაცვას, მაგრამ, ამასთანავე, იძულებულიც იყო დაუდთან კარგი ურთიერთობების შენარჩუნებაზეც ეზრუნა.[3] ავღანეთის ლიდერმაც ამ მდგომარეობით ისარგებლა. 1975წ. ბოლოსათვის განვითარებულმა მოვლენებმა მოსკოვი შეაშფოთა, მაგრამ კრემლმა ამ ეტაპზე დაუდზე აქტიური ზეწოლისაგან თავშეკავება არჩია. ჩანს, რომ ამის მიზეზები შემდგომში მდგომარეობდა: 1) საბჭოთა ხელმძღვანელობა დაუდს ჯერ კიდევ არ განიხილავდა პროდასავლურ პოლიტიკოსად;[4] 2) დაუდისა და ასდპ-ს ალიანსმა ახალი

---

[1] **В. Снегирёв.** Узник Серебрянного Бора, გვ. 14.

[2] ამის შემდეგ დაუდმა ვაკანტურ პოსტებზე მემარჯვენე ორიენტაციისა და დასავლეთში განათლებამიღებული კადრები დანიშნა. ამ პროცესებმა მოსკოვს საზრუნავი გაუჩინა, ვინაიდან მისთვის ნათელი გახდა, რომ ავღანეთში სსრკ-სთვის არასასურველი პროცესები ვითარდებოდა.

[3] ამას ადასტურებს უკანასკნელ პერიოდში გამოქვეყნებული სკკპ ცკ-ს არქივებში დაცული დოკუმენტები: იხ.: ***В. Пластун, В. Андриянов.*** Наджибулла. *Афганистан в тисках геополитики*. М., 1998, გვ. 130-143.

[4] გარკვეული ცნობები დაუდის შესაძლო პროდასავლურობაზე მოსკოვში უკვე 17 ივლისის მოვლენებიდან მოკლე ხანში ჰქონდათ (იხ.: **Л. Млечин.** Исламский фактор, გვ. 17), თუმცა კი სსრკ-მ დაუყოვნებლივ აღიარა ავღანეთის ახალი ხელისუფლება. კრემლში კარგად ახსოვდათ მუჰამედ დაუდი ჯერ კიდევ მისი პრემიერობის დროიდან. ა. ალექსანდროვ-იგნატოვი (სკკპ ცკ-ს უკანასკნელი 4 გენერალური მდივნის: ლ. ბრეჟნევის, ი. ანდროპოვის, კ. ჩერნენკოსა და მ. გორბაჩოვის – მრჩეველი საერთაშორისო საკითხებში) აღნიშნავს: „ჩვენ მას

ხელისუფლებისადმი მოსკოვის ნდობა გამოიწვია; 3) კრემლში, როგორც ჩანს, მიიჩნევდნენ, რომ მტრული გარემოცვა (ირანთან ისტორიული მტრობა, პაკისტანთან ტერიტორიული უთანხმოებანი) საკმარისი მიზეზი იყო იმისათვის, რომ ქაბულს უარი არ ეთქვა წინამორბედთა მიერ არჩეულ საგარეოპოლიტიკურ კურსზე. სსრკ-ში მოვლენების შემდგომ განვითარებაზე დაკვირვება არჩიეს, რათა გაერკვიათ, რა დონეს მიაღწევდა დაუდის პოლიტიკა როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო ასპარეზზე და რამდენად იქნებოდა იგი მოსკოვისათვის მისაღები. მაგრამ, ამასთანავე, კრემლი დაუდის დასასჯელ „მათრახსაც“ ამზადებდა. ამისთვის კი აუცილებელი იყო ასდპ-ს გაერთიანება.

მემარცხენეების ჩამოცილების შემდეგ დაუდმა აქტიურად დაიწყო პროდასავლურ სახელმწიფოებთან (ირანი, საუდის არაბეთი და სხვ.) კონტაქტების დამყარება-გაღრმავება. იგი ირანის შაჰის – მოჰამედ-რეზა ფეჰლევის (1941-1979) ყურადღების ცენტრში მოექცა. ამ პერიოდში შაჰმა აქტიური მოღვაწეობა დაიწყო ირანისათვის რეგიონალური მასშტაბის ზესახელმწიფოს ფუნქციის შესასრულებლად, რაც გულისხმობდა მეზობლებზე კონტროლის გაძლიერებას და რეგიონში სსრკ-ს გავლენის შესუსტებას. გეგმის განხორციელებას ირანის მონარქი მოიაზრებდა ეკონომიკური თანამშრომლობისა და უშიშროების რეგიონალური სისტემის შექმნით, რომელშიც შევიდოდნენ ირანი, ინდოეთი, პაკისტანი, ავღანეთი და სპარსეთის ყურის არაბული მონარქიები. პროფ. ს. ჰარისონის სამართლიანი შენიშვნით, ეს იყო „ძველი სპარსეთის იმპერიის თანამედროვე ვერსია“.[1] ვფიქრობთ, რომ ეს გეგმა იდეალისტური და პრაქტიკულად განუხორციელებელი იყო, თუნდაც ინდოეთ-პაკისტანის ურთიერთობებიდან გა-

---

კარგად ვიცნობდით“ (**Д. Гай, В. Снегирёв.** Вторжение. Опыт журналистского расследования. – *«Знамя»*, №4, 1991, გვ. 225).

[1] **К. М. Цаголов, С. Харрисон.** Афганская война, გვ. 48, 49.

მომდინარე.

თავისი მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე, ირანი აშშ-სათვის მნიშვნელოვანი პარტნიორი იყო. იქიდან ადვილი იყო მახლობელი და შუა აღმოსავლეთის რთული რეგიონის გაკონტროლება; შესაძლებელი იყო სპარსეთის ყურის ჩაკეტვა და ასეთი გზით არაბული ნავთობის ექსპორტის შეფერხება; ირანი უშუალოდ ემეზობლებოდა სსრკ-ს, კერძოდ კი – მის ურთულეს რეგიონებს – კავკასიასა და შუა აზიას. ამასთან, თეირანი ნავთობის ერთ-ერთი უდიდესი ექსპორტიორიც იყო.

აღსანიშნავია, რომ „ნავთობდოლარებმა" მნიშვნელოვნად განაპირობა ირანის სამეფოს ეკონომიკის შემდგომი აღმავლობა. 70-იან წლებში სამრეწველო პროდუქციის წარმოება 20%-ით გაიზარდა, ხოლო ეკონომიკური ზრდის ტემპით ირანი აზიაში მეორე ადგილზე გავიდა (იაპონიის შემდეგ).[1] 1976 წლისთვის 1 სულ მოსახლეზე წლიურმა შემოსავალმა 2 500 აშშ დოლ. გადააჭარბა და გაუტოლდა იმ პერიოდის ესპანეთის მონაცემებს.[2] მნიშვნელოვანი იყო ირანის სამხედრო პოტენციალი. ირანს რეგიონში ერთ-ერთი უძლიერესი და მრავალრიცხოვანი (400 000) არმია ჰყავდა, რომელიც NATO-ს ექსპერტების შეფასებით (1977წ.), 1981 წლისათვის თვით ამ ორგანიზაციის წევრი ქვეყნების (აშშ-ს გამოკლებით) შეიარაღებულ ძალებზე უფრო ძლიერიც კი იქნებოდა.[3] აქედან გამომდინარე, გასაგებია, რომ ირანს ზესახელმწიფოს (თუნდაც რეგიონალურის)

---

[1] *Советский Союз и Организация Объединенных Наций* (1976-1980). М., 1989, გვ. 130-131; **Ю. М. Чернецовский.** Средний Восток в современных международных отношениях. М., 1985, გვ. 5-6; ***Проблемы развития стран Ближнего и Среднего Востока*** (Иран, Пакистан, Турция). Ответственный редактор **Ю. В. Ганковский.** М., 1981, გვ. 48-52.

[2] **Е. Трифонов.** Горе от умма. – *«Новое Время»*, №8, 1998, გვ. 26.

[3] ირანის არმიის გაძლიერებაში დიდი წვლილი შეიტანა NATO-მ, განსაკუთრებით კი – აშშ-მ. იხ.: **К. М. Цаголов, С. Харрисон.** Афганская война, გვ. 48, 49; **Ю. М. Чернецовский.** Средний Восток в современных международных отношениях, გვ. 6; **Е. Трифонов.** Горе от умма, გვ. 26.

სტატუსის მოპოვების სურვილი გასჩენოდა. ამაში კი მისი მხარდამჭერი აშშ იყო, რომელმაც, ბ. რუბინის მართებული შენიშვნით, მუჰამედ-რეზას მთელი რეგიონი „ანდო“.[1] აშშ-ს სახელმწიფო მდივნის საირუს ვენსის (1977-1980) თანაშემწე ახლო აღმოსავლეთისა და სამხრეთ აზიის საკითხებში ს. სობერი ოფიციალურად აცხადებდა, რომ „აშშ ირანისაგან მოელის საკუთარი როლის აქტივიზაციას არა მარტო სპარსეთის ყურის რაიონში, არამედ სხვა რეგიონშიც, სადაც კი საფრთხე ექმნება მშვიდობასა და სტაბილიზაციას... და აშშ-სთან თანამშრომლობის გაძლიერებას საერთო მიზნების მისაღწევად“.[2]

როგორც ვხედავთ, თეთრი სახლი აქტიურად უწყობდა ხელს ირანს და ერთგვარად აქეზებდა კიდეც ამ მიმართულებით, რომელშიც მოიაზრებოდა რეგიონში სსრკ-ს გავლენის შესუსტება, არაბული სამყაროს დაშოშმინება და ჩინეთისთვის დაპირისპირება. აშშ ამგვარად ცდილობდა რეგიონში მისი ინტერესებისათვის შესაბამის ძალთა ბალანსის შექმნას. ამისთვის კი ვაშინგტონს ძალზედ სჭირდებოდა სრულყოფილი კონტროლი შუა აღმოსავლეთზე, სადაც, ბუნებრივია, ავღანეთიც მოიაზრებოდა. მუჰამედ დაუდის მიერ ხელისუფლებიდან მემარცხენეების ჩამოცილებამ აშშ-ს ავღანეთში შეღწევის იმედი გაუჩინა.

ირანისა და ავღანეთის ინტერესების დამთხვევამ მათ შორის პარტნიორული ურთიერთობების დამყარება გამოიწვია. თეირანმა ქაბულს 1975 წელს 10-წლიანი ვადით 2 მილიარდი აშშ დოლარი ასესხა და, ამასთანავე, 400 მილიონი აშშ დოლარი კი შეღავათიანი პირობებით იმავე წლის დასაწყისში გადასცა.[3] ოფიციალური თეირანი ასეთ გრანდიოზულ თანხას

---

[1] **B. Rubin.** Paved with Good Intentions: The American Experience and Iran. New York, 1980, გვ. 204; **А. М. Бининашвили.** Влияние внешнего фактора на развитие ситуации в Иране. – კრებ.: *Иранская революция, 1978-1979гг.* Причины и уроки. Под редакцией **А. З. Арабаджяна.** М., 1989, გვ. 140.

[2] *“Keyhan International”*, October 6, 1977; **А. М. Бининашвили.** Влияние внешнего фактора на развитие ситуации в Иране, გვ. 139.

[3] **К. М. Цаголов, С. Харрисон.** Афганская война, გვ. 48, 49; **R. Garthoff.** Détente and Confrontation, გვ. 893, 894; *Ежегодник Большой Советской Энциклопедии* (შემდგომში - *БСЭ*). Вып. 19, М., 1975, გვ.

საკმაოდ კონკრეტული გათვლებით იძლეოდა, კერძოდ კი, „ფეჰლევის გეგმის“ განხორციელებაში თანამშრომლობისათვის.

მკვლევართა ერთი ნაწილი (ნ. გურევიჩი, ს. ჰარისონი, რ. ბარნეტი და ე. აჰმადი) სავსებით სწორად მიუთითებს, რომ ირანული დახმარების მიზანი „საბჭოთა-ავღანური თანამშრომლობის შესუსტება“ იყო.[1] დაუდი საკითხს პრაქტიკულად უდგებოდა და ხედავდა, რომ ირანის ეკონომიკურმა და სამხედრო პოტენციალმა რეგიონში ახალ რეალობებს ჩაუყარა საფუძველი, რომელსაც შეეძლო სსრკ-ს გავლენის შესუსტება. სწორედ ამიტომ ესწრაფოდა იგი ავღანეთ-ირანის ურთიერთობების გაღრმავებას.

„ფეჰლევის გეგმის“ განსახორციელებლად საკმარისი არ იყო მხოლოდ თეირან-ქაბულის თანამშრომლობა. აუცილებელი იყო ავღანეთ-პაკისტანის ურთიერთობათა ნორმალიზაციაც. ეს კი დაუდისათვის ძალზე მტკივნეული საკითხი იყო. ირანში ეს იცოდნენ, მაგრამ ვინც 2 მლრდ დოლარს იძლევა, მას გარკვეული საკუთარი მოთხოვნების წამოყენებაც შეუძლია.[2]

ისლამაბად-ქაბულის ურთიერთობებს ამწვავებდა ე.წ. „პუშტუნისტანის საკითხი“. პრობლემას სათავე 1893 წლის 12 ნოემბერს დაედო, როცა ლონდონმა აიძულა ავღანეთის იმდროინდელი მმართველი ემირი აბდურრაჰმან-ხანი (1880-1901), ხელი მოეწერა მძიმე შეთანხმებისათვის, რომელმაც პუშტუნები

218; *Ежегодник БСЭ.* Вып. 20, М., 1976, გვ. 214.

[1] **Н. М. Гуревич.** Социально-экономические предпосылки революции в 1978г. в Афганистане. – *«ВИ»*, №7, 1982, გვ. 70; **К. М. Цаголов, С. Харрисон.** Афганская война, გვ. 48, 49; **E. Ahmad, R. J. Barnett.** Bloody Games; **Э. Ахмад, Р. Барнетт.** Кровавые игры, გვ. 66.

[2] **М. Ф. Арунова, В. В. Басов, В. Н. Пластун, С. В. Полтавская и др.,** *Актуальные проблемы Афганской революции.* М., 1984, გვ. 142; **Н. М. Гуревич.** Предреволюционный кризис в Афганистане. – *«Народы Азии и Африки»*, №4, 1982, გვ. 37.

ორ ნაწილად გაჰყო:[1] ნაწილი საკუთრივ ავღანეთში დარჩა, ნაწილი კი – ბრიტანეთის ინდოეთის (1947წ. პაკისტანის) შემადგენლობაში აღმოჩნდა. ინგლისელმა კოლონიზატორებმა ასე სცადეს მათთვის დაუმორჩილებელი ავღანელების დაჩოქება. აღნიშნული პრობლემის გამო, ქაბულს თავიდანვე დაძაბული ურთიერთობები ჰქონდა ისლამაბადთან. 50-იანი წლების დასაწყისში მუსირებდა იდეა ავღანეთ-პაკისტანის კონფედერაციის შექმნით ამ საკითხის გადაჭრისა.[2] ამ იდეის უკან, როგორც ჩანს, დასავლეთი იდგა, ვინაიდან პაკისტანი იმთავითვე პროდასავლურ სახელმწიფოდ ჩამოყალიბდა. ამასთანავე, ზემოთ აღვნიშნეთ, თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა დასავლეთი ქაბულს „ცივი ომის“ საწყის ეტაპზე.

დაუდი ძალიან მკაცრად უდგებოდა ამ საკითხის გადაჭრას. ჯერ კიდევ 1953-1963 წლებში მან წამოაყენა მოსაზრება პრობლემის რეფერენდუმის გზით მოეგვარებისა. ეს მიუღებელი იყო ისლამაბადისათვის, რადგან პუშტუნები აუცილებლად ავღანეთთან გაერთიანებას დაუჭერდნენ მხარს. აქედან

---

[1] ამ ხელშეკრულებით დაფიქსირებული საზღვარი (დღეს ავღანეთ-პაკისტანის) „დიურანდის ხაზითაა“ ცნობილი მოლაპარაკებებზე ლონდონის წარმომადგენლის მორტიმერ დიურანდის სახელის მიხედვით. აბდურაჰმან-ხანის შემდეგ არცერთ ავღანელ ხელისუფალს ეს საზღვარი საჯაროდ და ოფიციალურად არ უცვნია. მისი ცნობის შემთხვევაში იგი დაკარგავდა ქვეყნის ეთნიკური ბირთვის – პუშტუნების მხარდაჭერას და, შესაბამისად, ხელისუფლებასაც. აღსანიშნავია, რომ ხელშეკრულება 100 წლის ვადით დაიდო. თუმცა, ამ ვადის ამოწურვის შემდეგ, 1993წ. 12 ნოემბერს მისი ვადის გაგრძელება არ მომხდარა. ამდენად, დე-იურე, ფაქტობრივად, ავღანეთ-პაკისტანის სახელმწიფო საზღვარი არ არსებობს, მაგრამ ვინაიდან ისლამაბადმა, ანტიტერორისტული კამპანიის ფარგლებში, აქტიური როლი ითამაშა თალიბების რეჟიმის დამხობაში, ამიტომაც, ავღანეთის ამჟამინდელი ხელისუფლება იძულებულია გააგრძელოს დეფაქტო არსებული საზღვრის ცნობა. მით უფრო, რომ ეს „აღიარება“ საკუთრივ ოფიციალურ ქაბულს ესაჭიროება, რადგან სწორედ ამ ზონას აფარებენ თავს თალიბები.

[2] **В. Я. Белокреницкий, В. Н. Москаленко.** Новая геополитическая ситуация: *афгано-пакистанский аспект*. – *«Восток-ААОИС»*, №6, 1993, გვ. 95.

გამომდინარე, ხელისუფლებაში დაუდის მოსვლა პაკისტანისათვის სასიამოვნო არ იყო. ამიტომ იყო, რომ 17 ივლისის გადატრიალების შემდეგ კიდევ უფრო გამწვავდა მათ შორის ურთიერთობა, რომელიც „26 სარატანის რევოლუციის“ წინ ისე-დაც დაძაბული იყო.[1] 1974წ. დაუდმა არაერთხელ გააკრიტიკა ზულფიკარ ალი ბჰუტოს[2] მთავრობა პუშტუნებისა და ბელუჯების უფლებათა დარღვევების გამო. მან კიდევ ერთხელ მოითხოვა პაკისტანის პუშტუნებისათვის თვითგამორკვევის უფლების მიცემა. გაღიზიანებული ისლამაბადი ქაბულს საშინაო საქმეებში ჩარევაში ადანაშაულებდა.[3]

პაკისტანმა გადაწყვიტა, „ჭკუა ესწავლებინა“ ამ „პუშტუნი ნაციონალისტისათვის“. ამ მიზნით ბჰუტომ სცადა ქაბულიდან გამოქცეული ისლამისტების გამოყენება. დაუდი უარყოფითად ეკიდებოდა ფუნდამენტალისტებს, რომლებმაც 60-იანი წლების შუახანებიდან ორგანიზაციებად ჩამოყალიბება დაიწყეს. ამიტომ ისინი იძულებული გახდნენ, ავღანეთი დაეტოვებინათ. ისლამაბადი თავიდანვე შეუდგა მათ სახმედრო

---

[1] **ქ. ხაჟალია.** ეროვნული უმცირესობანი და ეროვნული საკითხი თანამედროვე პაკისტანში. – კრებ.: აზიისა და აფრიკის ქვეყნების ისტორიის საკითხები. პროფესორი *ა. მენთეშაშვილის* რედაქციით. ტ. 2, თბ., 1996, გვ. 12.

[2] პაკისტანის სახელმწიფო მოღვაწე: 1963-1966 და 1971-1977 წლებში საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობა ეჭირა; 1971-1973წწ. – პრეზიდენტია, ხოლო 1973-1977 წლებში კი ქვეყნის პრემიერ-მინისტრი იყო.

[3] **В. Н. Москаленко.** Внешняя политика Пакистана *(формирование и основные этапы эволюции)*. М., 1984, გვ. 215; *Ежегодник БСЭ.* Вып. 19, გვ. 218; **R. Garthoff.** Détente and Confrontation, გვ. 893, 894. „პუშტუნისტანის პრობლემა“ დაუდისათვის „აქილევსის ქუსლი“ იყო. დასავლეთელი მკვლევარები დადებითად აფასებენ მის მოღვაწეობას 1953-1963 წლებში და ერთადერთ მარცხად ამ პერიოდში ზემოაღნიშნული პრობლემის გამო პაკისტანთან ურთიერთობების გაუარესებას მიიჩნევენ, რამაც კიდევაც საბოლოოდ შეიწირა მისი პოსტი (იხ.: *Afghanistan in the 70's.* New York, 1974, გვ. 54; **Н. М. Гуревич.** Социально-экономические предпосылки.., გვ. 67.).

მომზადებას. 1975წ. ივლისში მოჯაჰედებმა („სარწმუნოებისთვის მებრძოლნი“) პანჯშერის ხეობაში აჯანყება მოაწყვეს, თუმცა ხელისუფლებამ მალევე შეძლო არმიისა და მოსახლეობისაგან ზურგგაუმაგრებელი ამბოხებულების დამარცხება.[1] ამდენად, პაკისტანის მიერ ინსპირირებული და ეს აქცია ისლამისტებისა და ისლამაბადის მარცხით დასრულდა.

ფუნდამენტალისტების მარცხი მრავლისმეტყველი იყო: ახალი ხელისუფლება, რომელიც ზომიერ, მაგრამ პროგრესულ რეფორმებს ატარებდა, მოსახლეობის უკმაყოფილებას ჯერ კიდევ არ იწვევდა. ამასთან, ავღანელები დაუდსა და მის რეჟიმში წინა ხელისუფლებისაგან დიდ სხვაობას ვერ ხედავდნენ, ვინაიდან ქვეყნის სათავეში ისევ სამეფო დინასტიის წარმომადგენელი იდგა, ხოლო მონარქია კი მათთვის ქვეყნის ერთიანობის, დამოუკიდებლობისა და სტაბილურობის სიმბოლო იყო. ამდენად, მუჰამედ დაუდს ჯერ კიდევ გააჩნდა ნდობის ვოტუმი, რაც მას წაადგა კიდევაც აჯანყებულთა დასამარცხებლად. იგი სასტიკად გაუსწორდა ისლამისტებს, მაგრამ 1975წ. აჯანყებამ ქაბულს მთელი სისრულით დაანახა ის სავალალო შედეგი, რაც მოჰყვებოდა პაკისტანთან მოუწესრიგებელ ურთიერთობებს.[2]

---

[1] **М. Ф. Арунова, В. В. Басов, В. Н. Пластун, С. В. Полтавская и др.,** *Актуальные проблемы Афганской революции,* გვ. 113; **В. Н. Спольников.** Афганистан: исламская оппозиция. *Истоки и цели.* М., 1990, გვ. 22, 23. ამბოხების უშუალო ხელმძღვანელები იყვნენ 23-29 წლის ახალგაზრდა ისლამისტები. ამჟამად არცერთი მათგანი ცოცხალი აღარაა. ამ დროს შედგა ცნობილი სამხედრო მოღვაწის, „პანჯშერის ლომად“ წოდებული აჰმად შაჰ მასუდის /*ზემოთ, ფოტოზე*/ (1953-2001) სამხედრო დებიუტი (**Т. Бараев.** Ахмад Шах Масуд. – *«Эхо планеты»,* №14, 1992, გვ. 17.).

[2] „პუშტუნისტანის პრობლემიდან“ გამომდინარე, პაკისტანის ინტერესებში შედის ავღანეთში არასტაბილურობის შენარჩუნება, რათა ქაბულს პუშტუნისტანზე ყურადღების გადატანის საშუალება არ მიეცეს და, ამდენად, საფრთხე არ შეუქმნას პაკისტანის შიდასტა-

ამდენად, აღნიშნული პრობლემა აუცილებლად საჭიროებდა მოგვარებას. დაუდი მიხვდა, პუშტუნისტანის საკითხში მას კომპრომისებზე წასვლა მოუწევდა. ამ ეტაპზე ამ საკითხში არდათმობას შეეძლო ჩაეშალა მისთვის უმთავრესი მიზნის (სსრკ-ს გავლენისაგან ავღანეთის გამოსვლა) მიღწევა. თავის დროზე, სწორედ „პუშტუნისტანის პრობლემის“ გადაწყვეტის გამო მიმართა დასახმარებლად დაუდმა ნ. ხრუშჩოვს, მაგრამ ამით ქაბულმა ვერაფერი მოიგო. „ცივი ომის“ ისედაც დაძაბულ პერიოდში საბჭოთა პოლიტიკოსები იმდენს მაინც ხვდებოდნენ, რომ პუშტუნების ერთიანობის გამო არ დაპირისპირებოდნენ აშშ-ს, რომელიც ამ საკითხში პაკისტანის პოზიციებს იცავდა. ამასთან, პრობლემის ღიად დატოვება სსრკ-ს ქაბულზე კონტროლისთვისაც აწყობდა: სანამ დღის წესრიგში იქნებოდა ამ საკითხის მოგვარება, ავღანეთიც არ ჩამოშორდებოდა მოსკოვს.

ავღანეთ-პაკისტანს შორის ურთიერთობების მოწესრიგებით დაინტერესებულნი იყვნენ ირანი და აშშ. წინაალმდეგ შემთხვევაში, გართულდებოდა „ფეჰლევის გეგმის“ რეალიზაცია. ირანი და საუდის არაბეთი დაუდისაგან მოითხოვდნენ ისლამაბადთან მოლაპარაკებების დაწყებას ორ სახელმწიფოს შორის არსებული პრობლემების მოსაგვარებლად. ისინი ქაბულს ურჩევდნენ თავი დაენებებინა პაკისტანის პუშტუნებისა და ბელუჯების სეპარატიზმის მხარდაჭერისათვის. როგორც ჩანს, დაუდს უკვე 1975წ. ბოლოსათვის გადაწყვეტილი ჰქონდა ასეთი არასასიამოვნო და არაპოპულარული ნაბიჯის გადადგმა. ძნელი სათქმელია, როდის დაიწყო მან ამ ქმედებისათვის მზადება. ცხადია, რომ პანჯშერის აჯანყება გარკვეულ როლს ითამაშებდა ამ საქმეში. ყოველ შემთხვევაში, 1975წ. ბოლო-

---

ბილურობასა და ტერიტორიულ მთლიანობას. პაკისტანი ეთნიკურად არამტკიცე სახელმწიფოა. იქ მოსახლე ეროვნული ჯგუფები თავიანთი ენებით, ადათებით, ისტორიული წარსულით უფრო ახლოს არიან ავღანეთისა და ინდოეთის მოსახლეობასთან, ვიდრე ერთმანეთთან. ერთადერთი, რაც მათ აკავშირებს, არის ისლამი. ამიტომ პაკისტანის ერთიანობა და შინაგანი სიძლიერე პირდაპირ უკავშირდება სარწმუნოების სიმტკიცეს.

სათვის დაუდი, როგორც ჩანს, უკვე ამ ზემოდასახელებული გადაწყვეტილების მიღებაზე ფიქრობდა. ამაზე მიანიშნებდა ბ. ქარმალი „ფარჩომის“ III პარტიულ კონფერენციაზე (1975წ. დეკემბერი).[1] იგი იძულებული შეიქნა პაკისტანთან დათმობებზე წასულიყო.

1975-1976წწ. მიჯნაზე დაიწყო ავღანეთ-პაკისტანის ურთიერთობათა დათბობა. პრობლემის მოგვარებაზე მუშაობა 1978წ. მარტში დასრულდა, როცა ხელი მოეწერა საბოლოო შეთანხმებას: ავღანეთი უარს ამბობდა პაკისტანის პუშტუნებისათვის მხარდაჭერასა და პაკისტანელი პუშტუნი და ბელუჯი პარტიზანებისათვის პოლიტიკური თავშესაფრის მიცემაზე. ისლამაბადი, თავის მხრივ, წყვეტდა ავღანელი ისლამისტებისათვის მხარდაჭერას და მზადყოფნას აცხადებდა ავღანელი სამხედროების მომზადებაზე.[2]

ამდენად, ავღანეთის საშინაო და საგარეო მდგომარეობიდან გამომდინარე, დაუდი დათმობაზე წავიდა პაკისტანის პუშტუნების საკითხში, ვინაიდან მან ვერ შეძლო ამ პრობლემის გარშემო საერთაშორისო მხარდაჭერის მოპოვება, თუმცა ამ მოლაპარაკებებზე არ გადაწყვეტილა „დიურანდის ხაზის“ ბედი. პაკისტანელი პუშტუნებისა და ბელუჯებისათვის მხარდაჭერაზე უარის თქმა არ ნიშნავდა ქაბულის მხრიდან ამ ხაზის ლეგიტიმაციას.

ამ მხრივ, ეს საკითხი პაკისტანისათვის ღიად დარჩა, მაგრამ ამ ეტაპზე დაუდის მხრიდან მიღებული დათმობებით ისლამაბადი მაინც კმაყოფილი იყო. თუმცა, აღნიშნულმა შეთანხმებებმა ზურგი მოუშალა ავღანელ ისლამისტებს, რომლებიც, 1975წ. ზაფხულში განცდილი მარცხის მიუხედავად,

---

[1] **М. Ф. Арунова, В. В. Басов, В. Н. Пластун, С. В. Полтавская и др.,** *Актуальные проблемы Афганской революции*, გვ. 136.

[2] **К. М. Цаголов, С. Харрисон.** Афганская война, გვ. 48, 49; *Ежегодник БСЭ.* Вып. 21, М., 1977, გვ. 209, 210; *Ежегодник БСЭ.* Вып. 22, М., 1978, გვ. 204; **А. А. Проханов.** Афганистан. – *«Международная жизнь»*, №7, 1988, გვ. 27; **R. Garthoff.** Détente and Confrontation, გვ. 893, 894; **T. Amin.** Afghan Resistance: Past, Present and Future. – *“Asian Survey”*, 1984, vol. 24, №4, გვ. 375-379; **В. Н. Москаленко.** Внешняя политика Пакистана, გვ. 215.

მაინც არ იყვნენ უგულებელსაყოფნი: 1973-1977 წლებში პაკისტანში სამხედრო წვრთნა გაიარა 6000-ზე მეტმა ავღანელმა ფუნდამენტალისტმა.[1] ამდენად, მათი განეიტრალება დაუდის დიპლომატიის წარმატება იყო. როგორც ლ. მლეჩინი მიიჩნევს, რომ არა კომუნისტური ძალების მოსვლა ავღანეთის სათავეში (27.04.1978), ისლამისტები საერთოდ გაქრებოდნენ პოლიტიკური სცენიდან, ვინაიდან პაკისტანის მიერ მათ მხარდაჭერაზე უარის თქმამ ისინი რთულ მდგომარეობაში ჩააგდო და ამის შემდეგ მათ სერიოზულ ძალად არავინ განიხილავდა[41].[2] ისლამური ფუნდამენტალიზმი, როგორც რელიგიურ-პოლიტიკური მიმდინარეობა, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გარკვეულ ეტაპზე მყოფი მაჰმადიანური საზოგადოების ნაყოფია და მისი გაქრობა უფრო დამოკიდებულია საზოგადოების შემდგომ პროგრესზე და არა კონკრეტული საშინაო და საგარეო პოლიტიკური ძალის მხარდაჭერაზე. ეს უკანასკნელი ფაქტორი ამ შემთხვევაში მეორეხარისხოვანია. რა თქმა უნდა, პაკისტანური მატერიალურ-ფინანსური მხარდაჭერა მათთვის მართლაც მნიშვნელოვანი იყო, მაგრამ საკუთრივ ავღანეთში არსებული სოციალურ-პოლიტიკური ვითარება ფუნდამენტალისტთა მოძღვრებისათვის საარსებო ნიადაგს ჯერ კიდევ ქმნიდა. დაუდმა შეძლო მათი დამარცხება 1975წ., მაგრამ ფესვები მაინც დარჩა. მათ აღმოფხვრას კი შედარებით ხანგრძლივი პერიოდი სჭირდებოდა. ამასთან ერთად, ამ პერიოდში განსაკუთრებით გაძლიერდნენ თავად პაკისტანელი ისლამისტები.

1975-1978 წლებში ავღანეთმა აქტიური ურთიერთობები დაამყარა დასავლეთის პარტნიორ არაბულ სახელმწიფოებთანაც (საუდის არაბეთი, ბაჰრეინი, ქუვეითი, გაერთიანებული არაბული საამიროები, ეგვიპტე) და ჩინეთთან, თუმცა ამ უკანასკნელთან ურთიერთობები ამ რეგიონში ჩვეულებრივი კეთილმეზობლობის დონეს არ გასცილებია. ქაბულმა პეკინს დაუდასტურა, რომ ჩსრ-სსრკ-ს დაპირისპირებაში ნეიტრალური იქნებოდა (1974წ. დეკემბერი), ხოლო 1978წ. მარტში

---

[1] **К. М. Цаголов.** Не всё так просто (открытое письмо Ричарду Барнетту и Экбалю Ахмаду). – *«США-ЭПИ»*, №6, 1989, გვ. 64.

[2] **Л. Млечин.** Исламский фактор, გვ. 17.

ხელი მოეწერა ჩინეთ-ავღანეთის ეკონომიკურ შეთანხმებას.[1] ყოველივე ზემოაღნიშნულთან ერთად, დაუდი რიგ სახელმწიფოებთან (ინდოეთი, ეგვიპტე, პაკისტანი, აშშ) შეთანხმდა ავღანეთის სამხედრო კადრების მომზადების თაობაზე, ხოლო სსრკ-ში სამხედრო განათლებამიღებულ ოფიცრებს თადარიგში ითხოვდა[43].[2] ეს ფაქტი აშკარად გამოხატავდა მოსკოვის მიმართ მის უნდობლობას და ამგვარად ცდილობდა კრემლისათვის ქაბულზე ზემოქმედების ერთ-ერთი ბერკეტი გამოეცალა.

თეირანისა და ერ-რიადის გააქტიურებული დიპლომატიის უკან, როგორც აღვნიშნეთ, აშშ იდგა, რომელსაც ავღანეთის მიმართ კონკრეტული დაინტერესება ჰქონდა: იქ შესაძლებელი იყო დაზვერვის ელექტრონული სადგურების განლაგება. ამასთან, როგორც ირკვევა, სსრკ-ავღანეთის საზღვარი ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის მხრივ ფაქტობრივად ღია იყო. პაუერსის მიერ განხორციელებული ცნობილი გაფრენის (1960წ.) შემდგომ საბჭოთა საზღვრის ამ მონაკვეთზე არაფერი შეცვლილა.[3] ამასთან ერთად, დაუდის დროს ამერიკელი გეოლოგები ურანის საბადოებს ეძებდნენ.[4] ჩანს, ავღანეთში ნამდვილად ივარაუდება რადიაქტიური წიაღისეულის არსებობა. ამის შესახებ საინტერესო ცნობას ვაწყდებით ქაბულში საბჭოთა ელჩის ა. პუზანოვის საანგარიშო მოხსენებაში (22.11.1978): ნ. მ. თარაკი სსრკ-ს გეოლოგიის მინისტრთან კოზლოვსკისთან საუბრისას დაინტერესებულა ჰაშინინის რაიონში გამოვლენილი ურანის პრაქტიკული მნიშვნელობით.[5] დასავლეთისკენ დაუდის შემობრუნების შემდეგ აშშ კიდევ უფრო გააქტიურდა. ავღანეთის ახალი მთავრობის მოღვაწეობის ორნახევარ წლისთავზე

---

[1] *Ежегодник БСЭ.* Вып. 19, გვ. 217, 218; **R. Garthoff.** Détente and Confrontation, გვ. 894.

[2] **К. М. Цаголов, С. Харрисон.** Афганская война, გვ. 48, 49; **R. Garthoff.** Détente and Confrontation, გვ. 894.

[3] **Н. Иванов.** Ограниченный контингент, გვ. 21; **Л. Н. Корнев.** Афганистан: *домыслы и реальность.* Уроки необъявленной войны. – *«Вестник границы»*, №4, 1991, გვ. 44.

[4] **Н. Иванов.** Ограниченный контингент, გვ. 13.

[5] **Н. Иванов.** Ограниченный контингент, გვ. 13.

ვაშინგტონი უკვე კმაყოფილი იყო მისით, რასაც ადასტურებს აშშ-ს ელჩის ტ. ელიოტის საანგარიშო მოხსენება (30.01.1978), სადაც იგი წერდა, რომ ავღანეთსა და მეზობელ სახელმწიფოებს შორის ურთიერთობების გაუმჯობესება მნიშვნელოვნად წაადგა აშშ-ს ინტერესებს რეგიონში.[1] სხვადასხვა დონის ამერიკელმა ჩინოსნებმა მოუხშირეს სტუმრობებს ქაბულში. აშშ-ავღანეთის ურთიერთობებში მნიშვნელოვანი ეტაპი იყო სახელმწიფო მდივნის ჰენრი კისინჯერის ვიზიტი ქაბულში (1976წ.). მან დაუდს პრეზიდენტ ჯერალდ ფორდის ადმინისტრაციის მხარდაჭერა დაუდასტურა.[2] ეს იყო ავღანეთის ახალი ხელისუფლების მნიშვნელოვანი აღიარება და დაწყებული პოლიტიკის შემდგომი გაღრმავებისათვის წაქეზება.

მოსკოვი ყურადღებით აკვირდებოდა დაუდის ესოდენ აქტიურ დიპლომატიას. ავღანეთი როგორც დამოუკიდებელი, ნეიტრალური და მიუმხრობელი სახელმწიფო, ბუნებრივია, თავისუფალი იყო მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანასთან ურთიერთობებში. კრემლში ამ გარემოებას ითვალისწინებდნენ და ქაბულისათვის „თითის დაქნევას“ ვერ ბედავდნენ, მაგრამ ვერც მასზე (როგორც მისი სასიცოცხლო ინტერესების სფეროში შემავალ სახელმწიფოზე)[3] კონტროლის დაკარგვას შეურიგდებოდნენ. თუმცა დაუდი არ უპირისპირდებოდა მოსკოვს, პირიქით, აგრძელებდა მასთან კეთილმეზობლურ ურთიერთობებს (დაიდო არაერთი ხელშეკრულება სავაჭრო-ეკონომიკური, კულტურული და სამეცნიერო თანამშრომლობის შესახებ).[4]

---

[1] **Н. Иванов.** Ограниченный контингент, – *«СВ»*, №10, 1991, გვ. 20.

[2] **Л. Н. Корнев.** Афганистан: домыслы и реальность, გვ. 43; **А. Ляховский, В. Забродин.** Тайны Афганской войны, – *«Армия»*, №3-4, 1992, გვ. 73; **П. Аллан, Д. Клей.** Афганский капкан, გვ. 58.

[3] **А. А. Кредер.** Новейшая история. XX Век. Учебник для основной школы, М., 1997, გვ. 276; **Б. Амирахмадиан.** Пути, связывающие проблемы и перспектива дальнейшего сотрудничества. – *«Аму-Дарья»* (Иранский журнал по изученью Центральной Азии и Кавказа), Тегеран, №2, 1999, გვ. 83.

[4] 1975 წლის დეკემბერში ქაბულში ხელი მოეწერა ოქმს, რომელმაც ვადა გაუგრძელა ავღანეთ-საბჭოთა კავშირს შორის ხელშეკრულებას ურთიერთთავდაუსხმელობისა და ნეიტრალიტეტის შესახებ. ამის

სსრკ ჯერ კიდევ რჩებოდა ავღანეთისათვის უდიდეს ეკონომიკურ დონორად.[1]

მართალია, მოსკოვმა თავი შეიკავა რაიმე ზომების გატარებისაგან 1975 წელს, მაგრამ იგი ნამდვილად გააღიზიანა ქაბულის შემდგომმა ნაბიჯებმა. სსრკ შეშფოთებული იყო. საჭირო იყო სასწრაფო პრევენტული ზომების მიღება. პირველ ეტაპზე, კრემლმა პრობლემის მოსაგვარებლად „კეთილი რჩევების“ მიცემა არჩია და ამისთვის ისარგებლა დაუდის ოფიციალური ვიზიტით მოსკოვში (1977წ. აპრილი). ლ. ბრეჟნევმა სცადა, „აეხსნა“ ავღანელი კოლეგისათვის, რომ ამ უკანასკნელის მიერ გატარებული საშინაო და საგარეო პოლიტიკის მთელი რიგი ასპექტები მოსკოვისათვის მთლად მოსაწონი არ იყო. დაუდი, რომელიც უკვე ზურგს უკან დასავლეთის სახელმწიფოების მხარდაჭერას გრძნობდა, აღშფოთდა და თანამოსაუბრეს, თავის მხრივ, აუხსნა, რომ ავღანეთი „ვარ-

---

შესახებ იხ.: *Ежегодник БСЭ.* Вып. 19, გვ. 218; *Ежегодник БСЭ.* Вып. 20, გვ. 214; *Ежегодник БСЭ.* Вып. 21, გვ. 210; *Ежегодник БСЭ.* Вып. 22, გვ. 218, 204; **Л. Б. Теплинский.** Афганистан – наш южный сосед, М., 1978, გვ. 61; **Л. Б. Теплинский.** История советско-афганских отношений. *1919-1987.* М., 1988, გვ. 42-52; **R. Garthoff.** Détente and Confrontation, გვ. 894.

[1] მართალია, არსებობდა ირანი თავისი 2 მილიარდიანი სესხით, მაგრამ ამ თანხის ათვისება 1977წ. II ნახევრამდე გაჭირდა: ფულის მიღებას ქაბული მხოლოდ მას შემდეგ შეძლებდა, როდესაც ლეგალიზდებოდა დაუდის ხელისუფლება, გაუქმდებოდა 1973წ. 17 ივლისს გამოცხადებული სამხედრო მდგომარეობა, ქვეყანას ექნებოდა ახალი კონსტიტუცია. ეს პირობები აფერხებდა არა მარტო ირანული სესხის მიღებას, არამედ სხვა სახელმწიფოებთან უფრო მჭიდრო კონტაქტების დამყარებას. მართალია, აშშ-სთვის დაუდი უკვე მისაღები იყო და მათ შორის ურთიერთობებიც მყარდებოდა, მაგრამ ვაშინგტონი მაინც ფრთხილობდა ამ მიმართულებით. მას შემდეგ, რაც ქაბულმა მიიღო კონსტიტუცია (1977 წლის 24 თებერვალს) და დაუდიც ოფიციალურად იქნა არჩეული პრეზიდენტად (1977 წლის 14 თებერვალს), აშშ-მ „კარებიც“ გააღო: 1977წ. 1 ოქტომბერს სახელმწიფო მდივანმა ს. ვენსმა მუჰამედ დაუდი, პრეზიდენტ ჯეიმს კარტერის სახელით, ოფიციალური ვიზიტით ვაშინგტონში მიიწვია, რომელიც 1978წ. სექტემბერში უნდა შემდგარიყო.

შავის ხელშეკრულების წევრი“ არ იყო. ამით მიანიშნა, რომ მისი ქვეყანა სსრკ-ს სატელიტების რიცხვს არ მიეკუთვნებოდა. აუდიენციის დასრულების შემდეგ, დაუდისათვის მის მრჩეველს უთქვამს: „თქვენსავე თავს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეთ“. კრემლი უკვე საბოლოოდ დარწმუნდა, რომ მის ინტერესებს ავღანეთში საფრთხე ემუქრებოდა. ამუშავდა მეორე ვარიანტი: დაუდის დამხობა.

კრემლის კატეგორიული მოთხოვნით, „ფარჩომი“ და „ხალყი“ იძულებული გახდნენ გაერთიანებულიყვნენ (1977 წლის 4 ივლისი), [1] რომელთა ლიდერებს მოსკოვი მუდმივად საქმის კურსში აყენებდა სსრკ-ავღანეთის მთავრობათა ურთიერთობების საკითხებში. აქედან გამომდინარე, ბ. ქარმალმა და ნ. მ. თარაკიმ იცოდნენ მოსკოვში დაუდის უკანასკნელი ვიზიტის შედეგების შესახებაც.[2] გაერთიანებული ასდპ-ს ცკ-ის პლენუმმა (1977წ. ივლისი) სასწრაფოდ მიიღო გადაწყვეტილება მთავრობის დამხობისათვის მზადების დაწყების შესახებ.[3] ასე გაფორმდა მოსკოვიდან მიღებული „შეკვეთა“. დაიწყო

---

[1] **П. Демченко.** Афганистан: на страже завоеваний народа. – *«Коммунист»* №5, 1980, გვ. 74; **П. Аллан, Д. Клей.** Афганский капкан, გვ. 61; **Д. Гай, В. Снегирёв.** Вторжение. Опыт журналистского расследования. – *«Знамя»*, №3, 1991, გვ. 198; **В. Пластун, В. Андриянов.** Наджибулла, გვ. 130-143; **М. Ф. Арунова, В. В. Басов, В. Н. Пластун, С. В. Полтавская и др.,** *Актуальные проблемы Афганской революции*, გვ. 150-151; **А. Ляховский.** На афганской выжженной земле (непредвзятый анализ событий, вооружённой борьбы до и после Афганской революции). – *«КВС»*, №18, 1990, გვ. 52; ***Афганистан: а завтра была война***. – *«Родина»*, №4, 1989, გვ. 32. ასდპ-ს გაერთიანება რომ იძულებითი აქტი იყო, ეს დასტურდება შემდეგი გარემოებებით: 1) ძალაში რჩებოდა „ფარჩომსა“ და „ხალყს“ შორის არსებული უთანხმოებანი; 2) არ მომხდარა მათი სამხედრო ორგანიზაციებისა და სალაროების გაერთიანება; 3) კვლავ ცალ-ცალკე ხდებოდა ახალი წევრების მიღებაც.

[2] **П. Аллан, Д. Клей.** Афганский капкан, გვ. 59.

[3] **В. Коргун.** Бабрак Кармаль. – *«Азия и Африка Сегодня»*, №4, 1998, გვ. 32; **В. Пластун, В. Андриянов.** Наджибулла, გვ. 130-143; **М. Ф. Арунова, В. В. Басов, В. Н. Пластун, С. В. Полтавская и др.,** *Актуальные проблемы Афганской революции*, გვ. 151.

მუშაობა აჯანყების გეგმის შესამუშავებლად.[1]

1977წ. ავღანეთში ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისი დაიწყო, რასაც მოსახლეობის ფართო ფენების სოციალური მდგომარეობის გაუარესება მოჰყვა. ასეთ მძიმე ვითარებაში ახალი კონსტიტუცია კიდევ უფრო ამძაფრებდა სიტუაციას, ვინაიდან აკანონებდა დაუდის ერთპიროვნულ მმართველობას. ამასთანავე, ერთადერთ ლეგალურ პოლიტიკურ გაერთიანებად ცხადდებოდა სამთავრობო „ეროვნული რევოლუციის პარტია". ხელისუფლებას ჩაეშალა აგრარული რეფორმა, რომელიც მისი მთავარი პრიორიტეტი იყო საშინაო პოლიტიკაში, რამეთუ მის წარმატებით დასრულებას უნდა გაეუმჯობესებინა მასების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა. ამდენად, შიდაარეულობებისათვის რეალური საფუძვლები შეიქმნა, რითაც სარგებლობდა მემარცხენე და მემარჯვენე ოპოზიცია.

---

[1] ჩვენთვის უცნობია, ვინ მონაწილეობდა ამ გეგმის შემუშავებაში და როდის დასრულდა ეს პროცესი. ერთ-ერთ ინტერვიუში (1990 წლის ზაფხული) ბ. ქარმალმა უარყო ასეთი გეგმის არსებობა (იხ.: **В. Снегирёв.** Узник Серебрянного Бора, გვ. 14; **В. Снегирёв.** Он был заложником Кремля. – *«Труд»*, 24.10.1991), მაგრამ ფაქტები მისი განცხადების წინააღმდეგ მეტყველებენ. აქვე აღსანიშნავია, რომ პ. ალანსა და დ. კლეის ეეჭვებათ, რომ „საურის რევოლუცია" „დეტალურად დაგეგმილი ღონისძიება ყოფილიყო" (**П. Аллан, Д. Клей.** Афганский капкан, გვ. 68). ვფიქრობთ, რომ შეგვიძლია მათ დავუპირისპიროთ ჩვენი არგუმენტები: 1) ასდპ-ს ერთ-ერთი თვალსაჩინო მოღვაწე დასტაგირ პანჯშერი ამტკიცებს, რომ პარტიას 1978წ. 27 აპრილამდე შემუშავებული ჰქონდა ანტისამთავრობო აჯანყების გეგმა (**Л. Миронов.** Афганистану нужен мир. – *«Азия и Африка Сегодня»*, №4, 1988, გვ. 19.); 2) ამბოხების დაწყებას მხოლოდ მოკლე ბრძანების მიცემა დასჭირდა; 3) აჯანყების მონაწილეები აღნიშნავენ, რომ ასდპ-ს ხელმძღვანელობისაგან წინასწარ ჰქონდათ მიღებული მითითებები პარტიის ლიდერთა დაპატიმრების შემთხვევაში შეიარაღებული გამოსვლის დაწყების შესახებ (**А. Ляховский, В. Забродин.** Тайны Афганской войны, გვ. 75.); 4) ქაბულში აჯანყების დაწყებისთანავე, ხალყისტებმა პროვინციებში სასიცოცხლო ობიექტების დაკავებას მიჰყვეს ხელი (**А. Ляховский, В. Забродин.** Тайны Афганской войны, გვ. 74.); 5) ამბოხებულთა მიერ შესრულებული ყოველი მოქმედება ადასტურებს სამოქმედო გეგმის არსებობას.

ამ პრობლემებით დაიწყო 1978 წელი. როგორც ვნახეთ, ამ წლის დასაწყისშივე დაუდმა მნიშვნელოვანი ხელშეკრულებების დადება მოახერხა, მაგრამ იგი უფრო დიდ იმედებს ამყარებდა წლის მეორე ნახევარზე: ივნისში დაგეგმილი იყო ირანის შაჰის ვიზიტი ქაბულში, სექტემბერში კი დაუდი ვაშინგტონში უნდა ჩასულიყო. ამასთანავე, სექტემბერში დაგეგმილ მიუმხრობელ სახელმწიფოთა ჰავანის (კუბა) კონფერენციაზე ავღანეთი აპირებდა „ჭეშმარიტი მიუმხრობელის" პოზიციის დაკავებას.[1] მაგრამ, 1978წ. 27 აპრილს (ჰიჯრით 1357წ. 7 საური) ავღანეთში პროკომუნისტურმა სახელმწიფო გადატრიალებამ დაამხო დაუდის ხელისუფლება. ქვეყნის სათავეში ასდპ მოვიდა. ასე დასრულდა „26 სარატანის რევოლუციის" ერა.

დაუდის მცდელობა, გამოეყვანა ავღანეთი სსრკ-ს კონტროლიდან, მარცხით დასრულდა. სწორედ საგარეო ფაქტორმა განაპირობა მისი რეჟიმის დამხობა, ხოლო გამძაფრებულმა სოციალურ-ეკონომიკურმა ვითარებამ მხოლოდ ხელი შეუწყო ამ პროცესს. საინტერესოა, რომ დაუდის საგარეოპოლიტიკურ ორიენტაციას პროფ. რ. ფერელი „პროსაბჭოურად" განსაზღვრავს.[2] სამწუხაროდ, იგი არ განმარტავს, თუ რის საფუძველზე აკეთებს ამგვარ დასკვნას. ჩვენ ვერ ვხედავთ მუჰამედ დაუდის 1973-1978წწ. მოღვაწეობაში ასეთი დასკვნისათვის საჭირო არგუმენტებს. მან შეძლო დასახულ საგარეოპოლიტიკურ ამოცანებში, გარკვეულწილად, წარმატებების მიღწევა (მეზობლებთან მოაწესრიგა ურთიერთობები, სსრკ-ს გამაწონასწორებელი ეკონომიკური დონორი მოძებნა). ავღანეთის მთავრობის დამხობამ დაადასტურა, რომ დაუდს ჰქონდა რეალური შანსი სსრკ-ს გავლენის შესუსტებისა. მოსკოვს იმავე 70-იან წლებში უკვე ჰქონდა არასასიამოვნო პრეცედენტი, როდესაც ეგვიპტის სათავეში ანვარ სადათის მოსვლის შემდგომ ამ ქვეყანაში უპირატესობა აშშ-მ მოიპოვა. თუმცა პრაქტიკულად დაუდისთვის შეუძლებელი იყო ქაბულზე მოსკოვის

---

[1] **К. М. Цаголов, С. Харрисон.** Афганская война, გვ. 47, 49; **R. Garthoff.** Détente and Confrontation, გვ. 894.

[2] **R. Ferrell.** American Diplomacy. The Twentieth Century. New York-London, 1988, გვ. 382.

გავლენის შესუსტების მიღწევა. სსრკ არაფრით დაუშვებდა ავღანეთის დაკარგვას, მით უფრო, რომ ქაბული საბჭოთა შუა აზიას ესაზღვრებოდა. ამდენად, ის, რაც ეპატია კაიროს, არ ეპატიებოდა ავღანეთს.

რ. ვიაიურიუნენი სამართლიანად მიიჩნევს, რომ სსრკ ბოლო პერიოდში აღარ იყო დაინტერესებული დაუდის ხელისუფლების შენარჩუნებით, რომელიც სულ უფრო ნაკლებად ეყრდნობოდა მოსკოვს.[1] საბჭოთა პრესაც, 27 აპრილის მოვლენებიდან სულ მოკლე ხანში ამტკიცებდა, რომ დაუდის მთავრობის მოღვაწეობა ძირს უთხრიდა სსრკ-ავღანეთის მეგობრობას.[2] რ. ბარნეტი, ე. აჰმადი, ს. ჰარისონი და კ. ცაგოლოვი მიიჩნევენ, რომ საგარეოპოლიტიკური კურსის რევიზიის მცდელობა ავღანეთმა ირანის (აშშ-ს მხარდაჭერით) გავლენით დაიწყო.[3] ჩვენს მიერ შესწავლილ პროცესებში ამგვარი რამ არ ჩანს. პირიქით, ეს იყო თავად დაუდის ინიციატივა, ხოლო ამ საკითხში ქაბულთან თეირან-ვაშინგტონის ინტერესთა თანხვედრის გამო, მათ კატალიზატორის როლი შეასრულეს. სწორედ ამან შეაშფოთა მოსკოვი, რომელიც ავღანეთის დაკარგვის საშიშროების წინაშე იდგა.

ამდენად, ამ ეტაპზე, საბჭოთა კავშირმა „საჭადრაკო დაფის“[4] შუა აღმოსავლეთის ფლანგზე დასავლეთის პოლიტი-

---

[1] **R. Väyrynen.** Focus on Afghanistan. – *“Journal of Peace Research“*. Vol. 17, №2, 1980, გვ. 95; **П. Аллан, Д. Клей.** Афганский капкан, გვ. 58.

[2] **А. Ахмедзянов, В. Байков.** Афганистан начинает новую жизнь. – *«За рубежом»*. 2-8 мая, 1978.

[3] **E. Ahmad, R. J. Barnett.** Bloody Games; **Э. Ахмад, Р. Барнетт.** Кровавые игры, გვ. 59; **К. М. Цаголов.** Не всё так просто, გვ. 66.

[4] ცნობილი პოლიტოლოგი, აშშ-ს პრეზიდენტის ჯ. კარტერის (1977-1981) მრჩეველი ეროვნული უშიშროების საკითხებში, ზ. ბჟეზინსკი დედამიწას განიხილავს, როგორც „საჭადრაკო დაფას“, სადაც ზესახელმწიფოთა დაპირისპირება ვითარდება. ის დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა „პირველ სვლას“ და მიიჩნევდა, რომ აშშ-ს სსრკ-სთვის უნდა დაესწრო საკუთარი ფიგურის დასმა: „ვინც პირველი მივა, მდგომარეობასაც ის აკონტროლებს“ (**А. А. Кокошин, С. М. Рогов.** Кардиналы Белого дома, М., 1986, გვ. 258.). ბჟეზინსკი დღესაც ამ თვალსაზრისით მსჯელობს (იხ.: ***З. Бжезинский.*** Великая Шахматная доска.

კური შეღწევის მცდელობის აღკვეთა მოახერხა და საკუთარი პოზიციები დაიცვა. დაუდიც და მთელი ავღანეთიც „ცივი ომის“ მკაცრი რეალიების მსხვერპლი გახდნენ.

Господство Америки и его геостратегические императивы, М., 1999).

FOREIGN POLICY OF REPUBLIC OF AFGHANISTAN AND THE SOVIET UNION. *1973-1978*

In the second half of XX century Afghanistan was under the strong influence of the USSR and actually started to lose foreign sovereignty. In consequence of coup d'état (July 17, 1973) in Afghanistan was eliminated monarchy and established the republic, headed by a cousin of the deposed King Mohammed Zahir Shah, General Mohammed Daoud. The new leader of Afghanistan at the same time became the head of State (from February 14, 1977 - President), the Prime Minister, Minister of Defense and Minister of Foreign Affairs. In his diplomatic career Daoud outlined several problems, the solution of which he attached prime importance: 1) Lead the country from Soviet influence, 2) Find new partners who can assist Afghanistan substantial economic and political support, and 3) To solve the so-called «Pashtunistan issue». Notably, these targets of Kabul were coincided with the interests of Iran and the US in the region, who were trying to oust the Soviet Union from the Middle East. This situation created a favorable background for enhancing foreign Mohammed Daoud. Iran allocated Afghanistan loan for US $ 2 billion on a 10-year on favorable terms. It was the single biggest ever foreign aid provided to Afghanistan. With the help of Iran and Saudi Arabia Daoud was able to improve relations with Pakistan, though he did not manage to solve territorial issues with Islamabad. But the agreements reached at this stage, fully suited both sides. The activity Daud alarmed the Kremlin leadership and they diplomatically hinted about it. However, the Afghan leader did not stop the «advices» of Moscow and he became even more active approach with new allies. It forced the Kremlin to make a decision about the overthrow of the uncontrolled Daud. As a result, on 27 April 1978 in Afghanistan was organized a coup d'état and pro-Moscow People's Democratic Party of Afghanistan came to authority. Thereby the Soviet prevented penetration of the US and its partners on this flank of «checkerboard» and defended their interests. Daoud and all of Afghanistan were victims of the harsh realities of the «Cold War».

НЕШНЯЯ ПОЛИТИКА РЕСПУБЛИКИ АФГАНИСТАН И СССР *1973-1978*

Во второй половине XXв. Афганистан оказался под сильным влиянием СССР и фактически начал терять внешнеполитический суверенитет. Вследствии государственного переворота (17.07.1973) в Афганистане была ликвидирована монархия и основана республика, главой которой стал двоюродный брат свергнутого короля Мухаммеда Захир-шаха генерал Мухаммед Дауд. Новый лидер Афганистана одновременно стал главой государства (с 14.02.1977 – президент), премьер-министром, министром обороны и иностранных дел. В своей дипломатической деятельности Дауд наметил несколько задач, решению которых он придавал первостепенную значимость: 1) Вывести страну из советского влияния; 2) Найти новых nпартнёров, могущих оказать Афганистану значительную экономическую и политическую поддержку; 3) Решить т.н. «проблему Пуштунистана». Примечательно, что эти цели Кабула совпали с интересами Ирана и США в регионе, которые сами старались вытеснить СССР со Среднего Востока. Данное обстоятельство создавало благоприятный внешнеполитический фон для активизации Мухаммеда Дауда. Иран выделил Афганистану займ на 2 млрд. долл. США на 10-летний срок на льготных условиях. Это была самая грандиозная иностранная помощь когда-либо оказанная Афганистану. С помощью Ирана и Саудовской Аравии Дауд сумел наладить отношения с Пакистаном, хотя ему не удалось решить территориальные проблемы с Исламабадом. Но достигнутые договорённости, на данном этапе, полностью устраивали обе стороны. Подобная активность Дауда насторожила кремлёвское руководство и оно дипломатично намекнуло об этом. Однако, афганского лидера не остановили «советы» Москвы и он ещё более активно стал сближаться с новыми союзниками. Это вынудило Кремль, принять решение о свержении бесконтрольного Дауда. В результате, 27 апреля 1978г. в Афганистане был организован государственный переворот и к власти пришла промосковская Народная Демократическая Пар-

тия Афганистана. Этим самым СССР предотвратил проникновение США и его партнеров на этом фланге „шахматной доски“ и защитил свои интересы. Дауд и весь Афганистан стали жертвами жёстких реалий «холодной войны».

ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტიაში არსებული წინააღმდეგობების სოციალური ასპექტების საკითხისათვის

XXს. 70-იან წლებში განვითარებულმა მოვლენებმა კრიტიკული როლი შეასრულა თანამედროვე ავღანეთის ისტორიაში. 1979წ. 27 დეკემბრის საბჭოთა ინტერვენციამ ავღანეთის მრავალტანჯული მიწა მუდმივი ანარქიისა და კონფლიქტის ალში გაახვია. თუმცა, ამ მოვლენების ახსნა შეუძლებელი იქნება აღნიშნულ პროცესებში ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტიისა და იქ მომხდარი შიდა განხეთქილების ანალიზის გარეშე. წინამდებარე სტატია პირველი მოკრძალებული მცდელობაა ქართულ ისტორიოგრაფიაში ზემოთ წამოჭრილი პრობლემის განხილვისა. კვლევისას ჩვენ ვიყენებდით და კრიტიკულად ვიხილავდით ამ საკითხის გარშემო არსებულ უცხოურ ისტორიოგრაფიულ და მემუარულ მემკვიდრეობას, ასევე დოკუმენტურ წყაროებს, რომლებიც ამ ლიტერატურაშია გაბნეული ან ინტერნეტშია განთავსებული.

ავღანეთში XX საუკუნის II ნახევარშიც ფეოდალური გადმონაშთები ბატონობდა, რაც ქვეყნის განვითარებას აფერხებდა. ნელი ტემპებით ვითარდებოდა კაპიტალისტური ურთიერთობები.[1] რეგრესულ და პროგრესულ საზოგადოებრივ ფორმაციებს შორის მოსალოდნელი კონფლიქტის ნიშნები გამოააშკარავა 40-50-იანი წლების მიჯნაზე განვითარებულმა ლიბერალურ-დემოკრატიულმა მოძრაობამ „ვიშ ზალმიანი“ *(„გაღვიძებული ახალგაზრდობა“),* რომლის შედეგადაც მუჰამედ ზაჰირ შაჰის მთავრობა იძულებული შეიქმნა 50-60-იან წლებში დაეწყო გარკვეული რეფორმების გატარება, მაგრამ ის არ იყო თანმიმდევრული და, რიგ შემთხვევაში — წინააღმდეგობრივიც.[2] ამიტომ ქვეყანაში არსებული

---

[1] *История Афганистана,* С древнейших времен до наших дней. Ответственный редактор ***Ю. В. Ганковский***. М., 1988, გვ. 253.

[2] **М. Ф. Арунова, В. В. Басов, В. Н. Пластун, С. В. Полтавская и др**., Актуальные проблемы Афганской революции, გვ. 54.

სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური პრობლემა, ძირითადში, მაინც გადაუჭრელი დარჩა.

ასეთი „ნაყოფიერი“ ნიადაგი მემარცხენე-რადიკალური ძალების გამოჩენის საფუძველს ჰქმნიდა. მით უფრო ეს რეალური იყო იმ ხანებში საბჭოთა კავშირთან გააქტიურებული ურთიერთოების ფონზე. მოსკოვი, ქაბულისათვის მნიშვნელოვანი სახელმწიფო იყო, საიდანაც სერიოზულ ეკონომიკურ და პოლიტიკურ მხარდაჭერას ღებულობდა.[1] იმ ხანებში ავღანეთში მემარცხენე პოლიტიკური გაერთიანების რამდენიმე უშედეგო მცდელობა იყო. „ვიშ ზალმიანის“ აქტივობის პერიოდში პოლიტიკურ ასპარეზზე გამოვიდნენ ინტელიგენციის, წვრილმოხელეთა და წვრილი ბურჟუაზიის წარმომადგენლები, რომლებიც მოითხოვდნენ ქვეყანაში დემოკრატიული გარდაქმნების დაწყებას, მონარქიული რეჟიმის მოქცევას კონსტიტუციურ ჩარჩოებში, მოსახლეობის დართო ფენების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას, ეროვნული მრეწველობის პროტექციას და ა.შ.

ავღანეთში მემარცხენეების გააქტიურება დროში ემთხვევა საბჭოთა კავშირ-ავღანეთის ურთიერთობების დათბობას (50-იანი წლების II ნახევარი), როდესაც აშკარად გამოიკვეთა ქაბულის მოქცევა მოსკოვის „ფრთებქვეშ“.[2] სსრკ-ს მიერ ავღანეთისთვის გაწეული გიგანტური ეკონომიკური ინვესტიციები საკუთრივ მოსკოვისთვისაც უმნიშვნელო არ იყო, მაგრამ ეს განიხილებოდა ნაკლებ დანახარჯად, ვიდრე იმ შემთხვევაში, რომლის გაღებაც მოუწევდა მოსკოვს ქაბულის გადასვლით დასავლეთის ბლოკში.[3] ბუნებრივია, საბჭოთა სპეცსამსახურები აუცილებლად დაიწყებდნენ ავღანეთში სა-

---

[1] **კ. კვაშილავა.** ავღანეთის რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკა და სსრკ. *1973-1978*, – *საისტორიო ძიებანი.* წელიწდეული. ტ. V. თბ., 2002, გვ. 335-336 (ელექტრონული ვერსია: *http://sites.google.com/site/saistoriod-ziebani/dziebani2002*).

[2] **კ. კვაშილავა.** ავღანეთის რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკა და სსრკ. *1973-1978*, გვ. 335.

[3] **П. Аллан, Д. Клей.** Афганский капкан. *Правда о советском вторжении*. М., 1999, გვ. 51.

კუთარი აგენტურული ქსელის დანერგვას, ხოლო აგენტების მოძიება არც ისე რთული უნდა ყოფილიყო, რადგან გარკვეული ბაზისი ამისთვის უკვე არსებობდა სსრკ-ში განათლებამიღებული ავღანელების სახით, მათ შორის — სამხედროებიც. ამ უკანასკნელთა რიცხვი 1978წ. აპრილისათვის 3000-ზე მეტი იყო.[1] XXს. 50-იანი წლების შუახანებიდანვე ავღანეთში არალეგალურად ვრცელდება მარქსისტული ლიტერატურა. ამ საქმის „პიონერი" იყო ავღანელი სამხედრო მფრინავი რაჰმანი, რომელიც 1947-1948წწ. სსრკ-ში სწავლობდა და რუსი მეუღლე ჰყავდა. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, იგი პერმანენტულად ეკონტაქტებოდა ქაბულში საბჭოთა საელჩოს, სადაც რაჰმანს მარქსისტულ ლიტერატურას აწვდიდნენ. შემდეგ ეს წიგნები ნურ მუჰამედ თარაკის, ბაბრაქ ქარმალსა და სხვა მემარცხენეებთან ხვდებოდა.[2] ამასთანავე, თარაკი და ქარმალი უკვე 50-იანი წლების მიწურულიდან ქაბულში საბჭოთა საელჩოს ხშირი სტუმრები ხდებიან.[3]

მაგრამ ავღანელმა მემარცხენეებმა 1965 წლის 1 იანვარს მაინც შეძლეს პოლიტიკური გაერთიანების — ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტია — დაფუძნება. თუმცა, დამფუძნებელ ყრილობაზე, რომელსაც მხოლოდ 27 დელეგატი ესწრებოდა, არ იყო წარმოდგენილი პარტიის წესდება და სამოქმედო პროგრამა იმ მარტივი მიზეზების გამო, რომ ასეთი დოკუმენტები არც იყო შექმნილი იმ დროისათვის.[4] ასდპ-ს გე-

---

[1] **Ю. В. Ганковский.** *Урок, который стоит усвайваить*. Война в Афганистане глазами историка, - გაზ.: ***Известия***, 6. 05. 1989.

[2] **В. Пластун, В. Андриянов**. Наджибулла: *Афганистан в тисках геополитики*. М., 1998, გვ. 181-182; ავღანეთში მემარცხენული ლიტერატურის „ექსპორტს" ირანის სახალხო პარტია „ტუდეც" ეწეოდა (**М. Ф. Арунова, В. В. Басов, В. Н. Пластун, С. В. Полтавская и др**., Актуальные проблемы Афганской революции, გვ. 56).

[3] **В. Коргун.** Бабрак Кармаль. – ***«Азия и Африка Сегодня»***, №4, 1998, გვ. 27.

[4] **М. Ф. Арунова, В. В. Басов, В. Н. Пластун, С. В. Полтавская и др**., Актуальные проблемы Афганской революции, გვ. 58-59; **Д. Гай, В. Снегирёв.** Вторжение. Опыт журналистского расследования. – ***«Знамя»***, №3, 1991, გვ. 196; **В. Пластун, В. Андриянов**. Наджибулла:

ნერალურ მდივნად აირჩიეს თარაკი, ხოლო მის მოადგილედ — ქარმალი.

1966წ. 11 აპრილს პარტიის ბეჭდვით ორგანოში – გაზეთში „ხალყი“ გამოქვეყნდა წესდება, სადაც აღინიშნა, რომ ასდპ-ს მიზანია ქვეყანაში არსებული რეჟიმისა და წყობილების შეცვლა ხალხის ინტერესების გამომხატველი ხელისუფლებით. ამასთან კავშირში განიმარტა „ხალხის“ რაობაც, რომელშიც იგულისხმებოდნენ მშრომელები, გლეხები, ხელოსნები, პროგრესული ინტელიგენცია, საშუალო და წვრილი ბურჟუაზია.[1] შესაბამისად, იქ კი ვერ მოხვდნენ ე.წ. „გაბატობებული ექსპლუატატორული კლასები“. ამით, კი ასდპ ავღანური საზოგადოების გახლეჩას ახდენდა.

ქვეყანაში ახალი წყობილების დამყარება რევოლუციურ-დემოკრატიული ძალებისგან შემდგარ ეროვნულ ფრონტს უნდა უზრუნველეყო, რომლის ლიდერიც ასდპ იქნებოდა. ანტიფეოდალური, ანტიიმპერიალისტური სახალხო-დემოკრატიული რევოლუციის შემდეგ, ქვეყანაში უნდა გატარებულიყო პროგრესული რეფორმები: მიწა-წყლის ნაციონალიზაცია, მშრომელთა კლასის (რომელიც, ფაქტობრივად, არც არსებობდა ავღანეთში — **კ.კ.**) ცხოვრების გამუჯობესება, ეროვნული პრობლემის გადაჭრა და ა.შ.

პარტიის უმთავრეს მიზანს კი ავღანეთში სოციალისტური საზოგადოების მშენებლობა სახელდებოდა, რომელიც, როგორც პროგრამაში იყო აღნიშნული, *„შორი მომავლისთვის არ გადაიდება“*.[2] თუმცა ამაზე კონკრეტული ქრონოლოგიური

Афганистан в тисках геополитики, გვ. 24; **А. Ляховский.** Трагедия и доблесть Афгана. М., 1995, გვ. 17; ზოგიერთი მკვლევარი (დ. გაი, ვ. სნეგირიოვი) შეცდომაში შედის, როდესაც დამფუძნებელი ყრილობის მიერ მოწონებულ პარტიის მიზნებსა და სამოქმედო ამოცანებს ასდპ-ს პროგრამად აცხადებს (**Д. Гай, В. Снегирёв.** Вторжение.., გვ. 196).

[1] **М. Ф. Арунова, В. В. Басов, В. Н. Пластун, С. В. Полтавская и др**., Актуальные проблемы Афганской революции, გვ. 60-61.

[2] **М. Ф. Арунова, В. В. Басов, В. Н. Пластун, С. В. Полтавская и др**., Актуальные проблемы Афганской революции, გვ. 60-61; **А. Ляхов-**

ჩარჩო იქ მოცემული არ იყო.

პარტიის წესდება კი მხოლოდ 1967წ. გაზაფხულზე გამოქვეყნდა და ამ პოლიტგაერთიანების რაობა იქ განმარტებული იყო, როგორც „ავღანეთის მშრომელთა კლასების ავანგარდი და მუშათა კლასის პოლიტიკური ორგანიზაციის უმაღლესი ფორმა“, რომლის იდეოლოგია იყო მარქსიზმ-ლენინიზმი, ხოლო ორგანიზაციული ფორმა კი — დემოკრატიული ცენტრალიზმი.[1]

მიუხედავად იმისა, რომ პარტია დაარსებიდან პროკომუნისტურ გადატრიალებამდე არალეგალურად არსებობდა, მისმა წევრებმა (ბ. ქარმალი, ა. რატებზადი, ნ. ა. ნური და ფაიზ ულ-ხაკი) მაინც მოახერხეს 1965წ. არჩევნებში ავღანეთის პარლამენტის ქვედა პალატაში გასვლა. ასდპ-ს უკვე 1965წ. ნოემბრისათვის ქ. ქაბულში 17 პირველადი პარტორგანიზაცია ჰქონდა შექმნილი, ხოლო რეგიონებში კი — 9. როგორც ვხედავთ, მისი ძირითადი დასაყრდენი ძალა მანც დედაქალაში იყო თავმოყრილი. რაც შეეხება ორგანიზაციის წევრთა რაოდენობას 60-იანი წლების ბოლოსთვის, აქ სრული გაურკვევლობაა, რადგან წლების მანძილზე ასდპ-ს წევრთა რეგისტრაციის საკითხი მოგვარებული არ ჰქონდა.

ასდპ-ს ოფიციალური წარდგენა „უფროსი კოლეგებისათვის“ 1965წ. დეკემბერში შედგა, როცა გერმანიაში სამკურნალოდ მიმავალი თარაკი მოსკოვში შეჩერდა. ამ პერიოდში ლ. ბრეჟნევის ხელისუფლება უფრთხილდებოდა მუჰამედ ზაჰირ-შაჰთან თბილ ურთიერთობებს და ამიტომ თარაკის „მასპინძლობა“ მეორეხარისხოვანმა ჩინოვნიკებმა (სკკპ ცკ-ს

ский. На афганской выжженной земле. *Непредвзятый анализ событий, вооруженной борьбы до и после Апрельской революции*, – ***«Коммунист Вооруженных Сил»***, №18, 1990, გვ. 53; **В. С. Сафрончук**. Афганистан времен Тараки, – ***«Международная жизнь»*** /შემდგომში: ***«МЖ»***/, №12, 1990, გვ. 92.

[1] **М. Ф. Арунова, В. В. Басов, В. Н. Пластун, С. В. Полтавская и др.,** Актуальные проблемы Афганской революции, გვ. 66.

შუა აღმოსავლეთის სექტორის გამგე ნ. ნ. სიმონენკო და ცკ-ს საერთაშორისო განყოფილების მოადგილე რ. ა. ულიანოვსკი) გაუწიეს. ბუნებრივია, ამ ვიზიტის გახმაურებაც არ მომხდარა. „მასპინძლები“ გაეცვნენ თარაკის თეორიული მომზადების დონეს და ასდპ-ს გეგმებს. ცკ-ს ჩინოვნიკები პირველით აშკარად უკმაყოფილონი იყვნენ, ხოლო მეორესთან დაკავშირებით კი, ავღანელ კოლეგას გარკვეული რჩევები მისცეს: ამ ეტაპზე ავღანეთში სოციალისტური რევოლუცია არასასურველი იყო. ამ „ნათელი დღის“ დადგომამდე, ასდპ-ს უნდა მოეხერხებინა „ეროვნულ-დემოკრატიული ძალების“ შეკავშირება, მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების გავრცელება მოსახლეობაში, ხალხთან მჭიდრო ურთიერთობების დამყარება და პარტიის ერთიანობის განმტკიცება.

ერთიანობის მხრივ კი, ასდპ-ს მართლაც დიდი სირთულეები ჰქონდა. მაგალითად, პარტიის ერთ-ერთმა დამფუძნებელმა, ა. ჰ. ჯაჯიმ ასდპ მეორე დღესვე დატოვა იმიტომ, რომ ცკ-ში არჩეული არ იქნა.[1] ამ მხრივ კრიტიკული მოვლენები განვითარდა 1966წ. ნოემბერშიც, როცა ბ. ქარმალმა და მისმა მომხრეებმა (გ. დ. პანჯშერი, ს. ა. კეშტმანდი, შ. შაჰპარი) ცკ-ს შემადგენლობა დატოვეს და ცალკე ფრაქცია დააფუძნეს, რომელსაც „ფარჩომი“ („ალამი“). თარაკი და მისი თანამოაზრეები გაერთიანდნენ „ხალყის“ ფრაქციაში. ამ განხეთქილებამ მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონია როგორც საკუთრივ ასდპ-ს მომავალ განვითარებაზე, ასევე ავღანეთის შემდგომი პერიოდის ისტორიაზე. მისი გამომწვევი მიზეზების მთელი სპექტრია:

ქარმალი და თარაკი განსხვავებულად უდგებოდნენ თეორიული საკითხებს. თარაკისეული ე.წ. „ხალხური“ („ხალყი“) რევოლუციის თეორიას ასდპ, ფაქტობრივად, შეთქმულების მოწყობისაკენ მიჰყავდა: დოკუმენტის მიხედვით, პარტია იყო ერთადერთი ძალა ქვეყანაში სახელმწიფო წეს-წყობილების შესაცვლელად. თარაკის აზრით კი, ამისათვის საჭირო იყო მშრომელებსა და ინტელიგენციაში „პროგრესული იდეების“ (ანუ — მარქსიზმ-ლენინიზმი) შეტანა და არმიაში ასდპ-ს კონტროლის

[1] **Д. Гай, В. Снегирёв.** Вторжение.., გვ. 197.

დაწესება. ამიტომაც, განსაკუთრებული აქცენტი კეთდებოდა სწორედ შეიარაღებულ ძალებზე, რადგან იგი, ძირითადად, დაბალი სოციალური ფენის წარმომადგენლებისაგან შედგებოდა. ამასთან, არმია დისციპლინირებულიც იყო და, თუკი იგი პროლეტარიატის დიქტატურის მატარებელი გახდებოდა, ეს გააადვილებდა არსებული რეჟიმის დამხობასაც, — მიიჩნევდა თარაკი.[1]

ქარმალის მიხედვით, თავდაპირველად საჭირო იყო ასდპ-ს ხელმძღვანელებით ეროვნულ-დემოკრატიული რევოლუციის განხორციელება ხელისუფლებაში „დემოკრატიული ეროვნული ხელისუფლების“ მოსვლა, რომელიც იქნებოდა მშრომელთა დიქტატურა, ხოლო ფორმის მხრივ კი — ხალხის დემოკრატიული მთავრობა. აქედან გამომდინარე, ბ. ქარმალი მოსახლეობის უფრო ფართო მასებზე დაყრდნობას მოითხოვდა, თარაკის „პროლეტარიატისაგან“ განსხვავებით. ამ რევოლუციურ მთავრობას დაევალებოდა დემოკრატიული რეფორმების გატარება, რომელიც საფუძველს ჩაუყრიდა სოციალიზმის „მატერიალურ და სოციალურ ბაზას“.[2] ქარმალი თარაკის არ ეთანხმებოდა იმაშიც, რომ მხოლოდ ასდპ-ს განეხორციელებინა რევოლუცია, რადგან მიიჩნევდა რომ ამ წამოწყების წარმატება დამოკიდებული იყო მხოლოდ ხალხის ფართო მასების მხარდაჭერაზე და დასაშვებადაც კი მიაჩნდა მონარქისტული რეჟიმისადმი ოპოზიციურად განწყობილი მაღალი ფენის წარმომადგენელთა ჩართვაც კი რევოლუციაში.[3] ეს, ცხადია, მიუღებელი იყო რადიკალი თარაკისთვის.

---

[1] **М. Ф. Арунова, В. В. Басов, В. Н. Пластун, С. В. Полтавская и др**., Актуальные проблемы Афганской революции, გვ. 61-63; **Д. Гай, В. Снегирёв.** Вторжение. Опыт журналистского расследования. – ***«Знамя»***, №4, 1991, გვ. 231.

[2] **М. Ф. Арунова, В. В. Басов, В. Н. Пластун, С. В. Полтавская и др**., Актуальные проблемы Афганской революции, გვ. 63-66; **Д. Гай, В. Снегирёв.** Вторжение. Опыт журналистского расследования, გვ. 231.

[3] **М. Ф. Арунова, В. В. Басов, В. Н. Пластун, С. В. Полтавская и др**., Актуальные проблемы Афганской революции, გვ. 63-66; **Д. Гай, В. Снегирёв.** Вторжение. Опыт журналистского расследования, გვ. 231; **В. Коргун.** Бабрак Кармаль, გვ. 29.

ფარჩომისტები პოლიტიკური ბრძოლის ლეგალურ ფორმებს ემხრობოდნენ, ხალყისტები კი ასდპ-ს კომუნისტურ პარტიად გადაქცევას და იატაკქვეშეთში გადასვლას მოითხოვდნენ. პარტიის ლიდერებს გაუჭირდათ შეთანხმება ორგანიზაციაში ახალი წევრების მიღების საკითხშიც. ქარმალი მიიჩნევდა, რომ პარტიის წევრობის კანდიდატის კლასობრივი წარმომავლობა შემაფერხებელი ფაქტორი არ უნდა ყოფილიყო, რასაც თარაკი არ იზიარებდა.[1]

როგორც ვხედავთ, „ფარჩომი“ შედარებით ლიბერალურ პოზიციებზე იდგა, განსხვავებით „ხალყისაგან“. რადიკალიზმი თარაკისტების დამახასიათებელი ნიშანი იყო და ისინი ყველაფერში უკიდურესობამდე მიდიოდნენ, მათ შორის ხელისუფლებაში ყოფნის დროსაც (1978წ. 28 აპრ. – 1979წ. 27 დეკ.), რამაც კიდევ უფრო გააუარესა ავღანეთის მდგომარეობა. თუმცა, „ფარჩომის“ ლიბერალობასა და „ხალყის“ რადიკალიზმს აქვს გარკვეული ახსნა, რაც მათ წევრების სოციალურ და ეთნიკურ წარმომავლობას ემყარება:

თარაკისტები აერთიანებდნენ მცირედ უზრუნველყოფილ, ნახევრადპროლეტარ და მშრომელ მასებს (წვრილი მოხელეები, მომთაბარეები, ხელოსნები და ა.შ.), რომლებიც, ძირითადად, პროვინციებში ცხოვრობდნენ. ქარმალისტები კი, უმთავრესად, შეძლებული ფენებისა და კლასების წარმომამდგენლები (მემამულეები, მსხვილი ვაჭრები, არმიის ელიტა, უზრუნველყოფილი ინტელიგენცია, საქალაქო ბურჟუაზია და ა.შ.), რომლებიც ქაბულსა და მის შემოგარენში ცხოვრობდნენ. როგორც ქაბულის X რაიონის პირველადი პარტორგანიზაციის მდივანი მუსა ობიექტურად აფასებდა სურათს, როცა აღნიშნავდა, რომ „ასდპ ხელმძღვანელობს რა მშრომელი კლასის იდეოლოგიით, წარმოადგენს ორდინალურ წვრილბურჟუაზიულ პარტიას“ და ამის მიზეზს ის ავღანეთში მშრომელთა კლასის არარსებობაში ხედავდა.[2] ასეთივე შეფასება ჰქონდა

---

[1] **В. Н. Пластун, В. Андриянов**. Наджибулла.., გვ. 25, 26; **А. Ляховский.** Трагедия и доблесть Афгана, გვ. 18-19; **А. Ляховский**. На афганской выжженной земле, გვ. 54.

[2] **В. Пластун, В. Андриянов**. Наджибулла.., გვ. 182.

მოჯაჰედთა ერთ-ერთ ცნობილ ლიდერს გ. ჰეყმათიარსაც.[1]

კ. ცაგოლოვიც[2] ასდპ-ს წვრილბურჟუაზიულ პარტიად მიიჩნევს.[3] 20 წელიწადი დასჭირდათ ასდპ-ს ლიდერებს ამ რეალობის აღიარებისთვის. კერძოდ, ქარმალმა ასდპ-ს ცკ-ს 1985წ. ნოემბრის პლენუმზე განაცხადა, რომ პარტიას არ გააჩნია დასაყრდენი სოციალური ბაზა (ანუ მშრომელები).[4] ამასთანავე, „ფარჩომი“ აერთიანებდა, ძირითადად, გატაჯიკებულ პუშტუნებს, საკუთრივ ტაჯიკებს და სხვა ეროვნულ უმცირესობებს. ხალყისტები, უმთავრესად, პუშტუნები იყვნენ.[5]

---

[1] **В. Пластун, В. Андриянов**. Наджибулла.., გვ. 199.

[2] რუსი გენერალ-მაიორი და ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი. 1981-1984წწ. უფროსი მრჩევლის რანგში მსახურობდა ავღანეთში დისლოცირებული საბჭოთა არმიის რიგებში. 1989-1991წწ. მონაწილეობდა ოსი სეპარატისტების ომში საქართველოს წინააღმდეგ, — ***http://www.gazeta.ru/2005/08/12/oa_167191.shtml.***

[3] **К. М. Цаголов.** Не все так просто *(открытое письмо Ричарду Барнетту и Экбалю Ахмаду), – **«США-эпи (экономика, политика, идеология)»***, №6, 1989, გვ. 66.

[4] **В. Пластун, В. Андриянов,** Наджибулла.., გვ. 171.

[5] **М. Ф. Арунова, В. В. Басов, В. Н. Пластун, С. В. Полтавская и др**., Актуальные проблемы Афганской революции, გვ. 69-70; **В. Спольников**. Афганистан: исламская оппозиция. *Истоки и цели*. М., 1990, გვ. 71; **Д. Гай, В. Снегирёв.** Вторжение..., – ***«Знамя»***, №3, 1991, გვ. 197; **В. А. Меримский**. В погоне за «Львом Панджшера». М., 1993 (ელექტრონული ვერსია: *http://militera.lib.ru/memo/russian/merimsky_va1/01.html*); **О. Антонов.** Как советский посол афганского генерала водкой поил, – ***«Новое время»*** /შემდგომში: ***«НВ»/***, №17, 1992, გვ. 28; **А. А. Проханов**. Афганистан, – ***«МЖ»,*** №7, 1988, გვ. 29; **С. Крахмалов**. Записки военного атташе. М., 2000, გვ. 221; **Л. Млечин**. Кто давал советы Кабулу? – ***«НВ»***, №48, 1990, გვ. 31; **В. Левикин**. Мой друг Пешавари, – ***«НВ»***, №9, 1989, გვ. 42; **К. М. Цаголов**. Афганистан: предварительные итоги, – ***«Огонек»***, №30, 1988, გვ. 221; **S. Harrison**. Dateline Afghanistan: exit trough Finlandisation? – ***"Foreign Policy"***. 1980/1981, Winter, №41, გვ. 166-167; ***თარაკი*** დაიბადა მესაქონლე ნაზარ მუჰამედ თარაკის ოჯახში. იგი ეროვნებით პუშტუნი იყო (ღილზაის ტომი, თარაკის კლანი, ბურანის შტო). ***ქარმალის*** მამა გენერალ-ლეიტენანტი მუჰამედ ჰუსეინ ჰაშემი პაქტიის გენერალ-გუბერნატორი იყო.

როგორც ვხედავთ, ქარმალი ძირითადად დედაქალაქში მცხოვრები შეძლებული ფენების (უმთავრესად, ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლები) ინტერესებს გამოხატავდა მაშინ, როცა თარაკის ირგვლივ გაერთიანდნენ პროვინციებში მოსახლე ნაკლებადუზრუნველყოფილი ქვეყნის დომინანტი ერის — პუშტუნების — წარმომადგენლები. თუ გავითვალისწინებთ ამ უკანასკნელთა დამოკიდებულებას ეროვნული უმცირესობების მიმართ, გასაგები ხდება, რომ ერთ ორგანიზაციაში მათი ერთად ყოფნა ხანგრძლივი ვადით, ფაქტობრივად, შეუძლებელიც იყო.

პუშტუნები ეროვნულ უმცირესობების წარმომადგენლებს მეორეხარისხოვან ადამიანებად მიიჩნევდნენ და მათთან ერთად თანაბარუფლებიანობას საკუთარი ერის ღირსების შელახვად აღიქვამდნენ. ასევე დარჩა შემდგომში ისლამური ოპოზიციის ორგანიზაციებში (მათ შორის, თალიბანშიც[1]). ამგვარი მკვეთრი სხვაობა ორივე ფრაქციის სოციალურ და ერ-

---

შემდეგ კი – თავდაცვის სამინისტროს საფინანსო სამმართველოს უფროსი. მუჰამედ დაუდის ხელისუფლების დროს (1973-1978წწ.) ხელმძღვანელობდა ჰერათის ქვეითთა დივიზიას და ქ. ჰერათის გუბერნატორი იყო. ბაბრაქ ქარმალის (მისი ნამდვილი სახელია სულტან ჰუსეინი, რომელიც, მოგვიანებით, შეიცვალა) ეთნიკური წარმოშობის საკითხი ჯერ კიდევ სადავოა. ერთი ვერსიით, ის მამით მიეკუთვნებოდა იუსუფზაელთა პუშტუნური ტომის მულახელის კლანს, დედით კი ტაჯიკი იყო. სხვა მონაცემებით კი, ქარმალი წარმოშობით ტაჯიკი ან ქაშმირელ მუსლიმ ინდოელთაგან იყო. ამიტომაც, ის, ხშირად, ვითარების შესაბამისად, თავს ხან ტაჯიკად, ხან კი პუშტუნად აცხადებდა. (**Ю. А. Булатов**, Хальк и Парчам: основные этапы борьбы за завоевание политической власти в Афганистане. М., 1997, გვ. 60-61; **М. Ф. Арунова, В. В. Басов, В. Н. Пластун, С. В. Полтавская и др**., Актуальные проблемы Афганской революции, გვ. 74; **В. Пластун, В. Андриянов**. Наджибулла.., გვ. 23; **Д. Гай, В. Снегирёв.** Вторжение.., გვ. 203; **В. Коргун.** Бабрак Кармаль, გვ. 26-27; **Н. Иванов.** Ограниченный контингент, – ***«Советский Войн»*** /შემდგომში: ***«СВ»/***, №16, 1991, გვ. 20; **А. Ляховский.** Трагедия и доблесть Афгана, გვ. 95; **И. Лагунина**, Пуштун таджику может быть товарищ. Но не вождь, – ***«НВ»***, №18, 1992, გვ. 25).

[1] **Дж. Кьеза**. Бесконечная война. М., 2003, გვ. 12-13.

ოვნულ შემადგენლობაში განაპირობებდა ერთის რადიკალიზმსა და მეორის ლიბერალიზმს. უქონელთა წარმომადგენელი თარაკი პირდაპირ სოციალიზმზე გადასვლას ესწრაფვოდა; შეძლებულთა წარმომადგენელი ქარმალი, მართალია, იზიარებდა ქვეყანაში არსებული წეს-წყობილების ცვლილების აუცილებლობას, მაგრამ წინააღმდეგი იყო რადიკალური ნაბიჯებისა. მაგრამ ამ განხეთქილებას სუბიექტური მიზეზებიც გააჩნდა: თარაკი და ქარმალი ასდპ-ში პირველობისთვის იბრძოდნენ, რასაც თანამებრძოლებიც ადასტურებენ.[1]

ამ „გაყრის“ შემდეგ, „ფარჩომი“ და „ხალყი“ ვერასოდეს გაერთიანდნენ, თუმცა კი ამის მცდელობას (სსრკ-ს ზეგავლენით) 1977წ. ივლისში ჰქონდა ადგილი.[2] თუმცა, ეს „უნიაც“ დროებითი აღმოჩნდა. ფაქტობრივად, ორივე დაჯგუფება დამოუკიდებელ პოლიტიკურ ორგანიზაციად განვითარდა, საკუთარი პოლიტიკური ხაზით, ხელმძღვანელი ორგანოებით, წევრებით, თუმცა კი ორივე ცნობდა ასდპ-ს დამფუძნებელი ყრილობის მიერ აღიარებულ პრინციპებს, მოგვიანებით მიღებულ პროგრამასა და წესდებას.[3] ორივენი თავს ასდპ-დ მიიჩნევდნენ და მომხდარ გათიშვას საპირისპირო მხარეს აბრალებდა. საინტერესოა, რომ ქარმალის დაჯგუფება თავს უწოდებდა *„ასდპ – ყველა მშრომელთა ავანგარდს“,* მათი ოპონენტები კი — *„ასდპ – მშრომელი კლასის ავანგარდი“.*

როგორც ვხედავთ, ხალყიზმი და ფარჩომიზმი, არსებითად, ორ განსხვავებულად იდეურ-პოლიტიკურ მიმდინარეობას წარმოადგენდნენ საკუთარი დამოუკიდებელი ორგანიზაციებით, მომხრეთა განსხვავებული სოციალური და ეთნო-ნაციონალური ნიშან-თვისებებით, განსაკუთრებული მიზნებითა და ტაქტიკით.[4] თუმცა, ე. აჰმადი და რ. ბარნეტი ასდპ-ს განხ-

---

[1] **Д. Гай, В. Снегирёв.** Вторжение.., – ***«Знамя»***, №3, 1991, გვ. 203.

[2] **В. Коргун.** Бабрак Кармаль, გვ. 32; **М. Ф. Арунова, В. В. Басов, В. Н. Пластун, С. В. Полтавская и др**., Актуальные проблемы Афганской революции.., გვ. 151.

[3] **Д. МакИчин.** Афганистан. 1973-79гг., (ელექტრონული ვერსია: *http://artofwar.ru/f/foreign/text_0140.shtml*).

[4] **М. Ф. Арунова, В. В. Басов, В. Н. Пластун, С. В. Полтавская и др**., Актуальные проблемы Афганской революции.., გვ. 71; **В. Пластун,**

ეთქილების მიზეზად ლიდერთა პიროვნულ შეუთავსებლობას ასახელებენ.[1] მათი შეფასება საკითხის გამარტივებულად წარმოჩენის მცდელობად მიგვაჩნია. როგორც ზემოთ ვნახეთ, მათ შორის არსებობდა მკვეთრი სოციალური და ეთნიკური განსხვავება, რაც ავღანეთის სინამდვილისათვის უმნიშვნელო პრობლემა ნამდვილად არ არის. ეს რომ ასეა, დასტურდება ამ დაჯგუფებებში მოგვიანებით განვითარებული მოვლენებით, როდესაც რიგი ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებმა (ხალყისტი ტ. ბადახში) დატოვეს საკუთარი ფრაქციები. იყო სხვა შემთხვევებიც: მაგალითად, 1969წ. „ფარჩომი“ დატოვეს ტაჯიკებმა გ. დ. პანჯშერიმ და ს. შენამ, უზბეკმა ა. ოსტოვარმა, შ. შაჰპარმა, რადგან ტაქტიკურ საკითხებში ვერ შეთანხმდნენ ბ. ქარმალთან. ზოგიერთმა (ზ. ოფოკი, ს. შენა და სხვ.) კი დატოვა რა ფრაქცია, საკუთარი მემარცხენე მიმართულების პოლიტიკური ორგანიზაცია შექმნა.[2]

ქარმალმა და თარაკიმ მათ შორის არსებული დავის მოგვარება მათთვის „საარბიტრაჟო სასამართლოს“ ანუ სკკპ ცკ-ს მიმართეს. როგორც ჩანს, „მომჩივანები“ ფიქრობდნენ, რომ

В. Андриянов. Наджибулла.., გვ. 130; **А. Ляховский**. На афганской выжженной земле.., გვ. 52; **К. М. Цаголов, С. Харрисон.** Афганская война (взгляд из сегодняшнего дня), – ***«Восток (афро-азиатские общества: история и современность)»***, №2, 1991, გვ. 48; **R. Garthoff**, Détente and Confrontation: *America-Soviet Relations from Nixon to Reagan*. Washington, D.C., 1985, გვ. 892; **T. Hammond**. Red Flag over Afghanistan: *The Communist Coup, the Soviet Invasion and the Consequences*. Boulder, Colo., 1984, გვ. 29-34; **H. Bradsher**, Afghanistan and the Soviet Union. Durham, N.C., 1983, გვ. 49-52; **S. Katsikas.** The Arc of Socialist Revolutions: *Angola to Afghanistan*. Cambridge, Mass., 1982, გვ. 216; **B. Male.** Revolutionary Afghanistan: *A Reappraisal*. St. Martine's Press, 1982, გვ. 20-51.

[1] **E. Ahmad, R. J. Barnett**, Bloody Games, – ***"The New Yorker"***. April 11, 1988); **Э. Ахмад, Р. Барнетт**, Кровавые игры *(реферативное изложение)*, – ***«США-эпи»***, №6, 1989, გვ. 58.

[2] **М. Ф. Арунова, В. В. Басов, В. Н. Пластун, С. В. Полтавская и др**., Актуальные проблемы Афганской революции.., გვ. 72-74; **А. Ляховский.** На афганской выжженной земле.., გვ. 54; **Д. Гай, В. Снегирёв.** Вторжение.., – ***«Знамя»***, №3, 1991, გვ. 197.

კრემლი მათში მტყუან-მართალს გამოარჩევდა და გამარჯვებული მხარეც საბოლოოდ მოახერხებდა ასდპ-ს კონტროლს. ამ მიზნით, ისინი დაუკავშირდნენ სსრკ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის რეზიდენტს ქაბულში, რომელსაც „კომპრომანტებიც“ კი მიაწოდეს ერთმანეთზე: ქარმალისთვის ეს იყო თარაკის „თეორია“, რომელსაც ის ანტიმეცნიერულად მიიჩნევდა, ხოლო მისი პონენტისათვის კი — „ფარჩომის“ ლიდერის თბილი დამოკიდებულება და ურთიერთობა მმართველი რეჟიმის წარმომადგენლებთან.[1] მალე მოსკოვიდან „მეგობრული რჩევებიც“ მოვიდა: „უფროსი კოლეგები“ მათ ურჩევდნენ იმ საკითხების უკუგდებას, რომლებიც პრინციპული მნიშვნელობის არ იყო და ერთად ეზრუნათ „ქვეყნის ყველა პროგრესული ძალის“ გასაერთიანებლად „მშრომელი ხალხის ინტერესებისთვის“ საბრძოლველად.[2] ამ კინკლაობის შეწყვეტა მოსკოვმა 1974წ. 8 იანვარსაც მოითხოვა.[3] თუმცა, ამ რჩევებს რეალური შედეგი არ მოჰყოლია.

თუმცა, სსრკ, მიუხედავად იმისა, რომ ივარაუდება მისი გარკვეული როლი ასდპ-ს ჩამოყალიბების ფორსირებაში, მას პროპაგანდას არ უწევდა: 1975წ. გამოცემული *„ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის“* I ტომში განთავსებულ სტატიაში ავღანეთის შესახებ არავითარი ცნობა არ მოიპოვება ასდპ-ს თაობაზე; ამასთან, სსრკ-ში არ ქვეყნდებოდა მასალები აღნიშნული ორგანიზაციის თაობაზე; მოსკოვში ოფიციალური ვიზიტებით არ იწვევდნენ ასდპ-ს ლიდერები. პირველი ცნობები ამ პარტიის შესახებ საბჭოურ პრესაში მხოლოდ 1978წ. აპრილის მოვლენების შემდეგ ქვეყნდება. როგორც ჩანს, ამგვარი „იგნორირება“ მიზანმიმართული ქმედება იყო. ლ. ბრეჟნევის

---

[1] **А. Морозов,** Кабульский резидент, გვ. 39.

[2] **В. Пластун, В. Андриянов**, Наджибулла.., გვ. 130; **М. Ф. Арунова, В. В. Басов, В. Н. Пластун, С. В. Полтавская и др**., Актуальные проблемы Афганской революции.., გვ. 75; **П. Аллан, Д. Клей.** Афганский капкан, გვ. 59.

[3] *Постановление ЦК Коммунистической Партии Советского Союза об обращении к руководиделям группировок «Парчам» и «Хальк»,* – იხ.: http://psi.ece.jhu.edu/~kaplan/IRUSS/BUK/GBARC/pdfs/afgh/ct109-74.pdf.

ხელისუფლებას კარგი ურთიერთობა ჰქონდა მუჰამედ ზაჰირ-შაჰთან და მუჰამედ დაუდთან (თუმცა, ამ უკანასკნელთან მხოლოდ გარკვეულ პერიოდამდე). ავღანეთის სამეფოს საგარეოპოლიტიკური კურსი სავსებით პასუხობდა სსრკ-ს ინტერესებს და მოსკოვს არ სჭირდებოდა არსებული ვითარების გაუარესება. მით უფრო, რომ იმ დროს ასდპ ორგანიზაციულად ძალზედ სუსტი წარმონაქმნი აღმოჩნდა. თუმცა, მოსკოვი მაინც თანამშრომლობდა ასდპ-სთან ამ პერიოდშიც და მათ საქმიანობაზე კონტროლს სუკ-ის ქაბულელი რეზიდენტების მეშვეობით ახორციელებდა. ავღანეთთან კარგი ურთიერთობების ფონზე, კრემლს, როგორც ჩანს, მაინც სჭირდებოდა „V კოლონის“ არსებობა, რომელსაც ერთგვარი „მათრახის“ როლი დაეკისრებოდა სამხრეთელი მეზობლის შესაძლო ურჩობის შემთხვევაში.

ასეთ ვითარებაში შეხვდა ასდპ 1973წ. 17 ივლისის (ჰიჯრით 1352წ. 26 სარატანი) ანტიმონარქისტულ სახელმწიფო გადატრიალებას, ე.წ. „26 სარატანის რევოლუციას“, რომელშიც ფარჩომისტები და ხალყისტებიც აქტიურად მონაწილეობდნენ.[1] მემარცხენეთა ჩართულობა „26 სარატანის რევოლუციაში“ მ. დაუდის წინააღმდეგ საბრძოლველად აქტიურად გამოიყენა ისლამურმა ოპოზიციამ.[2] ახალ ხელისუფლებაში მემარცხენე ოფიცრებიც მოხვდნენ. ამის გამო დასავლეთი, თავდაპირველად, უნდობლად ეკიდებოდა მუჰამედ დაუდს, რომელსაც „წითელ პრინცად“ მოიხსენიებდა. იქ მიიჩნევდნენ, რომ 17 ივლისის მოვლენები სსრკ-ს ორგანიზებული იყო.[3] ამ ეტაპზე ჭირს იმის გარკვევა, თუ როგორ მოხდა მათი ჩართვა მ. დაუდის მიერ ორგანიზებულ აქციაში: ეს იყო წინასწარ

---

[1] **კ. კვაშილავა.** ავღანეთის რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკა და სსრკ. *1973-1978*, გვ. 333, 337-338; **Д. МакИчин,** Афганистан. *1973-79гг.*, – *http://artofwar.ru/f/foreign/text_0140.shtml.*

[2] **Ахмад Шах Масуд.** Джихад вблизи, – ***«НВ»***, №6, 1991, გვ. 37.

[3] **Л. Б. Теплинский.** Афганистан – наш южный сосед. М., 1978, გვ. 61.

დადებული გარკვეული შეთანხმება მასსა და ასდპ-ს ლიდერებთან თუ მემარცხენე ოფიცრები, ამ შემთხვევაში, პარტიისგან დამოუკიდებლად მოქმდებდნენ? სკკპ-ს ცკ-ში მომზადებული ერთი დოკუმენტიდან ირკვევა, „ფარჩომსა“ და „ხალყს“ 1973წ. 17 ივლისის სახელმწიფო გადატრიალების მომზადებასა და განხორციელებაში მონაწილეობა არ მიუღიათ.[1] თუმცა, სავარაუდოა, რომ დაუდს გარკვეული წინასწარი კონტაქტები ჰქონოდა ქარმალთან, რომელსაც პირადად იცნობდა ჯერ კიდევ 50-იანი წლებიდან. ქარმალი, იმ პერიოდში, დაუდის მიერ ჩამოყალიბებული ორგანიზაციის წევრიც იყო.[2] ამასთან, ყურადღება მიექცეოდა „ფარჩომის“ „ლიბერალურ“ კურსაც. თვით ქარმალისტების აქტიურობა 17 ივლისის მოვლენების დროს და ცკ-ში მათი უმრავლესობა ხალყისტებთან შედარებით უნდა მიანიშნებდეს შესაძლო წინასწარ კონსულტაციებსა და გარკვეულ შეთანხმებაზე დაუდსა და ქარმალს შორის. ასეთივე მოსაზრებები გააჩნიათ ა. ლიახოვსკის და ვ. კორგუნს.[3]

18 ივლისს „ხალყმა“ და „ფარჩომმა“ თავიანთი განცხადებებით მხარი დაუჭირეს მონარქიის დამხობას. იმავე დღეს თარაკიმ აუდიენცია სთხოვა მ. დაუდს, რათა პირადად მიელოცა და საკუთარი მომხრეები გაეყვანა სახელისუფლო ორგანოებში. რესპუბლიკის პირველ პირს დაძაბული ურთიერთობები ჰქონდა თარაკისთან ჯერ კიდევ 1953 წლიდან. ამიტომ, დაუდმა დიპლომატიური უარით თავი აიცილა „ხალყის“ ლიდერთან შეხვედრა.[4] ამ ვითარებაში იგი დაუკავშირდა ქარმალს და სთხოვა წარმოედგინა კადრები ახალი სახელმწიფო ორგანოებისათვის. ბუნებრივია, რომ „ფარჩომმა“ ეს შესაძლებლობა ხელიდან არ გაუშვა და მთელი რიგი თანამდებობები მიიღო

---

[1] **В. Пластун, В. Андриянов**. Наджибулла.., გვ. 131.

[2] **А. Ляховский, В. Забродин**. Тайны афганской войны, – ***«Армия»***, №3-4, 1992, გვ. 72.

[3] **А. Ляховский.** Трагедия и доблесть Афгана, გვ. 21; **А. Ляховский, В. Забродин**, Тайны афганской войны, გვ. 73; **В. Коргун.** Бабрак Кармаль, გვ. 29.

[4] **М. Ф. Арунова, В. В. Басов, В. Н. Пластун, С. В. Полтавская и др**., Актуальные проблемы Афганской революции.., გვ. 105, 107.

როგორც ცენტრალურ ხელისუფლებაში, ასევე — პროვინციებში.

მიუხედავად იმისა, რომ დაუდმა ამ პერიოდში მემარცხენეებს „კარტ-ბლანში“ მისცა და ხელისუფლებაში შეიყვანა, იგი მაინც ძალზედ ფრთხილად მოქმედებდა: მან, მაგალითად, თანამდებობის გარეშე დატოვა ქარმალი, მიუხედავად მათ შორის თბილი ურთიერთოებისა. დაუდი ერიდებოდა მემარცხენეებთან შედარებით მჭიდრო კავშირს და ეს ალიანსი მას მხოლოდ დროებით და იძულებით ქმედებად მიაჩნდა.[1]

მ. დაუდმა სახელმწიფო აპარატში მემარცხენეთა მოწვევისას განსაკუთრებულ ხერხს მიმართა: მან თანამდებობები მხოლოდ იმ პირებს ჩააბარა, რომელიც აქტიურად მონაწილეობდნენ „ეროვნულ რევოლუციაში“, მის მიმართ ლოიალურად იყვნენ განწყობილი და არც პარტიული თანამდებობები ეჭირათ.[2] ეს სავსებით პრაგმატული სვლა იყო: ერთის მხრივ, მან მემარცხენეები, გარკვეულ წილად, მოიმადლიერა იმით, რომ სახელმწიფო აპარატში შეუშვა ისინი, მაგრამ, მეორე მხრივ, მათზე გარკვეული კონტროლიც კი დააწესა: სახელმწიფო აპარატის კარებს მიღმა დატოვა ასდპ-ს აქტიური პოლიტიკოსები. „ფარჩომისათვის“ ერთგვარი „პრივილეგიების“ მინიჭებით, მან კიდევ უფრო გააღრმავა დაძაბულობა ქარმალსა და თარაკის შორის, რასაც ასდპ-ს შემდგომი დასუსტებისთვის უნდა შეეწყო ხელი.

დაუდის სვლებმა მალე შედეგიც მოიტანა: ნურ მუჰამედ თარაკიმ იდეისადმი ღალატი დასწამა ფარჩომისტებს. თარაკისტებმა კვლავ იატაკქვეშეთში გააგრძელეს მოღვაწეობა მაშინ, როდესაც ფარჩომისტების ერთგვარი ლეგალიზაცია შედგა.[3] უნდა ითქვას, რომ „ფარჩომის“ ამგვარი მდგომარეობით მოსკოვიც სარგებლობდა: ხელისუფლების ორგანოებში დასაქმებული ქარმალისტები მნიშვნელოვან სახელმწიფო

---

[1] **კ. კვაშილავა.** ავღანეთის რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკა და სსრკ. *1973-1978*, გვ. 338.

[2] **В. Коргун.** Бабрак Кармаль, გვ. 31.

[3] **М. Ф. Арунова, В. В. Басов, В. Н. Пластун, С. В. Полтавская и др**., Актуальные проблемы Афганской революции.., გვ. 108; **В. Пластун, В. Андриянов**. Наджибулла.., გვ. 131.

ინფორმაციებს აწვდიდნენ საბჭოთა აგენტურას.[1]

ამრიგად, ასდპ-ს, როგორც მემარცხენე-რადიკალური მიმართულების პოლიტიკური ორგანიზაციისა, წარმოქმნა XXს-ის 60-იან წლებში არ შეესაბამებოდა იმ პერიოდის ავღანეთში არსებული ისტორიული რეალიების მოთხოვნილებებს, ვინაიდან მას არ გააჩნდა შესაბამისი სოციალური ბაზისი, რამაც განაპირობა მოკლე ხანში მომხდარი შიდაპარტიული განხეთქილებაც.

№ ст109/31гсп 8.I 1974 г.

ОСОБАЯ ПАПКА
СОВЕРШЕННО СЕКРЕТНО

23

ПОСТАНОВЛЕНИЕ
Секретариата ЦК Коммунистической Партии Советского Союза

Об обращении к руководителям группировок Народно-демократической партии Афганистана "Парчам" и "Хальк"

1. Утвердить текст обращения к руководителям группировок "Парчам" и "Хальк" и направить его в Кабул по каналам КГБ при Совете Министров СССР (прилагается).

2. С текстом обращения ознакомить советов в Афганистане.

Результаты голосования:

1 | Выписка т. Андропову, Пономареву, т. Пономареву Б.Н. (для т. Пономарева К.Н.)
3.I.1974 г.

Разослано: 8.I.1974 г.

[1] **А. Морозов.** Кабульский резидент, გვ. 45; **В. Пластун, В. Андриянов**. Наджибулла.., გვ. 130-143.

К А Б У Л

Встретьтесь с К.Бобраком и Н.М.Тараки и передай в отдельности следующее.

"В Москве с глубокой тревогой относятся к сообщ паниям из Кабула о продолжающейся взаимной борьбе ме ством "Парчам" и "Хальк". Эта междоусобная борьба, п сожалению, затяжной характер, ведет к ослаблению обе вносит раскол в ряды прогрессивных сил, в демократич ние в целом.

Создавшееся положение может радовать только вну внешних врагов Республики Афганистан, организующих а ственные заговоры, саботаж и другие враждебные нов ты, стремясь реставрировать прежние порядки. В этой сложной обстановке все прогрессивные силы, руководст интересами страны и ее народа, должны отбросить проч ния и объединить свои усилия на оказание всемерной п публиканскому режиму, укрепление его социальной базы цию отпора внутренней и внешней реакции. Только совм лиями всех прогрессивных и патриотических сил можно паха в этот ответственный для Афганистана период."

С текстом настоящего обращения ознакомьте соупо стаю.

Об исполнении доложите.

2вх

ЦК КПСС

Об обращении к руководителям группировок Народн партии Афганистана "Парчам" и "Хальк"

В соответствии с постановлением ЦК КПСС (П 1973 г.) Международному отделу ЦК КПСС совмести те Министров СССР поручено направить руководите Народно-демократической партии Афганистана "Пар Кармаля Бобраку и "Хальк" ("Народ") - Нур Мухам щение с призывом сосредоточить свои усилия на поддержки правительству в укреплении социально ского режима и борьбы с реакционными силами.

Проект обращения к К.Бобраку и Н.М.Тараки

С КГБ при СМ СССР (т.Мортенным Ф.К.) согла

С текстом обращения целесообразно ознаком ганистане.

Проект постановления ЦК КПСС прилагается.

Зам.зав.Международным отделом
ЦК КПСС

" 2 " января 1974 года

№ 25-С-2

5вх

THE SOCIAL ASPECTS OF CONFROTANTIONS EXISTING IN THE PEOPLE'S DEMOCRATIC PARTY OF AFGHANISTAN

There were some attempts of establishing the left orientation political organizations in Afghanistan in 50-60-ies of 20th century. Failure of this process brought to light that there was not exists needed social basis for such party. But Afghan lefts could to create the People's Democratic Party of Afghanistan in January 1, 1965. Soon the party divided on two factions: "the Khalq" by leaded Nur Muhammad Taraki and "the Parcham" of Babrak Karmal. Some object and subject factors caused this division. The leaders of party had different opinions to the some theoretic problems. Parchamists believed in legal forms of political struggles, but Khalqists wanted to change PDPA as a Communist Party. They also could not agree in problem of admit new members into party. The liberalism of Parcham and the Khalq's radicalism was stipulated by the social and ethnic origin of his members. Less-well-off sections, labours (small black-coated workers, nomads and etc.) were united in Khalq, but representatives of well-to-do sections of population (big landowners, traders, elite of the Army, intelligentsia, bourgeoisie and etc.) were became members of Parcham. If Khalqists were basically Pashtos, Parchamists were Tajiks and representatives of other national minorities. Because it was not surprise that PDPA divided on two factions. We can conclusion the establishment of left-radically political organization in 60-ies of 20th century in Afghanistan did not fit with historic actuals of that period.

კახა კვაშილავა

ეტიუდები
აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიიდან

KAKHA N. KVASHILAVA

STUDIES FROM THE HISTORY OF ORIENTAL COUNTRIES

ტირაჟი: 100 ეგზემპლარი.

გამომცემლობა **„მერიდიანი“.**
ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის, 47; ტელ.: 239-15-22

E-mail: *info@meridianpub.com*